

Millî Gazete

1

1992



ტესტი

1

იანვარი

1992

თბილისი

საქართველოს მფარველთა კავშირის სალიტერატურო და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოველთვიური ჟურნალი

№ 309. გვერდების 34-ი ფურცელი

ზინაარსი

□ □ □

სარიდაქცეო საბჭო

სარედაქციო კოლეჯია:

ზინი აღსაზივნილი

თელე ბაქივნილი
(მთავარი რედაქტორის
შოადგილე)

ზინი ზეზეხორი
დათო მალრაქე

რევაზ მიშველაქე

ზინი სულაქაური

მორის ფოცხივნილი

ჯარჯი ფოცხივნილი

იტრაჲ მემირაქელიქე

ჯანსუღ ღვინჯილია

ნუგზარ შატანიქე

მანანა ჩიტივნილი

ვაჲა ჩორღელი

(პასუხისმგებელი მდივანი)

ვახტანგ ხარჩილაჲა

მირონ ხარბიანი

ტარიელ ზანტაქია

მეჲა ჯოხაქე

□ □ □

მორიგე რედაქტორი
მზიული სირაქე

კოეზია და კროჲა

3. ვაჲა ფუაჲელა — ვინ არის კაცი? — ლექსი
4. მთარ ჩხიქე — ნუშქის კვირი. მოთბრობა.
12. ვახტანგ ჯავახიქე — ლექსები
20. გივი მალულარია — ბედი არ ზინდა?! მოთბრობა
50. ზესიკ ხარანაული — ლექსები
54. ვაჲა ჩორღელი — გორგობანი. მოთბრობა
82. ღვინჯი ტაქიქე — ლექსები
84. მირაზ აბაშვიქე — მოკლე ამბავი. მოთბრობა
97. კახა კახიქე — ლექსები
99. დოღო ნათიქე — ლექსები
100. მეთეჲან დოღიქე — ლექსები

გალაკტიონი — 100

101. რევაზ თვარაქე — საგასი შემდგირი

ფერილები

105. ვეზარ კვიციანი — ფოთა ჩანტლექის ბახსა.
ნება
126. თამაზ ვახაქე — წამოგული ღვირთი
138. როსტომ ჩხიქე — ჩემი მემოგარი

ისტორიის თეთრი ფურცლები

150. რემონ დიუჲა — მოსკოვი და წამოგული საქარტი.
ვილო. თარგმნეს მზია და აჲაჲი ზაქრაქიეჲა.

ღებქეტივი

159. შ. მისიაჲა — ნინიას ხელოვნება. თარგმნა სულხან
ჯორჯანელა

ვაჟა-ფშაველა

ვინ არის კაცი?

კაცი ის არის, ცხოვრება
ვინც გაატარა ჭაშაში
და კაცის დანიშნულება
შხოლოდა ჰპოვა ამაში.

კაცი ის არის, ვინაცა
ქუნაში საღამს არ გაძლევს,
თუ დაჰპატიჟე სადილად,
დიდ ჯიუტობას არ გასწევს.

კაცი ის არის, ვინაცა
საქმით სხვის, სიტყვით ჩვენია
და თავის ოინბაზობას
ჰშალავს, არ დაუჩენია.

კაცი ის არის, ვინაცა
შესტრფის, შეჰზარის ღვინოსა
და მსახავს იდეალადა
სალხინო-სამიკიტნოსა.

კაცი ის არის, ვინაცა
არა კითხულობს გაზეთსა,
წიგნისთვის შაურსა ჰზოგავს,
შეარღნეს აძლევს მანეთსა,

გადაამტერებს ერთმანეთს
ქართლსა, იმერეთს, კახეთსა,
საკუთარს ანბანს შეუდგენს
სამეგრელოს და სვანეთსა.

კაცი ის არის, სიცოცხლე
ვინაც ატარა ტკბილადა, —
სიკვდილის შემდეგ იწოდა
დიდყურიანის შვილადა.

1902 წ.



ოთარ ჩხეიძე

ნაზუქის კვირი

ასწია სასთუმალი.

რევოლვერიც იქვე იღო. ვაზნებიც ეყარა. ოღონდ ესაა: გაშეშდა თითქოსაო, ვეღარც რევოლვერს წაატანა ხელი, ვეღარც სასთუმალი დაუშვა. წაასწრეს. არც გაუხეღია. კისერი გაუშეშდა თითქოსაო, თვალებიც ჩაუშრა თითქოსაო. წაასწრეს. ჩქამიც არ გაუგონია, ჰო, არც დაუნახია, მინც იგრძნო: კარებში ქმარი იდგა. იდგა. თავი დაედუნა იმასაცა. არც ის შესცქეროდა. ერთი შეპხედა და ის იყო მერე დაჰხარა თვალები. იდგა.

„წაუღე“.

თქვა.

ქმარმა თქვა.

ქალმა დაუშვა სასთუმალი. ყელიც მოიღერა. კარებში აღარავინ იდგა. სხვას მოჩვენება ეგონებოდა. ამას არაო. ამან იცოდა, რა როგორ მოჰხდა: წაასწრო. უთხრა. და, წავიდა. ქალსაც ეს უნდოდა: უნდა წაეღო, ოღონდ ქმრის უჩემრად უნდა წაეღო. ქმარს სხვა იარაღიცა ჰქონდა. თანაც დაჰქონდა გამუდმებითა. შაშხანებიც ელაგა სარდაფშია. ტყვია-წამალიცა. ხელყუმბარებიცა. სხვადასხვაგვარი ყუთებიცა ასაფეთქებელი მოწყობილობებითა. ქალი ჯერ რევოლვერს წაეტანა. ეგება კიდევაც დაეიწყებიაო. ჰო. არასოდეს არ გამოუღია. ხელი არ შეუყვია სასთუმალ ქვეშა, ისედაც არა, უნებლიედაც არა.

თუ ფაჩუნი რამ მოისმოდა ღამიანა: იქვე პიჯაკი ეკიდა, პიჯაკის უბესა სტაცებდა ხელსა. ასე უფრო ემარჯვებოდა. ასე შეჩვეულიყო. ის ეგება აღარც ახსოვსო. თუნდაც რო ჰხსომებოდა, თუნდაც რო მოეკითხა: უარზე შედგებოდა ქალი. შედგებოდა. რა გამოსტეხდა?! ახლა რაღო, გამოსატეხი რაღა იყო: წაასწრო. წაუღეო. არაფერი რო არ გამოუპარება ამის თვალებსა. დადის ეგრე თავჩალუნული და არაფერი არ გამოუპერება; ჰგონიათ, ადვილადა ტყუედებაო და თვითონა რჩებიან მოტყუებულნი; სჯერათ, ენდობა ყველასაო, რო არ ენდობა არავისა, თავის თავსაც რო არ ენდობა, თუ არ გაზომა ათასჯერა, ათათასჯერა, უამრავჯერა, ისე რო არ გადასჭრის ბეწვის საღირაღსა. მიმხედარა ცოლი, სხვა თუ ვერ მიმხედარა, ცოლი მიმხედარა: და წაუღეო, და დაუშვა სასთუმალი. არც წაუღებს და არც არას შეიმჩნევს. ქალია. ლოგინს ასწორებდა. ვის უნდა წაუღოს, რა უნდა წაუღოს?! ქალია. ეკამათე.

არც ეკამათებოდა.

ეს დასაბრმავებელი თვალები: რო ვერაფერს ვერ გამოაპარებ.

სულ ორჯერ წავიდა, ორად ორჯერა. გზაზე არაეინ დაუღანდია. არაეინა. არც იმას შეპხევდრია. შინ არ დაჰხედა. არც არაეისთვის არაფერი უთქვამს. კრინტიც არ დაუძრავს ამ საგანზედა. არა.

არა. ეს მაინც მიმხვდარა ყველაფერსა. წაუღეო. ეს სამიწე თვალები. ეს ქვის ქვეშ ამოსადები გუმანი.

გუმანი.

ქალის გუმანიც გუმანია: უნდა მოჰკლან. ის უნდა მოჰკლან. საწყობები უნდა გადასწვან. მთავარი საწყობი ეკლესიაშია, ეკლესია უნდა ააფეთქონ. წისქვილიც უნდა ააფეთქონ. ძროხების ფერმას ცეცხლი უნდა მისცენ. ღორების ფერმასაც უნდა წაუკლონ ცეცხლი. ცოცხლებრივ რო იწვოდეს საქონელი, ბლავილით რო აიკლონ სოფელი. კანტორაც უნდა ააფეთქონ. სამხერხაოცა. კლუბიცა. სკოლაცა. იარაღი უნდა აისხან და ტყეში გავიდნენ, მერე რო იქიდან არ მოასვენონ გერმანელები, ანთუ სოფელი, — სოფელი ცხადია და, რაღა თქმა უნდა. ყველას თავისი დავალება ჰქონდა: ვის რა უნდა აეფეთქებინა, ვის რა უნდა გადაეწვა, ვის ვინ უნდა მოეკლა. ევალებოდნენ. იცოდა. გამზადებულიყო. ამას უნდა მოეკლა, ქმარსა ამისასა, და ჭანჭყატასა. ამათ უნდა მოეკლათ. ჭანჭყატა რაიონიდან მოვლინებულიყო. სახელი იქიდან არ მოჰყოლია, აქ შეაგებეს ზედმეტ სახელადა. ანთუ ეგებ რო თვითონვე დაირქვა. ტყეშიც გავიდოდა ამ სახელითა. რაიონული გაზეთის რედაქტორი ბრძანდებოდა. გაზეთსაც უძღვებოდა. ამათაც უძღვებოდა. ჩამოვიდოდა. ამათთან მოიყრიდნენ თავსა. სუფრასთან მოიყრიდნენ. სუფრას ესა შლიდა. ქალი. გუმანი გუმანადა. თვალი თვალადა. სუფრას ეს დასტრიალებდა: შუდიოდა. გადიოდა. შექპონდა. გააქპონდა. ისინი ჭამდნენ. სვამდნენ. მსჯელობდნენ. თათბირობდნენ. ეს შევიდოდა და მოსწყვეტდნენ სიტყვასა. მოსწყვეტდნენ. მოაბამდნენ ისეთ ანეკდოტსა, ტყვიასავით რო გამოვარდებოდა ქალი. დასდებდა დასადებულსა, დასდამდა დასადებულსა და გამოვარდებოდა. შესვლისასაცა: კარს შეაღებდა ოდნავადა: თუ შეიძლებაო. ოღონდ ყურებში ბამბა დაიცეო. დაიცობდა და შევიდოდა. გამოვიდოდა და არც გამოიღებდა ბამ-

ბასა. მაინც გუმანიო. ალლოო მაინცა. ნაწყვეტ-ნაწყვეტად ყურმოკრულიო.

ის უნდა მოეკლათ. —

ამასა, — ამის მეუღლესა, — და ჭანჭყატასა.

ჭანჭყატა კიდევაც გამოსცნაურებოდა. მისულიყო. წერილები ეთხოვა: შენი იმედი მექნებაო. განათლებული კაცი აქა ხარ და მე წერილები რად უნდა მაკლდესო. მოდი ერთი ეს ნიცშე შევსვათ ჯორზედაო. ფაშიზმი მივცეთ ანათემასაო. კორპუსით ავაწყობ. პირველ გვერდზე დავებჭდავო. ჰონორარს ისეთს ვერაფერს აღვითქვამ, მაგრამ ეს ჰო მოვალეობაა ჩვენიო. მოვალეობააო. პირველად მოვალეობააო. დამეთანხმაო. დამპირდაო. სერიას ველოდი წერილებისაო. საქმეში ხარო. კბილებს აკრაჭუნებდა. ჭანჭყატაი. დათვრებოდა და აკრაჭუნებდა. ამოიღებდა რევოლვერსაცა და დასდებდა მაგიდაზედა. ჩაიდებდა. ამოიღებდა. ამოიღებდა. ჩაიდებდა. არც არას ელოდა და არც უნდოდა ამისა წერილები. საბაბად მოეღო. რო მისულიყო. რო გაშინაურებოდა. რო მოეხურა კარი. მოეთავებინა მოხურულ კარსუკანა. გუმანი გუმანადა. დასხლტებოდა სიტყვაცა. დაყოვნდებოდა, თეფშებს რო უცვლიდა. ჩქარობდა. ჩქარობდა. და. დაყოვნდებოდა. დამსხვრეულიყო. თეფში რა იყო, ხან ისეთ რამესაც მოჰკრავდა ყურსა. წარბებს მოქშევადა ქმარი ამისი. არც შეჰხედავდა. მოქშევადა. მოქშევადა. დაჰხრიდა თავსა, თითქოს სარქენადაო: გაეტიეო. გადიდროზედაო. გაეტიეოდა. გავიდოდა. უამისობაც არ შეეძლოთ. და ჰკრებდა. ვარაუდობდა. ირწმუნებდა: უნდა მოეკლათ. თავში ის იყო. სიის თავში. დასახვრეტა სიის თავშია. სოფლისა ჰო, რაიონისაცა, რაიონის ცენტრისაცა. მთლად თავში. თავში. ნიცშე. ნიცშეს. ნიცშესიო. აბრუნებდა ჭანჭყატაი. უარესიცააო. ნიცშეზეო. ჩვენში ესაო. იქ თუ ისაო. გაეგონა ეს სახელი ქალსა. სახელი სახელადა. ავად სახსენებლადა. ჭანჭყატასაც ჰო ისევე ეკერა პირზედა, ისევე, ავად სახსენებლადა. რაიკომშიც

ამტიციება: მაგის ხელში მოიყრის ყვე-
ლაფერი, გერმანელები შემოვლენ თუ
არაო. ამასაც ამტიციება. თავისი მოვა-
ლეობა მიაწდა ყველაზე საპასუხისმგებ-
ლოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას მო-
ითხოვდა. ურჩევდა რაიკომი: სულაც იქ
იყავი. თვალი არ მოაცილო. გაზეთს შენი
მოადგილე მიაჭედავსო. მოადგილეს რა
გაეგებაო. იფშალეობდა ჭანჭყატი.
გაზეთსაც მე მივხედავ. იმასაცა. თქვენ
ფიქრი ნუ გაქვთო. ორად გავიჭრები.
ათადაც გავიჭრებიო. გაჭრილიყო
თითქოსა. ალბათ, რო ჯერ ორადა:
იქაც იყო. აქაც იყო: გაისტუმრებდნენ
და მოდისო. შემოიდუღუნებდა ქმარი
ამისი. ქალის ქმარი. ამას ქვაბები უნ-
და შემოვლდა. ქმარი საწყობებს განაგებ-
და. სუფრა აქ უნდა გაშლილიყო. სოფ-
ლის თავკაცობაც რო აქ მოიყრიდა თავ-
სა, სოფლის თავკაცობა. პარტიზანები.
უკვე ეს ერქვათ: რო უნდა დაეგრიათ,
რო უნდა გადაეწვათ. დაეხოცათ. გაეფ-
ლიტათ. განიხილავდნენ დამტიციებულ
გემამსა. კიდევ. და. კიდევ. ამოწმებდ-
ნენ. უმატებდნენ. უზურში მოჰყავდათ.
ვთქვათ, მაგალითად. სკოლის დირექტო-
რი უარს დადგა, — სკოლას ნუ გადაეწვათ-
თო. მაშინ შენი სახლი გადაეწვათო, მო-
უჭრა ჭანჭყატამა. ვიფიქრებო. უცებ
ვერ დათანხმდა დირექტორი. იფიქრა.
იფიქრა. კეთილიო, დათანხმდა დირექ-
ტორი. ჭანჭყატაც დათანხმდა: სკოლა-
საც გადასწვამ და შენს სახლსაცაო.
სკოლის ხანძარი დირექტორს ევალებო-
და. გაშრა დირექტორი. გაშრა თუ გა-
მოშრა, ახალ სადღეგრძელოს ამბობდა
დირექტორი. ამბობდა. სვამდა. ჭამდა.
სვამდა. მოუპირავი ბრძანდებოდა.

ის უნდა მოეკლათ.

გეგმა სწორდებოდა. იესებოდა. მო-
ნაცვლეობდნენ შემსრულებლებიცა. ეს
მუხლი უცვლელი გახლდა.

ის უნდა მოეკლათ.

ამათ უნდა მოეკლათ, ანთუ: უნდა მო-
ეკლა ამის ქმარსა, იქვე რო იქნებოდა
ჭანჭყატაცა, რო დარწმუნებულიყო თავ-
ვისი თვალთა.

ის უნდა მოეკლათ.

ბავშვობაშიც უნდა მოეკლათ. თავისი
დღით სიკვდილი თუ არა ეწერა. მაშინ
გადარჩა. მამაკაცები ამოწყვიტეს ბა-
ტონიანთი. ეს ბიჭი გადარჩა. გააპარეს.
ოთხიოდე წლის იქნებოდა. ავერ ამ
ქალის პაპამ გააპარა. ბატონიანთ ქა-
ლებმა გააპარებინეს. ვერცხლის ქამარ-
ხანჯალი აჩუქეს. სხვებმა დაიტაცეს
იმას ასე ერგო. შეილიშვილს ამდენი არ
გაეგებოდა, რადა თქმა უნდა. ბიჭის
ხნისა გახლდა. იმდენი მაინც გაეგებო-
და: მალავდნენ ბიჭსა. ჩქმალავდნენ
ბიჭსა. ტურნებზე თითს გადაიჯვარედი-
ნებდნენ: სსსუუო. ჩასვეს კოფოთანა
ურმისაი. თივა ამოუჭედეს აქეთ-იქიდა-
ნა. ზემოდანაც თივა გადააფარეს. ბარ-
გიც დააწყვეს ურემზე ავრეთვე. პაპაც
დასკუბდა კოფოზედა. გზას გაუტია ქა-
რელისაკენ. გორისკენ არა. გორის გზა-
ზე ურემებსა ჩხრეკდნენ. გაუტია. მანამ-
ღე გოგონა შეძერა ხარებშუა. მაჯიდან
წაიძრო ნაზუქის კვერი. თივა გადასწია.
მიანჩრა ბიჭსა. კვერი. ნაზუქის კვერი.
მეორე მაჯაზედაც წამოეცვა კვერი. გა-
იძრო. ჩაკბინა. თვალი ჩაუკრა: შენც
გაკბინეო. ეტიტინებოდა. წაუთაქეს და
გამოაგდეს. პაპამ წაუთაქა. დიდდამაც
წაუთაქა. დედამაცა. გარეთაც აღარ გა-
მოუშვიათ იმ დღესა. პაპამ შეუტია
ჯონქა ხარებსა, ბატონიანთ ჯონქა ხა-
რებსა. ისიც ქალებმა აჩუქეს ბატონია-
ნთი, ვიდრე დაიტაცებდნენ იმათ ქო-
ნებსა. გოგონამ რა იცოდა. მერედა
გაიგო. ეგონა, მაშინვე ვიცოდო. რაც
თუ როგორ იყო: ბიჭი დაიკარგა. ამისთ-
ვის დაიკარგა. ახსოვდა: გამხდარი, გამ-
ხდარი ხელი. წვრილი თითები. წვრი-
ლი. თვითონ კოტიტა თითები ჰქონდა.
ლოყები ფუნთუშა. ტანიცა. ტურნები და-
ბურცული. მერე შეიცვალა. ჩამოსუფ-
თავდა. ჩამოიქნა. დაიხუწა. ის? ახ-
სოვდა ხელი, გამხდარი ხელი. წვრილი
თითები.

ისევე გამხდარს ამბობდნენ.

მალღია. წარმოსადგევი. ძვალმსხვი-
ლი. ოღონდაო, ცარიელი ძვალი და ტყა-
ვიო. ამბობდნენ. ესენიცა. სოფელშიც
ამბობდნენ. ძვალტყავა ნიღა. ერთად

ამობდნენ. ესენი. სოფელში: დიდი ბრი-
ალა თვალები აქვს, უცებ შეგაკრთობს
კიდევაცა, ოღონდ უცებვე ისეთ სათნო-
ებას იგრძნობ, აღარ გინდა გამოშორ-
დეო. ეს რო სოფელიო. ჭანჭყატა გან-
საზღვრავდა ამდაგვარად: სწორედ თვა-
ლებში უნდა ჩაუწყო ტყვიებიო. თვა-
ლებშიო. ურჩევდნენ სხვებიცა, ისეთი
ფინითა: რატომ ჩვენ არ დაგვეკისრა ეს
სიამოვნებო. ისეთი ნდომითა. ისეთი
წყურვილითა. შურდით მასპინძელისა.
ამის ქმრისა. შურდით და ემეტებოდას:
შენ ისეთი ბიჭი ხარო, მეტის ღირსი
ხარო. ემეტებოდათ. ჭანჭყატას მოსწონ-
და რჩევაცა, ფინიცა სისხლისაი. მოს-
წონდა. იფშენეტდა ხელებსა. ღვინოსაც
აძალებდა. ღვინოც რო მორეოდით, ფი-
ნიცა სისხლისაი. გამაბრუები. ვითომ
ყვაილი მოგაწყვეტიაო. ვითომ ჩაფ-
ლულხარ ცხვირპირიანდაო. ყვაილი.
თაიგული. ვარდის თაიგული. რაც უფ-
რო ბევრი, მით უკეთესი. გამაბრუები.
ფინი. ღვინო სისხლისფერი. სისხლი
ღვინისფერი. რად იგვიანებენო, დატა-
რებდნენ თვალებსა აცაბაცა და: აბა სა-
იდან გამოჩნდებიანო. უნდა გაეფრთხი-
ლებინა. ქალმა გადასწყვიტა. უთუოდა.
უსათუოდა. დროც შეურჩია. ეჭვი რო
არავის აეღო. ქმარიც გაიგულა. და. მო-
უცდა თადარიგი. შინ არ დაუხვდა. ში-
ნაო თუ სადალაქოში. ბატონიიანთ ნა-
ფუძარზედა: აღარც რო სასახლე გადარ-
ჩენილიყო, აღარც რო ციხე-გალავანიო.
სამირკვლებიც ამოყვართ. რაღაც მა-
ინც რო შერჩენილიყო, დალაქს გაემარ-
თა სადალაქოი. ფირნიშიც გაეკრა. წაე-
წერა ფიროსმანის მიბაძვითა. თვითონვე
წაეწერა. მიეხატა ავტოპორტრეტიცა:
სამართებელს უწყობდა პირსა. მიეტო-
ვებინა. ისევე, იმავე მინახატიანდა. ში-
ნა ჰკრეჭდა. შინა პარსავდა. იქ ახლა
ის დაბინავებულიყო. იშვიათად თუ გა-
მოდის შინიდანაო. რაღა ის იშვიათი
შეურჩია?.. ბედი. გარედან რო სადალა-
ქო ერქვა, შიგნით ბიბლიოთეკას დამე-
ვანებოდა: იმდენი თარო გაემართა, იმ-
დენი წიგნი აესხა თაროებზედა, იმდე-
ნიც აეკოკოლავებინა იატაკზედა. ეს მე-

ორედ იხილა ქალმა. პირველად კარა
არც შეუღია. დააკაუნა. დაელოდა. და.
გამობრუნდა. მეორედ იფრთხილა: ვაი-
თუ კიდევ არ დამხვდეს შინაო. ნაზუქის
კვერი გამოაცხო. არ დამხვდება და ნუ
დამხვდებაო. ბევრი ლაპარაკიც არ არის
საჭიროო, შეხვედრაც არ არის აუცი-
ლებელიო, — კვერით ინიშნებს, იგივე
საფრთხე რო ელოდება, ინიშნებს და
გაეცლებაო. არ გაეცალა. ანთუ ვერ ინ-
იშნა ვერც რო ვერაფერი, ანთუ საფრ-
თხესაც არად ავლებსო. ეგება თავანწი-
რული ვინმეცა ბრძანდება, მაგრამ ამათ
რად უნდა შესწიროს, ამათა, ასე მუხა-
ნათებსაო:

ნიცყო,
წერილებიო,

აიო, მოგაკითხეთო და... დაახლიდ-
ნენ ტყვიებსა, წყვილ თვალში, წყვილა-
და. ვეღარც რო დაახამხამებდა. ვეღარა.
არც არაფერი რო არ გაუკვირდებოდა,
მუხანათობის მეტს რო სხვას ვერაფერს
ვერ იხილავდა ამქვეყნადა. სხვას აბა
რასა?! არც დაახამხამებდა. თუმცა გა-
მოსცლოდა ქალაქსა, ალბათ, თავს რო
უფრთხილდებოდა. ჭლექი შეჰყროდა.
ქალაქს სოფელი ემჯობინებოდა, რაღა
თქმა უნდა. ომი მძეინეარებდა. დამშეუ-
ლიყო ქალაქი. სოფელზე მეტად დამშე-
ულიყო. სოფელი ერჩინა, რაღა თქმა
უნდა. რაღა თქმა უნდა. ჭანჭყატა ამტ-
კიცებდა: ეს მხოლოდ შენიღვის მიზ-
ნითაო; სინამდვილე ის არის, გამალე-
ბული კავშირი რო გაუბამს გერმანე-
ლებთანაო. რადიოსადგურიც ექნება აქ
სადღაცაო, ისე, ვითომ დახარბებულა
სუფთა ჰაერსა, ნთქავს ჰაერსა და ვი-
თომ წიგნებითაც ირთობს თავსაო; ყვე-
ლაფერი აქ ვითომაა, გარდა რადიოსად-
გურისაო. უნდა ვეძებოთ, უნდა ვიპო-
ვოთ, ზედ უნდა დავაკლათ. კეფაში უნდა
დავახლოთო. თვალებშიო. შეახსენებდ-
ნენ. თვალებშიცაო. და. კეფაშიცაო.
არ დაიბნეოდა. შეუსწორებდა ცალ-
კეულ სიტყვებსა, ანთუ გასვლისას
წამოეწეოდა. გუმანი გააბამდა ძაფსა
თავისასა. გააბამდა. ასე და, ალბათ რო,
შეუმცდარადა. შედი-გადიოდა. შეჰქონდა.



გაქონდა. ჭამდნენ. ნთქავდნენ. სვამდ-
ნენ. ხვრიავდნენ. ქვეყანა რო დამშუ-
ლიყო, ძღომა აღარ იცოდნენ აღარც
ამათა. საწყობი მინც საწყობი იყო. საწყ-
ობის გამგეც გამგე იყო. არც კრიდე-
ბოდნენ, რალა თქმა უნდა. ჭამდნენ.
ნთქავდნენ. ნიშანს ელოდნენ. წუთი-
წუთს ელოდნენ.

ფრონტი უკვე მოახლოებულიყო.
სროლის ხმა ისმოდა. ერთი მხო-
ლოდ ეს კაკასიონი, თორემ მის-
დგომოდნენ ფრონტსა. კაკასიონი. კავ-
კასიონი. ერთი მხოლოდ ეს კაკასიონი.
ზურგი ურყევი. ჩვენივე გატეხილი ზურ-
გი. ჩვენივე. ჩვენივე. სხვა რო ვერაინ
ვერას დაგვაკლებდა. ჩვენივე, ჩვენივე
გატეხილი ზურგი. სროლის ხმა ისმო-
და. მომდგარიყვნენ. გადმოიფრენდნენ
თვითმფრინავები. უფრო სზირადა. უფ-
რო სზირადა. იმათი იცნობოდა. ჩამოჰ-
ყრიდა ყუმბარებსაცა. აქა-იქა. სასინ-
ჯადა. ხმა დაიყრებოდა: ღესანტი ჩამოს-
ხესო. უარობდნენ ესენი: ესენიცა, აგერ
რო ჭამდნენ და სვამდნენ, ხელისუფლე-
ბაცა: ფეხს ვერ გადმოსდგამენ კაკასი-
ონის აქეთაო. ვერაო. ვერაო. უარყოფ-
დნენ და თანაც მზად იყვნენ, გადაეწვათ,
გადაეუგათ, აეფეთქებინათ, ჩაეხოცათ
არასასურველნი თავანთი ჭკუითა, აეკ-
რიფათ გულა-ნაბადი, — გაქცეულიყვნენ
მოუსავალში — დროებითაო — მზად იყ-
ვნენ. იყვნენ. ეს ხელისუფალნიო. ესენიც
მზად იყვნენ, ესენი და მსგავსნი ამათნი,
რო ჭამდნენ და სვამდნენ, რო ნთქავდნენ
მოუპირავადა, ნთქავდნენ, სანსლავდნენ,
ისეთი მადითა, მთლად დედამიწას რო
გადასანსლავდნენ, ანთუ დედამიწა რა-
ლაო, სხვა პლანეტებსაც გადასანსლავდ-
ნენ თუ მიუშვებდნენ, რალა თქმა უნდა.

როცა იქნებოდა, აიშლებოდნენ,
ესენი, ცხადია.
გაუყვებოდნენ ბანცალ-ბანცალითა.
ღიღინითაც გაუყვებოდნენ:
შენ იძინეო, სოფელს ამხნივებდნენ,
შენ მოისვენეო, ჩვენა ვფხიზლობთო.
ისინი გაუყვებოდნენ. ესენი რჩებოდნენ:
მასპინძელი და მოვლინებული, ჭანჭყა-
ტაი. პურ-მარილი რო აქ მიეღო, ღამეც

აქვე უნდა გაეთია. მასპინძელი არა
დგებოდა ზეზედა. ელოდა სტუმრის აღ-
გომასა. არა დგებოდა არც რო სტუმ-
რი, ელოდა მასპინძლის დათრობას.
აღარც სმა უნდოდათ, აღარც ჭამა
აღარ უნდოდათ. მობეზრებოდათ რო
ერთმანეთიცა, მინც არ ეშვებოდნენ ერ-
თიმეორესა, ანთუ უფრო ჭანჭყატა არ
ეშვებოდა, ახალ-ახალ სადღეგრძელო-
ებს იგონებდა, აძალებდა ღვინოსა, მას-
პინძელი არა, სტუმარი აძალებდა, თვი-
თონ იპარავდა, იმას აძალებდა. ეს არ
იპარავდა, ოღონდ არ დაღვედა იმაზე
მეტსა, წვეთსაც არაო, ნაკლებსაც არა,
წვეთსაც არაო, არც ატყუებდა, არც
იტყუებდა თავსა. ჭინჭყლობდა ჭანჭყა-
ტაი. არ გასდიოდა ჭინჭყლი: დაღიე და
დავლეუო. თითქოს რო კინწიც მოსწყ-
დებოდა მასპინძელსა, თითქოს რო
ხვრინვასაც ამოუშვებდა, იქვე დააგდებ-
და თავსა მაგიდაზედა და ამოუშვებდა.
სტუმარი იხმოდა დიასახლისისა, გვეო-
ფა ტრიალი, მოდი აგერ, შენც მოიღხი-
ნეო. იხმოდა. მოისვამდა გვერდისა,
მადლობასა სწირავდა, დიასახლისობას
შეუქებდა, ქალობას შეუქებდა. ხელიც
წაუვილოდა. ასწევდა თავსა მასპინძელი:
დავლითო. შენ თუ გძინავს, დაიძინეო,
წყრებოდა ჭანჭყატაი. არაო, დავლითო.
არაო, დაიძინეო. არაო, სტუმარმა თუ არ
მოისვენა, ისე არაო, არაო. აჰა და მო-
ვისვენებო. ატყუებდა თავისი ჭკუითა.
წამოწვებოდა. ვერ მოისვენებდა მერე
ვითომა, ანთუ დიასახლისის დარდი
ჰქონდა, ვითომაო, ისეც რო ფეხზე ტრი-
ალებდა, სუფრას ალაგებდა, ჭურჭელსა
რეცხავდა, წამოდგებოდა მისაშველებ-
ლად; ანთუ აივანზედაც გაიხმობდა, რა
კარგი ღამეაო; ვარდებსაც უქებდა: ამ
უბედურობის დროსაც შეგრჩენია სილა-
მაზის ტრფიალიო, ქალობაც ეს არისო
და თუ გადავიტანთ ამ გასაჭირსა, ასეთი
ქალებით გადავიტანთო. შენა ხარ ნიმუ-
ში ქართველი ქალისა, მოხიბლული
ვარ მე შენითაო. მოხიბლული ვარ. მო-
ხარული ვარო. ენაც გაურბოდა. ხელიც
გაურბოდა. თავს წაადგებოდა მასპინძე-
ლი. გამობანცალდებოდა აივანზედა, ვი-

თომ მართლაც რომ ფეხზეც ვეღარ იდგა: შენ თუ არ მოისვენებ, ვერც მე მოვისვენებო. მე ასე მირჩევნიან სმის შემდეგო. შენ თუ არ მოისვენებ, ვერც მე მოვისვენებო. შენ წადი, აი მეც მოვდივარო. შენ თუ არ მოისვენებ, ვერც მე მოვისვენებო. მეტს არას იტყოდა. ვითომ თვალმც ვერ გაეხილა. ვითომ მუხლიც ჩაუწყდებო. ბრანზობა ჭანჭყატაი. სუნთქვა ეკვროდა ჭანჭყატასა. ჭკუა ჰყოფნიდა, არ აყვირებულებო: განაბულებო სოფელი. აღარც ის დღინი მოისმოდო, ალბათ, იმათაც რომ ჩასძინებოდო. მოგვცილდესო, უბრძანებდა დიასახლისსა ჭანჭყატაი. წამოო, სთხოვდა დიასახლისი ქმარსა. შიშობდა ქალი. არაფერი არ გაუკვირდებოდა ჭანჭყატასა. გადაამოწმებდა ევაკუაციის გეგმასა კიდე ერთხელა, ამათი სახლის გადაწვასაც მოითხოვდა; რაც უფრო მეტი გადაწვის, რაც უფრო მეტი დინგრევა, რაც უფრო მეტ მტერს გავანადგურებთ, მით უფრო ვერაფერს გაპბედავს სოფელი. ჯერ არ განადგურებულებო სოფელი. სოფლისა მაინც ეშინოდა ჭანჭყატასა. სოფელს ეძინა მკვდრული ძილთა. ეძინა, მაინც ეშინოდა. ეშინოდა.

ის უნდა მოეკლათ.

ეძებდა, კიდე ვინ რო მოეკლათ, — რაც უფრო მეტს გავანადგურებთო.

ის უნდა მოეკლათ.

ნაზუშის კვერთაც თუ ვერ ინიშნა, ახლა რევოლვერს დაუტოვებდა: მიპხვდებოდა ბოლოს და ბოლოსა, ან გაიპარებოდა, ან თავს დაიცავდა, ან თუნდაც რო მოეკლა თავი, ამათი მსხვერპლი მაინც არ გამხდარიყო, ამათი სათრევი არ გამხდარიყო. დაუტოვებდა. ჰმ!.. ჰე!.. ვეღარ დაუტოვებდა. წაასწრო ქმარმა. ვერც რო ვერაფერი გამოეპარებინა, ამ ერთს მაინც გამოეპარებო. ვერა. ვერც ესაო. ეს თანხმობა მაინც უცნაური რამ იყო: წაუღეო. ნუ მერიდებო ერთი სიტყვითა. რა განეზრახა?!. თანაგრძობისა ეს არ იქნებოდა, არა, არა, არავითარ შემთხვევაშია. ჭანჭყატაც რო ყელში ამოუვიდა, ცხადია და, რაღა თქმა უნდა, მაგრამ მოკვლით ჰო ამას მაინც უნდა

მოეკლა?.. გეგმითა. ევაკუაციის გეგმითა. თუმცა ისიც იყო: ჭანჭყატა უნდა მისულიყო პირველად: ნიცშეო. წერილების ციკლიო. ეგება რო როზენბერგისაო. შოპენჰაუერიცა. კიდეც რო ვინც გენებოსო. მიანებებდა თუ ვეღარავის გაიხსენებდა. აირჩიეო. მე მზადა ვარო. უნდა გაება. დრო თუ ეყოფოდათ. თუ არ ეყოფოდათ: მაინც ის უნდა შესულიყო პირველად. ისინი წარსდგებოდნენ პირისპირა. ეს უკან დარჩებოდა. ამის ხელთ იქნებოდნენ. ამის ხელთა: ორივენი. რაც უფრო მეტს გავაუწებლებთო. ამის ხელთ იქნებოდნენ. კეთილი. ვთქვათ. იარაღს რაღად უგზავნიდა. წაუღეო. რა განეზრახა. რას აპირებდა. სასიკეთოს ვერ იგულებდა ვერაფერსა, მაინცდამაინც კეთილი სულისად რო არ მიაჩნდა მეუღლე თავისი. ქალსა. მაინც დაუტოვოს?.. დაუტოვოს თუ არ დაუტოვოს?.. ჰა?.. სხვა რამ უნდა მოეფიქრებინა, სხვა რამა, რაღაც ისეთი, უთუოდ რო გამოეპარებინა ქმრისთვისა, უთუოდა, უსიკვდილოდა. როგორაო, ერთი რამ მაინც როგორ ვერ უნდა გამოეპარო ამის დასამიწებელ თვალებსაო. დროც აღარ იცდიდა.

ქუხდა გადაღმა კავკასიონისა.

პარაშუტებით ჰო ჩამოცვივიან, თხალაპურებითაც გადმოფრინდებიანო. დღე-ღღეზე ელოდნენ. შემოიჭრებოდნენ. შემოიჭრებოდნენ და შემოჭრილიყვნენ. აქაც აღარაფერი აღარ დაპხვდებოდათ. იცოდნენ, ალბათ რო, ელვისებურად აპირებდნენ ისინიცა შემოჭრასა, როგორც მოდიოდნენ, ისევე, იმგვარადა, ნიკოფსიდან დარუბანდამდეო. ჩანგლისებურადაც შემოვარდებოდნენ, შუა წვერი რო დარიალისა იქნებოდა. თეთრი გიორგი მოჰყვებოდა. თეთრი გიორგი წამოაგებდა შუბზე გველეშაპსა, გაჰკვეთდა, გააპობდა; წამოიშართებოდა თუ სხვა გველეშაპი, თუნდაც რო სახეცკლილი და მაინც გველეშაპი, საუკუნობით მაინც ვეღარ გასტანდა, ვეღარა, ვეღარა, გასულიყო ყავლი ბიბლიური ხნოვანებისა. ეს ისეო, სიტყვის მასალადა. ხოლო ზანზარით მართლაც რო ზანზა-

რებდა კავკასიონი. პირი დაედო მწვერ-
ვალეზსა. ვულკანებად გადმოვიდოდა.
ესენი მხოლოდ ბრძანებასლა ელოდნენ.
იარაღში იხსდნენ. ნაღმებიც ჩაეწყოთ.
ადგილზე მიეტანათ ბენზინით სავსე ბა-
ლონები. მზად გახლდნენ. ელოდნენ. მო-
სკენრობდნენ. თან ვითომდაც, არაფე-
რიათ: არც ვეღოთ. არც არაფერს ვა-
პირებთო. ასე შთააოცნებდა ჭანჭყატი
თავისიანთა. ისინი — სოფელსა. ამშვი-
დებდნენ. მოუსვენრობა მაინც ეტყობო-
დათ. რაც უნდა ყოფილიყო, ანთუ რანიც
უნდა ყოფილიყვნენ, ტყვედ უნდა გასუ-
ლიყვნენ მიჩვეულნი თბილ ცხოვრება-
სა. ჭანჭყატი უფრო მოუსვენრობდა. ეს-
ამისგანა, ჟინისაგანა, რო ვერ მოეგლო
ხელში ეს ქალი. ვერა. ვერ მოეგლო. გა-
ხელებულიყო. უფრო ის ახელებდა: ვი-
თომც რო არც გაურბოდა, ვითომც რო
საქმე საქმეზე მოდიოდა და იშლებოდა
მოულოდნელადა. იშლებოდა. ისიცა სცა-
და: რაიონში ვაჭვზავინდა ქმარსა. ცოლ-
იც გაპქრებოდა. აღარც სადილიო, აღარც
სამზარიო, ვაზშამიც აღარა, რაღა თქმა
უნდა. გაპქრებოდა. და იკარგებოდა. იმ
დღესაც დაიკარგა. ქმარი შინ იყო. ის
დაიკარგა. იმ ღამეს რო უნდა აღსრუ-
ლებულიყო. ამაღამაო. შემოუთვალეს.
მაინც ელოდეთ ნიშანსაო. ამაღამაო.
გარდასწყდება გარდასაწყვეტი. ან ასე
იქნება, ან ისეო. სამზარეულოში ქმარი
ტრიალებდა. ამაღამაო. ან ასეო. ანდა
ისეო. ვთქვათ, რო ასე იქნებოდა,
ვთქვათ, რო მლოდინი გადავივლიდა,
ვთქვათ, რო აქეთაც აღარ გამოეგზავ-
ნათ ჭანჭყატი, — შეიძლებოდა, ყველა-
ფერი შეიძლებოდა. ჭამაც აღარ უნდო-
და ჭანჭყატასა. თვალებიც არეოდა.
დროდადრო გმინვაც ამოსცდებოდა.
ცოტა უფრო რო აეწია, ეგება რო ღმუ-
ილიც გამოსვლოდა, ღმუილი, ყმუილი,
ყვილი, ყვირილი, ეგება რო, ალბათ
რო, როგორც რო ირემთა მყვირალობი-
სასა, ეგება რო, ალბათ რო, ცხადია.
მყვირალობისასა. რქა დავაჯახოთ რქა-
ზედაო. ფური არ იყო. ესეც აგერ რო
ტრიალებდა სამზარეულოში, არ მომარ-

თულიყო დასაჯახებლად. ჭანჭყატი ლა-
მის დასჯახებოდა.
ლაშისაო.
დაეჯახებოდა თუ არა ლოდინი.
ამაღამაო.
წუთი წუთზედაო.
ელოდნენ.
ისიც ელოდა. ქალი.
ელოდა.
დღე თუ სად იყო, რა საკითხავია.
სოფელი სოფელია, ერთ ქალს როგორ
ვერ დაიფარავდა. ხოლო ღამეო, — ეს
აღარ იცოდა აღარც რო სოფელმა.
ღამე იყო ბნელი. კუნაპეტი. მთვარემ
დაივანშმა. ღრუბლებმაც შეაყოვნა. მე-
რე უცებ გადმოდგა, უცებ გადააკაშკაშა
იქაურობაი. ის იქ მანამდის ჩასაფრდა,
შერჩეულ ადგილასა, მთვარეც რო ვე-
ლარ დინახავდა, მანამდც რო არავის
დაუნახავს. არ გამოეპარებოდა არაფერი
თუ არავინა, არც ამგლეღიო, არც ჩამე-
ლეღიო, არც ისა, ისა, ამაღამ რო
უნდა მოეკლათ: წერილებიო, ნიცშეო,
როზენბერგიო და... ტყვიები უნდა ჩა-
ეჭვდათ თვალეზშია. შუქი ენთო. ენთო.
ენთო. მთვარე რომ გადმოდგა, იქ ჩაპქ-
რა შუქი. ანთუ დაიძინა, ანთუ გასცქე-
როდა მთვარიან ღამესა. გასცქეროდა თუ:
ჩააშხამებდნენ. დაიძინა თუ: ჩააშხამებ-
დნენ. ჩააშხამებდნენ იმ მშვიდ ღამესა.
ჩააშხამებდნენ მთელს სოფელსა იმავე
დროსა. ასედაც უნდოდათ. სწორედ რო
ასეთ ღამესა ნატრობდნენ: უეცრად რო
დაეცემოდა თავზარი სოფელსა, უეცრა-
და, მიბინარებულსა; თორემ ის რაო:
თუ გაავდარდებოდა, თუ იქუხებდა, იელ-
ვებდა, — არაფერიო, რაღა თქმა უნდა,
აფეთქებანი ქუხილისა ეგონებოდათ,
ხანძარი — მეხისა, ხასიკვდილო გასრო-
ლას ჰო ვერც გაიგონებდნენ; შეიშმუშ-
ნებოდნენ, აიღერდებოდნენ, გადაბრუნ-
დებოდნენ და განაგრძობდნენ გაწყვეტილ
სიზმრებსა. აბა ის რაო!.. ერთბაშად
უნდა დასცემოდათ თავზარი, ერთბაშად
უნდა გაპხეთქოდათ გული. ისეთი ღამე
გახლდა. ცა ხასხასებდა. სოფელი ხას-
ხასებდა. ვითომ რო არც დამშეულაო;
ვითომც რო არ გარეკილან მამაკაცები

სადღაც შორსა სასიკვდილოდა; ვითომც
რო ნაზევარიც ვეღარ დაბრუნდებოდა
იმათგანა; ხოლო ვინც რო დაბრუნდე-
ბოდა, ვითომც რო კიდევ ივარგებდა
მშვიდი ცხოვრებისათვისაო. გამტკნარე-
ბულიყო ისე სოფელი, ისე, ისე, ვითომ-
ცდა არაო, არ გადაიბუგება წუთი წუთ-
ზედაო. ეს ერთი ელოდა. ამ ერთმა იცო-
და: როგორ თუ რაო. ხოლო მანამდე:
ორნი ჩაივლიდნენ ამის წინა. ვერ ასც-
დებოდნენ. ორნი. ორნი. ერთს მამინვე
დაახლიდა ტყვიასა, უთქმელადა, გაუფ-
რთხილებლადა, დაახლიდა, დასცემდა:
ის ჭანჭყატა იქნებოდა. მეორეს გაიგ-
დებდა წინა, შინ გაიგდებდა, ის ამისი
ქმარი იქნებოდა, რაღა თქმა უნდა. ერთს
დასცემდა. მეორეს გაიგდებდა. გადაეწ-
ყვიტა ამდაგვარადა. ამდაგვარადა. სხვა-
გვარად ვერრას გაითვალისწინებდა.

ელოდა.

ღამე გაიცრიცა, ღამეი შთვარიანი.
მოვარეც გაიცრიცა, ლაქაღლა სჩანდა,
ისე გაიცრიცა, ისე გათენდა. სოფელი
გადარჩა იმღამესაცა. ქალი დაღლილი
დაბრუნდა შინა. ლოდინით დაღლილი.
გაწამებული ლოდინითა, კარი რო შე-
აღო, შეჩერდა ლანდივითა, კარებშივე
შეჩერდა. ქმარი იწვა. ბალიში აეწია,
ეგრე შეყუჟული იწვა. ეგრეც გაახილა
თვალი. ერთი შეჰხედა, ელვად შეჰხედა,
დაჰხუჭა და ისე ამოსთქვა:

„მოდი!..“

ქალს მოეჩვენა, რო ჩაიციანა ქმარმა,
ჩაიციანა ღამეცინავადა.

„არა!..“

ამოიძახა ქალმა, ამოიძახა მძაფრა-
და, ასწია რევოლვერი... ასწია და და-
ახეთქა იატაკზედა.

ქმარს აღარ უთქვამს აღარაფერი,
აღარც შეუხედაია, წამოდგა, აკრიფა თა-
ვისი საბან-ბალიში, აკრიფა, გავიდა მე-
ორე ოთახშია.

კაკასიონიდან დაიხიეს გერმანელე-
ბა. დაიხიეს. დაიხიეს; დარბევა გადაი-
დო. გადაიდო და გადაიდო. დაიხიეს და
დაიხიეს. გადარჩა სოფელი.

... ..

ქალის სახელი არ გამიმხელია. მა-
შინ ეს მეტად საბიფათო გახლდა. ხელ-
ნაწერსაც ვერ ენდობოდი. არ დაზღვეუ-
ლიყო არავინა გაჩხრეკისაგანა. ახლა,
გამოქვეყნება რო განვიზრახე, ვეწვიე,
წაუვუკითხე, ისიც ვუთხარი: შენი სახე-
ლით მოვიხსენიებ-მეთქი.

არაო.

აკვანთან იჯდა. შვილიშვილის შვი-
ლის აკვანთანა. ხელები ამოეთათა ბავშვ-
სა. აკვნის კამარაზე ნაზუქის კვერი
ეკიდა. ეთამაშებოდა ბავშვი წვრილი
ფაცუბითა.

ნაზუქის კვერი.

ჩააბრტყელებდნენ პატარა გუნდასა,
სალავაშედ არა, ცხადია, საჭირო ზომა-
ზედა. ჯვარს დაასვამდნენ ასტამითა შუ-
აგულზედა. კუნუბებს ასწევდნენ. გადა-
კეცავდნენ. ამოავლებდნენ კვერცხის
გულშია. ჩააკრავდნენ. თონეში, ცხადია.
ამოიღებდნენ და ამოდიოდა კვერიცა და
ჯვარიცა. ჯვარი. ათეიზმი მძვინვარე-
ბდა. კვერი ეკიდა აკვანზედა. ჯვარი ეკი-
და აკვანზედა.

რატომ-მეთქი.

იჯდა შემართული, სახეზედაც რო ნა-
ოჭები არ შორეოდა, მოხუცობა მაინც
შესტყობოდა, რაღა თქმა უნდა, ოღონდ
ვინც რო თვალს შეავლებდა, იტყოდა:
ახლგაზრდობაში ღამაში ქალი იქნე-
ბოდაო. იტყოდა. არ მოტყუვებოდა.

„რომელი ანაბაჯი თუ თამარ ვაშლო-
ვანელი მე ვიყავი?!. რა გავაკეთე?!. ვე-
ლოდე... ველოდე... და ის იყო... მეტი
არაფერი!..“



ვახტანგ ჯავახიძე

ნიბნიდან—„ვახტანგური“

ჩემო კარგო ძველანა!

ერიპა!

შენმა მითებმა

საით გამტყორცნეს,

ერიპა!

რაც უფრო გული მიკვდება,

მით უფრო მშვენიერი ხარ!

თვალი ცისკენ გამიბრბის და ღრუბელ-ღრუბელ დამიდის,
უფრო ხშირად მელანდება ამ ბოლო დროს დავითი.
გული სატუსალოა და სული საპყრობილეა,
უფრო ხშირად მესიზმრება ამ ბოლო დროს ილია.
ღრუბლებიდან დავეშვი და ზღვის დონეზე დავედი:
ილია და ილია და დავეითი და დავეითი!
არც ვაჟა და არც აკაკი, არც ტატო და არც შოთა,
ორადორი სილუეტი მედავება ჩარჩოდან.
დარცხვენილი შეგირდივით ვდგავარ სუფთა დაფასთან,
მაფრთხობს მკვანხე შემახილი გაორებულ დარბაზთა,
და ვზი,

ოდეს გავექცევი ეჭვებსა და ექსცესებს,
უპასუხოდ დარჩენილი შეკითხვების ეკლებზე.

ჩვენი

ღმერთო, რა გვეშველება?
როდის მოგვეშველები?
გაიმეტეს ჩვენებმა
ჩვენები და ჩვენები.
თავი ვერ მივანებეთ,
ველარც შევეპუებით:
აქეთ — ჩვენიანები!
იქით — ჩვენებურები!
ნდობა გაქრა სრულიად

რწმენის უკუჩვენებით:
— ჩვენებს არ უსროლიათ!
— რომელია ჩვენები?
ამღერეულებს განგაშით
რალა გაგვაჩერებდა:
— ჩვენ ჩვენებთან გაგვიშვით!
— ჩვენც გაგვიშვით ჩვენებთან!
ფრთხილად! ეჭვის ტივტივა
ღრომ ამოატივტივა:

— თუ ჩვენებთან მივდივართ,
ერთად რად არ მივდივართ?!
წავალთ! ძველი გენია

ჯერ არ აღგვიდგენია:
ერთი საქართველოა,
ერთია და ჩვენია!

ისე ჰყვავის ნარგიზი,
როგორც გამონაკლისი,
და სიმრავლეს აკისრებს
ფერად გამონაკლისებს.
ორი გამონაკლისი:
იქ — რიცა და აქ — ლისი!
ერთი გამონაკლისიც:

ტახტზე სხვა ირაკლი ზის!
ერთი გამონაკლისის
გამო მიყვარს მანგლისი.
მახსოვს სხვა პარაკლისი
და სხვა ამონაკენის...
ორ ზღვას შუა გადარჩა
ერთი გამონაკლისი.

იუზილი

სცენაზე — კარატიანი —
ბრწყინავს ლალი და გიშერი,
და — გვამნი საპატიონი, —

ვით ცარიელი ნიშები,
შემოდის გალაკტიონი,
შემოაქვს კითხვისნიშნები.

ორი ეძებს ერთ სიყვარულს,
ერთ დაკარგულ ამორეს,
ზღვას უხმობენ საზიაროს —
მარეს, მორეს, ამორეს,
ერთად ბევრი სახლი აგეს,
ბევრი მორი დამორეს,
ერთი ცა აქვთ...
ერთი პირი,
ღმერთო, მიეც ამ ორ! ვრს!

ძლივს მოისვენეს ყურებმა!
ლოცვას აღვაფლენ ცამდე!
ძლივას ველირსეთ სიწყნარეს!
ლამის თოვლივით დავდნე:
ოვაციები — მქუხარე
ტაშებში გადმობრძანდნენ,
ხოლო მქუხარე ტაშები —
ტაშებად დახურდავდნენ.
ტაში თოვლივით დადნა და
ნაკადულებად იქცა,

ნიაჲმა გაიშრიალა,
 სადღაც ლულუნებს მტრედი,
 აქ მიწა კმაყოფილია,
 მაღლიერია იქ ცა,
 ხმაური დავასამარეთ,
 სიჩუმე აღსდგა მკვდრებით!

სად არის?

ტალიკა ბიჭები ტყვიებით მოცელეს,
 ცეცხლით და მახვილით ცხრა მარტი გვეწვია,
 სად იყო შემწე და სად იყო მოცილე?
 ...სად არის ქართველი ინტელიგენცია?!

მიჯაჭვეულ ამირანს არწივი კორტნიდა:
 დაცხრილულ თვითმფრინავს ყორნები ესია,
 ტყვიები წიოდნენ აერობორტიდან!
 ...სად არის ქართველი ინტელიგენცია?!

დროშების სასახლეს შუბები აჯახეს,
 ცხრა მარტის სეხნია —აპრილი გვეწვია,
 ლოცვად-მუხლ-მოყრილნი ნიჩბებით აჩეხეს!
 ...სად არის ქართველი ინტელიგენცია?!

დაგვაგდეს შიშველი ნუგეშის ამარა,
 კვლავ სმენად ქცეულა ტალღები რადარის...
 სად არის შავლეგოს ნელთბილი სამარე
 და ჭავჭავაძეთა სამვალე სად არის?

ცხრა წელიწადს სახლს აშენებ,
 ვახტანგ აღმაშენებლო,
 ყველას უნდა შენ ეახლო,
 ყველას უნდა შენ ეფერო.

გაიყიდე,
 და სიბერეს ელოდები გაყიდული,
 შენ რა დაგხვდა,
 სხვას რა უნდა დაუტოვო ცხრაკლიტული?!
 დაეჭვებულ შთამომავალს მაინც ბურჯად ეგულები,
 პალატები ელანდება —

ლექსით აშენებულები.

აღბათ უარს არ ეტყოდა უზარმაზარ უჯარმასაც,
 განცდილმა და განსაცდელმა მადა ვერ გაუზარმაცა.
 თუმცა ბევრი ჩანაფიქრი ბალახივით გაისრისა,
 ვახტანგს ერგო ვახტანგური და კეისარს კეისრისა.

შენ რად გინდა ავგაროზი,
 შენ რად გინდა აშულეტი, —
 რაც არა გაქვს,
 როგორ უნდა ჩამოგართვან მამულები?!

რა არის ლექსი?

რა არის ლექსი? —
 შუქჩამქრალი ალექსანდრია:
 დაწერამდეა უკეთესი,
 გალექსვამდეა.
 რა არის ლექსი? —
 მიჯაჭვული ამირანია:
 ერთი გულია,
 ორი თვალი:
 სამი რამეა.
 ეგ ხევსურეთი, ეგ ტეხასი, ეგ სილეზია —
 უფრო მარტივად განმარტავენ:
 ლექსი — ლექსია!

რა ხანია,
 წიგნებს თავი დავანებე.
 მივაფურთხე საშინაო დავალებებს,
 გარე-გარე დამატარებს საგარეო,
 სულის შიმშილს ველარ შველის ზაქარია.
 ვერც ამური მამშვიდებს და ვერც ეროსი,
 ვერ გატკბილდა მწარე ძირი კენწეროში.
 მაგრამ მაინც არ ჩამოვალ კენწეროდან,
 თუნდაც საფრთხე დამემუქროს კენტ წეროთა.
 ერთიც კმარა:
 სამარეში მამა მიწევს!
 ფრთებს ვიშოვი:
 ველარავინ დამამიწებს!

რობერტ ბერნსი

სიღარიბემ დაჩაგრა, ტკივილებმა მოგუდეს,
 იუდეველს შეჰპრალდა, სცადა გაცოცხლება:
 У которых есть, что есть, — те подчас не могут есть,
 А другие могут есть, да сидят без хлеба.

მე ვერ ვუსაყვედურებ ვერც სხვებსა და ვერც ჩემებს,
 ალასრულეს განგების საოცნებო ნება:
 А у нас тут есть, что есть, до при этом, есть, чем есть, —
 значит, нам благодарить остается небо!

გო-ია და ია-გო

გო-ია-გო-ია-გო-ია-გო-ია!
 ია-გო-ია-გო-ია-გო-ია-გო?
 ღახატა? არ ვიცი, არ გამიგონია?!
 მგონია, უღირსსაც პატივი მიაგო!
 გო-ია-გო-ია-გო-ია-გო-ია!

ია-გო-ია-გო-ია-გო-ია-გო?
 ცხოვრება ვაი და ვუი და ვოია:
 ფერებით ფერების მალამოს მიაგნო!
 გო-ია-გო-ია-გო-ია-გო-ია!
 ია-გო-ია-გო-ია-გო-ია-გო!

სატახტო

დემონი ისევ იცინის,
 განგება ისევ განაგებს,
 ვერ მიაფურთხა ვერავინ დიდი ქალაქის სანაგვეს.
 კვლავ აქეთ მოუხარია მოგზაურსა და მენავეს:
 უმეფო სატახტოებმა უომრად დაიმონავეს.
 ვეება ვეშაპს არქმევენ,
 არქმევენ მაღალ ეშაფოტს,
 მაინც სიყრმეს და სიბერეს სწირავენ საგველეშაოდ,
 და უანგაროდ აქებენ საყვარელსა და საძაგელს,
 სარდაფს ეძებენ საძილეს,
 მიწას ეძებენ საქვგლეს,
 ადგილს არჩევენ საქვგლეს – კლდეებიანს და ქვებიანს,
 ქოხებში იბადებიან,
 სასახლეებში კვდებიან.

შენი მარგო,
 ჩემო ოთარ, ჩემო ოთარ კანდელაკო,
 უნდა აქო,
 ქების კოშკი უნდა სანთელ-სანთელ აგო:
 სხვა ქალია,
 ამიტომაც სხვანაირი იგრძენ ბიძგი,
 ცოლებს დეკაბრისტებისა გაჰყვნენ მზარეულებიც კი...
 შენ ჯალათის ჯაფრი გაგვეა,
 ვინც ზღვა გააგანიერა,
 ზღვა – სისხლისა,
 და შენს ხარჯზე აიშენა კარიერა –
 სხვა ჯალათთან,
 ვინც ასევე თავს დიქტატორს აწონებდა,
 თან უწყობდა შეთქმულებას დაშინებულ ამფსონებთან.
 შენ?
 შენ ვისი მომკვლელი ხარ,
 შენ კაცს როგორ გაიმეტებ,
 უიმედოდ გამეტებულს – მეც ამაოდ გაიმედებ.
 მაინც გამარჯვებული ხარ:
 შენი სულთამხუთავები
 გადარჩენილ წელიწადებს ველარ დაგიხურდავენ.

ვერ ვნახეთ,
როგორ უნდა გვენახა,
როგორ აღვადგენთ გათიშულ სოფელს:
გამოდმით მე ვარ,
გაღმით შენა ხარ,
ის კი მესამე ნაპირზე სუფევს.

აივსო ზეცა ასტრონავტებით,
შეაფიწროვეს ანგელოსები,
ჩემი დროც მოვა,
მალე ავდგები
და საიდუმლო კიბეს მოვებენი.

არწივის ფრთები უნდა გ'კშალო,
უნდა გავზომო მთვარის ნამგლები,
და იქ დაესახლდე სამარადუკამოდ,
„სადაც იქნება ცოფი ნაკლები“.

ტირანი

აიშენა სრა-სასახლე,
კონტად მორთო იგი სრა,
და ბრწყინვალე სასახლეში ბნელი საქმე იკისრა.
ია დაზრა,
ვარდი დაზრა,
ვერც გაიგო რა დაზრა,
კვლავ ააგო სრა და სრა და კვლავ მრავალი სრა და სრა.
კვლავ აშენებს იკა სრებს და კვლავ აგროვებს იქ ისრებს,
და ვინ იკის,
აღვე რას არ იკადრებს და იკისრებს.

ტუსაღის ოცნება.

თუკი თოკი... თოკი თუკი...
გულს გაუღის დაგადუგი.
თოკი თუკი... თუკი თოკი...
ეხო... სახლი... თუნგი... ღოქი...

თუკი, თუკი, თუკი, თუკი
თოკი, თოკი, თოკი, თოკი...
და წვედიაღში ქრება შუქი —
ცივი,
როგორც ნეკროლოგი.

ბედი ვარსკვლავს მიანდეს,
გზა იმათი მწვანეა...
რად სჭირთ ნობელიანტებს
ემიგრანტომანია?

გარბის ყიამეთიდან
მთვარე ანუ მთოვარე,
ტალანტს კვლავაც ბედი და
კაცი სდევნის მდეკარი.

ერთმანეთს ვეძებთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ექებს. გენიოსობის
მაძიებელიც ეძებს.
ვეძებ. გენიოსების
მაძიებელიც ვეძებ.
იღვიძებს გენი იოსების,
ძმები მწყემსაკენ ვერძებს.

უცხო სამოსით იმოსება,
ამაოდ თვალს ვაცმცებ.

ზარი უხმობს უკვდავს
და სამარე ვიწრო,
მაგრამ ვიდრე სუნთქავს,
როგორ უნდა ვიცნო?

მინორს მიმზედრებს მაფორი,
მაშ რამდენი და, მაშ ორი!
შენ გვედრეაი,
ტანავ,
სატან, სატანჯველს მაშორე!
ფლომასტერიან კალმოსნებს
გვიწვევენ უფლის კალოზე,
წინ კელატრებით მიგვიძღვის
შეკვლე და შეავგაროზე.
ანუ იგივე მისანი,
რომელსაც უხმობს მიზანი,
და აჩქარებენ ეჭვები

აღამის ედემისანი.
ზარები ჩამოგვირიკეს,
სანთლები ჩამოგვირიგეს,
შეცდომით ვიხსენიებდით
კვირიას ნაცვლად – კვირიკეს.
არც ქება,

არც უკვდავება
არ მინდა,
ენა დამება,
ედემში მიწვევს ადამი,
მაგრამ რა შეადამება?

წვიმა ტუზივით დამეცა,
მწვ ღობს, მაშასადამე, ცა,
ჩვე მამულები გავიყოთ:
შენ მიწა გქონდეს და მე – ცა.

გვალვა მუხივით დამეცა,
დამიდასტურა დამ ესა:
– მიწა თავისას მოითხოვს,
რა ვუყოთ ამ მექრთამესა?!

წვიმამ გადაიღო,
უკვე ქუჩებს გვიან,
გუშინ ადრე იყო,
ხვალ იქნება გვიან.
რასაც იგრძნობ გულში,
გულის გული ჰქვია,
ადრე იყო გუშინ,
ხვალ იქნება გვიან.

ისევ მოვინატრე
ძველი რელიქვია,
გუშინ იყო ადრე,
ხვალ იქნება გვიან.
ისევ დატრიალდა
ქარი რია-რია,
დღესაც ადრეა და
დღესაც გვიანია.

ვახტანგური

ტკივილებით გათანგული
 მაინც გამილალდა გული,
 ხმალი მიყვარს ვახტანგური,
 წიგნი მიყვარს ვახტანგური.
 დაე, მტერმა დაიგმინოს,
 მე კი,

ჩემო მახარია,
 სამეგრელო-საინგილოს
 ვახტანგური მიხარია.
 მკლავი — მკლავთან!
 ავამზედროთ,
 ავამღეროთ მკლავთან გული!

ვაქოთ მესხეთ-ჯავახეთის,
 ქართლ-კახეთის ვახტანგური.
 ველარაინ გაგვაკვირვებს,
 გზას შევუდგეთ სანთლებიანს,
 მკლავი — მკლავთან!

მკლავგაყრილებს
 ველარ გაგვიმკლავდებიან.
 თუ შეშრება ჩვენი სისხლით
 გზა — ტანკებით გატანკული,
 ჩვენი ექსტრა-გენი გვიხსნის,
 ჩვენი ექსტრა-ვახტანგური!



გივი მბლულარია

ბელი არ ბინდა?!

მოთხრობა

თავი პირველი

უშვური დილა გათენდა. ცა ისე აწვა ქალაქს თავზე, თითქოს სადაცაა ჩამოიქცევაო, ასე ჩანდა ფანჯრიდან, თორემ ოთახში ჯერ კიდევ ბინდი იდგა და საგნების ერთმანეთისაგან გარჩევა ჭირდა. როცა საწოლიდან წამოდგა, ელექტრონათურა არ ჩაურთავს. არ უნდოდა ცოლ-შვილი გაეღვიძებინა, არ უყვარდა ხმაური და ზედმეტი ლაპარაკი. წუხელ მთელი ღამე ბორგავდა ძილში, თავი ისედაც გასივებული ჰქონდა, ამ ბოლო დროს მთლად ამოვარდა კალაპოტიდან. ბერს ცდილობდა, მაგრამ მაინც ვერ გამოდიოდა სიბნელიდან სინათლეზე, ვერაფრით აკავშირებდა ერთმანეთთან მოკლენათა ნაფლეთებს, იმას, რაც უნდა ფოფილიყო და იმას, რაც სინამდვილეში იყო. ქვეყანა, რომელსაც სისხლს ანთხევიანებდნენ, მის თვალწინ ირყეოდა, ამ მერყევ მიწაზე რაღაც შენდებოდა, რაღაც ინგრეოდა და მასაც ქვეშ უპირებდა მოქცევას. იბურძგნებოდა დრო, იმუხტებოდა ჰაერი და ეს გაუგებარი დამაბულობა კიდევ უფრო ამძიმებდა მის საზოგადოებრივ და ოჯახურ ცხოვრებას. თუმცა, მისი შემფოთებამს მიზეზი უფრო სხვა რამ იყო, უფრო შორიდან მოძავალი, უფრო იდუმალებით მოცული, უფრო დამთრგუნავი. გარეთ ტერორი ბობოქრობდა, ოჯახში კი ამ ერთი წლის წინათ უბედურება ჩამოახლდა და ფეხი არ მოიცვალა

ადგილიდან. მათ სწორედ ის დაატყდათ თავს, რაც ისედაც ჭარბად ჰქონდათ — სენი, უკურნებელი ავადმყოფობა. ბედმა არ აკმარა ის, რაც სჭირდათ. ჭირი კი მათ ოჯახს მართლაც არ აკლდა. თვითონაც ჭლექიანი იყო და ცოლიც ჭლექიანი ჰყავდა, ამ სენს რომ არაფერი ეშველებოდა, თავიდანვე იცოდნენ, მაგრამ წლების მანძილზე ცოლმა გასუქება მოახერხა, გაფაშვამდა და კავერნები ჩაეკირა, თვითონ კი ვერაფრით ვერ მოახერხა ზორცის შესხმა. ამიტომ გაზაფხულზე და შემოდგომაზე ისევ შეახსენებდა სენი თავს. შეიძლება სიცხე არ მიეცა, ლოგინში არ ჩაეწვინა, მაგრამ ავადმყოფობის მოძალტვას მაინც მძიმედ განიცდიდა და მჭმუნვარება კიდევ უფრო უძძიმებდა სახეს.

ოთახში სინათლემ იმატა. მან ირგვლივ მიმოიხედა მწუხარებისაგან დანისლული თვალებით, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა ისეთი, მცირე ხნით მაინც რომ გაახარებდა თვალს. მთელი მისი აულა-დიდება ეს ერთი ოთახი და სხვადასხვა გზით შეძენილი ღარიბული ავეჯი იყო. ცოლი და შვილი რკინის უბრალო საწოლებზე იწვნენ, თვითონ კი დივანზე ეძინა და ქვეშაგებულს ყოველ ღამე თვითონ შლიდა და დილით თვითონ ალაგებდა. ცოლის სახე ამ ბინდბუნდში თეთრ ლაქასავით ჩანდა. მას შემდაგ, რაც გასუქდა, ხვრინვა დასჩქმდა უკე-

თესი ფერი არც შეიღეს ეღო. მას რომ ღვიძებოდა კიდეც, წამოღვომას მაინც ვერ შეძლებდა. ხერხემალში რაღაც ვი-რუსი შეუძვრა და ფეხები მოსწყვეტა. ცოლ-ქმარმა ყველაფერი იღონა იმი-სათვის, რომ მათი სენი შეიღეს არ გა-დასდებოდა, მაგრამ სხვა უბედურება შემოეპარათ ვერაგულად და ბიჭი, ჯერ კიდევ სკოლის მოწაფე, დაასპყრა. ამა-ზე დიდი საშინელება მისთვის, ერთად-ერთი შეიღის მამისათვის, რა უნდა ყოფილიყო? არაფერს იტყოდა, ყავარჯ-ნებით მაინც რომ შესძლებოდა სიარუ-ლი, მაგრამ საყავარჯნოდაც აღარ იყო საქმე. ერთადერთი, რაც ბიჭს ართობ-და, მუსიკა იყო, მუსიკა უყვარდა, ყვე-ლაფერს ერჩია ამ ქვეყანაზე, დაკვრა კი არ შეეძლო. ამიტომ პატეფონი და ფირფიტები უყიდა და, როგორც მე-ზობლები ამბობდნენ, მათ ეზოში მთე-ლი დღე ისმოდა ამა თუ იმ ფირფიტა-ზე ჩაწერილი ჰანგები.

გარდა საწოლებისა და დიენისა, ოთახ-ში კიდევ იდგა ტანსაცმლის კარადა, კომოდი, ოთხკუთხა მაგიდა, რამდენიმე სკამი და ერთი სავარძელი, რომელ-შიც, როცა ამას მოისურვებდა, ბიჭს გა-დასვამდნენ ზოლმი. კედლებზეც კიდა რამდენიმე სურათი, მაგრამ მათ იგი არა თუ აღარ უყურებდა, ვეღარც კი ამჩნე-ვდა. იმის უკან დაბრუნება ან გასხენება, რაც მათთან აკავშირებდა, არც უნდოდა და არც სიამოვნებას ჰკვირდა. არაფერი ახსოვდა ისეთი, გამახალისებელი და გრძნობების ამშლელი რომ ყოფილიყო. ანდა რა უნდა გამოჰყოლოდა დასაფასე-ბელი და სასიხარულო პირველი მსოფ-ლიო ომის დროინდელი პატარა პროვინ-ციული ქალაქიდან, სადაც ხალხს ცხოვ-რება უჭირდა და წერა-კითხვის მცოდნე კაცი თითოთ საჩვენებელი იყო. კიდევ კარგი, თბილისში ჩამოვიდა, საბუხპა-ლტრო კურსები დაამთავრა, ამ საქმეში გაიწაფა და ახლა საქართველოს ცენტ-რალურ ბანკში მუშაობდა ბუხპალტრად. მართალია, დიდ სიამოვნებას არც ცენტ-რალურ ბანკში მუშაობა ჰკვირდა, რო-გორცაც თავის ტყავში ვერ გრძნობდა

თავს, მაგრამ, ჯერ ერთი, საქმე უყვარ-და, მეორეც, როცა სამუშაოში იყო ჩა-ფლული, აღარაფერი ახსოვდა, ისიც კი არა, ქვეყანას რომ სისხლს ანთხევი-ბდნენ. ეს კი მის მდგომარეობაში მყო-ფი კაცისათვის დიდი შეღავათი იყო.

ცოლ-შვილი რომ არ გაეღვიძებინა, ფეხაკრეფით გავიდა მუშაბანდში, სად-აც სარკიანი პირსაბანი იდგა, — ერთა-დერთი ნივთი, ცოლს რომ მოჰყვია მზი-თევად. სანამ პირის დაბანას შეუდგებო-და, ლაწვზე ხელი ჩამოისვა და სარკე-ში ჩაიხედა. სარკიდან იმზირებოდა მო-მაბეზრებლად ნაცნობი სახე, რომლის შეცვლა, თუნდაც ცოტათი გახალისება, ვერაფრით ვერ შეძლო. ტანად მაღალ და გამზდარი იყო, სახე გრძელი ჰქონ-და, ყბები-ჩაცვენილი, ცხვირი მოგრძო, ტუჩები თხელი და მოკუმული, თვალებ-ში კი ყოველთვის ისეთი სევდა ედგა, რომ დახუჭული ქუთუთოებიდანაც კი გამოსჭვიოდა. აი, ასეთი გამომეტყვე-ლებით დააჯილდოვა გამჩენმა, ცხოვე-ბის სიმძიმემ და უკუღმართობამ კი კი-დე უფრო გამოკვეთა მისი ისედაც უყვარვილო ნაკვთები. ტყუილად არ ამ-ბობდნენ მის ზურგს უკან, სახე ყოვე-ლთვის ჩამოსტირისო. მაგრამ საქმე არც მთლად ასე იყო. წუწუნა და მტირალა არასოდეს ყოფილა, არც თავი შესცო-ლებთა ოდესმე ისე, რომ ვინმესთვის რა-მე შეეჩვილა, ქალისა ან მამაკაცის თა-ნაგრძნობა ეძებნა. პირად ცხოვრებაზე და პირად გაჭირვებაზე ლაპარაკი არც შინ უყვარდა და არც გარეთ. მისალმე-ბით მეზობლებსაც ესალმებოდა და თა-ნამშრომლებსაც, მაგრამ თუ ამას საქმე არ მოითხოვდა, ტყუილუბრალოდ იშვი-ათად დაელაპარაკებოდა ვინმეს. ანდა რაზე უნდა დალაპარაკებოდა? პოლიტი-კა არ აინტერესებდა, ჭორაობა და სიტყ-ვის მიტან-მოტანა არ უყვარდა, მორწ-მუნე არ იყო, სადავო არავისთან არა-ფერი ჰქონდა და ამიტომ ზოგი უხმო, წყნარ ადამიანად თვლიდა, ზოგი კი ცხოვრებაზე გაბოროტებულ, გულწაიხ-რობილ კაცად. პირადად იგი არც ერთ თვალსაზრისს უარყოფდა და არც მეო-

რეს იზიარებდა, რადგან აქ მართლაც ვერაფერს გააწყოდა. ყველას ისეთი დამოკიდებულება ჰქონდა მასთან, რა შთაბეჭდილებაც მოახდინა მათზე ან როგორი წარმოდგენაც შეექმნათ. ადრე ამას ყურადღებას არ აქცევდა, მაგრამ ბოლო დროს ცხოვრება ისე გართულდა და გამკაცრდა, ისეთი ვერაგი და სახიფათო გახდა, რომ ყოველ წვრილმანს მნიშვნელობა ენიჭებოდა და გადაკვრით ნათქვამ სიტყვასაც კი დანაშაულის სუნი უდიოდა. გასულ წელს დაწყებულ რეპრესიები ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული. ის კაცი, პენსნეთი რომ იყურებოდა ბანკის დირექტორის კაბინეტში დაკიდებული სურათიდან, ჯერ კიდევ თბილისში იჯდა და არავინ იყო დაზღვეული ცილისწამებისა და შეთითხნილი ბრალდებისაგან. ამიტომ დააინტერესა ამ ბოლო დროს სხვების, — მეზობლებისა და თანამშრომლების — მისდამი დამოკიდებულებამ, განსაკუთრებით თანამშრომლებისა, რადგან მეზობლებს მისი არც ბინა შემურდებოდათ, არც ქონება და არც ცოლი ჰყავდა ისეთი გადასარევი, რომ მისი კულისათვის სინდისზე ხელი აეღოთ. სამსახური კი სხვა იყო, მას სცენა სხვაგვარი ჰქონდა, კულისები კი — სხვაგვარი, ბრძოლა და ინტრიგები კულისებში მიმდინარეობდა და არა სცენაზე. იყო დაჯგუფებები, ერთმანეთის კილვა და ლანძღვა, მაგრამ ყველაზე საშიში მაინც ისინი იყვნენ, ვინც რქებით მიიწვედა თანამდებობისაკენ, ვისაც რბილი სავარძელი და უფლებამოსილება მშობელ დედას ერჩია. ასეთებს ზემდგომი ორგანოებიც ყოველთვის დროულად ამჩნევდნენ და, როგორც წესი, დაწინაურებისათვის სამაგიერო სამსახურსაც სთხოვდნენ. სამაგიერო სამსახურში კი ბევრი რამ იფულისხმებოდა ისეთი, რაც გასაიდუმლოებული იყო. ამიტომ არც იმის გამოც — ცხვა შეიძლებოდა, თუ ამას საჭიროდ მიიჩნევდნენ, მის გამოც წაეწყმიდათ სული, რადგან „ხალხის მტრის“ გამოაშკარავება უკვე თავისთავად იყო დამსახურება. ყველაფერი ეს დასაშვებად

ერწევენბოდა, მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ წარმოედგინა: რა ბრალდება შეიძლებოდა წაეყენებინათ მისთვის? პარტიის წევრი არ იყო, სიტყვით არასოდეს არსად გამოსულა, თავისი პოზიცია და პლატფორმა არ ჰქონია, ანეკდოტი რა არის, ანეკდოტიც კი არავისთვის მოუყოლია და არც სხვისი მონაცლისათვის დაუგდია ყური. მისი ერთადერთი სუსტი ადგილი იმ სახის გამომეტყველება იყო, ახლა სარკიდან რომ უშვებოდა და საფრთხეს უქმნიდა.

მან კიდევ ერთხელ ჩამოისვა პირზე ხელი, შემდეგ დაბალი კარადის უჯრა გამოაღო, სამართებელი, ფუნჯი, სამინის ფხვნილი და ჯამი მონახა და გასაპარსავად მოემზადა. გაუპარსავი სამსახურში ვერ წაუვიდოდა. ჯერ ერთი, წესი არ იყო, მეორეც, მის ისედაც მოწყვნილ სახეს წევრი სამკლოვიარო იერს ანიჭებდა. ეს კი ამჟამად ზიანის მეტს არაფერს მოუტანდა. თუმცა, ზიანის მეტი არც ადრე მოჰქონდა არაფერი. იმის მიზეზი, რომ საზოგადოებაში თავს ვერ გრძნობდა თავისუფლად და ქალს ვერ დალაპარაკებოდა თამამად, მისი სახის გამომეტყველება იყო. ახლა იმდენად არა, მაგრამ ადრე ყოველთვის უკვირდა, რა თვალთ შემოხედა ქალმა, ვინც შეიყვარა და ცოლად გამოჰყვა.

მან საკუთარ გამომეტყველებას თვლიდა არიდა, მაგრამ მოგონებას ვერსად გაექცა და მისდა უნებურად განავრცოფიქრი. პირველად ისინი აბასთუმანში შეხვდნენ ერთმანეთს, სადაც სამკურნალოდ იყვნენ ჩასულნი. მისი სახის გამომეტყველება ახლანდელზე უკეთესი არც მაშინ ყოფილა, ამიტომ დღის უმეტეს ნაწილს გარეთ, პაერზე ატარებდა. დასეირნობდა თავისთვის ფიჭვნარში, მდინარის გაღმა ერთი ხიდიოთ რომ გავიდოდა, უკან მეორეთი შემობრუნდებოდა. ერთ დღეს თუ აღმართს აუყვებოდა, მეორე დღეს თავდაღმართს დაუყვებოდა და თუ აქეთ არ გამოეღაპარაკებოდნენ, იქით არავის გამოეღაპარაკებოდა. როცა საქმე არაფერი ჰქონდა ან წიგნს კითხულობდა, ანდა თავისთვის ფიქრობდა.

ხანგრძლივ ფიქრს სწორედ იქ, აბას-
თუმანში მიეჩვია. ცოლის შერთვაზე, და-
ოჯახებაზე მაშინ ხელი უკვე ჩაქნეული
ქონდა. ჯანმრთელი ქალი მას არ გა-
მოჰყვებოდა, რომ გამოჰყოლოდა კი-
დეც, ასეთ რამეს თვითონ არ დაუშვებ-
და, სხვისი შვილის ცოდვას ვერ დაი-
ღებდა. მართალია, ავადმყოფებს შორი-
საც იყვნენ მშვენიერი ქალები და ქალი-
შვილები, მაგრამ მისი სახის პატრონს
მშვენიერი ქალისა და ქალიშვილისათ-
ვის თავი როგორ უნდა მოეწონებინა?
რით მოეგო მისი გული ისე, რომ მიე-
ზიდა, დაეტყველებინა. თუმცა ვისი დამ-
ტყვევებელი იყო, ასეთი რამ მაშინ
ფიქრადაც არ მოსდიოდა. მაგრამ ზოგ-
ჯერ ცხოვრებაში სწორედ ისე ხდება
ყველაფერი, თავად რომ არც მოელი,
რაც განგებას უფრო უნდა უმადლო, ვი-
დრე საკუთარ თავს. ასე მოხდა მაშინაც.
მისმა ცოლმა მერე დაამთავრა საფერშ-
ლო სასწავლებელი და მერე გაფაშფაშ-
და, თორემ როცა მასთან ერთად მკურ-
ნალობდა აბასთუმანში, ახალგაზრდა,
ახელი, ეშხიანი ქალიშვილი იყო. და-
დიოდა მსუბუქად, ხმა თბილი და სასი-
ამოვნო ქონდა, სახის კანი ფერმკრთა-
ლი და კრიალა. ერთი სიტყვით, მასთან
შედარებით მშეთუნახავი იყო და ამი-
ტომ მისი ვაცნობის სურვილი არც გას-
ჩენია. ამას ისიც უადვილებდა, რომ
სხვადასხვა კორპუსში ცხოვრობდნენ და
იმეათად თუ შეხვდებოდნენ ერთმანეთს
გზაში, სასადილოში ან ბიბლიოთეკაში.
ეს იყო იმის მიზეზი, ცხოვრების ჩვე-
ული რიტმი რომ არ შეუცვლია, არ აპ-
ყოლია ოცნებას, არ გაულიზიანებია წარ-
მოდგენა, ხელი არ აუღია მკურნალო-
ბაზე. ისინი, ალბათ, ცალ-ცალკე დაბ-
რუნდებოდნენ თბილისში, პირველად ქა-
ლიშვილი რომ არ მისალმებოდა. იმ დღე-
საც შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს,
მოულოდნელს არაფერს ელოდა, მაგრამ
ქალიშვილმა ნაბიჯს უკლო, თავი ოდნავ
დახარა, მორცხვად გაუღიმა და მიესალ-
მა. ამან ისე გააკვივრა, რომ მისდა უნე-
ბურად შეცბა და წამოწითლდა. ერთხანს
არ ესმოდა, რა მოხდა, მარწყვა მიესა-

ლმნენ თუ მოეჩვენა, შემდეგ კი თავის
გაუღიმიარი პირით გაუღიმა და იმის მა-
გივრად, რომ გამოლაპარაკებოდა, თავი
დახარა და ისე სწრაფად ჩაუარა გვერ-
დით; თითქოს გაურბოდა. თუმცა, მაშინ
მას არა მარტო გამბედაობა, ელემენტა-
რული გამოცდილებაც აკლდა. ეს იყო
პირველი ღიმილი, ქალიშვილმა მას
რომ არუქა, მაგრამ არა თავაზიანი, არა-
მედ ქალური, გამომწვევი, ამაფორია-
ქებელი. ის წამი სწორედ ისეთი იყო,
ბედისწერას რომ უწოდებენ. გაქცევით
კი გაიქცა, მაგრამ ქალიშვილის იმ გა-
ღიმიემამ ღრმად გაიდგა მის გულში ფეს-
ვი, მათ შორის გაიბა უხილავი ძაფი,
რომელიც ზოგჯერ ყველა თოკზე მაგა-
რია. მართალია, ვრიდებოდა, ისეთ ად-
ვილებში დასეირნობდა, მას რომ არ
გადაჰყროდა, სასადილოში ან ყველაზე
ადრე მიდიოდა, ან ყველაზე გვიან,
წიგნებს მაშინ ცვლიდა, როცა ბიბლი-
ოთეკა იკეტებოდა, მაგრამ მოსვენება
მაინც დაკარგა, სადაც უნდა ყოფილიყო,
სულ ის ღიმილი ელანდებოდა. ასე გა-
გრძელდა რამდენიმე დღე და ბოლოს
ისევ ქალიშვილი გამოელაპარაკა. იგი
ყველაზე შორეულ მერხზე იჯდა ტყეში
და წიგნს კითხულობდა. მზიანი დღე
იყო, თბილი, ხალისიანი, მაგრამ უფრო
მათრობელა და ამგზნები, ვიდრე მომ-
თენთავი. ფიჭვებს შორის მზის სხივე-
ბი ნაკლებად იჭრებოდნენ. სივრცეს ხა-
ზადნენ და ეს მონახაზები სუფთა და
გამჭირვალე ჰაერს კი არ ამძიმებდნენ,
არამედ პირიქით — ამსუბუქებდნენ.
სწორედ ამ დროს მოესმა მსუბუქი ნა-
ბიჯების ხმა და, როცა თავი ასწია, და-
ინახა, რომ მის წინ ქალიშვილი იდგა
და ისეთივე მორცხვი ღიმილით უდი-
მოდა, როგორც ამას წინათ. ის იყო და
ის, იმ წუთიდან მათ სამუდამოდ დაუ-
კავშირეს თავიანთი ბედი ერთმანეთს.
მან პირი გაისაკნა, სამართებელი მო-
იმარჯვა და პარსკას შეუდგა. საკუთარ
სახეს ისე უფურებდა, როგორც ნილაბს,
რომელიც სადღაც ბნელში გამოჩორკ-
ნეს და მისდა დაუკითხავად პირზე ააფა-
რეს ბედი არ გინდა?! განაკრძობდა იგი

ფიქრს და თან იპარსავდა. კაცი ამქვეყნად დაიბადო, ამდენი იწვალო და ივაგლახო და ისიც ამგვარი გამომეტყველებით? სახლში რა უჭირს, მისიანები მის გამომეტყველებას ისე შეეჩვივნენ, რომ სხვაგვარი ვერც კი წარმოუდგენიათ, მაგრამ კაცს სახე გარეთ სჭირდება და არა შინ. გარეთ კი საქმე ვერ იყო მთლად კარგად, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს. მის გამომეტყველებას უკვე ყურადღებას აქცევდნენ და თავისთვის ინიშნავდნენ. ამას იგი არ იგონებს. ამას წინათ ბანკის ახალმა მმართველმა პირდაპირ უთხრა: „რა დაგემართა, შე კაცო, როგორ შეიძლება ჩვენს დროში კაცს სახე ასე ჩამოსტიროდეს“. მასაც არ უნდა რომ ჩამოსტიროდეს, მაგრამ რა ქნას, ვინ გამოცვლის, ვინ გადააკეთებს.

გავიხსენოთ, ევროპაში ექიმები პლასტიკურ ოპერაციას უკეთებენ ქალებსაც და მამაკაცებსაც და გამომეტყველებას უცვლიანო. რომ შეიძლებაოდეს, იგიც გაიკეთებდა ამგვარ ოპერაციას და საფრთხეს თავიდან აიცილებდა, შეიძლება ამის შედეგად ხასიათიც შეცვლოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, საქართველოში პლასტიკურ ოპერაციას არ აკეთებდნენ, აკრძალული იყო. კანონით კი არა, ისე, ჩუმი ინსტრუქციით, კანონზე მეტი ძალა რომ ჰქონდა. გარდა ამისა, რადგან აკრძალული იყო, არც ექიმებს ჰქონდათ საჭირო გამოცდილება და შეიძლება მისი სახისათვის კიდევ უფრო სევდიანი იერი მიენიჭებინათ, ვიდრე ახლა ჰქონდა. არა, ქართველ ექიმებს ვერ ენდობოდა, ევროპაში გამგზავრებაზე ფიქრი კი ისევე შეუძლებელი იყო, როგორც მთვარეზე აფრენა. თუმცა რომ გაეშვათ კიდევ, წავიდოდა ამხელა რისკზე, გაიკეთებდა პლასტიკურ ოპერაციას? არა, არავითარ შემთხვევაში... ისიც კი ზედმეტი მოუვიდა, ევროპაში გასეირნება რომ მოისურვა. ამგვარი ფიქრებისათვის ხალხს ციმბირს უკან ატოვებინებდნენ. რა დროს პლასტიკური ოპერაცია? რას იტყვიან მეზობლები და თანამშრომლები? როგორ მივიდეს ამის შემდეგ სამსახურში? აი,

მაშინ კი უეჭველად გაგზავნიან ზელმოსწერელ თუ ზელმოსწერილ წერილს სადაც ჯერ არს. ამა და ამ კაცმა იმისათვის, რომ თავის ნამდვილი სახე დაეფარა და მგლის ქურქში გახვეული, ცხერის ქურქში გახვეულად მოგვეჩვენებოდა, პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა და დამალა უქმყოფილება ჩვენი ცხოვრებით, სახეზე მუდამ რომ ეწერა. ასეთებს ჩვენ თავს ვერ მოვატყუებინებთ, რა ოპერაციაც უნდა გაიკეთოს, მაინც აღმოვაჩენთ და ვამხელთ, მაინც დაეანახებთ მთელ ქვეყანას მის ბილწსა და უხამს სახეს. არ უნდა დაგვაიწყნო ბრძნული სიტყვები: რაც უფრო მეტ წარმატებას ვაღწევთ, მით უფრო გვიძრავდება მტრები და მით უფრო ოსტატურად ინიღბებიან, ხოლო ამ ბოლო დროს პლასტიკურ ოპერაციასაც კი იკეთებენ. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ყურადღება მოვადუნეთ, რაც არ გვეპატიება. თუმცა მისი მზილება არც ახლაა დაგვიანებული. ჩვენი ქვეყანა ძლიერია, მას ვერავინ მოერევა, ჩვენი ხალხი კი, ადრე თუ გვიან, ყველას მიუზღავს სამაგიეროს, ვინც გულში ბოროტ ზრახვას ატარებს, ვისაც არ მოსწონს ჩვენს მიერ არჩეული ნათელი გზა. ამიტომ, მით უფრო სასტიკად დასჯის, რაც უფრო ქვეყანაზე ვართ და გულბოროტია. ამხანაგებო, გთხოვთ ყურად იღოთ ჩემი სიტყვები, მე შეგნებულად ვდებ მას ბრალს, შეგნებულად დავესწრები მის სასამართლოს და შეგნებულად დაუპირავე ტაშს, როცა ასეთ გაიძვერას საკადრის განაჩენს გამოუტანენ!

მას ისე გააფრთხილა ყოველივე ამის წარმოდგენაზე, რომ ერთ ადგილას კანი გაეჭრა და სისხლმა გამოჟონა. ამან კიდევ უფრო გააღიზიანა. მთლად რა არ დაეჩეხა სახე, საკუთარ თავს შეუკურთხა, ამგვარი მკრეხელური აზრებისათვის გასამართლებელი ხარის პლასტიკური ოპერაცია, ევროპა? ევროპა კი არა, ჭკუით თუ არ იქნები, ცოცხლად გაგადრობენ ტყავს. ვერ ხედავ, რა ხდება ირგვლივ? ისეთებს იჭერენ, ახამართ-

ლებენ და ხვრეტენ, ქვეყანას რომ აზან-
 ზარებდნენ. ხომ დააპატიმრეს გასულ
 წელს მისივე კაბინეტში ბანკის ძველი
 მმართველი — ყოფილი პროფესიონა-
 ლი რევოლუციონერი, პარტიის სტა-
 ჟიანი წევრი, მთელი ახალგაზრდობა
 ციხეებსა და გადასახლებაში რომ ჰქონ-
 და გატარებული, საზღვარგარეთაც არა-
 ერთხელ ყოფილა გაქცეული, ქვეყანა
 იცნობდა და აფასებდა მის ღვაწლს, მის
 დამსახურებას რევოლუციის წინაშე.
 ამით თვითონაც მოქონდა თავი, პარ-
 ტიის ახალ წევრებს ისე უყურებდა, რო-
 გორც დაუპატიებელ სტუმრებს. გარეგ-
 ნულად ბრვე კაცი იყო, ძვალმსხვილა
 და თავდაჯერებული. როცა ვინმეს უყ-
 ვიროდა, ჭერი ზანზარებდა. თუ საჭი-
 როდ მიიჩნევდა, არც უწმალწო გინებას
 ერიდებოდა. ნაკითხი კაცი იყო, აზრი-
 ანი, ბრძოლისუნარიანი, მაგრამ ინტელი-
 გენტობისა არაფერი ეცხო. საერთოდ,
 ინტელიგენტები არ უყვარდა, მის წარ-
 მოდგენაში ისინი სუსტები და მხდალე-
 ბი იყვნენ, ლიდერებად არ გამოდგებო-
 დნენ და ამიტომ მხოლოდ ხელქვეითო-
 ბას უნდა დასჯებოდნენ. იცვამდა უბ-
 რალოდ, ზაფხულში ხალათს, გალიფესა
 და ჩექმებს, ზამთარში ტყავის ქურთუკს,
 რაც მაინცდამაინც არ შეეფერებოდა
 ბანკის ინტერიერს. მაგრამ მთავარი
 მაინც ის იყო, რომ იგი მისდა შეუმჩ-
 ნევლად ჩამორჩა ცხოვრებას, არ ჰგავ-
 და იმ ლიდერებს, ახლა რომ იკავებდ-
 ნენ თანამდებობებს. ეს იმამიც გამოი-
 ხატებოდა, რომ მლიქვნელობა არ უყ-
 ვარდა და სამართლიანი კაცი იყო. ტყუ-
 ილუბრალოდ არავის აითვალისწინებდა,
 პირადი სიმპათია-ანტიპათიის გამო
 არავის დაიხლოვებდა და რადგან ესეც
 თავის მოვალეობას კარგად ასრულებდა,
 არც დატუქსავს და არც ის სიტყვები
 უკადრებია, ამას წინათ ახალმა მმართველმა
 რომ უთხრა. ამიტომ ემაღლიე-
 რებოდა ძველ მმართველს, ამიტომაც
 ეწყინა მისი დაჭერა, მაგრამ იგი უკვე
 განწირული იყო დროის მიერ და შუ-
 რისგებამაც აღარ დააყოვნა.

როცა შაბმა სისხლი შეაჩერა,

მან კვლავ განაგრძო პირის პარსვა და
 ფიქრი. ბანკის ძველი მმართველი ახ-
 ლა, ალბათ, ცოცხალი აღარაა, მისი
 ცოცხლად დატოვება რომ სდომოდათ,
 არც დააპატიმრებდნენ, თუმცა, საინტე-
 რესოა, რა ბრალდება წაუყენეს ამ
 ძველ რევოლუციონერს, რომელიც
 ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ღიდ-
 სა და სამართლიან საქმეს ემსახურე-
 ბოდა, რომ მის ბრძოლასა და გარჯას
 ამაოდ არ ჩაუვლია. მაგრამ ის, რაც
 მას აგონდებოდა, ბანკის ყოფილი მმართველის
 მხოლოდ გარეგნული ნიშნები
 იყო, მის სულში კი, ღმერთმა უწყის, რა
 ხდებოდა. კაცი რომ ასე ადვილად ამო-
 საცნობი იყოს, ამდენი ეჭვი და უნდობ-
 ლობა არ იქნებოდა ამ ქვეყანაზე. ისიც
 ზომ შვიძლება, რომ მმართველი გაცი-
 ლებით უფრო პატივმოყვარე, ამბიციით
 შეპყრობილი კაცი ყოფილიყო, ვიდრე
 გარედან ჩანდა და თავს დანაგროვლად
 გრძნობდა, როცა ხედავდა, როგორ აწი-
 ნაურებდნენ უბრალო ფუნქციონერებს,
 რომელთაც რევოლუციისათვის თითოც
 არ გაუნძრევიათ, მის ღვაწლსა და დამ-
 სახურებას კი ივიწყებდნენ. წყენა და
 უკმაყოფილება იმასაც შეეძლო გამოეწ-
 ვია, რომ მისი ღრმა რწმენით, იგი ლი-
 დერად იყო დაბადებული და არა პრო-
 ვინციული ბანკის მმართველად. შეიძ-
 ლება ამის გამო ერთგვარ უკმაყოფი-
 ლებასაც კი გამოთქვამდა სადღაც-სად-
 ღაც. ისიც დასაშვებია, რომ რევოლუ-
 ციამდელ საქართველოში მას უფრო
 დიდი სახელი და გავლენა ჰქონდა, ვი-
 ლნე იმ ბელადს, ვისი სურათიც გვიდა
 კაბინეტში, შეიძლება მათ ურთიერთო-
 ბაში მოხდა კიდევ რაღაც ისეთი, რა-
 საც არ ივიწყებენ და, ადრე თუ გვიან,
 სამავიეროს მიაგებენ. ისიც შესაძლებე-
 ლია, რომ ქვეყანაში რევოლუციის უამ-
 რავი ლიდერი აღმოჩნდა და მათი პრე-
 ტენზიების დაკმაყოფილებას, საერთოდ
 მათი მოსპობა არჩიეს. შესაძლოა ისიც,
 რომ ყოფილ მმართველს, მართლაც არ
 მოსწონდა ის, რაც ირგვლივ ხდებოდა.
 მაგრამ თუ ეს ასეა, რაღას ერჩიან იმ-
 ათ, ვინც არც ყოფილი რევოლუციონე-

რია და არც ამის პრეტენზია აქვს. ხომ დაპატიმრეს ბანკის ორი განყოფილების გამგე და ერთი მთავარი ბუხალტერი. ისინი ფინანსისტები იყვნენ და არა რევოლუციის ლიდერები. ვარლაჟ ქურციკიძე ყოვლად წესიერი კაცი და შესანიშნავი ფინანსისტი იყო. უმაღლესი სასწავლებელი გერმანიაში ჰქონდა დამთავრებული. როცა საქმე ამას მოითხოვდა, პრინციპულობასაც იჩენდა. იჯდა კაცი თავის შესაფერის ადგილზე, პროფესიული კეთილსინდისიერებით შრომობდა და რაღაც არ ეტყობოდა, პოლიტიკით ან ჩინ-მედლებით ყოფილიყო დაინტერესებული. არა, ამ ამბავში ლოგიკისა და ანალიზის მეშვეობით გარკვევა შეუძლებელია. იმის დაჭრებაც ჭირს, რომ ყოფილი ბანკის მმართველი ტროცკისტი, ხალხის მტერი და მკენებელი იყო, ვარლაჟ ქურციკიძე კი — გერმანიის აგენტი. მაგრამ ამგვარი ბრალდება, ალბათ, ერთსაც წაუყენეს და მეორესაც, ხელი ერთმაც მოაწერა და მეორემაც, რადგან იქ შესვლა იყო ადვილი, გამოსვლა კი, როგორც ამბობდნენ, — შეუძლებელი.

ჰოდა, თუკი ასეთი ბუმბერაზები წააქციეს, მას ხომ ჭიანჭველასავით გასრესდნენ. მე შენ გეტყვი, ვინმე გამოექლომაგება ან გამოესარჩლება. ქომაგობისა და გამოსარჩლების დრო წავიდა. ახლა გამოემქომაგებელსაც ისე სთხოვენ პასუხს, როგორც ბრალდებულს. ამიტომ ყველა, ვისაც ჭკუა აქვს, თავის ტყავშია დატეული და ურჩხულს არ უძგრება ხახაში. შეუძერები და ისე გადაგსანსლავეს და მოვინელებს, რომ სულსაც არ მოგათქმევენებს. დაყარე მერე ცოლი და დავრდომილი შვილი სხვისი ხელის შემყურე. სხვისი ხელის შემყურე, თორემ შეიბრალებს ან მიხედავს ვინმე. წყურვილით რომ კვდებოდნენ, წყალსაც კი არავინ მიაწვდის. ამიტომაცაა საჭირო სიფრთხილე, მეტი სიფრთხილე. საჭიროა და მერე როგორ. მაგრამ სიფრთხილესაც ხომ აქვს ზღვარი. დამუხჯდა, დაურუჯდა, სუნთქვითაც კაზერელებდ სუნთქავს და რა ქნას მეტი,

თავს ხომ არ მოიკლავს? ისე, კაცმა რომ თქვას, დაჭერას ისე თავის მოკვლა სჯობია. თვითმკვლელის ცოლშიღს ისე არ აუბედურებენ, როგორც „ხალხის მტრისას“. მაგრამ ადვილი საქმე არც თავის მოკვლაა. ამასაც სჭირდება ვაჟკაცობა და ნებისყოფა, რაც მას შეიძლება არ აღმოაჩნდეს და თუ ცდამარცხით დამთავრდა, მის ირგვლივ ერთი მითქმა-მოთქმა ატყდება, რაც შეიძლება უხილავმა მტრებმა თავიანთ ხასარგებლად გამოიყენონ. დემაგოგია იმისთვისაა მოგონილი, რომ არც ერთი შემთხვევა არ გაუშვან ხელიდან და ყოველი მოვლენა იმფრად შეღებონ, დემაგოგებს რომ აწყობთ. თუმცა, სხვები აქ არაფერ შუაშია, იგი თვითონ არაა ბუნებით ის კაცი, თავი რომ მოიკლას. გარდა ამისა, მისი მხრიდან ეს იქნებოდა უადრესად ეგოისტური ნაბიჯი. რას ეუბნება ცოლს, რომელსაც არსებობის არაკითარი სხვა სახსარი არ გააჩნია და დავრდომილ შვილს, რომელიც არა მარტო უყვარს, არა მარტო მისი ერთადერთი სისხლი და ხორცია, არამედ მთლიანად მასზეა დამოკიდებული. არა, თავს რომ არ მოიკლავს, ამაში ღრმადაა დარწმუნებული, მაგრამ როგორ გადაურჩეს იმათ, თავიანთი შეცდომების გამო, სხვებში რომ ეძებენ დამნაშავეს, როგორ მოიქცეს, როცა ბრალის დასადებად გარეგნული ნიშნებიც კი კმარა? აწი იგი ვერც პარტიაში შევა და ვერც აზრს შეიცვლის ამ ცხოვრებაზე. ამისათვის უკვე ხანდაზმულია და ვერაფრით ვერ გათავისუფლდება იმ ცრურწმენისაგან, ბავშვობაში რომ შთაუწერეს. არადა ეუბნებოდნენ, პატიოსანი უნდა იყო, კაცთმოყვარე, გაჭირვებულის შემწე და შემწყნარებელი, უბედურის თანამგრძნობი, ცუდი არა თუ არ უნდა გაუკეთო ვინმეს, ფიქრადაც კი არ უნდა გაიფლოო. სხვებმა, ვინც ამ ცხოვრებას შეეგუა და შოერგო, მათივე თქმით, დიდი ხანია უარყვეს ეს ბიბლიური მონაჩმახები და მგლებად იქცნენ, ისეთ მგლებად, რომელთაც უფრო ძლიერი მგლების დაცვა სჭირდებათ, თორემ თვითონ

ამისათვის არც ჭკუა ჰყოფნით და არც დამოუკიდებლად მოქმედების უნარი.

სამართლებელი არ იყო ისეთი ბასრი, წვერი რომ ერთი ჩამოსმით ჩამოეპარსა და ესეც აღიზიანებდა. წვერს უფრო იფხვქდა, ვიდრე იპარსავდა, რაც ტკივილსა და კანის გაღიზიანებას იწვევდა. საღებზინფექციოდ კი ჰქონდა სახლში იაფფასიანი ოდეკოლონი, მაგრამ იმ ოდეკოლონის სუნი არ უყვარდა. იაფფასიანი იყო მის ირგვლივ ყველაფერი, თვითონაც იაფფასიანთა რიცხვს ეკუთვნოდა, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა, რომ მისი საწუხარი და საზრუნავი ნაკლებად შიძიმე იყო, ვიდრე სხვების, ნაკლებ გარჯასა და პასუხისმგებლობას მოითხოვდა, იგი რომ ცხოვრებასა და დროს ჩამორჩა, ვერ ჩაება საერთო ფერხულში, ამაზე სწორედ ის მეტყველებდა, რომ პასუხისმგებლობის გრძნობისაგან ვერც შინ გათავისუფლდა და ვერც გარეთ, ეს კი ბოჭავდა და ბრძოლის უნარს უჭკვეითებდა. თუმცა ეს მთლად მისი ბრალიც არ იყო. რევოლუციის შემდეგ დრო ნელ-ნელა ისეთ რამეებს აუფასურებდა, რასაც ადრე უცვლელი ფასი ჰქონდა და ისეთ რამეებს ადებდა ფასს, რასაც ადრე არავითარი ღირებულება არ გააჩნდა. ამიტომაც მომრავლდნენ უსაქმურები, მაქინატორები, გამფლანგველები, მექრთამეები. მის სამსახურში ზოგიერთ პრივილეგირებულს შეეძლო არაფერი ეკეთებინა და პასუხს არავინ სთხოვდა, იგი კი საქმეს აკედებოდა და რაც უფრო მეტს მუშაობდა, უფრო მეტს სთხოვდნენ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სხვების საქმეს მას აკეთებინებდნენ, მაგრამ რა ექნა, რით დაეცვა თავი, ვისთან ეჩივლა? იმას, ვინც ექსპლუატაციის უწევდა, იმის ძალაც შესწევდა, რომ მოუბოდიშებლად მოეშორებინა თავიდან. მაშინ უკვე ბატონობდა ლოზუნგი, შეუცვლელი ადამიანი არ არსებობსო. მისი სამსახურიდან მოხსნა მარტო ადგილის დაკარგვა კი არ იქნებოდა, არამედ ერთგვარი შავი ლაქაც, რისთვისაც ვიღაც-ვიღაცებს შეეძლოთ პოლიტიკური სარჩული დაქდოთ. გარ-

და ამისა, ხელფასის გარდა, მას სახლშიც თარი სხვა სახსარი არ გააჩნდა და საკუთარი თავი რომ გაეწირა კიდევ, ცოლ-შვილს ზომ ვერ გასწირავდა. ამიტომ ზედმეტი შრომაც უნდა აეტანა და არც ისეთი რამ უნდა დაენახა, რაც მისი დასანახი არ იყო. არ უნდა დაენახა უსაქმურთა პარბაში, ის მაქინაციები, ბანკში რომ ზდებოდა, რითაც ფუნქციონერები ხელს ითბობდნენ. ამის შესაძლებლობა კი ბანკში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე სხვა დაწესებულებებში, თანაც ისეთი შესაძლებლობანი, თუ კაცი იკადრებდი, ჯერ ერთი, ვერ აღმოგიჩენდნენ, ხოლო თუ აღმოგიჩენდნენ, დანაშაულად არ ჩაითვლებოდა. ამისათვის საჭირო არ იყო სეიფის გატეხა, გამოძალვა, მიტაცება, კმაროდა ის კაპიკები, მილიონობით მანეთის დამრგვალებისაგან რომ რჩებოდა. სად მიდიოდა ეს თანხა, არც მან იცოდა და არც ბევრმა მისმა თანამშრომელმა. ხოლო ვინც იცოდა, მათ არც პროფესიული კეთილსინდისიერება გააჩნდათ და არც პასუხისმგებლობის გრძნობა. საერთოდ, პასუხისმგებლობის გრძნობამ მკვეთრად იცვალა ორიენტაცია. პასუხს იმისათვის კი არ სთხოვდნენ კაცს, ვინ იყო, რა შეეძლო, იცოდა თავის საქმე თუ არა, არამედ იმისათვის, რა იდეოლოგიურ პოზიციაზე იდგა, რა ოფიციალურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა, დარაჯობდა თუ არა ფზიზლად სახალხო ხელისუფლებას. ამან კი ფართო სამოქმედო ასპარეზი გაუხსნა უეიციებს, დილეთანტებს, მლიქვნელებს, რომელთაც ბეჯითად შრომა და პასუხისმგებლობის გრძნობა წარსულის გადმონაშთად მიაჩნდათ და აბუჩად იგდებდნენ იმათ, ვისაც მოსაპარი ჰქონდა და არ იპარავდა. მართალია, იპარავდნენ ზომიერად, იპარავდნენ ნემსს და არა აქლემს, მაგრამ ეს ანდაზა დაპირისპირებას აღარ შეიცავდა და ამიტომ აზრიც აღარ ჰქონდა. მას არ შეეძლო ამის დანამდვილებით მტკიცება, მაგრამ შეიძლება იმ პრივილეგიებში, ფუნქციონერები რომ სარგებლობდნენ, ცოტათი ხელის მოთბობაც

შედიოდა. ანდა რატომ არ უნდა შესულიყო. მათ კარგად ცხოვრება სურდათ, მზად იყვნენ ეკეთებინათ ის, რასაც მათგან მოითხოვდნენ, ეს კი არც ისე ძნელი საქმე იყო დამშეული სოფლებიდან დაძრული ხალხისათვის. მათ წინ ძველი ბოლშევიკები და ზნეობა კი არა, მამა ლმერთი ვერ გადაუდგებოდა. იმაში, რასაც ყიდდნენ, სამაგიეროსაც მოითხოვდნენ. გასაყიდი კი მხოლოდ ერთადერთი რამ ჰქონდათ — სინდისი. დაშინებულ, ნაშიმშილარ, ჩაუცმელ-დაუზურავ, უსახლკარო კაცს კი სინდისზე ფიქრის არც თავი აქვს და არც მოთხოვნილება. ამიტომაც დაიძაბა ვითარება უსაშველოდ, ამიტომაც გაქრა ნღობა და ურთიერთპატივისცემა, ამიტომაც დაკარგა ადამიანმა ფასი. კაციშვილმა არ იცოდა, რა ზრახვები ედო მეორე კაცს გულში, მამა მას არ ინდობდა და შვილი მამას. შიშის გრძნობას ის კი არ ბადებდა, რომ სანდო აღარავინ იყო, ანდა თუ იყო, არ ათქმევინებდნენ იმას, რაც მათ სჭირდებოდათ, არამედ ის, რომ საკუთარ თავს აღარავინ ეკუთვნოდა. ადამიანი მთლიანად, მთელი თავისი სურვილებითა და მოთხოვნილებებით სახელმწიფოს კუთვნილება იყო, მისი ინტერესების დამაკმაყოფილებელი ორფეხა ცხოველი, სახელმწიფო კი ეკუთვნოდა იმათ, ვისაც მისი სადავეები ეპყრა ხელთ. ასეთ პირობებში ძალზე ადვილი იყო პატარა ფუნქციონერების მიერ კერძო პირის ინტერესების უგულებელყოფა. სამისოდ სულ უბრალო, უპრიმიტიული სი საბაბიც კი კმაროდა. ამიტომაც დაკარგა ამ ბოლო დროს მოსვენება, ამიტომაც შეჭურვებდა საკუთარ თავს სარკეში მტრულად. ახლა მას წვერის გაპარსვა ისე უნდოდა, როგორც ცივ აუზში ბანაობა, მაგრამ სისხლის ფასადაც რომ დაჯდომოდა, წვერი უნდა გაეპარსა, პირი დაეხანა, ახალი პერანგი ჩაეცვა და სამსახურში წასულიყო. ყველა უკან დასახვეი გზა კარგა ხანია მოჭრილი ჰქონდა. იგი ნებაყოფლობით იყო მიჯაჭვული სამსახურს, თანაც ისე მაგრად, რომ თუ მეზი არ დაეცემოდა, მი-

სი ჯანისა და ნებისყოფის კაცი ამ ჯაჭვს ვერაფრით ვერ გაწყვეტდა. ბუნდოვანება თანდათან იცრიცებოდა და დღის სინათლე ნათურის მოყვითალო შუქს აუფერულებდა, ზედმეტსა და არაბუნებრივს ხდიდა. მიუხედავად ამისა, ნათურა მაინც არ გამოერთო. შუშაბანდში სიგრილე დაბუდებულყოფა და ირგვლივ გამეფებულ უბადრუკობას სიმყარესა და მარადიულობას ანიჭებდა. ეს გრძნობა ახალი არ იყო, ადრეც არაერთხელ უგრძნია იმ ყრუ კედლის სიცივე, მთელ ქვეყანას რომ აშორებდა და საკუთარი თავის ამარა ტოვებდა სარკის წინ. სარკე კი ოდესღაც თეთრად შეღებილი კედლისა და მისი სახის მეტს არაფერს ირეკლავდა. თუმცა, რაც უნდა აერეკლა, თუნდაც ვარდის ახალგაშლილი კოკორი, მის სახეს უკეთეს გამოიმეტყველებას მაინც ვერ მიანიჭებდა. ბევრად უკეთესი იქნებოდა, არაფრისმთქმელი, უფერული სახე რომ ჰქონოდა, მაშინ ყურადღებას არავინ მიაქცევდა, მაგრამ მისი სახე მკვეთრად გამოხატავდა სევდას, დარდს, მჭმუნვარებას, რის დაფარვაც შეუძლებელი იყო და სწორედ ეს აგდებდა საგონებელში. თუკი საკუთარი სახე თვით მას ეწვენიოდა ასეთი, ადვილი წარმოსადგენი გახლდათ, რა შთაბეჭდილებას ახდენდა სხვებზე. მაგრამ დასაფიქრებელი ის იყო, რომ ადრე მისი უფროსები და თანამშრომლები ამას არასოდეს უსვამდნენ ხაზს, ახლა კი ხაზს უსვამდნენ, თანაც ყოველგვარი მორიდების გარეშე. ამან კი მის წინაშე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, თითქმის სასიცოცხლო პრობლემა დააყენა, რაც კარგად მოფიქრებასა და გადაწყვეტას მოითხოვდა. უნდა მოენახა სწორი გზა, უნდა მოქცეულიყო ისე, რომ არ გაბმულიყო ობობას უზარმაზარ ქსელში, სადაც სისხლს გამოსწოვდნენ და, გამოფიტულს, უპატრონოდ ჩააგდებდნენ ორმომში. ამ ქსელთან იგი არაფრით არ იყო დაკავშირებული, — არც საქმით და არც მოწოდებით, მაგრამ ეს მას არაფრისა და არავისაგან არ იცავდა, რადგან აღარ არ-

სებობდა მტყუანი და მართალი. ამიტომ სიმართლის ძიებას აზრი არ ჰქონდა, ბრძოლით კი ვერავის შეებრძოლებოდა, ანდა რა შედეგი უნდა გამოედო მართლ კაცის ბრძოლას დამსჯელი ორგანოების უზარმაზარ აპარატთან. ზოცვა-ფლეტაში მათ მან კი არა, რჩეულმა ვაჟკაცებმა ვერ აჯობეს. ამიტომ უნდა მოეძებნა რაღაც სხვა გზა, რაღაც ისეთი, რაც მას და მის ცოლ-შვილს ამ უშიშესი განსაცდელისაგან იხსნიდა. მაგრამ დრო იყო ისეთი, რომელი გზაც კი მოსინჯა, მისი ბუნებისა და ხასიათის კაცისათვის ყველა უვარგისი აღმოჩნდა, საითაც გაიხედა, ყველგან ჩიხი დახვდა. უბედურება ის იყო, რომ ცხოვრებიდან იდეკნებოდა ადამიანის ისეთი თვისებები, რომელთაც საუკუნეების მანძილზე უნერგავდნენ აღმზრდელები აღსაზრდელებს — ვაჟკაცობა, გულწრფელობა, სამართლიანობა, თანაგრძობა და მკვიდრდებოდა შიში, მამუბლობა, ორპირობა, ანგარებიანობა, დაუნდობლობა და მოჩვენებითობა. მაგრამ ყველაზე დემაგოგიური მაინც ის იყო, რომ ყველაფერი ეს ინერგებოდა აქამდე არნახული იდეალების სახელით და სწორედ ეს აბნევდა ხალხს, ვერ ზედებოდა, სად იყო სიმართლე და სად სიცრუე, სად მტერი და სად მოყვარე, მართლა ხალხს სჭირდებოდა ეს იდეალები, თუ იმათ, ვინც ხალხს არ კადრულობდა, თავს არ უტოლებდა, ელაპარაკებოდა მხოლოდ ქაღალდზე დაწერილი ოფიციალური სიტყვებით და ისიც ტრიბუნადან. ყველა დიდი კაცი იმდენად იყო დიდი, რამდენის უფლება-საც მისი თანამდებობა აძლევდა და ვაი მას, ვინც ამ მკაცრ საფუძველზე აგებულ იერარქიას დაარღვევდა, ან მეტ პატივმოყვარეობას გამოიჩინდა, ან მეტ თავმდაბლობას, ან მეტ ჭკუას, ან მეტ უჭკუობას, ან იმაზე მეტს იტყოდა, რაც მოეთხოვებოდა, ან იმაზე ნაკლებს. ამ მზრივ ყველაფერი მისხალ-მისხალ იყო აწონილ-დაწონილი და გაზომილ-გაანგარიშებული. ადამიანები ნელ-ნელა კარგავდნენ ადამიანობას და იძენდნენ სქემა-

ტურობას, ამბობდნენ ერთს და აკეთებდნენ მეორეს, იტყუებდნენ თავს და ატყუებდნენ სხვებს, ზოლო, ვინც არ ტყუებდებოდა, იმის საქმე წასული იყო. არ მოიტყუა თავი ისილორე ბინჯიამ და გაება კიდეც ობობას ქსელში. ისილორე, ბანკის ერთ-ერთი განყოფილების გამგე, სერიოზული, მკაცრი კაცი იყო, უყვარდა წესრიგი და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულება. ფინანსურ დაწესებულებებში იგი რევოლუციამდეც იყო ნამუშევარი და ამან მის ხასიათს გარკვეული კვალი დაამჩნია. წერდა ისე, მისი ზელნაწერი გაწაფულ კალიგრაფსაც კი შეშურდებოდა. საქმეში ისე იყო ჩახედული, რომ უგაქნილესი კაციც კი ვერ მოატყუებდა, ვერ გამოაპარებდა ვერაფერს. გაუგებარი მისთვის მხოლოდ ის იყო, რისთვის და როდის შევიდა ისილორე პარტიიში, ამ კაცს რაღაც აკლდა ისეთი, სხვა ფუნქციონერებს ჭარბად რომ ჰქონდათ. თუმცა პარტიულობამ უფრო ავნო, ვიდრე სარგებლობა მოუტანა, რადგან კიდეც უფრო გამწვავა ის უთანხმოება, თანაპარტიულებთან რომ ჰქონდა. სწორედ ამის გამო იყო, ამ ორი წლის წინათ, ჯერ კიდეც ძველი მმართველის დროს, პარტიულ კრებაზე რომ გამოვიდა და ისე მკაცრად გააკრტიკა როგორც ბანკის მუშაობა, ასევე მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, წინდაუხედაობისა და უმეცრების ისეთი მაგალითები მოიტანა, წყალი არ გაუვიდოდა. მაშინ არც დაუსჯიათ და არც სამსახურიდან დაუთხოვიათ, მაგრამ ამ ექვსიოდე თვის წინათ ის სიტყვები გაუხსენეს, შუალამეზე თავს დაესხნენ, გაჩხრიკეს, დააპატიმრეს და მას შემდეგ მისი ამბავი არა მარტო თანამშრომლებმა, მისიანებმაც კი არ იცოდნენ.

ფარდაჩამოფარებული ფანჯრის მიღმა, საერთო აივანზე მუქმა ჩრდილმა ჩაიარა და შემდეგ ხის კიბეზე ჩამავალი კაცის ფეხის ხმა მოისმა. მეზობელი, რომელიც დიდი სასურსათო მაღაზიის დირექტორად მუშაობდა, მასზე ბევრად უკეთ ცხოვრობდა, არც საჭმელ-

სასმელი აკლდა, არც ჩასაცემელ-დასახური და ზნირად ეტლითაც კი ბრუნდებოდა შინ. ცოლ-შვილსაც კარგად ინახავდა და, როგორც ამბობდნენ, საყვარელსაც. დირექტორად იგი მას შემდეგ დანიშნეს, რაც პარტიის შიგნით, ბინაც მას შემდეგ მიიღო. მანამდე კი შოფრად მუშაობდა და რომელიღაც სახალხო კომისარს ატარებდა. ის კომისარია ახალ ფუნქციონერთა რიცხვს ეკუთვნოდა, რეპრესიებს გადაურჩა და ახლა კიდევ უფრო დიდი თანამდებობა ეკავა. ცხადია, კომისარის დახმარების გარეშე ასეთ თბილ ადგილზე ვერ მოკალათდებოდა, თბილი ადგილი კი იმას ნიშნავდა, რომ ხელის მოსათბობი, ანუ მოსაპარავი მასაც იმდენი ჰქონდა, რამდენის უფლებასაც თანამდებობა აძლევდა, მაგრამ თავი ისე ეჭირა, თითქოს უცოდველი, წესიერი ადამიანი იყო, რომელსაც არა მარტო სწამდა ყველაფერი, რასაც მაღალი ტრიბუნებიდან ისმენდა, არამედ ყველგან, შინ და გარეთაც მუდამ იმის ცდაში იყო, რომ შეუგნებლობით რამე არ შეშლოდა და მკრეხელური სიტყვა არ წამოსცდენოდა. თუმცა, ასე იქცეოდნენ მასზე უფრო განათლებული და გათვითცნობიერებული ადამიანებიც და ამგვარმა გაორებულმა ცხოვრებამ ის შედეგი გამოიღო, რომ ხალხს გონება დაუბლავდა, გაუმრუდდა, საზოგადოებრივი აზრის დეფორმაციამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ უსაფუძვლო ბრალდებისა და გამოძიებლის უფრო ემინოდათ, ვიდრე ჩადენილი დანაშაულისა და პირადი ბრალეულობის. ადამიანები, რომლებიც სულში ჯოჯოხეთს ატარებდნენ, სვამდნენ, ქეიფობდნენ, ქალებს განწყობილების მიხედვით იცვლიდნენ. ეს ქვეყანა მათი იყო და, როგორც შექმლათ, ისე უიჯვნიდნენ. ამასობაში კი ცხოვრება ჩაკვდა, ჩაუგმურდა, სისხლის სუნით გაიჟღინთა, მაგრამ ზარ-ზეიმები, პარადები, ლოზუნგები, სასულე ორკესტრები და ერთი გაბატონებული ფერა ისე აყრუებდა და აბრმაკვებდა ადამიანებს, რომ არც წამებულთა ღრიალი ესმოდათ და ვერც სისხლს ხედავდნენ.

მეხსიერება აღარ იყო დაკავშირებული ზნეობასთან, ზნეობა კი პირად ღირსებებთან. უდანაშაულო, სუფთა კაცი ამ ქვეყნად არ უნდა არსებულებოდა, რადგან ცულ ფონს უქმნიდა იმათ, ერომანეთს რომ ვერაგობასა და სისასტიკეში ეჯიბრებოდნენ. გარდა ამისა, სუფთა კაცი საჭიროების შემთხვევაში უფრო ძნელი გამოსატყუარი იყო, ვიდრე ის, ვისაც დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. დრო ტკივილს კი არ კურნავდა, არამედ აკანონებდა, ტანჯვასა და წამებას აბიბურებდა, რწმენასა და მრწამსს აქიაქებდა. შეიძლება, ყოველივე ეს მის მეზობელს გააზრებელი არც ჰქონდა. შეიძლება, არც კი იცოდა, რას ნიშნავს სიტყვა დემაგოგია, მაგრამ დიდი სიფრთხილე და ორსახოვნება რომ იყო საჭირო, ეს მშვენივრად ჰქონდა შეგნებული, გაცილებით უკეთ, ვიდრე მას, ვინც საკუთარი სახის გამოძეტყველების შეცვლაც კი ვერ მოახერხა. ამის მიზეზი იყო ისიც, რომ მეზობელი თავს არ უყადრებდა, თითქმის უწიგნურს, თავი უფრო დიდ კაცად მოქონდა. წიგნი და წიგნიერება მხოლოდ სიტყვით იყო აღიარებული, ხოლო იმ წრეებში, სადაც ხელისუფლებისათვის დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობდა, წიგნიერი კაცი არა მარტო უპატივცემულობას, ერთგვარ ზიზღსაც კი იწვევდა. იმაზე ბრძნული, რაც უკვე ითქვა, არასოდეს არაფერი უნდა თქმულიყო და ამიტომ ეჭვს იწვევდა ის კაცი, ვინც წიგნებში სხვა სიძარტლეს, სხვა ჭეშმარიტებას ეძებდა.

გამაწამებელი ღამისა და ცივი, უღიმღამო განთიადის შემდეგ, გამოდარება ერთგვარ სიხალისეს მოჰკვრიდა დაზაფრულ ქალაქს, მაგრამ არც გამოდარებას აპირებდა და არც შიში იხევედა უკან. დათალხული მოგონებები თუ მოიწვევებები, უძილო ღამემ რომ ააფორიაქა, უფრო აფრთხობდნენ. კიდრე გესლავდნენ ან აბუჩად იგდებდნენ. ის, რასაც ცხოვრებას ეძახდნენ, შის თვალწინ იგვემებოდა და ითელებოდა, იგვემებოდა ტყვიით, ითელებოდა ნაღებიანა ჩექმებით. არ თელავდნენ მხოლოდ იმათ,

ვისაც თავისი, პიროვნული აღარაფერი შერჩა, არაფრისთვის არ იტკივებდა თავს და არ იჭყვლეტდა ჭკუას. ადამიანებს ართმევდნენ სწორედ იმას, რითაც ბუნებით იყვნენ დაჯილდოებულნი — შინაგან პოტენციალს, ინიციატივის უნარს და განაცისფრებულთ, ერთ საერთო, გამოუვალ ჩიხში ამწყვედედნენ, სადაც ერთფეროვნება და უსუსურობა სუფევდა. ახლა თვითონაც ამ ჩიხში იყო გამოშწყვედი, რაღაცებს მიედმოედებოდა და მწუხარე სახით ფიქრობდა იმაზე, რაც მისი საფიქრალი არ იყო, რაზე ფიქრიც სასტიკად იღვევებოდა და იშანთებოდა. მაგრამ ამ დილით თავს ვერაფერს უხერხებდა, დღევანდელი დღე რაღაცნაირი უჩვეულო იყო, რაღაცას უგრძობობდა ტანი და ამიტომ ერთადერთი შვება მხოლოდ ფიქრს მოჰქონდა. ადამიანები რომ ერთმანეთს ემსგავსებოდნენ, ერთნაირ გამომეტყველებასა და ხასიათს იძენდნენ, ეს მას დიდად არ აწუხებდა, არც ის, ერთნაირი ღოზუნგები და ციტატები რომ ჰქონდათ დახეპირებული და საზოგადოებაში ან ლულულედნენ, ან ბლაოდნენ, არც ის, გამოჩენილს რომ დევნიდნენ და ჩვეულებრივს უტოლებდნენ, რადგან თვითონაც არ იყო არაფრით გამოჩენილი, მაგრამ ერთი რამ მაინც აფიქრებდა: იყო კი იგი ის კაცი, ვინც ახალ რეჟიმს სჭირდებოდა, შესძლებდა კანის ისე გამოცვლას, რომ არაფერი დასტყობოდა? საზოგადოებაში ხდებოდა თვალთ დაუნახავი გადაჯგუფ-გადმოჯგუფება, დარაზმვა, იერარქიული დაყოფა, გამარჯვებულნი თავისიანებს, ისევე როგორც არათავისიანებს, თვალის ერთი შევლებით ცნობდნენ, ზოგს იტანდნენ, არსებობის უფლებას აძლევდნენ, ზოგს კი თავიდან იშორებდნენ, იმქვევანად აგზავნიდნენ. მან არ იცოდა, რომელ ჯგუფს ეკუთვნოდა — შესაწყნარებელთ თუ თავიდან მოსაშორებელთ, რადგან გადაჯგუფ-გადმოჯგუფებაში არ არსებობდა არავითარი კანონზომიერება, არ მოქმედებდა არავითარი დაწერილი თუ დაუწერელი კანონი. ბევრი რამ შემთხვევითობაზე

იყო დამოკიდებული, უფრო სწორად, იმაზე, რა თვალთ შემოგხედავდა კაცი, ვისაც შენი დაღუპვაც შეეძლო და გადარჩენაც. გადასარჩენად სულ ცოტა რამ კმაროდა, — არ დაენახე, არ შეემჩნიე, არ დაებეზღებიე. მაგრამ თუ დაწინაურება ან თანამდებობის შენარჩუნება სურდა, ვიღაც ხომ უნდა შეემჩნია, დაებეზღებინა და ის ვიღაც ისეთი კაცი უნდა ყოფილიყო, მათ რომ არ ჰგავდა. ამ ბოლო დროს კი ასეთები არც ისე ბევრი იყო, უმეტესობამ ჭკუა ისწავლა და ამიტომ, რაც უფრო ბევრს ფიქრობდა, გადარჩენის სულ უფრო ნაკლები შანსა რჩებოდა. საკვირველი ის იყო, რომ მიუხედავად შექმნილი ვითარების სწორად შეფასებისა, მიუხედავად უდანაშაულობისა, საერთო ატმოსფერო ისეთი იყო, ისე დაუცველად და უუფლებოდ გრძნობდა ზოგჯერ თავს, რომ არა მარტო უსუსურობისა და არასრულფასოვნების, დანაშაულის გრძნობაც კი უნდებოდა, რაც თრგუნავდა და უშხამავდა. გუნებას უშხამავდა ისიც, რომ უმოქმედოდ იდგა დანაშაულისა და უდანაშაულობის, არსებობისა და არარსებობის გაურკვეველ ზღვარზე, არც წარსულს რომ არ ეკუთვნოდა და არც მომავალს და ვერც აქეთ გადაეღვა ნაბიჯი და ვერც იქით. ამგვარი მერყევი მდგომარეობა კი შეუმჩნეველი არ რჩებოდა და თუ იგი დროზე არ მიიღებდა რაიმე გადაწყვეტილებას, მერე უკვე გვიან იქნებოდა.

პირველ სართულზე რადიო ჩართეს, თანაც ისე ხმამაღლა, რომ ყოველი სიტყვა გარკვევით ისმოდა. მიკროფონმა დაბეჭილი ხმით გამოაცხადა, თბილისის დროით რვა საათიაო. ცხრაზე სამსახურში უნდა ყოფილიყო, დაგვიანება არც შეიძლებოდა და არც უყვარდა. მანამდე კი მაღაზიაში უნდა შეერბინა, პური, კარაქი, ყველი და ძეხვი ეყიდა, ოჯახიც მოემარაგებინა და ცოტათი თვითონაც წახებმსა. ამ მხრივ ახლა — საქმეს არა უშავდა, თითქმის ყველაფერი იშოვებოდა, თანაც ურიგოდ. ამ სამი-ოთხი წლის წინათ კი მასაც და მის ცოლ-

საც სიცოცხლე გამწარებული ჰქონდათ. თუ არ ეძინა ან სამსახურში არ იყო, რიგში იდგა. უძილობისაგან ყველას გაფითრებული სახეები და დაწითლებულა ქუთუთოები ჰქონდა. რიგი იყო ყველაფერზე — განსაკუთრებით საწვავზე და პირველი მოთხოვნების საქონელზე. ხალხი არც სიცხეს ეპუებოდა და არც სიცივეს. მიუხედავად ამისა, ის დრო ამ დროისაგან ერთი რამით მაინც განსხვავდებოდა. მაშინ ხალხი უფრო თამამად იქცეოდა და უფრო თამამად ლაპარაკობდა. არ იყო ისე დამფრთხალი და დამუნჯებული, როგორც ახლა. რა ამბებს არ მოიხმენენ, რას არ გაიგონებდი რიგში. იმდენი ნამდვილი ამბავი თუ ჭორი მას შემდეგ არსად და არავისგან მოუსმენია. ამისა და ამის ბინა ისე პირწმიდად გაქურდეს, რომ ყველა სახლში იყო და ვერავინ ვერაფერი გაიგო; ამან და ამან ცოლი ნაჯახით დაჩეხა; ესა და ეს ამ ცივ ზამთარში მტკვარში ჩახტა და თავი დაიხრჩო; ამა და ამ გადასარბენზე ყაჩაღებმა მატარებელი გაჩერეს და მთელი ვაგონი გაპარცვეს; ამა და ამ სახლში მცირეწლოვანი გოგონა გააუპატიურეს; ამა და ამას ყალბი ფულის მოჭრაზე წაასწრეს; რუსეთის ზოგიერთ უკიდურესად დამშეულ რაიონებში ისევე განზირდა კანიალიზმის შემთხვევები და ასე დაუსრულებლად. განსაკუთრებით დიდი რიგები იყო პურზე, რომელსაც ბარათებზე არიგებდნენ, მაგრამ ხშირად პური ყველას არ ჰყოფნიდა და თუ დროზე, ანუ გათენებამდე არ დაიჭერდი რიგს, იმ დღეს მშვიერი რჩებოდი, რადგან ძირითადად ხალხი პურზე გადადიოდა. არ იშოვებოდა ყველი, კარაქი, შაქარი, საპონი, მძვინვარებდა ტიფი, ყვავილი, ჭლექი. შავ ბაზარზე იყიდებოდა ყველაფერი — დაწყებული უბრალო ჩვიდან, უცხოური კოსტიუმით დამთავრებული. ტორქსინებში ოქრო-ვერცხლსა და პათიოსან თელებზე ზღაპრულ ფასად იძლეოდნენ სურსათ-სანოვაგეს. მიუხედავად ამისა, ტორქსინების წინაც გრძელი რიგი იდგა. სად ჰქონდა ხალხს

გადანახული ამდენი ოქრო-ვერცხლი? რა დანიშნულების, რა მოყვანილობის სამკაულს არ ნახავდა იმ რიგებში კაცი. თუმცა ოქროს რამდენიმე ნივთი მის ცოლსაც ჰქონდა და იმ წლებში ტორქსინმა ის ნივთები შთანთქა. განსაკუთრებით გამაწვავლებელი იყო ზამთარი, ცივ ამინდში გრძელ რიგში დგომას ჯან-ლონე და თბილი ტანსაცმელი სჭირდებოდა. მას კი არც ერთი ჰქონდა და არც მეორე. სიცივისაგან სახე უღურჯდებოდა, ფეხები უხევდებოდა, თვალები უცრემლიანდებოდა. არადა, მისი და მისი ცოლის უჭმელ-უსმელობა არაფრით არ შეიძლებოდა. პროცესი ისევე გაეხსნებოდათ, ისევე აბასთუმანში ამოყოფდნენ თავს და შევილი, რომელიც მაშინ ავად არ იყო და სკოლაში დადიოდა, უპატრონოდ დარჩებოდათ. ასეთ წვალებებში გაატარეს ორი-სამი წელიწადი, მაგრამ მაშინ ის საწუხარი არ ჰქონდა, ახლა რომ ზარავდა. ყველაფერს იფიქრებდა და იმას კი არა, რომ ოდესმე რაიმეში დამნაშავე აღმოჩნდებოდა, თანაც — პოლიტიკური დამნაშავე და ამისათვის ციხეში ჩასვამდნენ. ეს ისეთ წარმოუდგენელ უსამართლობად ეჩვენებოდა, რომ ზოგჯერ თავი სიზმარში ეგონა, ფიქრობდა, გავიღვიძებ და ეს კომმარიც დამთავრდებო. მაგრამ კომმარი არ თავდებოდა და როცა გაიგებდა, წუხელ ესა და ეს წაიყვანესო, ცხადად გრძობდა, რომ რაც ირგვლივ ხდებოდა, სინამდვილე იყო და არა სიზმარი.

შუშაბანდში რომ მეტი დღის სინათლე შემოსულიყო, მან ფარდა გადასწია და თვალი მოჰკრა თუთის ბებერ ხეს, რომელიც ამ ეზოში მის ჩამოსახლებამდე იდგა. ახლა ხე თითქმის გაპარცვული იყო, მისი ოქროსფერი ფოთლები დიდილიაობით ქვაფენილზე ეყარა და, ნიავისაგან შეტოკებული, ახალგაპოჩეკილ წიწილებს ჰგავდნენ, ხოლო წვიმის შემდეგ, როცა დაიგრიხებოდნენ და ტალახში ამოისერებოდნენ, — მუხლუხებს ან დიდ ხოჭოებს, რომლებიც ხოხვასა და ცოცვას გადაეჩვივნენ. გამოჩნდა აგრეთვე ცემენტით შელესილი ნაცრისფერი

კედელი, რომლის ფასადი მეზობელ ეზოში გადიოდა. კედელი ყრუ და ისეთი ცივი იყო, რომ შხერასაც კი არ იკარებდა. ღროღადრო სინჰუმეს არღვევდა ტრამვაის ზარის გაბმული წკრიალი და ბორბლების რახარუნხი. ცა მძიმე და მუქარით სავსე იყო, სიერცე დაპატარაებული, ჰაერი შესქელებული, სულის შემხუთავი. გარემო ისეთი თალხი ფერებით იმოსებოდა, როგორი განწყობილებაც მას ჰქონდა. ღრუბელი, უფრო სწორად, ღრუბლიანი ამინდი არასოდეს ჰყვარებია, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ავად გახდა, მაგრამ ახლა ღრუბელი და ჰაერი მართო სინესტიო კი არ იყო გაუღენთილი, არამედ შიშითაც, რაღაცნაირი გამჭოლავი, მოუნელებელი შიშით, ქვასავით რომ იღო გაუნძრევლად მკერდის არეში და იქაურობას აციებდა, აცარიელებდა. ამ ღროს მას და გარესამყაროს ტიხარი კი არ ყოფდა, არამედ, სიბნელე და მღუმარება, ისეთი მღუმარება, ჭექა-ჭუხილზე მეტად რომ გაყრუებს. დღევანდელი დღე კი თავისი მღუმარებითა და სითალხით შუაღამეს უფრო ჰგავდა, ვიდრე ახალგათენებულ დილას. მართალია, აბსოლუტურად საღად აზროვნება და სწორად მსჯელობა არც არსებულა ამქვეყნად არასოდეს და არც იარსებებს, თამაშის წესების დარღვევა და ბოროტმოქმედებაც მეტ-ნაკლებად ყოველთვის იყო ამ ცოდვილ მიწაზე, მაგრამ სიცრუეს არასოდეს შეუცვლია სიმართლე ისე, როგორც ამჟამად. მიმდინარეობდა რაღაცნაირი არაბუნებრივი პროცესი. ადამიანი მართო საკუთარ თავს კი არ უპირისპირდებოდა, არამედ სიცოცხლესაც, ბუნებასაც და გამჩენსაც. ეს კი ისეთ დეფორმაციას იწვევდა ყოველ მხრივ, მანამდე კაცთა მოღვმას რომ არ უნახავს და არ განუცდია. ჯერ შეიქმნა მოძღვრება, მერე სქემა, მერე დოგმები და ამ დოგმებში სურდათ ჯერ კიდევ ამოუსხნელი სიცოცხლის ფენომენისა და ყოველ მხრივ მოუწესრიგებელ ცხოვრების ჩატევა. არავენი ფიქრობდა იმაზე, რომ პრაქტიკულად ამის განხორციელება შეუძლებელია, რომ თუ დოგ-

მა ცხოვრებას არ მოერგო, ცხოვრება დოგმას ვერ მოერგება, ხოლო ვინც ასე არ ფიქრობდა და ეჭვს გამოთქვამდა, ან ხალხის მტერი იყო, ანდა უცხო სახელმწიფოს აგენტი. თავისთავად ცხადია, რომ სქემა და დოგმები ცხოვრებისა და იმ რთული საკითხების გაუბრალოებას, უფრო სწორად, გაუულგარებას მოითხოვდა, რომელთა გადაწყვეტაზეც კაცობრიობა ყოველთვის იმტერევდა თავს და არაფერი გამოსდიოდა. გადაწყვეტა ხდებოდა ქაღალდზე და არა ცხოვრებაში და ამიტომ ის, რაც სქემაში არ ეტეოდა ან მახინჯდებოდა, ან იჩქმალებოდა, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, ფალსიფიცირდებოდა; ერთი სიტყვით, ან უნდა ყოფილიყო ისე, როგორც ამას სქემა მოითხოვდა, ანდა საერთოდ არ უნდა არსებულებოდა. არ უნდა არსებულებოდა შემძლებული გლეხები, სამღვდელეობა, ვაჭრები, მრეწველები, ისეთი ინტელიგენტები, ადრე რომ იყვნენ, არ უნდა არსებულებოდა უცხოელები, სულ ერთია, კომუნისტები იქნებოდნენ ისინი თუ არაკომუნისტები. არ უნდა არსებულებოდა იმგვარი სიყვარული და იმგვარი მეგობრობა, ადრე რომ იყო. თუ ამას საჭიროება მოითხოვდა, კაცს სახელმწიფოს ინტერესებისათვის საყვარელი არსება უნდა გაეწირა; თუ მეგობარი სხვაგვარად აზროვნებდა, ვიდრე სახელმწიფოს მესვეურები, მისივე მეგობარს უნდა დაებუზდებინა. ამის კონკრეტული მაგალითები მან ცოტა იცოდა, რადგან კარჩაკეტილად ცხოვრობდა, ასეთ ამბებზე მაშინაც კი არ ლაპარაკობდნენ რიგებში, როცა შიმშილი მძვინვარებდა, მაგრამ მსგავსი შემთხვევები რომ არა ერთი და ორი იქნებოდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. არც იმაში, მის ირგვლივ წრე რომ იკვრებოდა, რომლის გარღვევას იგი ვერაფრით შეძლებდა, რადგან ამის არც გამოცდილება ჰქონდა და არც ისეთი მარჯვე იყო, რომ შენიღბული ზაფანგი წინასწარ დაენახა და ზედ გადახტომოდა. ამიტომ შიშით ისე ჰქონდა გამჯდარი ძვალ-რბილში, ისე პატარავდებოდა საკუთარ თვალში,

დამალვა რომ შესაძლებელი ყოფილიყო, არ ითაკილებდა და დაიმალებოდა. მაგრამ სად? მეგობარი არ ჰყავდა და ახლო ნათესავი, თუმცა ახლა მნიშვნელობა არც ამას ჰქონდა, უცხო კაცი არ შეიფარებდა, შეიფარებდა კი არა, ახლოსაც არ გაიკარებდა, ქუჩაში დამალვა კი ისეთივე უაზრობა იყო, როგორც წყლის ნაყვია. ერთი სიტყვით, ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა, ხელ-ფეხი შეკრული, სახის გამომეტყველება საკუთარი პატრონის წინააღმდეგ განწყობილი. ამას ის გაყვითლებული ფოთლებიც ადასტურებდნენ, ნიავის ყოველ დაბერვაზე თუთის ხიდან რომ ცვიოდნენ და ფარფატით ეშვებოდნენ მიწაზე.

ანთებული ნათურა ისე შეიწყა, თითქოს მიწა იძრაო. შუქმა ციმციმი დაიწყო. მოყვითალო სხივები ხან მარჯვნივ გადაიხრებოდნენ, ხან მარცხნივ და მას, რატომღაც, მოეჩვენა, თითქოს ყველაფერი ეს მასში ხდებოდა და არა მის გარეთ. თუმცა, რატომ უარესი საშინელებები არ ეჩვენებოდა, თუნდაც ის უზარმაზარი ხახა, მუდამ სისხლით რომ იყო გამოწოთლებული და მძორის სუნი ასდიოდა, ანდა იმეკარი უფსკრული, ძირი რომ არ უჩანს და მისი ფსკერიდან მხოლოდ შავი ლაფის ბუფბუფი ისმის. ეს იყო დრო მოჩვენებების და კომპარებისა და არა უდარდელი ან იმედოვანი განწყობილებისა. დღე დღეს მისდევდა, შიში შიშს ენაცვლებოდა და არაფერს არ ჰქონდა თავისი ნამდვილი სახელი და შეუნიღბავი სახიერება. იშლებოდა, ირეცხებოდა ძველი წარმოდგენები და მათ ადგილს იკავებდა ტანჯვა-წამება, არაადამიანური კვნესა და ღრიალი, აკონია და სიკვდილი და ეს ხდებოდა არა ქუჩაში, არა ხალხის თვალწინ, არამედ ყრუკედლებიან კარცერებში, სარდაფებში, ბოქსებში და, თუ საჭიროდ მიიჩნევდნენ, გამოძიებლების ოთახებშიც კი, სადაც ყველაფერი დაბმული, შეჯავშნული და რკინის ურდულებით იყო გადარაზული, სადაც გარედან არავითარი ინფორმაცია არ შედიოდა და გარეთ არავითარი ამბავი არ გა-

მოდიოდა. სქელი კედლებისა და რკინის კარიბჭეების უკან დამალვა იმას ნიშნავდა, რომ აქ ისეთი ამბები ხდებოდა, რაც ხალხს, ხალხს კი არა, უცხო თვალსაც არ უნდა დაენახა და არ უნდა სცოდნოდა. პირადად მას ციხისა და სახაჯელის ისე არ ეშინოდა, როგორც წამების. მას შემდეგ, რაც ფილტვები დაუსნეულდა, უადრესად მგრძნობიარე გახდა და მარტო წარმოდგენაც კი ზარაუდა ამისა, რომ სცემდნენ, დაასისხლიანებდნენ, ხორცს დაავლეჯდნენ, ძელებს დაუმსხვრევდნენ. ამ დროს შეინგინო ყველაფერი ერღვეოდა და სუნთქვა უჭირდა. მის მდგომარეობას კიდევ ის ართულებდა, რომ მართლაც უდანაშაულო იყო და გაუჭირდებოდა ისეთი დანაშაულის შეთხზვა და თავის თავზე აღება, მის მტანჯველებს რომ აწყობდათ. არადა, თავიდან არაფრის გულისათვის არ ეტყოდნენ, რაში სდებდნენ ბრალს, არც დაუყვავებდნენ და არც მიკიბულ-მიკიბულ ლაპარაკს დაუწყებდნენ, რამეს რომ მიმხვლადრიყო. პირიქით, ჯერ გამყინავად შემოხვდავდნენ, მერე კი პირდაპირ ეტყოდნენ, აბა, მოვიდა დრო და აღიარე შენი დანაშაული! მას კი წარმოდგენა არ ჰქონდა, რა დანაშაული ეღიარებინა, რაში გამოძევდარიყო და ხანამ მიხვდებოდა, რას თხოულობენ მისგან, ცქმასა და წამებას ვერ ასცდებოდა. აი, ეს იყო უაზრობისა და უგუნურობის კიდევ ერთი სახესხვაობა. შე მამაცხონებულო, მიჭერ, ციხეში მსკამ, მაწამებ და ის მაინც მითხარი დროზე, რაში მდებ ბრალს, რა ასეთი ქვეყნის დამანგრეველი ვარ. მაგრამ ეს რომ გაეკეთებინათ, მაშინ ისიც უნდა სცოდნოდათ დანამდვილებით, დამნაშავე ხარ თუ არა. ბრალდება კი შემდეგ, გამოძიების პროცესში იძენდა დამაჯერებელ თუ დაუჯერებელ ფორმას, შემდეგ იკრებოდა ტომად ან ტომებად, ზოგჯერ კი ერთ ფურცელ ქალალსაც სჯერდებოდნენ. მან ისიც იცოდა წინასწარ, რომ მათთან არც ხვეწნა-მუდარა სჭრიდა და არც შეცდომებისა და დანაშაულის მონანიება. რომ ეთქვა კიდევ, მაპატიეთ, შემპარაღეთ,

შევცდი, ვერ გავერკვიე ჩვენი დროის რთულ ვითარებაში, მაცდურმა მაცდუნა და გზა ამებნაო, ვითომ გამოუშვებდა ვინმე სახლში? მეტი არაა ჩემი მტერი! ამგვარი რამის თქმა კიდევ უფრო გაართულებდა მის საქმეს, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებდა, განსაკუთრებით გამოეკიდებოდნენ ფრაზას „მაცდურმა მაცდუნაო“. ამ ფრაზას ჩაეჭიდებოდნენ, და აღარ მოუშვებოდნენ, „ვინ მაცდურმა გაცდუნა, რა კაცია, სად მუშაობს, ვინ იყვნენ მისი მშობლები, რას აკეთებდნენ რევოლუციამდე“ და ასე შემდეგ. არ მოუშვებოდნენ მანამდე, სანამ გაწამებულს და გასისხლიანებულს, ვინმეს არ დაასახელებინებდნენ, ვიღაცას არ გააწირვინებდნენ სასიკვდილოდ თუ საციმბიროდ. ამას კი ისევ ის ვერჩია, საკუთარ თავზე გადაეტანა ყველა გვემა და უბედურება. მაგრამ ისიც ხომ დასაშვებია, რომ შეიძლება საქმე წამებამდე არ მისულყო, ნუთუ მართლა ისე გადაბრუნდა ქვეყანა, რომ სამართლიანობის ნატამალიც აღარ დარჩა, ნუთუ მას, როგორც ადამიანს, ჩალის ფაზის ალარ აქვს?

მან წვერი გაიპარსა, პირი დაიბანა, ქუჩაში გავიდა, სურსათ-სანოვავე იყიდა, ცოტათი წაიხეშსა, რატომღაც, უფრო თბილად ჩაიცვა, ვიდრე ჩვეულებრივ იცვამდა, ხელში თავის ძველი პორტფელი დაიტვირა და სამსახურში წავიდა.

თავი მეორე

შინიდან გასულს თან გაჰყვა ის სინესტე და სიცივე, შუშაბანდში რომ იყო დაბუდებული და ამიტომ საჭირო იყო ეს თუ არა, საველო მაინც წამოიწია და ცოტათი მოიბუხა. მოიბუხა არა იმიტომ, რომ ცივი ქარი უბერავდა, არამედ მართლაც იგრძნო ბუჭებზე სიმძიმე, იმ შესქელებული ჰაერის სიმძიმე, სახიფათოდ რომ იყო დამუხტული. ირველივ ხალხი ირიოდა. უმეტესობას სამუშაოზე ან სამსახურში ეჩქარებოდა. მსუბუქი მანქანები კანტიკუნტად ჩანდა აქ-იქ. ქუჩის ბატონ-პატრონები ჯერჯერობით ისევ ეტლები და მეეტლეები აყვნიენ, სა-

ზოგადო ტრანსპორტის ყველაზე გავრცელებული სახეობა კი ტრამვაი გახლდათ. სხვებთან ერთად, იგიც ყოველ დღით ტრამვით დადიოდა სამსახურში და შინაც ტრამვით ბრუნდებოდა. ქუჩა; სადაც ცხოვრობდა, უწინ მიხაილოვას სახელს ატარებდა, შემდეგ კი, რატომღაც, პლენხანოვის პროსპექტი უწოდეს. გაჩერება მოედნის კუთხეში იყო. ტრამვაის ყოველ დღით უამრავი ხალხი ელოდა. ელოდა დაძაბული, შინაგანად მობილიჩებული, რადგან სადგურიდან ტრამვაი ყოველთვის გაჭყედილი მოდიოდა და ამ მოედანზე კიდევ უამრავ ხალხს ისრუტავდა. საოცარი იყო არა მარტო ვაგონის ტყეადობა, არამედ თვით ადამიანების შემჭიდროვების უნარიც. არ იკარგებოდა იატაკის არც ერთი გოჯი, არც ერთი კუთხე-კუნჭული, საფეხურის არც ერთი სანტიმეტრი. პატარა ბიჭვები კი უკანა ბაქნის შეერილზეც მშვენივრად გრძნობდნენ თავს. ყველას და ასევე მასაც, ტრამვაიში შეღწევის თავისა მეთოდი ჰქონდა. თვითონ კი იყო გამხდარი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მაღაზიებში სურსათ-სანოვავე გაჩნდა, წლობით ნაშიმშილარი ხალხი გაძდა, გასუქდა, მოღონიერდა. როგორც კი ტრამვაი გაჩერდებოდა, იგი ერთ ან ორ მსუქან, ღონიერ კაცს წინ ჩაუდგებოდა და, უნდოდა თუ არა, მაინც შეიტანდნენ ვაგონში. სხვაგვარად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან ძალიანაც რომ მოენდომებინა, უკან მაინც ვეღარ გამობრუნდებოდა. ამ იერიშის დროს არც ქალს დაგიდევდა ვინმე და არც ბავშვს, საერთოდ, ზრდილობაზე და ქალის პატივისცემაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ასეთ წუთებში მოიერიშეთათვის ვინმეს ფოტოსურათი რომ გადაედო და მერე ეჩვენებინა, ალბათ, თავ-პირს დაამტკვრევდნენ, ჯერ ერთი, იმიტომ, იუკადრიხებდნენ, ეს რას დაგვაშავავს, ეს ჩვენ არა ვართ, ასეთი სახე არასოდეს გვქონიაო, მეორეც, იმის გამო, აქ რას გვეჩრები, მოგზავნილი ხომ არ ხარ, წადი ქალაქგარეთ და ლამაზი ხედები გადაიღე, ჩვენ კი ჩვენი გაჭირება გვეყოფა,

მოგვწყედი თავიდან, თორემ მაგ აპარატს თავზე დაგამტვრევთო. აქ მთავარი იყო არა ის, რაც ირგვლივ ხდებოდა და რასაც ბრბო მოთმინებით იტანდა, არამედ მხილება იმისა, რაც უცხო თვალს არ უნდა დაენახა, არ უნდა გამოეტანა სამსჯავროზე.

სანამ ქუჩას გადაკვეთდა, ვიღაც ტყავისკურტაკიანმა გვერდით ჩაუარა, მიესალმა და გზა განაგრძო. იგი მისდა უნებურად შეკრთა და ერთი წუთით შეჩერდა. უკნიდან ტყავისკურტაკიანი ვერ იცნო და ვერც ის წარმოიდგინა ვერაფრით, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო. ისე კი სჯობდა არ მისალმებოდა, რადგან გუნება უფრო აუმღვრია, ვიდრე გამოუკეთა. რა იცი, ვინ არის, იქნებ მოგზავნილია, იქნებ თვალყურს გადაევენებს? ამგვარ ვარაუდს რომ ძალიან შორს არ წაყვანა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, პირთან მიიტანა და თავის ფიქრებს დაუბრუნდა. მართალია, ქალაქს ხალხი ყოველდღე აკლდებოდა, მაგრამ ყოველდღე ორი იმდენი ემატებოდა და მათ არა მარტო ტრანსპორტი, ქალაქიც ვეღარ იტევდა. ისევე როგორც ტრამვაიაში, სახლებშიც ყოველი გოჯი, ყოველი კუთხე-კუნჭული იყო გამოყენებული. ეძინათ იატაკზე, მაგიდებზე, ღერეფნებსა და სამზარეულოებში. საერთო ფეხსადგილთან ყოველ დილით რიგი იდგა, მამაკაცები პირს ეზოში იბანდნენ საერთო ონკანთან. დროის ნიშანთვისება სივიწროვე იყო, სივიწროვე ბინებსა და ტრამვაიაში, სამსახურსა, სავადმყოფოებსა და ციხეებში, სივიწროვე აზროვნებასა და მოქმედებაში, სივიწროვე ურთიერთობასა და უფროს-უმცროსობაში. ვიწრო იყო არა მარტო ადამიანის საყოფაცხოვრებო გარემო, არამედ მისი მიზნებიც და თვალსაწიერიც. თუ ვინმე რამეს აღწევდა, ეს ხდებოდა სხვისი ან სხვების ხარჯზე, ერთის კეთილდღეობა შენდებოდა მეორის უბედურებაზე და ეს ხდებოდა ყოველდღიურად, შეგნებულად, ხდებოდა დღისით, მზისით და კრინტს ვერავინ ძრავდა, რადგან ყველაფერი ეს კეთდებოდა ხალხის სახე-

ლით, ხოლო იმის წინააღმდეგ ხმის ამოღება კი არა, დანაშაულიც იყო.

მან ქუჩა გადაკვეთა, ტროტუარზე ავიდა და გაჩერებისაკენ გაემართა. ტანსაცმლის მაღაზიის უგემოვნოდ გაფორმებულ ვიტრინაში თეთრხალათიანი ქალი იდგა და მანეკენ-საფრთხოებელას რაღაცას აცმევდა. ახალგაურეცხილ მინაზე, რომელსაც გამრობა ჯერ ვერ მოესწრო, წყლის დიდი, მძიმე წვეთები კლაკნით ეშვებოდნენ დაბლა და ბუნდოვან ღარებს ქმნიდნენ, რის გამოც ვიტრინაში გაჩერებული თეთრხალათიანი ქალის გამოსახულება დეფორმაციას განიცდიდა და თვითონაც მოჩვენებას უფრო ჰგავდა, ვიდრე რეალურ არსებას. სხვა დროს იგი არც ვიტრინებს ამჩნევდა და არც გამკვლელ-გამომკვლევებს, ახლა კი მის ყურადღებას ყოველი წვრილმანი იქცევდა და ეს წვრილმანები ზოგჯერ ისეთ ნიშანდობლიობას იძენდნენ, რომ მას არა მარტო აფიქრებდა, არამედ ზაფრავდა კიდევ. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნერვები დამაბული ჰქონდა, საკუთარი ფიქრებისა და ყურადღების მოთოკვას ვერ ახერხებდა. მის ნერვებზე ისიც მოქმედებდა, რომ ყველა რადიორეპროდუქტორი ხმამაღლა იყო ჩართული. განსაკუთრებით ის, მოედანზე რომ ეკიდა ბოძზე და ისე გაჰყვიროდა, თითქოს ქალაქი სმენადაქვეითებულებით იყო დასახლებული. ქალაქებისა და სოფლების რადიოფიცირება მეტისმეტად ჩქარა მოხდა, ბევრად უფრო სწრაფად, ვიდრე ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია მიმდინარეობდა. დიქტორებად იწვევდნენ საუკეთესო მსახიობებს, ვისაც მკვეთრი, რხიანი, დამაჯერებელი ხმა ჰქონდა. დამაჯერებლობა არც ქალების ხმას აკლდა, მაგრამ მათ ჟღერადობაში არ იყო იმგვარი სერიოზულობა და კატეგორიულობა, როგორც მამაკაცებისაში. საერთოდ, დიქტორის ხმას ისეთ დაწესებულებებში, სადაც ავტოცაციასა და პროპაგანდას ეწეოდნენ, უადრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან კარგი ხმის პატრონი იმათი რუპორი იყო, ყვირილს, დრიალს და გინებას რომ აყვნიენ მიჩვე-



ული და არა ადამიანურად ლაპარაკს. დილის გადმოცემა იწყებოდა იმ წარმატებებით, რასაც ქვეყანამ მიაღწია: რა ახალი წარმოება ჩაღვა მწყობრში, რამდენი ქვანახშირი მოიპოვეს მაღაროებში, რამდენი ტონა ფოლადი გამოაღწეს მეფოლადებმა, რამდენი ცენტნერი მარცვლეული მოიწიეს კოლმეურნეობებში, ვინ ისახელა ყველაზე მეტად თავაშრომაში, ვინ დაჯილდოვდა ორდენით და ასე შემდეგ. მაგრამ ყველაზე გამაღიზიანებელი ის იყო, რომ ვისაც ხელი-სუფლება აითვალისწინებდა, მაშინვე მტრად აცხადებდა, უკანასკნელი სიტყვებით თათხავდა და თანაც აცხადებდა, საბჭოთა ხალხს ასეთი მუხანათი და გარეწარი მტრები რომ არ ჰყოლოდა, მრავალი საჭირობოროტო პრობლემა ახლა უკვე მოგვარებული იქნებოდა. თუნდაც ის, რომ არ გვეყოფინს სკოლები, არ გვევარგა სახელმძღვანელოები, ვერ ვიღებთ მაღალიდურ და მხატვრულ ფილმებს, არ გავგაჩნია მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ქვეყნის შესაფერისი დიდი დიამანონის ლიტერატურული და დრამატული ნაწარმოებები; ჯერჯერობით ვერ ვყიდით საზღვარგარეთ ჩვენს მიერ დამზადებულ სამრეწველო საქონელს. თავის ქების შემდეგ კი ხალხს ასწავლიდნენ ჭკუას, როდის რა უნდა ეფიქრა, რა შემთხვევაში როგორ უნდა მოქცეულიყო, სად და რა ვითარებაში უნდა გამოეჩინა სიფხიზლე, ვინ ედიღებინა და ვინ ევიგებინა. საჭირო მაგალითებიც ყოველთვის ხელთ ჰქონდათ ზოგიერთი მეტისმეტად პრიმიტიული აზრის განსამტკიცებლად. ხალხისათვის ჭკუის სწავლება არასოდეს შეიცავდა რაიმე ბრძნულს ან შინაარსიანს, რაიმე ისეთ საკითხს, ცალკეულ ადამიანს ან მთელ კაცობრიობას რომ აწუხებს. ეს იყო წმინდა წყლის პროპაგანდა, რომელშიც მუქარაც იგრძნობოდა, თანაც თავიდან ბოლომდე ყალბი და სიმართლისაგან ცარიელ ტომარასავით დაცლილი. ის, რაც ხალხს უნდა გაეგონა, ყოველი კაცის ყურამდე მიჰქონდა რადიორეპროდუქტორს და ამიტომაც იყო ასე ხმა-

ღლა ჩართული, ამიტომაც მოხდა უზარმაზარი ქვეყნის ელვისებური რადიოფიკაცია.

რომ გაწვიმდებოდა, ამაზე არა მართო ცის სითალზე და ღრუბლების სიმძიმე მეტყველებდა, არამედ საერთო ფონზე საგანთა ესკიზური მოხაზულობაც. კარგ ამინდში ფონი ფერს იცვლიდა, თუ სიმწვანის არა, სილურჯის ელფერს გათენებისთანავე იძენდა, ახლა კი ნაცრისფერი იყო და ძველ, მოუვლელ სახლებს, ადამიანების ამ უბადრუკ ნახელავს, კიდევ უფრო აუბადრუკებდა. ამ შიშველ ქუჩაზე, რომელზედაც ზე თიქმის არ იღვა, არც არაფერი ინგრეოდა და არც არაფერი შენდებოდა, გარეგნულად არაფერი იცვლებოდა ისე, რომ თვალში საცემი ყოფილიყო. დროის დამახასიათებელი თვისება ერთფეროვნება იყო, ისეთი ერთფეროვნება, ადამიანს რომ ტვინზე ეფარება და აღუნებს, აგულგრილებს. გულგრილობა ხსნა იყო იმათთვის, ვისაც სახეზე ან შიში არ ეწერა ან სიხარბე. შიში და სიხარბე ერთმანეთის გვერდით ფუსფუსებდნენ, ერთი ჰაერით სუნთქავდნენ, ერთმანეთს წონიდნენ და ზომავდნენ. თუ ერთს არაფრად ეგდებდნენ, მეორე სახიფათო კაცად მიანდათ, თუ ერთი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ გადაეჩინა თავი, მეორე იმაზე, ამ განუკითხაობის ეპოს ვისთვის რა წაეკლიჯა, თუ ერთს ცივი ოფლი ასხამდა, მეორე ცხელ ოფლში იღვრებოდა და ყარდა. ერთ ქვაბში იხარშებოდნენ მოძალადეც და მისი მსხვერპლიც, ერთ ბრბოში ითქვიფებოდნენ და ცალკეული ადამიანის ხმა აღარავის ესმოდა. ცალკეული პიროვნება აღარც კი არსებობდა, არსებობდა მხოლოდ ბრბო. მარტო კაცი, ინდივიდი აღარავის სჭირდებოდა, მისი არსებობა ანაქრონიზმად ითვლებოდა და ამქვეყნიდან ისევე უნდა გამქრალიყო, როგორც გაზაფხულზე თოვლი. აი, ეს გრძნობა, ამგვარი პერსპექტივა აფრთხილდა, არღვედა და ეს რღვევა წუხანდელი უძილო ღამის შემდეგ სულ უფრო ძლიერდებოდა და მის ფიქრებს იქ-

ითკენ მიერკეებოდა, საითაც გახედვა არ უნდოდა. ეს ხდებოდა მისდა უნებურად, ერთგვარი კაღნიერებითაც კი და იმის მაგივრად, რომ დამშვიდებულიყო, აკვირებული აზრისგან გათავისუფლებულიყო, შიგნით ყველაფერი უთუბთუბებდა და გაუგებრობასა და უაზრობას კიდევ მეტი გაუგებრობა და უაზრობა ემატებოდა. შინიდან გამოყოლილი განწყობილება იმ კაცივით უფორიაქებდა ტვინს, დიდი განსაცდელის წინაშე რომ დგას. მაგრამ მისი ცხოვრება არ იყო მოვლენებით მდიდარი, სიკეთესა და ბოროტებაში იმდენად ნაცადი, უკან რომ მოეხედა და რაღაცის გადაფასება მოეთხოვა ან დანაშაულის გრძნობა აღძროდა და საკუთარი თავი ეჯიჯგნა. იგი ძალიან ცოტა რამეს ხედავდა იმ სიბნელეში, წარსულს რომ ეძახდნენ და ძალიან ცოტა რამე შეეძლო გამოეცალკეებინა იმ ქაოსიდან, პირადად მისი წარსული რომ იყო და არა სხვისი. ამიტომ წესიერად არც ის იცოდა, რა არღვევდა შინაგანად, რა ამრუდებდა იმ უფერულ, უპერსპექტივო გზას, აქამდე რომ განვლო. მოვლენებს, მის მეხსიერებას რომ შემორჩა, არც მნიშვნელობა შეუცვლიათ და არც სხვა აზრი შეუძენიათ. მხოლოდ ეს იყო, რომ თავს მოტყუებულად, დამცირებულად, უმწიფარ კაცად გრძნობდა, ვისაც ქედმაღლურად ექცეოდნენ, ყოველდღე ჭკუას ასწავლიდნენ, მაგრამ იგი მაინც ვერ სწავლობდა ჭკუას, ვერ იქცეოდა ისე, მაღლამდგომთ რომ მოსწონებოდათ, ვერ იჯერებდა იმას, რაშიც ყველა ნამდვილად თუ მოჩვენებითად ღრმად იყო დარწმუნებული, დარწმუნებული კი არა, რაც ყველას ურყევ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, მას კი ჯერ არნახულ საშინელებად და დანაშაულამდე მისულ პირმოთენობად ეჩვენებოდა.

ქუჩაში ორმა მილიციელმა ჩაიარათითქმის სირბილით. მიუხედავად ნაცრისფერი ცისა, სახე ორივეს წამოწითლებული და უფრო ბრაზიანი ჰქონდა, ვიდრე საქმიანი. მათ ზუსტად იცოდნენ, სად მიდიოდნენ და რა უნდა ეკეთებინათ.

სიჩლუნგე, უხეშობა და უმეცრება ყოველი მათი ნაკვთიდან, ყოველი მოძრაობიდან გამოსჭვიოდა. ნაპატიები, ნავარჯიშები იყვნენ და მათ ყველაზე მეტად ახასიათებდათ ის ქედმაღლობა და სისასტიკე, კანონის ან, უფრო სწორად, სახელმწიფოს მსახურთ რომ მოეთხოვებოდათ. საერთოდ, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ქალაქში ძალზე იმატა სხვადასხვა ფორმაში გამოწყობილმა ერთგვაროვანმა სირეკვნემ. ისინი ყველგან იყვნენ, ყველგან მკვეთრად ჩანდნენ, ქვეყანა თავისად მიაჩნდათ და საქმე ულვევი ჰქონდათ. მან ზუსტად არ იცოდა, რამდენი კაცი ემსახურებოდა თბილისში არასამართლებრივი სახელმწიფოს უშიშროებასა და წესრიგის დაცვას და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რადგან გასაიდუმლოებული იყო ისევე, როგორც ყველაფერი, რაც სახელმწიფოს ფუნქციონირებას ეხებოდა, და არა მარტო ფუნქციონირებას, ისეთ რამესაც კი, როგორცაა შობადობა და სიკვდილიანობა, სამუშაო ადგილის რაოდენობა და უმუშევრობა, მაგრამ ფორმიანების მომრავლებას ის დიდი უბედურება მოჰქონდა, რომ მათი რიცხვის სწრაფად ზრდასთან ერთად, იზრდებოდა მსხვერპლო რიცხვიც. სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან თითოეულ მათგანს რაღაც ხომ უნდა ეკეთებინა, ხომ უნდა დაენახებინა და დაემტკიცებინა ზემდგომი ორგანოებისათვის, რომ ტყუილად არ იღებდა ხელფასს, რომ უაღრესად საჭირო კაცია და უმისობა არ იქნება. სწორედ აქ იყო ჩაბუდებული კიდევ ერთი დიდი საფრთხე დაუცველა მოქალაქეებისათვის. თუ ოპერატიულ მუშაკებსა და გამოძიებლებს საქმე არ ეყოფოდათ, უნდა გამოეკონებინათ, უნდა შეეითხნათ იმისათვის, რომ არა მარტო ადგილი შეენარჩუნებინათ, არამედ დაწინაურებულიყვნენ კიდევ. აბა, უსაქმოდ ხომ არ იჯდებოდა მთელი უწყება. მათ რომ სულ ახალ და ახალ საქმეებს სთხოვდნენ და გაუხსნიელ საქმეებს ცუდ მუშაობად უთვლიდნენ, ეს გათვითცნო.

ბიერებულმა ადამიანებმა კი არა, მანაც კარგად იცოდა.

ხელზე წვიმის რამდენიმე პატარა წვეთი დაეცა, მაგრამ მას სადარბაზოსა ან მალაზიისათვის თავის შეფარება არც კი უცდია. სანამ ტრამვაიში არ აღმჩინდებოდა, ადგილიდან ფეხის მოცვლა არ შეეძლო და ამიტომ ისევ თავის ფიქრებს მიეცა. ზაფხულში საიუველირო მალაზია გატეხეს და უამრავი ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობა წაიღეს. ის მალაზია ამჟამად ძველი ტორგისინას შენობაში იყო მოთავსებული, მაგრამ დაცვა აღარ ჰყავდა ისე გაძლიერებული, როგორც მაშინ. მხოლოდ ერთი თოფიანი დარაჯი იჯდა ქუჩაში კართან. მალაზიის საწყობში ჭერიდან ჩავიდნენ. იმ ბინაში, რომლის იატაკიც აკყარეს და მალაზიის ჭერი გახვრიტეს, ერთი ინჟინრის ოჯახი ცხოვრობდა. ინჟინერი შეეხუტებოდა იყო წასული, ცოლ-შვილი დასასვენებლად ჰყავდა წაყვანილი და ბინა დაკეტილი ჰქონდა. ამით ისარგებლეს მძარცველებმა, დაკეტილ კარს გასაღები მოარგეს და ისე მარჯვედ და ოპერატიულად იმუშავეს, რომ მეორე დღეს მთელი თბილისი ამაზე ლაპარაკობდა. მილიცია ფეხზე დადგა, მაგრამ მძარცველების კვალს ვერსად მიაგნეს. ადვილია შესაძლებელია, ისინი რუსეთიდან ან სხვა რესპუბლიკიდან იყვნენ ჩამოსულნი, საქმე კი აქაურმა კაცმა მისცა. ინჟინერს დეპეშა გაუგზავნეს და მეორე დღეს იგი უკვე თბილისში გაჩნდა. პირადად მისი ქონებისათვის მძარცველებს თითოც არ დაეკარებინათ, მხოლოდ ავეჯი იყო ერთ ოთახში გადაადგილებული და იატაკი დასვრილი. ამან ინჟინერი დაამშვიდა, მაგრამ არ დაამშვიდა მილიცია, რადგან მძიმე, გაუსხნელი საქმე აწვა მზრებზე. ამიტომ ინჟინერს თითქმის ყოველდღე იბარებდნენ, ათას სისულელეს ეკითხებოდნენ, ემუქრებოდნენ, უყვიროდნენ, აშინებდნენ. ერთხელაც დაიბარეს და აღარ გამოუშვეს, გამოუშვეს კი არა, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ციხეში გადააგზავნეს. მას, რა თქმა უნდა, არ სჯეროდა ისრა-

საც ამბობდნენ, მაგრამ ვილაც-ვილაცები, და გასაგები იყო, ვინ იყვნენ ის ვილაც-ვილაცები ხმებს ავრცელებდნენ: ავაზაკთა ის ბანდა კონტრრევოლუციის ერთ-ერთი ორგანიზაციის წევრები ყოფილან, იმ ორგანიზაციის წევრი ყოფილა ჩვენი ვითომდაც უცოდველი ინჟინერიც და ეს საქმე მას მიუცია ბანდისათვის, რომ ნაქურდალი შემდეგ კონტრრევოლუციური მუშაობისათვის გამოიყენებინათო. ცხადია, ყველაფერი ეს მონაჩმაზი იყო, ამით მილიცია გაუსხნელი საქმის პასუხისმგებლობას იშორებდა თავიდან, ინჟინერს ხელმოწერილი დაკითხვის ოქმით იქ უშვებდა, საიდანაც აღარ ბრუნდებოდნენ. ისიც დასაშვები იყო, რომ რომელიმე უბინაო თანამდებობის პირმა მის ბინას დაადგათვალი, რადგან დარწმუნებული ბრძანდებოდა, რომ გასამართლების შემდეგ ინჟინრის ცოლ-შვილს ბინიდან გამოყრიდნენ და სადმე სოროში შეყრიდნენ, მაგრამ ამგვარი რამ აღარავის აკვირვებდა. ეს არ იყო იშვიათი გამონაკლისი, ხდებოდა უარესი ამბებიც, რადგან უზარმაზარი უფლებრივი განსხვავება იყო შეიარაღებულებსა და განიარაღებულებს შორის.

შემდგომ მას იმ ინჟინრის შესახებ არაფერი სმენოდა, მაგრამ ის კი იცოდა, დღე არ გავიძლოდა თბილისში ისე, რომ რამდენიმე ბინა არ გაეტეხათ, მალაზია ან საწყობი არ გაეძარცვათ, ჯიბიგირებით ხომ სავესე იყო ტრამვაის ყოველი ვაგონი. არ ყოფილა შემთხვევა, ერთი კაცისათვის მაინც რომ არ ამოეცალათ ჯიბიდან ფული. ხალხი შეშინებული იყო, თუ ვინმე ჯიბიგირს გასცემდა, სამართებლით უსერავდნენ სახეს. ქურდობა და მძარცველობა ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა იყო მთელ ქვეყანაში, როგორც დილით რადიოს ჩართვა. ყველა ქალაქში არსებობდა ქურდების არალეგალური ინსტიტუტი თავისი მკაცრი კანონებით, იერარქიითა და ინტერნაციონალური სულისკვეთებით. ეს იყო ძლიერი, თითქმის შეუმუსრავი ორგანიზაცია, რომელსაც ქურდებს შორის ავტო-

რიტეტული პიროვნებები განაგებდნენ. მათ გამოძიებლებიც თავიანთი ჰყავდათ და სასამართლოც თავიანთი ჰქონდათ. მხოლოდ ეს იყო, რომ გამოძიებაც და გასამართლებაც უფრო ობიექტურად მიმდინარეობდა, ვიდრე სხვა უწყებათა სასამართლოებში. ქურდობა რევოლუციამდეც ფართოდ იყო გავრცელებული რუსეთის იმპერიაში, მაგრამ რევოლუციის შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურდა, განმტკიცდა, უფრო ორგანიზებული და მიზანდასახული ხასიათი მიიღო. ზოგიერთ სახელმწიფოებში ქურდს დიდ ანგარიშს უწევდნენ და ხალხში ისეთი ავტორიტეტი ჰქონდა, რომ ბევრ ფუნქციონერს შეშურდებოდა. გარდაცვალების შემთხვევაში ასეთ ქურდებს დიდ ზარ-ზეიმით ასაფლავებდნენ მისი ძმა-ბიჭები, უამრავ გვირგვინს უკეთავდნენ და თუ რამეს ან ვინმეს დაქირავება სჭირდებოდა, მხოლოდ საუკეთესოს ქირაობდნენ. მხოლოდ ეს იყო, რომ ქურდებისათვის არ არსებობდა ჰუმანიზმი, საზოგადოებრივი ინტერესები და, რაც მთავარია, პოლიტიკაში არ ერეოდნენ, პირიქით, უკომპრომისო ლოიალობას იჩენდნენ არსებული ხელისუფლებისა და მთავრობის მიმართ, ეხმარებოდნენ კიდევ მათ იდეური მოწინააღმდეგეების დევნაში და ამიტომ არც მთავრობა სჯიდა მათ მეტისმეტად მკაცრად, არ აწამებდა მხეცურად. ქურდი არ იყო ისე დაუცველი, როგორც წესიერი მოქალაქე. ეს იყო იმის მიზეზი, რომ უფრო თამამად, უფრო გამოძვევად ეჭირათ თავი, ამყობდნენ თავიანთი სახელითა და ავტორიტეტით. ქურდებსა და მთავრობას შორის არსებობდა ერთგვარი უსიტყვო შეთანხმება — ნუ ჩაერევით ჩვენს საქმეში და არც ჩვენ ჩავერევით თქვენს საქმეში, დასჯით კი მხოლოდ ის დაისჯება, ვინც ჩაეარდება. მაგრამ ასეთი შეთანხმება არ არსებობდა ხელისუფლებასა და საზოგადოების დანარჩენ წევრებს შორის და კვლავ მოქმედებდა ძველი ლოზუნგი — ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენი მტერია.

გაჩერებაზე ხალხი თანდათან მატუ-

ლობდა. გამოჩნდნენ ნაცნობი სახეებიც. მართალია, იგი მათ არ ესალმებოდა, მაგრამ იცოდა, რომ ან ამ, ან მიმდებარე ქუჩაზე ცხოვრობდნენ და მტკვრის გაღმა მსახურობდნენ. მათ შორის ბევრი იყო არაქართული სახეც — რუსის, სომხის, ებრაელის, გერმანელის; იყვნენ სხვადასხვა ერის ცალკეული წარმომადგენლებიც, მაგრამ ვერც ერთ მათგანზე ვერ იტყვოდი, უცხოა, თავის იერთა და ქცევით ადგილობრივ მკვიდრთაგან გამოირჩევაო, რადგან ჰქონდათ მათ რაღაც საერთო, რაღაც თბილისური და ზოგს ეს ქედმაღლობისაგან ათავისუფლებდა, ზოგს კი შებოჭილობისაგან. დროის ცვლასთან ერთად, თბილისში მცხოვრები არაქართველებიც იცვლებოდნენ. ეგუებოდნენ იმ სიდუხჭირეს, უფლებობას, სივწროვეს, უნდობლობასა და სისასტიკეს, მათ ოჯახებშიც რომ შეაღწია, ცდილობდნენ უფრო დაცულნი ყოფილიყვნენ, სახელმწიფოს ფრთებქვეშ შეეფუთაყვნენ, ეცნოთ ის სინამდვილე, ყოველდღიურად სულ უფრო მეტად რომ შიშვლდებოდა და თავის ნამდვილ არსს ავლენდა. მათთვის ეს გაცილებით უფრო იოლი იყო, რადგან პირადი ინტერესებით ხელმძღვანელობდნენ და არა ეროვნულით. თბილისელობა სულაც არ ნიშნავდა ქართველობას, იმ ხალხის ინტერესების გათავისებას, ვის მიწაზეც ცხოვრობდნენ. ამ მხრივ მათ არავითარი პასუხისმგებლობა არ ეკისრებოდათ, არ იყვნენ სუვერენული ქვეყნის ქვეშევრდომნი და ამიტომ ბევრი მათგანი ან დამსჯელ ორგანოში მსახურობდა, ანდა ისეთ უწყებაში, კანონის აღსრულების ფუნქცია რომ ეკისრებოდა. რა თქმა უნდა, იყვნენ მათ შორის ინჟინრებიც, ექიმებიც, მასწავლებლებიც, იშვიათი პროფესიის წარმომადგენლებიც, მაგრამ უმეტესობა ცდილობდა შეეეცოთ ის სიცარიელე, ეროვნულ ნიადაგზე რომ წარმოიშობოდა დროდადრო, ხოლო თუ ვინმეს ავიწყლებოდა, სად ცხოვრობდა, ან რამეს ისე ვერ აკეთებდა, როგორც ამას საქმე მოითხოვდა, ისინი ამით სარგებლობდნენ და თავიანთ

ცხოვრებას იწყობდნენ. მათ შორის ბევრი იყო აგრეთვე შუა ფენის მოხელე, ამ ცნების კიდევ უფრო მკაცრი გაგებით, როგორც ეს მეფის რუსეთში ესმოდათ. ბიუროკრატიზმი მათ ძვალ-რბილში ჰქონდათ გამჯდარი და დარწმუნებულნი იყვნენ, რაც უფრო ნაკლებს გასცემდნენ, რაც უფრო ნაკლებს ქაღალდს მოაწერდნენ ხელს, მით უფრო მტკიცედ დაიცავდნენ სახელმწიფოს ინტერესებს და მით უფრო ნაკლები თავსატეხი ექნებოდათ პირადად მათაც. მართალია, თავის გამოჩენა, სცენის წინა პლანზე გამოსვლა არ უყვარდათ, პრინციპულობას პირმოთენობა ერჩიათ, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა იმას, რომ არ იცოდნენ თავიანთი უფლებების ფასი და არ შეეძლოთ მათი მაქსიმალურად გამოყენება. მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, სადაც ქაღალდი ყველაფერი იყო, ადამიანი კი — არაფერი. ამგვარი მოხელეების რაოდენობა იმავე პროგრესით იზრდებოდა, როგორც ფართოვდებოდა ბიუროკრატიული აპარატი და რადგან იმ დროს საქმის რუსულად წარმოება არც ისე ბევრ ქართველს შეეძლო, განსაკუთრებით სოფლის ხარჯზე მზარდი ქალაქის მოსახლეობას, ამიტომ ბიუროკრატიის უმრავლესობა არაქართველები იყვნენ. ეს კი პარადოქსულ მდგომარეობას ქმნიდა, საქართველოში ქართველის ბედი, უფრო სწორად, მისი უფლებრივი სტატუსი, არაქართველზე იყო დამოკიდებული. ბუდეებში ისინი ისხდნენ, ქართველები კი ამ ბუდეებს უკვდიდნენ გარშემო. მართალია, საშუალო ფენის მოხელე არ იყო პარტიული ფუნქციონერი, არ ვვიროდა, არ ივინებოდა, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში არ ებმებოდა, მაგრამ თავის ადგილზე იმდენად საჭირო იყო, ფუნქციონერს რომ მიენდომებინა კიდევ, მაინც ვერაფერს მოუხერხებდა, ვერ დაითხოვდა, ვერ გააგდებდა, რადგან უმისოდ არსებობა არ შეეძლო, უმისოდ ბრძანებებსა და განკარგულებებს ძალა არ ჰქონდა. ეს იცოდა ბიუროკრატმა და სწორედ ამან წარმოშვა კორუფცია, რადგან უაღრესად ძნელია, ამხელა უფ-

ლებები გქონდეს და მათ გამოყენება-არგამოყენებაში გასამრჯელო არ აიღო. და იღებდნენ კიდევ, მართალია, ზომიერად, მაგრამ ხზგებზე უკეთ რომ ეცხოვრათ, მათთვის ესეც საკმარისი იყო. ზოლო რომ იღებდნენ, ეს მათ ჩაცმულობაზეც ეტყობოდათ და სიმამღრეზეც. მხოლოდ ზოგიერთთა ტუჩების მოხაზულობასა და თვალებთან განჩინილ ნაადრევ ნაოჭებში იგრძნობოდა, რომ არ მოსწონდათ იმგვარი ცხოვრება, როგორც ცხოვრობდნენ და ამის გამო უფრო დამფრთხალი და არასრულფასოვანი ჩანდნენ, ვიდრე გამწყრალი და გაგულისებულნი.

მან თვალი მორიდა ერთ-ერთ ასეთ დანაოჭებულ სახეს და მოლოდინთ შეპყრობილმა, ქურჩას გახედა. სახლები, ბოძები, ნაცრისფერი და მოწითალო ლაქები მჭიდროვდებოდნენ, ცახცახებდნენ, მისკენ მოიწევდნენ, მაგრამ ტრამვაი ჯერ შორს იყო და ეს შემჭიდროვება და ცახცახი ტრამვიას ჯაყჯაყით კი არ იყო გამოწვეული, არამედ იმით, რომ დღეს ყველაფერი უჩვეულოდ მოძრაობდა, ზოგი რამ წინ მოიწევდა, ზოგი უკან იხევდა, რაღაც-რაღაცები ფართოვდებოდა, რაღაც-რაღაცები ვიწროვდებოდა და სხვა დღეებისაგან განსხვავებით, ერთ მთლიანობას კი არ წარმოადგენდა, არამედ ქალაქისა თუ ქურჩის ნაფლეთებს, რომლებიც მას ვეღარ გუობდნენ, არ სცნობდნენ იმ კაცად, თავის თავს რომ ეკუთვნის და გარემოს აღქმის ჩვეულებრივი უნარი აქვს.

თამაშის წესი და წონასწორობა რომ დარღვეული იყო, ეს მასზე ადრე შეიგნო ბევრმა და მზარი ისე იცვალა, როგორც ამას დრო მოითხოვდა, მაგრამ პირადად მას თამაშის წესის დარღვევა ისე არ აწუხებდა, როგორც ის, რომ ეს ხდებოდა მკაცრად ცენტრალიზებულ სახელმწიფოში და ამ ცენტრალიზმის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის შეეძლოთ ბევრი ისეთი რამ შემოედოთ, რაც აქამდე არსად არსებულა და არავის გაუგონია. ამის ზოგიერთი ნიშანი უკვე ჩანდა, ზოგი რამ კი ცხადად იგრძნობოდა, გან-

საკუთრებით მაშინ, როცა კაცი მარტო რჩებოდა ბნელში და თავისთვის ფიქრობდა. ჯერჯერობით არ არსებობდა იმის საშუალება, რომ ადამიანის აზრი ამოეკითხათ ან მისი ქცევისა და მოქმედებისათვის ყოველწუთიერად ედევნებინათ თვალი, ჯერჯერობით ადამიანებს ჰკიდებდნენ ერთმანეთს, აბეზღებინებდნენ, ასმენინებდნენ, პირზე აყენებდნენ, მაგრამ ტოტალური თვალყურის დევნების დრო რომ უკვე დამდგარი იყო, ეს სახლშიც იგრძნობოდა, ქუჩაშიც და სამსახურშიც, იგრძნობოდა დღისითაც და ღამითაც. არ არსებობდა მხოლოდ თვალყურის დევნების ტექნიკური საშუალებები, ისეთი აპარატის თვალი, ყველა კუთხე-კუნჭულში რომ შეიხედავდა, ისეთი მგრძნობიარე ხელსაწყო, ადამიანის ფიქრებს რომ ამოეკითხავდა, ისეთი ძლიერი პრეპარატი, ყველას რომ შიშს შთაუნერგავდა და ერთ აზრზე დააყენებდა. ეს არ ხდებოდა ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო და არც იმიტომ, რომ ეს იქნებოდა ამორალური ღონისძიება, საზოგადოებაზე უპრეცედენტო თავდასხმა, კაცში კაცურის ჩაკვლა და მისი ცხოველად გადაქცევა, არამედ იმ მიზეზით, რომ არა თუ ადამიანის ბუნების გაუმჯობესება, მისი ძალდატანებით გადაკეთებაც კი ვერ მოხერხდა, ვერ მოხერხდა ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრების შემუსვრა, რასაც არაბუნებრივი, არაცხოვრებისეული მოძღვრება ისახავდა მიზნად. და რადგან ასეთი რამ სინამდვილეში შეუძლებელი აღმოჩნდა, განადგურება, დასჯა, მოშობა არა მარტო ადამიანებს დაუწყვეს, არამედ იმ ცხოვრებასაც, რაზედაც პატარა, ჩვეულებრივ ადამიანს ხელის აღება არ შეეძლო, რადგან სხვა არაფერი გააჩნდა.

განერებაზე თავმოყრილი ბრბო ყვანებდა, მოახლოებული ტრამვაის იერიშით აღებისათვის ემზადებოდა. რეპროდუქტორი თავის საზეიმო მარშით მთელ მოედანს აყრუებდა. სასულე ორკესტრის ბრაჟურული ბგერები არც მაჟორულ დილას შეეფერებოდა და არც იმ ბნელ ზრ ხვეებს, გარედან რომ არ ჩანდა, მაგ-

რამ მოყვანე ბრბოს გულსა და გონებაში ცხადად იკვეთებოდა. ტრამვაი კი ახლოვდებოდა, უკვე გარკვევით ისმოდა მისი ზარის მზიარული წკარუნი. მოპირდაპირე სახლის ფანჯრებიდან ჯერ კიდევ გამოსჭვიადა სინათლე და ფერმკრთალი სხივები, გარეთ რომ იჭრებოდნენ და მტერიან, შესქელებულ ჰაერს ვერც ფერს უცვლიდნენ და ვერც საგნობრიობას მატებდნენ, თანდათან იბრიცებოდნენ, უფერულდებოდნენ და თვალსა და ხელს შუა უჩინარდებოდნენ. ასე უჩინარდებოდნენ ამ ქალაქში ადამიანებიც, რადგან მთლიანად, სულიან-ხორციანად ეგუებოდნენ არაბუნებრივ ვითარებას და თავისთვის სულ მცირე პიროვნულ ღირსებასაც კი არ იტოვებდნენ. გუმანით გრძნობდნენ, რომ რაიმეს შენარჩუნება, საკუთარ ფეხზე ცერით დგომა მათი უსაფრთხოებისათვის შეუფერებელი და სახიფათო იყო. ერთიანი, აბუჩად აუგდოთ, არავითარი ანგარიში არ გაეწიათ, ადამიანად არ მიეჩნიათ, ვიდრე მტრად ჩაეთვალათ. მაგრამ იშვიათად, აქა-იქ გამოჩნდებოდნენ ხოლმე ისეთებიც, რომელთაც ვერაფრით ვერ აიღეს ხელი კაცობაზე, ვერ შეეგუენ შეუგუებელს. თითქოს იკისრეს კიდევ ცოცხა, თითქოს წახდნენ და წაიწყმიდეს სული, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, არ შეეძლოთ უზნეო ნაბიჯის გადადგმა, ვერ სწირავდნენ უდანაშაულო ადამიანს. იცნობდა იგი ერთ ასეთ ახალგაზრდა კაცს, მათ ქუჩაზე ცხოვრობდა მეზობელ ეზოში, ნაკითხი ყმაწვილი იყო, განათლებული, კარგ ოჯახში აღზრდილი, სადაც ზნეობა და ადამიანური ღირსება ფასობდა. თავიც ისე ეჭვრა, როგორც ნამდვილ ინტელიგენტს შეეფერება. ქედმაღლობა არ სჩვეოდა, მაგრამ არც ბრბოში ითქვიფებოდა. სხვებისაგან იმით გამოირჩეოდა, რომ თავის ადამიანურ თვისებებს არ აუფასურებდა, არ კარგავდა ინდივიდუალობასა და თავისთავადობას. ერთი სიტყვით, ფეხქვეშ არავის ეგებოდა. ერთ დამეს ის ახალგაზრდა კაცი დააპატიმრეს. სამი თვე არსად ჩანდა, მის გამოჩენას არც

ელოდა არავინ. მაგრამ მოხდა სასწაული და ერთ მშვენიერ დღეს ისევ გამოჩნდა ქუჩაში. იერი და გამოძველებული სულ სხვანაირი ჰქონდა, სახე პირქუში, გაუღიმარი, მზერა ცივი და შიგნით შებრუნებული, სიარული მძიმე, არსად მიმავალი. გავიდა კიდეც სამი თვე და ის ახალგაზრდა კაცი ისევ დააპატიმრეს და მას შემდეგ მართლაც აღარ უნახავს არავის. ეს კატის თავგათან თამაში არც ისე ძნელი ასახსნელი იყო. იმ პირველ სამ თვეს, ეტყობა, იგი ისე აწამეს, რომ ბოლოს და ბოლოს დაიყოლიეს მათი აგენტი გამხდარიყო და, ალბათ, უთხრეს, თუ, გამჭრიახობას გამოიჩენს და ჭკუას მოუხმობს, თუ ხალხის მტრებს დაუზოგავად ამხელს, შეიძლება არა მარტო ძველი ცოდვები აპატიონ, არამედ ორგანოებშიც დააწყებინონ მუშაობა და თუ ამას დაიმსახურებს, დააწინაურონ კიდეც. ეტყობა, იგი ისე იყო გაწამებული, რომ ყველაფერზე დათანხმდა, ოღონდ ცოტა ხანს მოშვებოდნენ. თუმცა, როცა ციხიდან უშვებდნენ, ალბათ, იმაშიც იყო დარწმუნებული, რომ მართლაც ასე მოიქცეოდა, სწორედ იმას მოიმოქმედებდა, რასაც მისგან მოითხოვდნენ. მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, როცა კაცი მოსთხოვეს და თანაც დაბეჯითებით, ამის გაკეთება ვეღარ შეძლო და თვითონ გასწირა თავი. ზუსტად ისე მოიქცა, როგორც სინდისი უკარნახებდა. ეს იყო გმირობა, ჭეშმარიტი გმირობა, მაგრამ იქ, სადაც წაიყვანეს, ამგვარი საქციელი გმირობად კი არ ჩაუთვალეს, არამედ ღალატად, რისთვისაც, ალბათ, დაზვრიტეს კიდეც.

სანამ ტრამვაი ჩამოდგებოდა, მან გაჩერებაზე თავმოყრილი ხალხი შეათვალიერა და ორ, საკმაოდ ჩასკენილ მამაკაცს ჩაუდგა წინ. გამხდარი იყო და გამოძველებული არ უჭირდა. თანაც ეს ხდებოდა ზუსტად მაშინ, როცა რაიმეს შეცვლა უკვე შეუძლებელი იყო. ამ დროს ბრბო უკვე ქმინავდა, ძალას იკრებდა, საიერიშოდ ეშვადებოდა. ამ იერიშიში ქალებიც ისევე შეუპოვრად იდებდნენ მონაწილეობას, როგორც მამა-

კაცები. აქ უკვე აღარ არსებობდნენ ინდივიდები, აღარ არსებობდა სქესი. ყველას ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა — ტრამვაიში შეეღწია როგორმე. ამიტომ აქ ადამიანები უფრო გონივრულად, უფრო რაციონალურად მოქმედებდნენ, ვიდრე იმ დიდ გზაზე, საითაც მათ პლანეტები და ლოზუნგები მოუწოდებდა. არც მტრებად ეკიდებოდნენ ერთმანეთს და არც ხელმოუწერელ საჩივრებს წერდნენ. აქ არ არსებობდა იერარქია, აქ ყველა თანასწორი იყო და ყველას თანაბარი უფლებები ჰქონდა. უფლებამოსილებები ტრამვით არ დაბრძანდებოდნენ სამსახურში, თუ ავტომატქანა არა, ეტლი მაინც ემსახურებოდათ. ბრბოს სულისკვეთებით არც თვითონ იყო გამსჭვალული, ამ ყაყანსა და მიწვე-მოწვევას მარტო, თავისთვის ყოფნა და სიჩუმე ერჩია, მაგრამ რა ექნა? უნდოდა თუ არა, მაინც ბრბოში უნდა გათქვეფილიყო, უნდა დამორჩილებოდა იმ წესს, ცხოვრებამ რომ მოიტანა. სხვანაირად ვერ იარსებებდა, ყველგან დააგვიანდებოდა, ყველას ჩამორჩებოდა, დაჩიავდებოდა, დაბეჩავდებოდა, ეს კი საკუთარი თავისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანას უდრიდა, რადგან ადამიანებს დაგლახაკების უფლებაც ჰქონდათ წართმეული. მათხოვრობა კანონით იღვენებოდა, მუქთაზორობად ითვლებოდა. მუქთაზორობები კი არ შეიძლებოდა ჰყოლოდა იმ საზოგადოებას, ამდენი მსხვერპლის ფასად რომ შენდებოდა. ამიტომ მათ ან მუქთაზორობისათვის ასამართლებდნენ, ანდა გაუსამართლებლად აგზავნიდნენ ვერეთ წოდებულ „შრომა-გასწორების“ ბანაკებში. და არა მარტო მათხოვრები, იღვენებოდნენ თავისუფალი პროფესიის ადამიანებიც, თუ შთი მყარი შემოსავალი არ ჰქონდათ, თუ რომელიმე კავშირში ან ორგანიზაციაში არ იყვნენ გაფორმებული. კავშირი, დაწესებულება, ორგანიზაცია კი ვალდებული იყო კონტროლი გაეწია ყველა თავისი წევრისათვის, რადგან ის კაცი, ვინც ტოტალური კონტროლის გარეშე რჩებოდა, საზოგადოებისათვის საშიშ პიროვნებად ითვლებოდა.

სოფლებში ამავე როლს ასრულებდნენ კოლმეურნეობები, მათი გამგეობა. ყოველდღიურ კონტროლს ექვემდებარებოდა თითოეული გლეხის ოჯახი, მისი შრომას, წასვლა-წამოსვლა. ამ ტოტალურ კონტროლს ვერავინ ვერსად გაექცეოდა, ვერსად დაემალებოდა. მით უმეტეს, ისეთი კაცი, პრივილეგიებს რომ არ ეძებდა და ზურგს არავინ უმაგრებდა. ასეთი კაცის ბედი ყოველდღიურ ცხოვრებისეულ წვრილმანებზე იყო დამოკიდებული და ამ წვრილმანებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ახლა რომ მას ტრამპაიში ვერ შეედწია, სამსახურში დააგვიანდებოდა, რაც შეუძმნეველი არ დარჩებოდა. მაგრამ ასე რომ გაგრძელებულიყო ხვალაც და ზეგაც, საყვედურს კი აღარ ეტყოდნენ, არამედ სამსახურიდან დაითხოვდნენ. დათხოვნილი კაცის სხვაგან მოწყობა კი უსაშველოდ ჰქირდა, რადგან უნდობლობამაც ტოტალური ხასიათი მიიღო. ტოტალიტარიზმში მოიცვა ყველაფერი — ქალაქიც, სოფელიც, მმართველობაც, წარმოებაც და ოჯახიც. ეს იყო უზარმაზარი მანქანა, რომელიც სრესდა ყველას, ვინც მასთან ერთად არ ბრუნავდა.

ხალხით დახუნძლული ტრამპაი დაღლილი ცხენით გაჩერდა. ერთი შეღავათი ის იყო, ამ გაჩერებაზე ბევრი მგზავრი ჩამოდიოდა. წინიდან ჩამოსვლისა და უკნიდან ასვლის წესს მკაცრად იცავდნენ, სხვაგვარად არც შეიძლებოდა, რადგან უწყესრიგობა დიდ არეულობასა და შეხლა-შემოხლას გამოიწვევდა. ბრბო ტრამპაის უკანა კარისაკენ დაიძრა და იგი თან გაიყოლია. მთავარი იყო, ფეხი შეედგა საფეხურზე, მერე უკვე მასზე აღარაფერი იყო დამოკიდებული, თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობას სიერცე არ იძლეოდა. ტრამპაიში შეტანილი, უკანა ბაქნის ფანჯრამდე მიიტანეს და იმაზე მეტი რაც ეკუთვნოდა ერთი გოჯი სიერცე არ დაუთმეს. უეცრად არყისა და ნიურის სუნი ეცა ცხვირში და ფანჯრისაკენ შებრუნდა. თუმცა ტრამპაიში ყოველთვის იდგა გამოუბანელი ილღიებისა და დაუბა-

ნელი ფეხის სუნი. თბილისში აბანოები ცოტა იყო, სახლებში ცხელი წყალი არ მოდიოდა, ცხელი წყალი კი არა, ცივსაც ვედროებით უზიდებოდნენ ეზოდან და ამიტომ ბევრი თვეში ერთხელ თუ იბანდა ტანს. ოფლის სუნს ემატებოდა იაფფასიანი სუნამოსა და ოდეკოლონის სუნიც და იქმნებოდა ისეთი ნაზავი, რომლის მსგავსი, ალბათ, თბილისის ტრამპაის გარდა, არსად იყო. არანაკლებ გამაღიზიანებელი იყო ისიც, პირში ან კეფაში რომ გასუნთქებდნენ. იმ წამსვე ირკვეოდა, იმ დღით ვის რა ეჭამა და ვის რა ესვა. ხშირად ზდებოდა ისიც, რომ შენს წინ, შენს გვერდით ან შენს უკან ქალი აღმოჩნდებოდა და გინდოდა თუ არა, მოგწონდა თუ არა, ერთხანს მასზე მიწებებულს უნდა გემგზავრა. მაგრამ ყოველივე ამას, ასე თუ ისე, შეჩვეული იყო, აუტანელი სიტუაცია მაშინ იქმნებოდა, როცა გვერდით ნაცნობს ან თანამშრომელს დაინახავდი. არაფრისმთქმელი, ზერედე, ვალის მოსახდელი საუბარი არ უყვარდა, სერიოზულს, საჭირობოტოს, მტკივნეულს კი სხვების თანდასწრებით ვერაფერს იტყვოდა, ხუმრობით, ჰუმორითაც კი ვერ შეეხებოდა იმ პირებსა და იმ მოვლენებს, მართლაც სალაპარაკო რომ იყო. ამიტომ ასეთი შეხვედრის დროს ყოველთვის უხერხულად გრძნობდა თავს, იმდენად უხერხულად, რომ ამით მოსაუბრესაც ცუდ მდგომარეობაში აყენებდა და ეს აწუხებდა, არასრულფასოვნების გრძნობას უმძაფრებდა.

ტრამპაი ვერის ხიდზე გავიდა. მტკვრის ორივე ნაპირზე ჯებირებს აშენებდნენ და ამიტომ მდინარე ხარაჩოებში იყო ჩასმული. შევიწროებული მტკვრის ტალღები ნაპირებს აწყდებოდნენ, ნაცრისფერ ქვიშას ლოკავდნენ. ფანჯრებზე წვიმის წვეთები ჩამოიღვარა და ხედი გააბუნდოვნა. მან თავი მოაბრუნა, მგზავრები შეადვალევინა. შეიძლება მისი ნაცნობი ამ ვაკონში სხვებიც იყვნენ, ზურგიდან ყველას ვერ იცნობდა, მაგრამ ერთი მისი თანამშრომელი შუა ვაკონში ისე იყო გაჭვდილი, რომ



ადგილიდან კარგა ხანს ვერ მოიცვლიდა ფეხს და ამან დაამშვიდა, ირგვლივ, წინაც და უკანაც, სახეების ისეთი სიჭრელე იყო, ისე ტრაგიკულად უპირისპირდებოდა გამომეტყველება გამომეტყველებას, როგორც გონიერება უგუნურებას. ნამდვილი, ჯანმრთელი თვალით დანახული აქ არც ხალხით გაჭედვითი ტრამვა იყო, არც იმათი სახეები, რომელთაც ნგრევის ემინოდათ და არც იმათი, რომლებიც არა მარტო დაჩლუნგდნენ, არამედ გაპირუტყვდნენ კიდეც. არსად ჩანდა ისე ცხადად, თუ რა მრავალსახოვანი და მრავალწახნაგოვანია შიში და სიხარბე, როგორც აქ, ტრამვას ვაგონში. მომავალი რომ ბუნდოვანი იყო, ამას შეგნებულად თუ შეუგნებლად ყველა გრძნობდა, მაგრამ ეს ბუნდოვანება ზოგს კი აიძვებდა. ტრამვას ვაგონში მეტნაკლები სიცხადით ინიშნებოდა ის ქაოსი, რომლის ელემენტებად დაშლა და საზოგადოებრივად დალაგება აღარავის შეეძლო. აქ აღარ იყვნენ მდიდრები და ღარიბები, პატიოსნები და უპატიოსნონი, ნიჭიერები და უნიჭოები, პრინციპულები და უპრინციპონი, აქ ვერც იმას განსაზღვრავდა კაცი, ვის რა პროფესია ჰქონდა, ვინ რა საქმიანობას ეწეოდა. აქ ყველა მოტყუებული იყო, მაგრამ არავინ გრძნობდა თავს მოტყუებულად, ყველა სწორ გზას იყო აცდენილი, მაგრამ არავინ თვლიდა, რომ გზასაცდენილია, ყველა გათიშული, დამარტოხელებული, სხვებისადმი მტრულად განწყობილი ჩანდა, მაგრამ ყველას კოლექტიურობა და სოლიდარობა ეკერა პირზე. ფორმალურად აქ არავინ არავისზე ნაკლები არ იყო და არავინ არავისზე მეტი მანამდე, სანამ ხელისუფლების წარმომადგენელი არ გამოცხადდებოდა და ვინმეს რამეში არ დაადასაშაულებდა, ხალხის სახელით პასუხს მოსთხოვდა. აი, მაშინ კი ატყდებოდა ერთი აურზაური, ლანძღვა-გინება, გაწევვა-გამოწევა. ბრბო ალვისს აიხსნიდა და ყველაფერში, რაც ირგვლივ ხდებოდა, ის ერთი კაცი აღმოჩნდებოდა დამნაშავე, იმ ერთს გაუსწორდებოდა ყველა იმის შიშით, რომ მისთვისაც არ

მოეთხოვათ პასუხი, არ ეთქვათ, რომ მტერს ინდობს და იგიც მასავით მოსასპობია. ის ამბავი, ახლა რომ მის მეხსიერებაში ამოტივტივდა, ასეთივე ვაგონში მოხდა ამავე ხაზზე. მხოლოდ ეს იყო, რომ, იგი სამსახურში კი არ მიდიოდა, არამედ სამსახურიდან ბრუნდებოდა. შავებში ჩაცმული, მგლოვიარე ქალი თავისთვის ჩუმად იჯდა, იჯდა დაღვრემილი, ფიქრებში წასული, სახეზე ისიც ეწერა, რომ მის სულში მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა, — კვდებოდა რაღაც ძველი და იბადებოდა ახალი, რაღაც სიკვდილ-სიცოცხლის ტოლი. ის იყო, მან მგლოვიარე მანდილოსანს თვალი მოარიდა, რომ უეცრად ქალი ფეხზე წამოიჭრა, ხელები მალა აღმართა და ისტერიულად მორთო ყვირილი: „ძირს სტალინი, ძირს სისხლისმსმელი ბერია, ძირს საბჭოთა ხელისუფლება!“ ერთი წუთით სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა, ყველაფერი გახევდა, გაითოშა და გაიყინა, მაგრამ რადგან ქალი ყვირილს განგრძობდა, შეშინებულმა ბრბომ იხუვლა, სახე და სხეული დაემანჭა, პირზე დუფი მოადგა და ის შავებში ჩაცმული ქალი ისე გათელეს, ისე გასრისეს ფეხით, თითქოს უცხო ქვეყნიდან შემობარული შხამიანი ქვეწარმავალი ყოფილიყოს. და ეს გამოიწვია არა იმ ქალისადმი პირადმა სიძულვილმა, არამედ ცხოველურმა შიშმა.

საპირისპირო მხრიდან შავი, დახურული სატვირთო მანქანა გამოჩნდა. ასეთი მანქანა არც ისე ბევრი იყო ქალაქში და მისი გამოჩენა ყოველთვის უსიამო გრძნობას იწვევდა, რასაც, ცხადია, მძიმე, მუჭფეროვანი ასოციაციები მოჰყვებოდა ხოლმე. დროის კიდე ერთი ნიშან-თვისება იყო ყველაფრის გასაიდუქლოება, ჩაკეტვა, დახურვა, შემოღობვა, ყველგან დარაჯი იდგა, იქაც კი, სადაც ამას არავითარი აუცილებლობა არ მოითხოვდა. იარაღით ხელში იცავდნენ — უწყებებს, დაწესებულებებს, ქარხნებს, ფაბრიკებს, წყალსაცავებს, ელექტროსადგურებს, ხიდებს და საკოლმეურნეო მინდვრებსაც კი. ყველაფერ ამას იცავ-

დნენ არა ქურდებისა და მძარცველები-
საკან, არამედ მანქანებისა და დივერ-
სანტებისაგან, რომლებიც თითქოსდა
ყველგან იყვნენ და მათი მოსპობა არაფ-
რით არ ხერხდებოდა. სანამ ბიჭს ფეხე-
ბი მოსწყდებოდა, მისი ხათრით, ერთი-
ორი ამგვარი ფილმი მანაც ნახა. მათში
ნამდვილი, მხატვრული და ცხოვრებისე-
ული არაფერი იყო. თემატურად ორი-
ვე ფილმი სქემატური, პრიმიტიული და
ერთგანზომილებიანი აღმოჩნდა და თუ
რაიმე ემოციურ ზეგავლენას ახდენდა,
მხოლოდ მსახიობების თამაში. იმ ფილ-
მებშიც იარაღით ხელში იცავდნენ ქარ-
ხნებსა და ფაბრიკებს, დიდი მნიშვნე-
ლობა ენიჭებოდა სეიფებს, საიდუმლოე-
ბის დაცვას. რატომღაც, ყოველთვის
ჩვენ გვპარავდნენ გამოგონებას, ახალ
პროექტს, ახალ იდეას. გამწვავებულ
კლასთა ბრძოლის ხანაში წყველი დივერ-
სანტები რა ხერხს არ მიმართავდნენ, რა
ხრიკებს არ იგონებდნენ თაქიანთი მიზ-
ნის მისაღწევად, მაგრამ ბოლოს კოვზი
მანაც ნაცარში უვარდებოდათ, რადგან
ხალხი, უბრალო ადამიანები, ფიზიკობ-
დნენ, დივერსანტების ყოველ ნაბიჯს
თვალყურს ადევნებდნენ და თუ ეს საჭი-
რო იყო, საიდუმლოების დაცვას სიცო-
ცხლესაც კი სწირავდნენ. ამ ფილმებშიც
ფიგურირებდა მაღალი კედლები, დარა-
ჯები, საიდუმლო ფოსტის დამტარებელი
კურიერები, დარაჯები და კურიერები
მუშათა კლასის დიდ არმიას წარმოად-
გენდნენ და მათი შენახვა სახელმწიფოს
მიმღე ტვირთად აწვებოდა. ასევე გასაი-
დუმლოებული იყო არა მარტო მთელი ბან-
კის მუშაობა, არამედ ცალკეული საიდუმ-
ლო განყოფილებები, სადაც რიგით თანამ-
შრომელს შესვლის უფლება არ ჰქონდა.
ხოლო ამ განყოფილებების საიდუმლო-
ებით დაინტერესება კარგს არავის არა-
ფერს უქადდა. მხოლოდ სპეცკურიერებს
ჰქონდათ. იქ შესვლისა და საიდუმლო
ქაღალდების შეტანის უფლება. ყოველ
მათგანს ფორმა ეცვა, გვერდზე ნაგანი
ეკიდა და ძალზე სერიოზულები იყ-
ვნენ. საერთოდ, ბოლო დროს უამრავი

საიდუმლო ქაღალდი მოდიოდა ბანკში
და, ალბათ, ასევე იყო სხვა დაწესებუ-
ლებებშიც. დღე არ გავიდოდა ისე, კუ-
რიერი არ გამოჩენილიყო და სეიფში
შესანახი რაიმე ქაღალდი არ მოეჭანა.
საკვირველი მხოლოდ ის იყო, ვის შეეძ-
ლო ამდენი ბრძანების, განკარგულების,
პითითების, ინსტრუქციის სწორად გაგე-
ბა და სწორად აღსრულება. ეს არა მარ-
ტო გონებრივად იყო შეუძლებელი, არა-
მედ ფიზიკურადაც. გარდა ამისა, ყოველი
უწყება, ალბათ, ყოველი მოხელეც კი, მათ
ისე აღიქვამდა, როგორც ხელს აძლევდა,
რადგან, ჯერ ერთი, ყოველი ინსტრუქ-
ცია ბუნდოვნად იყო შედგენილი და მი-
სი გაგება ასედაც შეიძლებოდა და ისე-
დაც, მეორეც – ტოტალიტარული სა-
ხელმწიფოსა და მისი უწყებების ინტე-
რესები ერთმანეთს ემთხვეოდა და იშ-
რითათად რემ მათ შორის ქიშპი და უთა-
ნხმოება ჩამოვარდნილიყო.

დახურული საბარგო მანქანის უკანა
ბორბალი გუბებში ჩავარდა და ტალახი-
ნი წყალი ტრამვაის ფანჯარას შეასხა.
მან უნებურად უკან დაიხია. თუმცა ეს
უფრო ცდა იყო, ვიდრე მოქმედება. უკან
დახევის საშუალება მას არც ტრამვაი-
ში ჰქონდა და არც ცხოვრებაში. უკან არ
იყო არაფერი ისეთი, რაც ზურგს გაუ-
მაგრებდა, ძალასა და ენერგიას შემატე-
ბდა. განუჭვრეტელი უკუნი უკანაც იმ-
სისქე იყო, რამსისქეც წინ და მას თუ
ემატებოდა რამე, თორემ არაფერი აკლ-
დებოდა. ძალადობა, რბევა და ნგრევა
წარსულშიც არანაკლებ მძვინკარებ-
და, ვიდრე ახლა, მხოლოდ დასჯის
ხერხი და მეთოდი იყო სხვანაირი. გა-
საბჭოების პირველ წლებში კაცს იქვე
ხვრეტდნენ, სადაც წაასწრებდნენ, ხვრეტ-
დნენ დღისით, მზისით, ხალხის
თვალწინ, ზოგჯერ სახლში მიუვარდე-
ბოდნენ და იქ მოუღებდნენ ბოლოს. ასე
გამოასაღმეს წუთისოფელს რამდენიმე
მღვდელი. იმ პროვინციულ ქალაქში.
სადაც თვითონ დაიბადა და გაიზარდა,
დახვრიტეს მეფის ოფიცერიც, კი არ
დახვრიტეს, ტყვიებით დაცხრილეს, რა-
დგან მან მომხდურებს წინააღმდეგობა

გაუწია და ორი თუ სამი თავდასხმელი სიცოცხლეს გამოასალმა. მისი გვაში დ. უმარხავად დაგდეს ქალაქის მოედანზე. მხოლოდ ღამით მოახერხეს ოფიცრის ნათესავეებმა გვამის მოპარვა და ისე ადგილას დამარხეს, რომ ვერ მიეგნოთ. ოცდაათწმში კი მხოლოდ იმისათვის ზვრეტდნენ კაცს, რომ კარგი შესახედავი იყო. წარსულს, ძველ ადამ-წესებს, ძველი კულტურის მონაპოვარს ისე ებრძოდნენ, როგორც რაღაც წაბილწულს, გასერილს, როგორც შავ ჭირს, ცდილობდნენ ყველაფერი ძველი ამოეძირკვათ, გაეცამტკერებინათ, ქარისათვის გაეტანებინათ. ისე იქცეოდნენ, თითქოს ყველაფერი, რაც წარსულში ზღებოდა, სიბნელი და სისაძაგლე იყო, ზოლო რასაც ისინი აკეთებდნენ, მანამდე არგაგონილი, ფასდაუღებელი რამ. ხეირიანად არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რა იყო ეს არაჩვეულებრივი, მანამდე არგაგონილი რამ და არც შეიძლებოდა სცოდნოდათ თავიანთი უმეტერების გამო, მაგრამ ის კი ჰქონდათ მშვენივრად შეგნებული, ამ არაჩვეულებრივის სახელით რა დანაშაულიც უნდა ჩაედინათ, რამდენი სისხლიც უნდა დაეღვარათ, პასუხს არავინ მოსთხოვდათ. მათგან ნგრევასა და ქვეყნის აწიოკებას მოითხოვდნენ და ისინიც ანგრევდნენ და აწიოკებდნენ. ამგვარმა აღვირახსნლობამ ზოგიერთს ისე დაუბნელა გონება, რომ ნამდვილ სისხლისმსმელ მხეცად აქცია. ერთი და ორი კაცის საკუთარი ხელით მოკვლა ეცოტავებოდა, სულ ახალ და ახალ მსხვერპლს მოითხოვდა. ახსოვს მას ერთი ასეთი მაუზერიანი კაცი, რომელიც ხაკისფერ ხალათში, გალიფეში და ოფიცრის ჩექმებში იყო გამოწყობილი, თავზე ბოხონი ეხურა. შავი, გრძელი უღვაში ჰქონდა, თვალები — ამღვრეული და ჩასისხნილიანებული, ხასიათი ფიცხი და სასტიკი. როცა იგი თავის რაზმით ქუჩაში გამოჩნდებოდა, ხალხი გარბოდა, იმაღლებოდა და ეს მას სიამოვნებას ჰგვრიდა. ამაზე მისი გამომეტყველება და ცხენის ყალფზე შეყენება მეტყველებდა. ეს იყო კაცი, ყოველდღე რომ უნდა ეგრძნო სა.

კუთარი სიძლიერე, უფლებამოსილება, ყოველდღე უნდა დანახვებოდა ხალხს, რომ ქალაქის მოსახლეობა მორჩილებაში ჰყოლოდა. ამ ძლიერების შეგნება იგი ისე გახრწნა და გადაავარა, რომ ნათესავეებსაც აღარ ინდობდა და, როგორც ამბობდნენ, არც მათ ცოლებს. ეს იყო არა მარტო დესპოტი, არამედ ზნედაცემული, სისხლმოწყურებული ჯალათიც და ამიტომ აღმოჩნდნენ ვაჟაკები, რომელთაც იგი ტყეში შეიტყუებ, იარაღი აჰყარეს და ნაკუწ-ნაკუწ აჩეხეს. მიუხედავად ამისა, ადგილობრივ ხელისუფალთაგან მას პატივი და დაფასება არ დაჰკლებია. მისი სხეულის ხრწნადაწყებული ნაწილები მოაგროვეს, კუბოში ჩაყარეს და ზარ-ზეიმით დასაფლავეს.

ტრამვაი რუსთაველის პროსპექტზე გავიდა. გამოჩნდნენ ნაცნობი შენობები, ბოძები, აფიშები, ეტლები და რამდენიმე ავტომანქანაც კი. ამ ავტომანქანების გამოშვება ის-ის იყო დაიწყეს და ჯერჯერობით მათ სამინისტროებსა და არანაკლებ ძლიერ უწყებებს ურიგებდნენ. პროსპექტი მიწუმებული, რაღაცნაირად შეცვლილიც კი ჩანდა, მაგრამ ხალხს გაცილებით უკეთ ეცვა, ვიდრე ამ რამდენიმე წლის წინათ. საგრძობლად იკლო მაღალყელიანმა, გვერდზე გაჭრილმა ხალათებმა, გალიფემ, ჩექმებმა და ტყავის კურტაკებმა, იმატაკოსტიუმებმა, თეთრმა პერანგებმა, ყელსახვევებმა და ფარფლიანმა ქულებმა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დრო იცვლებოდა, იცვლებოდა თაობა და რევოლუცია ეთხოვებოდა თავის მიერვე შექმნილ, გმირულ სამოსელში გახვეულ მითებს, იდეურ ლიდერებს და იმენდა პრივილეგირებულ მოხელეებს, ადმინისტრატორებს, ამა თუ იმ დარგის სანდო სპეციალისტებს, მაღაზიების, სასადილოებისა და საწყობების გამგეებს, მეცნიერების, კულტურისა და ზელოვნების მოსყიდულ მუშაკებს, მაამებლებსა და ფალსიფიკატორებს. ამქვეყნად აღარავის ჰქონდა უფლება თავისი ნებით მოქმედებისა, თავისუფლად წერისა, ბუჭდვი-

სა და იმის თქმისა, რასაც ნამდვილად ფიქრობდა. აღარ არსებობდა საზოგადოებრივი აზრი და ამიტომ არც უწევდა მას ანგარიშს არავინ. დაჩლუნვდა, მონოტონური გახდა არა მარტო ცხოვრება, არამედ ყოველდღიური ყოფაც. ყველას პირზე ეკერა ლოზუნგი — „მიზანი ამართლებს საშუალებას“. ამიტომ აღარც დაბეზლება ითვლებოდა სირცხვილად და აღარც ცილისწამება. საერთოდ, სირცხვილი აღარ არსებობდა. მისი ამოძირკვა კარგა ხნის წინათ დაიწყო და სრული გამარჯვებით დამთავრდა. რას არ კადრულობდნენ, რას არ წერდნენ, რა ფალსიფიკაციას არ ეწეოდნენ. ძველს ფხეკდნენ, შლიდნენ, ასამარებდნენ, ფაქტებს უგულუბელყოფდნენ, შავს თეთრად ღებავდნენ და თეთრს შავად. მაგრამ ახალს, ნამდვილს, ცხოვრებისეულს ვერაფერს ქმნიდნენ და ამიტომ ხელისუფლების შენარჩუნების ერთადერთ საშუალებად ძალადობა და ტერორი რჩებოდა, რაც თუ საღი აზრის თვალსაზრისით არა, ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით ლოგიკური და გარდუვალი იყო. თვალის ახვევამ, დეზინფორმაციამ, არნახული მასშტაბები მიიღო. ყოველდღე გაიძახოდნენ, მოვსებით ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციად, მაგრამ საქმე ის იყო, ექსპლოატატორები კი არ კლებულობდნენ, არამედ მატულობდნენ და კოლექტიურად ისაკუთრებდნენ იმ თანხებს, სახელმწიფოს ფინანსურ დაწესებულებებში რომ იყრიდა თავს. მათ თუ ვინმე შეამოწმებდა, ისევ ის, ვინც ამ კოლექტიურ ყველფაში ღებულობდა მონაწილეობას და, აბა, საკუთარ თავს ხომ არ გამოიჭერდა. თუმცა, რომ გამოეჭირა კიდევ, სიმართლის თქმის უფლებას მაინც არ მისცემდნენ, რადგან უკვე გასვრილი იყო და მისი საქმის შედგენასა და გაციმბირებას დიდი კვლევა-ძიება არ სჭირდებოდა. ექსპლოატაციას ახლა ერთი კაცი კი არ უწევდა მეორეს, ანდა ერთი მწარმოებელი მუშების ან გლეხების გარკვეულ ჯგუფს, არამედ დიდი, შერეული, დისციპლინირებული სახელ-

მწიფო და მისი პრივილეგიებულნი ყვებები შეშინებულ, არაორგანიზებულ ხალხს, მთელ მშრომელ მოსახლეობას, რაც გარედან არ ჩანდა, რადგან ფული სახელმწიფო ბანკებში და ფინანსურ დაწესებულებებში იყო მიმალულ-მიჩქმალული. ექსპლოატაცია რომ არა, ვისი ფულით დასეირნობდნენ ფუნქციონერები მანქანებითა და ეტლებით, ვისი ფულით იცვამდნენ და იხურავდნენ ყველაზე ძვირფასსა და საუკეთესოს, ვისი ფულით ინახავდნენ სხვებზე უკეთ ოჯახებსა და საყვარლებს, ვისი ფულით ქეიფობდნენ და მოგზაურობდნენ. ამ კითხვებს ვერც მუშებს და ვერც ექსპლოატატორებს ვერაფერ დაუსვამდა, ვერაფერ გამოიტანდა სამსჯავროზე, რადგან ეს უკვე მკრეხელობა და ანტისაბჭოთა გამოხდომა იყო. დამთრგუნველი პოლიტიკური სისტემა ღუმელსა და სიფრთხილეს მოითხოვდა და არა აზრის თავისუფალ გამოთქმას. ყველა ლოზუნგში ერია სანქციონირებული ტყუილი და კითხვები იმდენი იყო, რამდენი წახნაგიც აქვს ცხოვრებას. ეს ხელისუფლებამაც იცოდა და ამგვარი კითხვები მართლაც რომ არ დაესვა ვინმეს, არ გამოეთხარა ძირი იმ ილუზიისათვის, ბედნიერ ცხოვრებას რომ ჰპირდებოდა ხალხს მომავალში, მობილიზებული იყო უზარმაზარი და უსასტიკესი დამსჯელი ძალა, რომელსაც ყველა საშუალება გააჩნდა იმისათვის, რომ ურჩისა და ინტრიგანისათვის ბურთი ჩაეჩარა პირში. სიმართლე და სინამდვილე სრულიად არ აინტერესებდათ იმათ, ფიქრსა და აზროვნებას რომ გადაეჩვივნენ, არ აინტერესებდათ არაფერი ისეთი, რაც მათ თვითნებობას აღავამავდა. ამიტომ დემოკრატიაზე, წინსვლაზე და პროგრესზე ლაპარაკი წმინდა წყლის დემაგოგია იყო. რაში სჭირდებოდა წინსვლა, რაიმეს შეცვლა იმას, ვინც ცდილობდა, დრო გაეჩერებინა, თავის ნებაზე ბრუნვის საშუალება არ მიეცა მისთვის.

ტრამვაი ბერიას მოედანზე გავიდა და გაჩერდა. ახლა უკვე აღარ იყო ისე გაჭედილი, როგორც გზაში, მაგრამ მან

მაინც აითრია ფეხი. არ უნდოდა თანამ-
შრომელს წამოსწოდა, მისალმებოდა,
გამოლაპარაკებოდა. განსაკუთრებით
დღეს უჭირდა თავის ისე დაჭერა, რო-
გორც ამას საბჭოთა მოქალაქის ოპტი-
მიზმი მოითხოვდა, ოპტიმიზმი წვიმის
იმ წვრილი წვეთების ფონზე, ცა რომ
მართლაც საცერივით ცრიდა. ახლა
ყველაფერს ერჩია უკან გაბრუნება, შინ
მისვლა, იმათთან სიახლოვე, ვისაც მისი
არსებობა მართლაც სჭირდებოდა, მაგ-
რამ ამდენი გამბედაობა სად ჰქონდა და
ამიტომ ნელი ნაბიჯით გაუყვა ტროტუ-
არს. ბეჭებში მოხრილს, ისეთი გრძნო-
ბა ჰქონდა, თითქოს თვითონ იყო საკუ-
თარი თავის პატიმარი, ციხეში ჩასმუ-
ლი პატიმარი კი არა, არამედ დროს მიტ-
მასნებული, საკუთარ თავში გამოკეტი-
ლი, შებოჭილი და მოთოკილი პატიმა-
რი, რომელიც ყოველად უპოვარი იყო,
უბადრუკი ბუნავის მეტი არაფერი გააჩ-
ნდა, მაგრამ მაინც ეშინოდა, რომ რაღა-

ცას დაკარგავდა ისეთს, რისი დაკარგვაც
არაფრით ემეტებოდა. აი, ეს ართმევედა
გამბედაობას, სწორედ ეს ხდოდა საკუ-
თარი თავის პატიმრად. მაგრამ ამგვარ
პატიმრობას იგი როგორმე შეეგუებოდა
და ისევე მოინელებდა, როგორც ბევრი
სხვა რამ მოუნელებია. მთავარი იყო,
თავიდან აეცილებინა არა საკუთარი თავის,
არამედ დამსჯელი ორგანოების პა-
ტიმრობა, რასაც ფორმალურად იური-
დიულ საფუძველს უდებდნენ და გასა-
მართლების შემდეგ კაცი უკვე მთლიანად
უკაცურდებოდა, ან იხვრიტებოდა,
ან ყურმოჭრილი მონა ხდებოდა. პირა-
დად მას არ უნდა ეწვინა ტანჯვა და
წამება, არ იყო ის კაცი, დროს რომ
უხდის ხარკს და ისტორიულ მოვლენებ-
ში ლებულობს მონაწილეობას. ამიტომ
იმ დილით ცხოვრებაც და ყოველი ის-
ტორიული მოვლენაც წმინდა წყლის
უაზრობა, სახიერი აბსურდი იყო და
მეტი არაფერი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



ბესიკ ხარანაული

რალაცა კვდება და იხრწნება ამ ზეიმშიაც...

რალაცა კვდება და იხრწნება ამ ზეიმშიაც:
გაზაფხულის სურნელებით ავსებულ ბაღში,
განთიადისას დილა-ბინდის გაშორებაზე,
როცა სიმწვანე ჯერ სიმწვანედ არცკი ქცეულა
და ჰაერსაც არ შემღვრევია თვალის სიწმინდე,
როდესაც ხარობ, — გიზარია, თუნდაც დარდობდე,
და გადაუხვევ უცხო ბაღში, როგორც ტაძარში...
რალაცა კვდება და იხრწნება ამ ზეიმშიაც.

რა იყო ნეტაე?
რა კვნესოდა?
რა ჩამკრა იმ მწვანე მიწაში,
ან ზეციდან რა დაეკიდა?

მარტო ვიყავი მთელ იმ ბაღში
და მაინც თვალთ
არ გამოეტოვე ერთი კუთხეც გაუჩხრიკავი,
მარტო ვიყავი, ბაგეები მქონდა შეკრული
და მხოლოდ სმენის კარი მქონდა ფართოდ გახსნილი,
რომ გამეგონა, თუ საიდან კვნესოდა იგი.

რა ჩამკრა იმ მწვანე მიწაში
ან ზეციდან შემთბარ ტოტებს რა დაეკიდა,
რომ მე, უსაზღვრო სიხარულით აძრული ტანი
გამხევებოდა რალაც უცხო ელდის წინაშე...

სულიერი რამ, მარტოდმარტო, თვალშეუვლები,
სადღაცა მყოფი,

ცის ჭავლში თუ
მიწის გორობში,

რალაც კვნესოდა უმცირესში, უარსებოში,
როგორც სანაყში ჩატეული დედის სხეული,
შვილისთვის ცოლს რომ შორ თაროზე გადუმალია.

თუ შორსა ხარ, ახლოდან გესმის,
თუ ახლოს ხარ — გესმის შორიდან...

ხან გგონია, რომ ზეცაში ნათდება კურცხლად,
ხან მიწიდან გეჩვენება ამოდინძილი...

და მეც,
ახლა რომ იმ ელისეს მწვეანებში კი არ ვტრიალებ,
და არც ბავშვობის მინდვრებში ვარ გზაბნეული,
არამედ ახალ გაზაფხულთან საზიარებლად,
სულ უბრალო, სულ მარტივი სიხარულისთვის —
ლამისთევაში მხარნაქცევი და კვლავ ეული,
შუა ქალაქის ამ ბაღში ვარ შემოხიზნული —
გრძელ ზამთრის შემდეგ...
ვიდრე ჰაერი ჰაერივით მძიმე გახდება
და ტარება გაჭირდება მხრებით იმისა.

ადრეული გაზაფხულით, ავსებულ ბაღში,
განთიადისას, დილა-ბინდის გაშორებაზე,
როცა სიმწვანე ჯერ სიმწვანედ არცაი ქცეულა
და ჰაერსაც არ შემღვრევია თვალის სიწმინდე,
როდესაც ხარობ — გიხარია, თუნდაც დარდობდე,
და გადაუხვევ უცხო ბაღში, როგორც ტამარში,
სულიერი რამ, მარტოდმარტო, თვალშეუკვლები,
სადღაცა მყოფი,
 ცის ჭავლში თუ
 მიწის გოროხში,
რალაცა კენესის უმცირესში, უარსებოში,
როგორც სანაყში ჩატეული დედის სხეული,
შვილისთვის ცოლს რომ შორ თაოროზე გადუმალაია...

რად შემიცვალე, ლმერთო, მითხარ
ის ზამთარი ამ გაზაფხულით,
თუ შენმა ცამ და შენმა მიწამ თან არ წაიღო
ის, რაც ჩემი ხსოვნისათვის სამძიმო არის...
თუ არ ხერხდება ერთი წამით თავდავიწყება
ამ სიახლით, ამ სინორჩით, ამ სიხასხასით...
თუ სიხარულიც, ეს უმანკო, ეს უსაფუძელო,
სახლაურის გადახდის და ხარკის ღირსია,
მაშინ კელარ გამართულა სხეული — შვილდი,
მაშინ ფროთოსანსაც ცაში უნდა უღელი ედოს...

რალაცა არის,
რომ არ უნდა გარდასახვა, გამოთხოვება,
რალაცა არის,
რომ იმაღლეს ცის ჭავლში თუ მიწის გოროხში,
რალაცა არის,
რაც სიმწარეს უფროთხილდება ნორჩი მკერდივით
და არ უნდა სიხარულით ჩვენი ავსება,
ჩვენი ტკბობა, თავდავიწყება...
რალაცა არის,

რასაც უნდა,
რომ სიცოცხლის
სილამაზის წილ
სულ ყურში გვედგას და გვახსოვდეს:
„კედომა“, „წამება“...

იხ, რაც კედება და იხრწნება ამ ზეიმშიაც.

ადამიანს ასაკი კი არ არძმევს
სახელს – თავგადასავალი

რომ ვლამაზდე მე,
რომ ვლამაზდე და რომ ვლამაზდე,
და რომ ვშენდე მე.
რომ ვშენდე მე და რომ ავშენდე,
ისე, რომ ლამის...
ერთს ისეთს რამეს
მაინც დავირჩენ,
რომლითაც მე ჩემს ცხოვრებას არ ვულალატებ.

რომ ვმალო და ვმალო და ვმალო...

არწივის მართვეს
თუმცა ლობი არ შეშრობია,
მაინც ეტყობა, თუ ვინ იქნება.
ბედნიერია თუმცა კაცი,
მაინც ეტყობა,
ვინ იყო და საიდან მოდის.

რატომ ვაძმებთ ბონებას იმ,
სადაც არ არის სიყვარული

როცა ეჭვები გკლავს –
შენი თავის გამოც,
და ცხოვრების გამოც,
მაშინ რაღად გინდა ზრუნვა-აღერსები!..

(ვინ გაიგონა გახურებულ ქვიშაზე ნამი,
ან ბალანაშლილ ნაგაზისთვის მიფერება –
სულ ერთი წამით?)

როცა ეჭვები გკლავს –
შენი თავის გამოც
და ცხოვრების გამოც,
მაშინ შურისგებით თულა აღიქვები...

თულა დაიჯერებ მართოდენ ლალატს და მტრობას...

რადგან რასაც ადრე ასე მიელტვოდი,
 რასაც ესწრაფვოდი და თავს ეკლებოდი,
 ახლა შენში იწვევს მხოლოდ უარყოფას

და გონებას უნდა სიყვარული...

ყოველი ვარდი...

ყოველი ვარდი,
 რომელიც ვპოვე,
 რომლის წინაშეც
 შევდექე კრძალვით
 და შევიყვარე
 და ვიფიქრე
 — ის არის-მეთქი,
 გულს დამესო
 ათასი ეკლით.

ყოველი ვარდი,
 რომელიც ვპოვე
 და ამბობებით
 მის სიყვარულს

გარე ვუარე,
 აღისფერით ვარდობდა თურმე.

(რომ გავიხსენო
 მისი სიცილი,
 მხოლოდ სიცილი
 და არაფერი,
 როგორ სულ სხვა და
 ერთადერთია)

ყოველი ვარდი...

ყოველი ვარდი,
 რომელიც ვპოვე,
 უეტრად ჩემთვის გადაიქცა
 ხელ ცნობადისა.

ტრიალებს ღუმიჯში

ვიდრე ქვეყნად იქნება
 ერთი არსებაც კი,
 რომელიც გიყვარს
 და რომელსაც ხარ მინდობილი,
 შენ ვერ დაეუფლები
 ვერც შენს სულსა
 და ვერც შენს საკრავს.

ამიტომაც ბაგეები
 დაამშობილე,
 ხელი მოუჭირე
 შენს მარჩენალ იარაღს
 მაგრა
 და დაიმახსოვრე:

ვიდრე ქვეყნად იქნება
 ერთი არსებაც კი,
 რომელიც გიყვარს

და რომელსაც ხარ მინდობილი,
 შენ ვერ დაეუფლები
 ვერც შენს სულსა
 და ვერც შენს საკრავს...

ამიტომაც
 ბაგეები დაამშობილე,
 ხელი მოუჭირე
 შენს მარჩენალ იარაღს
 მაგრა
 და დაიმახსოვრე:

ვიდრე ქვეყნად იქნება
 ერთი არსებაც კი,
 რომელიც გიყვარს
 და რომელსაც ხარ მინდობილი,
 შენ ვერ დაეუფლები
 ვერც შენს სულსა
 და ვერც შენს საკრავს...



ვაჟა ჩორდელი

ბორობანი

მოთხრობა

ბორობანი — ხე კეთილწოდებელი.

საბა.

მთაში რაიმე უცნაური რომ მოხდებოდა, ბაბუაჩემი მაშინვე იტყოდა, სოფელს გიყვი არ დაეღუვაო, და იქვე დააყოლებდა, საწყალი თედორე საკუთარმა ჩრდილმა დაახრჩოო...

ისეთი სახე მთვარე წამოაღვა ღამეს თავზე, სოფელმა თვალი გაახილა. თითქოს ღელის წყალმაც იბრუნაო გვერდი, ქვალოდით აჩონჩხილა ხერხემალი გაისწორაო, ჩხრიალს უმატა. მთიდან დაშვებულმა ნიავემა ხევხუვებს თავით-ფეხამდე, ფოთოლ-ფოთოლ, ჟრუანტელივით დაუარა. თბილმა სიომ ჭრიჭინობლებს ჭრიჭინის მადა აუშალა. ხომ არ დაგვათუნდაო, სინათლეზე გულგატეხილ ღამურებს ელდა ეცათ, ფარფატს უმატეს...

ის იყო, ჭრიჭინობლებმა ერთხელ კიდევ მოისინჯეს კბილი, რომ შარაზე კაცი გამოჩნდა. ლანდი და კაცი ერთად მორბოდნენ. ფეხსაცმლის უსაშველო ბრაგაბრუვი წინ მოუძლოდათ. ხელშემართული კაცი მოხელილ სახრეს ისე ათამაშებდა, თითქოს დამხვლურს ხმალში იწვევსო. ქვევით და ქვევით სირბილს უმატა, მერე გზას გვერდი შეაჭრა, მინდორზე შევარდა. ბალახ-ბულახს დასცხო და დასცხო სახრე, ბოლოს ტაა-ტა-ტა-ტა-ტაო, ისეთი დაიდრიალა, წამით მიჩუმდა ყველა და ყველაფერი.

მოუსვენარი ღელის წყალიც კი ყურად იქცა, რა ხდება ქვეყანაზეო...

ხუთიოდ ნაბიჯზე, ბალახის ღეროს კენწეროზე, არხეინად ჩამომჯდარ ჭრიჭინობელს არად მოეჩვენა კაცის მუქარა და მოძმეთ ისევ გაუჭრიჭინა.

— უყურე შენ!.. უყურე შენ!.. ჩემი შიშით მალლა ფრინველს ვერ გადაუფრენია და დაბლა ჭიანჭველას მუხლი ვერ მოუნაცვლებია, ეს ვივინდარა კი უსირცხვილოდ შემომჭრიჭინებს! — კაცმა ორიოდ ნახტომი გააკეთა და სახრეს შხუილი აუტეხა.

გასახრული მინდორი თითქოს დატუქსული ბავშვივით გაიბუტაო, მიდამო კიდევ ერთხელ მიჩუმდა. ქვეყნიერების გზასავალის საზომზე წამები ასკინკილით მიილევენდნენ დროს. კაციც კი გზებდა, რატომღაც, არც მას მოეწონა სიჩუმე. ერთი კი იყო, ბუმ ვერ მოისვენა, გამოღმეთს ამბის მოსაკითხად ისე ხმამაღლა გამოსძახა, ყურის ძირთან ხომ არ მიზისო, შეცბუნდებოდა კაცო. ფრთა არც ღამურებს მოუცდენიათ...

კრულებმა გვიან-გვიან გაბედეს ხმის ამოღება...

ბუ არ იშლიდა თავისას, გაპყვიროდა და გამოპყვიროდა...

— უსმინე შენ ერთი მაგას! მოიცათ, მოიცათ კრულებო, ხალხი არა ხართ?! პატივცემულ ბუს უსმინეთ! — დაიდრიალა კაცმა და სახრე კიდევ მიიქნ-მოიქნია.

ბუმ ისევ გამოპყვირა გამოღმეთს...

— ეეე, ერიპააა!.. ეგ თუ ეშმაკის სუ-ლი არ არის, ჩემი სახელი საიდან იცის, პა?!. თედორეო! კი, თედორეო! ვაა... არ გამოელა ეშმაკი ამ ქვეყანას, არ გამოელა მადევარი კაცს!.. — ხმამაღლა ამბობდა თედორე.

თედორეეე! — ყვიროდა ბუ.

— ეჭეჭეე! თედორე ვარ, თედორე, ეჭეჭეე! — პასუხი დაუბრუნა თედორემ ბუს, მერე სიცილისაგან ისე ჩაბჭირდა, მინდორზე რომ არ გაგორებულყო და სიგრილე ტანს არ დაკვროდა, გაიგუღებოდა.

თედორეეე!

— ეჭეჭეე!

ვერ აბოვეეე!

— ვერა, ვვეერააა! — ეპასუხებოდა თედორე ბუს.

თედორეს ყვირილზე ძაღლები ალაგ-ლაგდნენ...

ვერ აბოვეეე?! — არ იშლიდა ბუ.

— ჩემი მოსარგისი სოფელი ჯერ შორს იმყოფება ანდა მაგან რა იცის, მე რას ვეძებ? მე რომ ვეძებ, მაგას ბეერი ვერ მოძებნის! მოძებნას ვაჟკაცობა უნდა! ჭერ ჩემნაირი ბიჭი უნდა იყო, მერე კი ძებნა დაუწყოს იმას, რაც შორსაა! არადა, სულ ახლოს გგონია! აგერ აგერ მივატან ხელსო!.. ისე, კარგია, მე აქ ვეძებ, ბუ კიდევ — იქა!.. ერთი კია, ეჭვმა, ამავსო, ჩემი სახელი საიდან იცის, ეგ თუ წესიერი ვინმეა, ჩვენ ხომ ერთმანეთს ჯერ პირისპირ არ შევხვედრივართ?! ვინ გამომიგზავნა, ვიცოდე მაინც! — ხელები შემართა თედორემ.

მთვარე თითქოს ფეხზე წამოღგაო, ტყიან მთის ზურგს თავზე გადმოადგა. თედორეს ალანძული სხეული მინდორს

ჩრდილად დაეცა. იდგა კაცი განსვენებულ და ჩამთვარებულ-ჩავერცხლისფერულ გაღმანეთს ვასცქეროდა. მერე ტუნთან ორივე ხელი მიიღო და ეჭეჭეეო, დაიყვირა.

თედორეეე! — ბუს თითქოსდა შეპასუხება დაუჯდაო ჭკაუში, ყვირილს ერთი-ორად უმატა.

სოფლის შუა უბანი ფეხზე დადგა. აქეთ-იქიდან ეხმანებოდნენ ერთმანეთს, ხომ მშვიდობააო. ძაღლებს კიდევ ხახა ამოუშრათ ღველავითა და ყეფით...

ბიჭებმა ამბავი მიიტანეს უბანში, თედორე სავსე მთვარეს შეხაფიფობსო, ღამეს უყვირისო, ბუს ეპასუხებო... —

კარგა ძაღზე შემოიმაღლა მთვარემ. თედორეს თავისი ჩრდილი უფრო მიუახლოვდა...

კაცი უცბად შეკრთა, ჟრუნტელმა თავით-ფეხამდე დაურბინა, შეაწრიალა. მერე, უნებლიეთ, წელში მოიხარა, თითქოს ნახტომისათვის მოემზადაო, ისე დაიძაბა. წამიც და თვალებგაფართოებულმა, შიშნაკრავი ხმით შეიყვირა:

— ვა, ეს ვინ არა? ეს ვილა ოხერია? საიდან მოუთრეე? რა გინდა?..

თედორეეე! — ისევ შეეხმინა ტყეველს ღამის მთეველი.

— შენ მაინც რას გადამეკიდე, რა წარამარა მეძახი, ხომ გაიგე, რომ თედორე ვარ, თედორე, ააა, ვინ ჯანდაბა ვიქნები, შენ მაინც დამანებე თავი, აგერ ვილაც ოხერი წინ მიდგას, თვალში მომჩერებია, რასაც მე ვაკეთებ, ისიც იმას აკეთებს, ერთი სიტყვით, ვერაფერს მივმხვდარვარ! — უპასუხა ბუს თედორემ.

ვერ აბოვეეე! — გამოკივლა ბუმ გამოღმეთს.

— ვი-პო-ვეე! — ისე დაიდრიალა თედორემ, კინაღამ გული ამოუვარდა, მერე ხელები ასწია, წელში მოიკაკვა, ფეხის ცერებზე დადგა, ჩრდილიც თითქოს ნახტომისათვის ემზადებო, წამით გაირინდნენ კაცი და ორეული, მერე თითქოს ზამბარას საყრდენი გამოაცალესო, თედორე უცბად გაიშალა წელში, ჰაერში ცერად შევარდა და მინდორზე ვაწოლილ თავის ჩრდილს მძიმედ დაე-

ცა... დაეცა და მუშტების კორიანტელი დააყენა მინდორს... დიდხანს ტორავდა და გლეჯდა ბალახს გახელებული კაცი... მერე თითქოსდა ჩრდილს ყელში ხელი წაუჭიარო, ისე დახაოდა, ეს-ეს არის დაახრჩოო... ღმერთგაცლილმა კაცმა გაოფლილი შუბლი ორეულს შუბლზე დაადო... გრილი მინდორი ესიამოვნა... ოფლის წვეთები ბალახებმა შეუმშრალა...

— ვიპოვე და მოვვუდე! აქეთ მიპირებდა მოხრჩობას, მაგრამ ნურას უკაცრავად, იქით დავასწარი, დედა ვუტირე, აგერ მყავს გაპარტიკებული, ფეხსაც ვერ გააფარხარიკებს, ვინ მისცემს მაგის ნებას, აპა, მე მეტს რას ვაკეთებ! ეგლა მაკლია, ჩრდილაბანდებმა შემაშინონ! -- მინდორს ჩალაპარაკობდა თედორე.

მერე და მერე კაცმა თავი მაღლა წამოსწია...

ჩრდილი დაგრძელდა, დამრგვალდა. ვეებერთელა ჩრდილთაიანი თედორეს შიშის ისეთი ტანხორკლი დაეყარა, ბალახებმაც კი იგრძნეს... კაცს ისე გაუფართოვდა უბეები, კინალამ თვალები გადმოუცივებდა. მძიმედ წამოიმუხლა, წელში გაიმართა, მერე ადგა და ხელები შემართა. ჩრდილმაც შეასრულა ყველა მოძრაობა. კაცს ტანში ერთხელ კიდევ გააზრიალა, ფეხი მოინაცვლა ჩრდილისკენ... მერე ნაბიჯი გადადგა, მესამეც...

— გეშინია, ხომ? მშისარა ხარ, ხომ? სანამ შენ იქნები, აქაურობას საშველი არ დაადგება! შენ უნდა გამოილიო! წედან ხომ მოვვუდე ერთი ვიგინდარა, ახლა შენი ჯერია! აა, უკან-უკან მიდიხარ?! ვერსად გამექციევი! ხელით ვერ მოგწვდები? ქვით გაგჩიქვავ მაგ ფუყე თავს! — მუქარა წამით მიატოვა თედორემ, ჩაიცუტკა და ქვებს ძებნა დაუწყო.

— შენც ეტებ, ხომ? შენც გინდა მესროლო, ხომ? მაგის შნოც გაქვს, ხომ? ფეხი არ ჩაგივა! ვერაფერს დამაკლებ, ვერც ვერავის, სანამ მე ვარ, ვერა, ვერა! — შეიყვირა კაცმა და ჩრდილს ქვის სროლა დაუწყო.

ჩრდილიც იქნევდა ხელებს, თედორე

ისე მოძრაობდა, თითქოს ჩრდილი კაცისაგან ნასროლ ქვებს იცდენსო...

თედორე ახლა სირბილზე გადავიდა. ჩრდილიც გაიქცა.

— სად წამიხვალ! დედას გიტირებ! — ერთი კიდევ შეუძახა, ჩაიმუხლა, ქვებს ძებნა დაუწყო, წამოხიკა და ჩრდილს დაუშინა. მერე კიდევ გაიქცა ათიოდ ნაბიჯზე, ისევ ჩაიმუხლა, როჭკს წაეტანა და ისევ ატეხა სროლა... მერე შარას გასდევს კაცმა და ჩრდილმა... ჩექმის პირღია ლანჩებმა გზას ბღღვერი ადინეს... ქვევით-ქვევით ჩრდილი უფრო და უფრო დიდდებოდა, მიუწვდომელი ხდებოდა...

ქვედა უზნამდე ჩაირბინა თედორემ. მოსახვევში, სანდროს ქოხთან, ორიოდ ქვა კიდევ ესროლა ჩრდილს, მერე კი ააა-ტა-ტაო, ისე ხმამაღლა დასჭყვილა, თივის ზეინთან მიწოლილ მთვლემარე ნაგაზს გული შეუქანდა.

ძაღლი ვაიუსეგლებელი ყფით ღობეს მოაწყდა. კაცი, თითქოს ფეხი შეებორკაო, ადგილზე გაჩერდა, ნაგაზი აქეთ-იქით გაჰყვა-გამოჰყვა ღობეს, დაბალ ადგილს ეძებდა.

თედორემ უკან-უკან დაიწია, მერე შებრუნდა და ფართო ნაბიჯით შარას მოსახვევისაკენ გაუყვა. ძაღლმა იპოვა დაბალი ადგილი, გადმოეკლო და კაცს დაედევნა.

გულდაიმედებული იყო თედორე, ძაღლი ისევ ღობეს იქიდან მიეფეხსო, მაგრამ სასხვათაშორისოდ თვალი უკან მაინც მიიბრუნა. ელდა ეცა, ჩრდილი ზედ ფეხებთან მოსდევდა. შეჩერდა, ორეული ჩაწიხლა და ჩაწიხლა... — წამიც და ბომბორა ნაგაზი გამოჩნდა მოსახვევში, იქაურობას გაავებული მოჰყვებდა. თედორემ ახლა კი იკადრა გაქცევა... კაცი შევაშინეო, წახალისდა ძაღლი, უფროვე გახელდა.

თედორეს ახლა გაახსენდა, რომ ქვები ხელში ეჭირა, ისევ შეჩერდა, შებრუნდა, ნაგაზს დაუშინა, მერე ისევ გაიქცა... ნაგაზმა დევნა მიატოვა, ყფფასაც უკლო. მერე ღობის ძირში წითლად ჩამოხუნძლულ ძაღლყურძენას გულიანად მია...

შარდა. ერთიორიც დაიყვია და უკან გაბრუნდა.

თედორემ კარგა ხანს ირბინა, ილაჯის გაწყვეტამდე ირბინა, ოფლი წურწურით გასდიოდა. ის იყო, შედმართი მთავრდებოდა, რომ ფეხქვეშ დორდი აუგორდა, კოჭში სახსარმა უმტყუნა და პირქვე დავარდა. ადგომა აღარ უცდია, მიწის სიკრილე ესამოვნა. ხელები გაშალა და ქვიშანარევი ნაშუკვი ხვარხვალში წაუყარა. შუბლზე ოფლი და მტკერი ერთმანეთს შეეხილა. ცხვირი და ბანჯგვლიანი ლოყები მიწის ბღღვერმა მოუთხუპნა.

— სად არის მღვეარი? დაილალა? შეეშინდა? ვაა-ჰა-ჰა-ჰაა! — მიწაზე ცხვირდადებული თავი წამოსწია და ისე გადაიხარხარა, — არა, მანინც რა უნდა ჩემთან, რას ამეტუზა! დაწეპი — დაწეპა, ავდეპი — ადგა, ქვა ვესროლე — მესროლა! კიდეკ კარგი, არ მომარტყა! ნაგაზმა რომ თავი დამანება, იმან, იმ მამამაღლმა არ დამანება თავი! გაქცეულ კაცს რომ გაეკიდება, აბა, ეგ ვაჟკაცობაა?! წელში გაწყვეტილ კაცს რომ ქამარს უფრო წაუჭერ, ბიჭობაა?! არა, ძალი რადას მე. რჩოდა, რა დაუეშავე იმ მამამაღლს! ღამე წაუვართვი, თუ მთვარე მოვებარე?! მართლა, კაცმა რომ თქვას, მთვარის მოპარვა არ შეიძლება? ოხ ერთი მთვარე მომპარინა?... ეეხ, მე ვინ მომპარინებს, ათასი ქურდის ქურდი დადის დუნიაზე! ათასი მამამაღლი მამამაღლობს! მთვარე სხვას ვის რა ეშმაკად უნდა! თუ მინდა, მე მინდა, ჩავიხუტებ გულში და მერე როგორღა დამადვენებს ჩრდილებს?! ნურას უკაცრავად, მაშინ ვეღარ დამჩრდილავს! აბა, მე მეტი რა შემიძლია! მთვარის ჩახუტების გარდა! თუმცა, ერთი გაქცევა შემეძლო და გავიქეცი! წავიქეცი კიდეც! ახლა, აგერ, მინდორზე, ისეა მკლავივით გაშლილი შარა, ისე კარგად ვარ მოკალათებული, ადგომა აღარც კი მინდა. თბილი მკლავი აქვს ამ დალოცვილ მინდორს, იხარა შენმა არსებამ!.. მიწა მაინც სხვა არის, მიწა კაცივითაა, მოეფერები, მოგეფერება... ღმერთმა ორფხა

კაცი გამოიგონა... ბატიც გამოიგონა... ფეხი და ქათამიც... ოთხფეხები და მრავალფეხები უთვალავი... მიწა ეშმაკია, თვითონ არის მხოლოდ ერთფეხი, ერთ ფეხზე დგას... კი მარა, — ახლა მოაგონდა ბუ თედორეს, — მთელი საღამო რომ მეძახდა, რა უნდოდა? თედორეო, კაცო, როგორ კარგად ამბობს ჩემს სახელს, გეგონება, მაგის ძმა ვიყო, ან ბიძაშვილი! შე ოხერო, მარტო ჩემი სახელი იცი? სხვას რატომ არ ეძახი?! ჩემი არ იყოს, ყველას ჭკვიანი კაცი უყვარს! მიწასაც რომ ჭკვიანი კაცი არ უყვარდეს, მკრავდა წიხლს და გამაგდებდა აქედან!.. — ისე ხმამაღლა ლაპარაკობდა თედორე, ღამესაც კი შემოეღვიძა.

გზის პირას, ათიოდ მეტრზე, დიდ ღელე-ხევში, წელში გაწყვეტამდე მისული რუ ლოდიდან ლოდზე ისე ნაწყვეტ-ნაწყვეტ ჩახტოდა და ჩახტოდა, თითქოს პატარა, კურკა ბიჭები, ღორდიან გზაწვრილ დაღმართზე მიასკინცილობენო... გაღმა, ფოცხვრების დედოქედს, მთვარის ნათელი მანდილივით შეენოდა...

ფოცხვრების მთის შემყურემ, დედის მონატრულმა ღამის მთეველმა, უფრო უმატა ყვირილს...

— თუმცა ბუ რატომღა მამამაღლი, — ბუს გახელებულმა ყვირილმა თავი მოაგონა თედორეს, — ღამის მთეულად გაომიგზავნა განგებამ! ვერ იპოვეო? შეკითხება! არ ჩაგეძინოსო, მეძახის! მღვეარი გყავსო, მაფრთხილებს! ჰოდა, მსდიეს კიდეც, დიდმა თუ პატარამ, ძალიც კი დამიქსიეს, ვითომ ჩრდილმა მსდია, ჩრდილი კი არა, კაცია იგი და არ უნდა, გამოჩნდეს! ჩრდილი რაფერაა, გაქცევა და გამოქცევა თუ შეუძლია... ვისაც არ უნახავს, შეუძლია, არც დაიჯეროს! ყველაფერში მბაძავდა! ფეხი არ ჩაუვიდა, ერთი კარგად მივახრჩვე და იმას გამომჩნა!.. ბოლოს რომ გავკვიდე, ის დიდი ვინმე ოხერი იყო! ბუნებამ ისე გააჩინათ, დიდ-პატარა ჩრდილებად! ნეტა ვიცოდე, რამდენ ჩრდილი დაძვრება ამ ქვეყნად! ნუთუ იცის ეს ვინმემ? კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა დადიოდეს

ჩრდილი? ან ვინ ქმნის ჩრდილს? კაცი? მაშ, მე შევექმენი ის? ნურას უჟაცრავად, ბოდიში მომიხადეთ! ჩრდილს სხვები ქმნიან, აი, ისინი, მჩრდილობლები!.. მაშ, თქვენის აზრით, ჩემი ჩრდილის შემეშინდა, პა! საკუთარი სუნთქვის მეშინია, ხომ? არავენ გაიგოს, რომ ფილტვები მიმეშაობს, ხომ? — გადაიხარხარა თედორემ და ისე დასცხო მიწას ხელები, მტერის ბული დააყენა.

ფოცხვრების მთის დედოქედმა მთვარის მანდილი თითქოს ხელახლა წამოიხსნაო, პატარ-პატარა ქედების კალთებს საამო ნიავე კალთა-კალთა, ლოცვასავით ჩაჰყვა ზევიდან ქვევით, გაუაკებამღე.

— შენცა ხარ, კაცო, ვინმე რა! შენ ღმერთს უნდა უმადლოდე, ქვეყნის გამჩენელს უნდა უხდიდე დღეცისმარე მადლობას, რომ დღის ნათელის საცქერაღი თვალი ახვეული გაქვს და ღამე დაგჩერჩეტებს... დღნიაზე რა ხდება, დღისით და მზისით, რომ არ გაცქერინებენ, ხომ ხედავ!.. თუმცა, რას ხედავ, შე გჭირვებულო! მარტო მე მხედავ და მიყვირიხარ! შენ რომ სხვისი სახელი გასწავლონ, მერე გაცქერინონ და გაყურებინონ, ყვირილით აიკლებ სოფლებს, თედორეო, კალისტინეო, ბიჭიკოო, შამშეო!.. არა, გენაცვალე, განგებამ თუ ყველას აყურებინა, კარგად წაუვა საქმე!.. კაი სამსახური გაქვს, შე ღმერთგამწყრალო, ღამით ყვირილი გაქვს მინდობილი და, ვიხარია! იყვირე, იყვირე და იყვირე!

გზის პირას, მინდვრის სიმწვანეში, კოპიტის პატარა კორომი კუნძულივით შერჩენოდა იქაურობას. ხეები ისე ახლო-ახლოს ამოსულიყვნენ, კაცს ჩახუტებული ეგონებოდა. ღამის გასათევი არ უჭირდათ ჭრელ-ჭრელ ჩიტებს, სამკაულებივით იყვნენ ჩაბნეულნი ფოთლებში... ერთმა ჩიტბატონამ სიზმრად ფერად-ფერადი, წვრილ-წვრილი ჭიებიტა და ბუზანკლებით სავსე ადგილს მიაგნო, სიხარულში შემოუფხიზლა, ფრთა შეისწორა... მერე კი გაფრენილ სიზმარს, კრუალი მიაყოლა.

— ეს ვილა მამაძალი მდარაჯობს? — კაცს უბებები დაუფართოვდა, გულიგულ მიაყურადა.

კრიუუ, კრიიი. — გაისმა კოპიტნარიღან.

დასალიერისკენ მიმავალ მთვარეს, აღმოსავლეთით გაქცეული თედორე უკან მოექცა. ჩრდილიც მოტრიალდა და კაცს წინ დაუდგა...

— აქაც დამხვდით, არაა? რა დაგიშავეთ, რას მერჩით! — აღმოხდა ხმამაღლა, — ერთი კი მივახრჩვე გულიანად, ერთი გამექცა, დევივით იყო, ქვებით გაუქმასპინძლდი, შენ დიდი არ ჩანხარ! რადგან ტანად დიდი არა ხარ, არც თავი გექნება დიდი! ჯერ თავიანი რაა და მერე უთავო მდევარი რა იქნება! არა, თუ ვაჟაკები ხართ, რატომ გეშინიათ?! რატომ დგახართ უკან, ან გვერდით? აი, ახლა, შენ ჩემს წინ ხარ, მაგრამ შებრუნებული, ზურგით დგახარ! ყურით, რა თქმა უნდა, ისმენ ყველაფერს! კაცმა კი უნდა გიჭიტილაყოს! — შეუძახა თედორემ ჩრდილს, ჯერ მარჯვენა ფეხი ამოუქნია, მერ მარცხენა, მერე მუხლები ასხლტილ ზამბარასავით გეშაღლა, პაერში შექანდა და ჩრდილს დაეცა.

თედორე ტორავდა, ბრდღენიდა ქვეშამოდებულ ჩრდილს...

— შენც მივახრებ, ეს ორი და სხვაათასი, ეს ორი და სხვა ათასი!..

მიწაზე ხელის გაშლილ მტენებს ვაიუშველებელი ტყაბა-ტყუპი გაქონდა. მტვერის კორიანტელი დაგურგუსაღდა დამრგვალდა და ბურთივით აიჭრა ჰაერში. კაცი სულის ამოხდომამდე ებრძოდა ჩრდილს. მერე ხელები ჩამოუცვივდა... მიწაზე პირდამხობილს ოფლი ღვარად სდიოდა...

ფოცხვრების მთას, ორი ერთმანეთს გაკიდებული, ჩაქულუჯებული ღრუბელი ქარავანს ჩამორჩენილ ჩალვადარივით თავზე წამოადგა. ცოტაც და ჩალვადარმა მთვარის წინ ჩაიარა. უცბად მიწას ნათელი მოაკლდა, თითქოს მთვარემ მხეს მხერა ვერ გაუსწორა, შუბლზე ხელი მიიღო და თვალი მოიჩრდილაო...

თითქოს კაციც ამას უცდიდაო, ფეხზე

წამოვარდა, უკან არც კი მიუხედაია, ისე დაეშვა დაღმართზე ფლაცა-ფლაცით. სოფლის თავში ჭალაგაშლილ ღელეს ჩამოურბინა. წყალნაკლებ რუს პირზე შეწუხებული იერ-სახით მიმჯდარიყო წისქვილი, უღიმღამოდ იქნევედა დოლაბა ყბას.

თედორემ შარა შუამდე რომ ჩაირბინა, უზნის თავში თეოზე მიწოლილ ძაღლს ძილი მაშინ დაუფრთხა. ნავაზმა გარემოს მიაცალეურა, მერე ერთი-ორი ისე დაიყვავა, თითქოს სახვალოდ ყელი მოისინჯაო...

კაცმა სოფლის შარას გზა უყელა, მოკლეს, ბოსტან-ბოსტან ჩაიჯარგალა და სახლს მიაშურა...

თედორემ ნაგვეში თავი მუთაქაზე მიდო თუ არა, ჩაეძინა. თითქოს სიზმარა, იქვე, სასთუმალზე იჯდაო, ფეხად აყვეს. უსაშველოდ უკიდევანო, თეთრი ნისლეუბის ზეწარი იყო გაშლილ-გაფენილი. სიმალლითაც ვერ მიუწვდენდით თვალს. რძისფერი ბატონობდა ირგვლივ... უცხად ვილაყები გამოჩნდნენ. თედორეს მისდლეში არ ენახა მოძხვდური. კაცს მიუახლოვდნენ, აქეთ-იქიდან ამოუდგნენ, მკლავებში ხელი მიატანეს, ნისლის ზეწართან მიიყვანეს, კიბეზე ჩამოასკუპეს და ხელში ფუნჯები დააკავებინეს.

— კიბეს მალა ავწევთ! სიმალლის ხომ არ გეშინია? არა? ძალიან კარგი! მალლიდან დაიწყებ! ხომ ხედავ, ვედრო ჰკიდა, შიგ შავი საღებავია, ჩაუყოფ ფუნჯებს და თეთრ ზეწარს გააშავებ! იქით გაიხედე, როგორ ღებავენ შენი თანამომქმენი! აბა, შეუდექი საქმეს!

თედორემ აქეთ-იქით იყურა. თავიდან ვერაფერი გაარჩია. მერე და მერე მალა კიბეებზე წამოსკუპებული კაცუნები დალანდა, ყველას ფუნჯი ეკავა ხელში და ზეწარს შავი საღებავით ფუნჯავდნენ. თეთრი ნისლების შავად შეღებილი ადგილები ცრემლად იღვრებოდა ხევში..

— არ ვიზამ ამ საქმეს! სხვის ცხოვრებაში ვერ ჩავეყოფ ხელს, ნისლიც ადა-

მიანია, მოდის და მიდის, ისიც ხომ შენითქავს, არსებობს, ხარობს და ღმერთკაცობს, არ შეღებობ, თქვენ ვივინდარებო! — ღრიალებდა თედორე.

— შენ იმიტომ ხარ გაჩენილი, რასაც გიბრძანებენ, უნდა შეასრულო! რასაც გეტყვიან, უნაკლოდ უნდა გააკეთო! — დაძქაქანა ვილაყამ თედორეს.

— არა, არა! მონა არ ვარ! ჩემი მამა-პაპის ფესვი ვერ კიდევ ხარობს, ისე ღრმადაა, ვერ ამოძირკვავთ, ვერ ამოაგდებთ! მე მხედართმთავარი ვარ, გავუძღვები ჩემს ნაცარქექია ბიჭებს და ცხრათავიან დევებს ცხრამთას იქით კუდით ქვას ვასროლინებ! — ხელშემართული თედორე რძისფერ ნისლს ხმამაღლა ელაპარაკებოდა.

— მარწუხები მაგას! — გაისმა ნისლის მიღმა, — დილეგი მაგას!..

წამიც და ფიწალმომარჯვებული, პირბადეაქრული, მალალტანიანი შავოსნები ნისლებიდან გამოძვრნენ..

— არ ჩაგბარდებით! როგორც მეთაურს ეკადრება, ისე მოვიქცევი! მერე ერთი კი ასწია ხელები, ირაო გააკეთა და ძირს დაეშვა.

გრიგალი ამოვარდა. შეიძრა იქაურობა. შავი კაცუნები და ფუნჯები ერთმანეთში აირივნენ..

თედორე ბზრიალ-ტრიალით ქარაფებისკენ ეშვებოდა..

უცხად ყველაფერი გაიყინა, რაღაც თოხკუთხედი, ჭრელ-ჭრელფორჩბიანი ფარდავი გაიშალა, მერე ისევ ამომრავდა იქაურობა, თითქოს წამით შეჩერებული კადრი ისევ ჩართესო, კაცუნება, საღებავით მოთხერილი ნისლი, ფუნჯები, კიბეები, ვედროები..

რძისფერი ნისლი ტყვიების ზუზუნმა შეარხია. მერე ტყვიები წვიმად წამოვიდა, ქათქათა ზეწარი დაფლითა... აქა-იქ სისხლისფერი განწადა.. სისხლი იღვრებოდა..

„დაბლა ცოდვის მინდორია, ფუნჯების სროლას აგვიტეხენ, ჯერ-ჯერობით აქაურობას უნდა გავერდილოთ, ხალხი გვჭირდება, მოძმენი უნდა შევეკრიბოთ, მერე მოუბრუნდეთ კაცუნებს და დედა

ვუტიროთ, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!" — ვილაც ელაპარაკებოდა თედორეს.

კაცმა ძირს დაიხედა და... ჰოი, საკვირველებავ! ფრთებგამღილი არწივუნისლიანეთში მიფრინავს, მხრებზე თედორე ჩამომჯდარა...

— თავისუფლების ქვეყნიდან ვარ! მომეწონე, მებრძოლი ყოფილხარ! მიტომაც მოგეხმარე! შენთან ერთად მეც მახსენე! ახლა ერთი ბუმბული გამომაძრე, უბეში ჩაიდე, თუ დაგჭირდეს, სულს შეუბერავ, მზე ამოდისო, სამჯერ გაიმეორებ და შენთან გავჩნდები... ამ მთასაც გადავცდებით და სამშვიდობოს გავალთ... გაფრთხილდი, ამ ადგილს ბედისწერა ჰქვია, ბუერი ამოწყვეტილა აქ!.

არწივმა ვერც კი მოამთავრა სათქმელი, რომ ცაზე ორი გველი ერმთანეთს თავებით შეასკდა, უსაშველო ქუხილმა შესძრა იქაურობა, მერე კრინისმაგვარი ნამსხვრეულები აზუზუნდნენ...

— უხ, თქვენი, ვიგინდარებო! — თედორემ მარჯვენა თემოს თავზე ხელი მიიჭირა.

სისხლმა შეუღება თითები. მეორე ხელიც დაახმარა. ისიც სისხლმა მოუთხვარა...

— სისხლი, მო-ძმე-ნოო! — შეჭყვირა ღრუბლიან ცას თედორემ და არწივის ზურგზე პირადმა გაიშხლართა...



იქამდე იყვილა მამალმა, სანამ ღამე ხელში არ შემოატყვრა. გამთენიის მოახლოებას ბუმ ალმაცერად შეხედა, აფრინდა, ადგილი მოინაცვლა, ნეკერჩხლის ხის ღრონტიო გულში შეაფარა თავი.

იწილო-ბიწილოსავით ჩამოდიოდა დღე-ნათელი.

ფოცხვრების მთიდან მოშვებულმა ნიავმა ტატანურის ქედის ფერდობებს გულიანად აუარ. ჩამოუარა. დღე-ხეგზუეებიდან სადილაოდ ამოსული სიფრიფანა ნისლეები ქალათ-ქალათ აკრიფა,

გულისგულ მიაღაგ-მოაღაგა იქაობა და ზესკნელში გაუნინარდა.

დილაკიფზე გოჯი-გოჯ მოცურავდამზე. შემოთენება ყაბულზე მისული ქალის ღიმილივით დაეტყო მთებს...

მთელი ღამის ნაკვამ-ნავაგალახარი თედორე გარეთ გავიდა. მტკრით გაზინტლული თავი დელზე მიდგმულ ღარს შეუშვირა. კარგა ხანს იბანა. მერე შარვალ-ხალათი ჩამოსუფთავ-ჩამოირეცხა, შარას გასდია, კაკლის ქვეშ მიდგმულ ხის კუნძზე ჩამოჯდა და მზეს მიეფიცხა. მანამ იჯდა კაკლთან გაბუტული ვით, სანამ ტანსაცმელი ტანზე არ შეაშრა. გვიან ადგა, მინდორზე გავიდა და გაღმიანეთს მიაშტერა მხერა.

— ეჭეჭეჭეეე! თედორეეე! — მორთო ყვირილი მაშინ, როცა ბუ მოაგონდა, მერე კი ხარხარი აუვარდა.

„რას იცინის ეგ უბედური. თედორე თვითონ ჰქვია და გაღმა გაჭყვირის, თედორეო... მზეს შეხარხარებს, ცას ეთამაშება“, — თავისთვის ლაპარაკობდა შარად მომავალი სისუაანთ რძალი.

ქალი ნახირს მიერეკებოდა... თედორემ უცხად მიატოვა სიცილი და ქალს თვალი დაადგა...

„ვაიმევე, როგორ მიყურებს, ეგ მიწადასაყრელი... არა მომწიოს რა, მაგას დაეცა მეხი, აქამდე ჭკვიანად იქცეოდა. არავის ერჩოდა... ახლა რა ეშმაკი შეუძვრება, ჩემკენ რომ გამოაქანოს... უიმედედა, შემჭამა თვალებით და ეგ არის“. — შეიცხადა გულში ქალმა და თავსაფარი შეისწორა.

ის იყო ქალი ბეკობს გაუსწორდა, რომ თედორემ ისევ გადაიხარხარა.

— რავა გიჟივით იცინი, რა ნახე სასაცილო! — გაბზარული ხმით შეუტია ქალმა.

— როგორ თუ რა მაიცინებს, ტატანეურის გორიდან, წუხელ მთელი ღამე მქმანდა ბუ, თედორეო! ვერ იპოვევ? ცასა და მიწას ეყურებოდა და ალბათ, თქვენც გაიგებდით.

— უი, შენ კი დაგაყარე ჭანდაბა! — გული მიეცა ქალს.

— შენ სისუაანთ რძალი არა ხარ? —

კითხვასთან ერთად თავით-ფეხამდე თვალი ააყოლ-ჩამოაყოლა თედორემ ქალს.

— კი, სისუაანთ რძალი ვარ...

— ნაღდად სისუაანთი?

— კი.

— მერედა ჩემს სახლთან რატომ მოდიხარ!

— შენს სახლთან ეშმაკიც მოსულა, მე სოფლის შარაზე მივიდვარ, დაიკარგე აქედან! — ისევ შეუტია ქალმა.

— ეშმაკი შენი მამამთილის მოგონილია! ბუც მაგან გამოიგონა, მთელი ღამე მეძახდა, თედორე, ვერ იპოვევო! გაეჭხო ახლა ბუს, ვიპოვე-თქო! ვააა-ჰაჰაჰაა! — ჩაბყირდა თედორე.

„ვაიმე, არ მეცეს ეს ჯანდასაგდები ახლა ამ გზა-შუაყანოზე, თორემ მაგ გადარეულს რა დაუსხლტება ხელიდან. ჯანდაბა ჩემს მამამთილს, თუ იმას გამოერეკა პირუტყვი“, — ინანა ქალმა.

ვიღაცას სისუაანთ რძალზე ადრე გაედენა საქონელი. ნახირს შარაზე კვალნი დაეტოვებინა, გზადაგზა ახალი მონანავაგები და მონაშარდი იყო...

წინ მიმავალი მოზვერი შეჩერდა, მონაშარდზე ცხვირი დაადო, ყნოსა და ყნოსა, მერე თავი ასწია, კისერი ჩამოფერდებული მინდვრისკენ მიიბრუნა, ნესტოები აათამაშა, თვალები მილულა, ერთხანს სუნთქვა შეიკრა, მერე მჭახე ხმით დაიბლაღლა...

ქალმა პირუტყვს გამეტებით დაუწყო სახრის ცემა, ერთი სული ჰქონდა, მალე გასცლოდა თვალებდაქაჩულ თედორეს.

ქალს თხელი, ნაქსოვი კაბა ტანზე შემოტმანსნოდა...

პირდაღებული და თვალგაციებული თედორე გახევებული იდგა და მზერას არ აცილებდა ქალს.

მოზვერი ისევ შეჩერდა, კისერი დაფერდებული მინდვრისკენ მიიბრუნა, ნესტოები აათამაშა, თვალები ისევ მილულა, სუნთქვა შეიკრა, მერე დაგუბებული ჰაერი ბღავილად ამოუშვა...

თითქოს ამას ელოდებოდაო, მინდორზე გაშლილ ნახირს წაბლა დეკეული

მოწყვეტით გამოეყო, მოზვერისკენ ჩუმი ზმუილით გამოიქცა.

მოზვერმა კიდეც დაიბლაღლა, მერე დეკეულის შესახვედრად თვითონაც დაიოთხა...

— მო, მო, მო, სად მიხვალ, მოდი აქეთ, შე სამგლე? — სისუაანთ რძალი დაედევნა აცუნდრუკებულ მოზვერს.

დეკეულმა მოხდენილად ჩამოიკუნს. ტრუშა ფერდობი და მოზვერთან გაჩერდა. გამარჯვებულმა მოზვერმა თავი მაღლა ასწია და მშვიდი, გაგრძელებული ზმუილი ამოუშვა...

სისუაანთ რძალმა მოზვერს სახრის ცემა დაუწყო. მოზვერმა ერთი მიმოიხედა, მერე პატრონს გალახული ბიჭვით წინ გაუძღვა. შავთვალემა წაბლა დეკეული უკან გაედევნათ.

„საოცარია ქვეყანა, განგება, რა არ მოიგონა, რას არ მოიგონებს კიდეც! მოზვერი და დეკეული, დეკეული და მოზვერი! მისდევს ახლა დეკეული მოზვერს, იმასაც აქეთ უჭირავს თვალი! მაგ სისუაანთ რძალმა არა იცის რა, არ მოიმახსენა პირუტყვი ერთი ერთმანეთს“, — ფიქრობდა ჩაცუცქული თედორე და მინდორზე მიმავალ სისუაანთ რძალს თვალს არ აშორებდა.

ქალმა და ნახირმა კარგა მანძილი გაიარეს, თვალს მიეფარნენ.

თედორეს უცბად თვალები დაუფართოვდა, სახე გაეზადრა, პირი გაღმისკენ ქნა, გაშლილი ხელები ბაგეებს შემოაწყო და ყვირილი მოკითო:

— ეჭეჭეჭეე! ეჭეჭეჭეე! ვიპოვე, ბატონო ბუ, ვიპო-ვევე! — მერე თითისტარით დატრიალდა, როკვა დასცა, იცი-ნა, ივაზვანა, მინდორი ერთიანად მობლურსნა, ბოლოს, თითქოს საჯდომზე დეზი იკრაო, ადგილს მოსწყდა, სახლისკენ გაიქცა, გამოფარდალალეული ჭოშკარი შეადო, წამოფიცრულ საშემეში შევარდა, სახურავს ქვეშ, ლატნებისა და ყაერის ღრეჩოს შუა გაკვეჩებულ ბარს ხელი მიატანა, ჩამოიღო, წერაქვი მოძებნა, ძალაყინიც იპოვა, ბოძთან ატუზულიყო რკინიკეტი.

— ოჰ, შენ ხარ, რაც ხარ! შენ ძალა-

ყენი უნდა გერქვას! ყინულყაენი რომ გერქვას, დაღუპულია შენი საქმე, გამოიხედავს თუ არა თვალში მზე, დადნები! ყინულის კაცები ღამ-ღამე, მოვარე-მოვარე მოსიარულენი არიან! გამომყვეით და საქმეს მივხედოთ! ქვეყანას თვალი უნდა დაუყუენოთ მე და თქვენ, ბარო, წერაქქო და ძალაყინო! მშიშარა ის არის, ვისაც თავისი ნაბიჯის ხმისა ეშინია, ვინც ჩრდილივით დადის! თუ დაიბადები, მართლა უნდა დაიბადო! არ დაგავიწყდეთ, კაცი ერთხელ იბადება! კაცი ერთხელ უნდა იცხოვროს! მერე მორჩა, წახვალ და მიწას გააპოხიერებ, გინდაც გააპატივებ! მიწის პატივისცემამდე ქვეყანას უნდა სცე პატივი! რისთვის მოხვედი ქვეყანაზე, რისთვის გიდგას სული, უბრალოდ, რა გინდა, რას ითხოვ, ან რის გაკეთება შეგიძლია! მე თედორე ვარ, ღმერთის კაცი, მკითხეთ და გიპასუხებთ! გზას გიჩვენებთ! აღუვსებელს თუ ბოლომდე ვერა, ნახევრამდე მაინც ავივსებ! აბა, კარგად დაფიქრდით, დანაპირებს ბოლომდე რომ გვისრულებდნენ, როგორები ვიქნებოდით! მთელი ცხოვრება ქუდი მეხურა, მომხადეს! ექვეპქვეე! ვი-პო-ვეე! — ყვირილი მორთო თედორემ.

გალმის კლდიანეთის ქარაფებზე ფეხაცდენილი ექო გამოღმა ნაშალ-ნაშალ-გამოვიდა... იმდენზე წამოიწია მზემ, თავისივე სხივებს ჩერო-ჩერო დაუწყო ძებნა. ღრანტეების ჩრდილებსაც მისწვდა მანათობელი, ნამი ჩაითიბა და ჩაითიბა... სერზე, ცაცხვის კორომში, ისე გულიანად ვალობდა შაშვი, ტოროლებს პირი ღია დარჩენოდათ... ფოცხვრების მთის მიჯრილთან შეკედლებული, დილის სიღამაზეს შერჩენილი მოვარე აღარაეის ახსოვდა, კანტი-კუნტად მაყფყარი ძაღლების გარდა. ღელის პირზე ისე შრიალებდნენ თხმელნარის ფოთლები, დაირის დამკერულთა ანსამბლი გეგონებოდათ. არც რუ იშლიდა თავისას, ისეთი ღრიანცელით მოდიოდა, თითქოს მთა მხარზე წამოუკიდებიაო...

— აი, აქ! აქ უნდა დაიდგას! — დაყარა ბარ-წერაქვი თედორემ მინდორზე.

მერე შებრუნდა, ფოცხვრების მომასხურებით დაუდგა, ხელები შეძართა, საჩვენებელი და შუა თითი გაპარჭყა, დანარჩენი მოიშუჭა. — დიახ, ასე, ზუსტად ასე! ორი ბოძი აქეთ ჩაესმება, ორიც — იქით, ახლო-ახლოს, ძირა ღირე ჩაიღურსმნება, კარგი კოჭივით ჩაჯდება და, რაც მთავარია, ზევეითა, მოძრავი ღირე უნდა იყოს ყველაზე ნაღდი! თავს ავუწევ, სასხლეტს შევმართავ, თითს გამოვკრავ და.. თავს დაიქნევს, ქვედა კოჭს დაეცემა! ესეც შენი მახე! ვააპაპაპა! გადაიხარხარა თედორემ, ბარს ხელი წამოავლო და მიწას გულიანად დაუწყო თხრა.

— რას აკეთებ, კაცო, შენ გეუბნები! — ზემო უზნის ბრიგადირი თავს წამოადგა თედორეს.

თედორემ ცოტა ხანს უყურა მეზობელს, მერე ხმაც არ ამოუღია, მიწის თხრა ისე გაავრძელა.

— კაცო, რას აკეთებ, არ იტყვი? რომ თხრი, უფლება გაქვს? მიწა შენ ის ხომ არა გგონია, უპატრონო, ხელწამოსაკრავი რაიმე...

— რა გინდა, რატომ მიშლი ხელს! — აღმაცერად გახედა თედორემ.

— რას აკეთებ-მეთქი! თუ ძალა ვერ გერჩის, კოლმეურნეობის ყანებში იმუშავე! ბიჭოს!

— ჩემი ძალა ჩემთვის მერჩის! შენთვის რატომ უნდა მერჩოდეს! ისე, თუ ძალიან გაინტერესებს, გეტყვი, მახეს ვაკეთებ! ჩიტები უნდა დავიჭირო, შეიძლება შაშვებიც! არც შენსავით მომღერალი ტოროლებია გამონაკლისი ამ ხილბანდისათვის! მერე ჩამოვატყავებ, შენ რომ იცი ისე, მუცლის ქონსაც გადავადულებ და ქვევრებში ჩაეასხამ, გადავინახავ, ხორცს კიდევ გულისგულით ჩამოვშაშხავ, შევბოლავ, სულ ნეღლი მუგუზლის ცრემლში გამოვიყვან! ახლა ხომ გაიგე რას ვაკეთებ?

— ღმერთმა ხელი მოვიმართოს, მარა რო რამე იყოს, საქმეში არ გამოიყვან? — ეშმაკურად აუციმციმდა თვალები ბრიგადირს.

— კაი ხანია, დაძვრები ამ მიწა-წყალ-

ზე! ზევით-ქვევით ტანტალი დაგავალეს და საქმე გგონია! წადი, კაცო, მომცილდი თავიდან, მაინცდამაინც დღეს გემეტება თავი? დღეს გინდა უფალოთან მისვლა? როდის მოვედი შენთან და მუშაობაში ხელი შეგიშალე! ისე, ცოტა ხნის შემდეგ მობრძანდი, თუ ბიჭი ხარ და თავს რომ გამოგიჭეჭე, მერე ნახავ, რას ვაკეთებ!

— მიწის უუფლებოდ თხრა არ შეიძლება!

— ვინ გეკითხება, შე ვირო მამამაძლო, რას ვთხრი მე, არ დამაყენოთ ეგება ჩემი მამა-პაპის მიწაზე! სხვას რა შუა ქვად უნდა ამ სოფლის მიწა! მიწა, თუ არა, მოვა ვინმე და დაგიმუშავებს, აი! შენ ხომ ცხრა პირი ტყავი გაქვს ამძვრალი ხელის გულზე!.. წადი, თორემ თავს გაგინებთქავე, შენც ამას მეუბნები, შენი არ არისო და სხვა რას მეტყვიის! ეს ჩემი მამა-პაპის მიწაა და ჩემია! აქ მინდა გავთხრი, მინდა ია-ვარდს ავაყვავებ! — ხმას აუწია თედორემ, მერე ჩამოხულა, ქვეები წამოხიკა.

ახლა კი იკადრა ბრიგადირმა წასვლა. თედორემ ჯერ სიცილი დააყარა, მერე ქვა ქვას დაუჭაჭკუნა.

ზემო უბნის ბრიგადირი თვალს როდოროდის მიეფარა...

— უყურე შენი მიწას თხრიო! რასაც ვთხრი, მე ვიცი! ჩემი სახლის გვერდით მინდა, გავთხრი და მინდა, ყირას გაჭიმავ! კოლმეურნეობისაო! მე ვისი ჭანდაბისა ვარ მიწიან-წერაქვიანა, აბა! ბიჭოს! — ხმამაძლა ლაპარაკობდა თედორე, თან ისე ძალუშად სცემდა ძალაყინს, რიჭკო-როჭკო ქვებს ნაპრეწკლებს აყრევიანებდა.

ძერამ ჩამოუქროლა სოფელს. ქათმებმა კრიახი ასტეხეს. ქალებმა რიარია შეუქაქანეს.

თედორემ ცას ახედა. ძერამ ორჯერ ჩამოიძახა წიო-წიო და გაღმისკენ დაიჭირა გუმანი.

— კაცო, ზეცასმავალი მიცნობს, ქვეწარმავალი მიცნობს, პაერი მიცნობს, წყალი, ბალახი, ქვანაშალი და ქვასაკოდი მიცნობს. ეს მამამაძლი ბრიგადირი

არ მიცნობს! არა, კი მიცნობს, მაგრამ არ უნდა, რომ მიცნობდეს! ბუ მეძახის, იპოვეო, გზას დაადექიო, ეს ბრიგადირი კი ჭარის ბაყაყივით დამყაყანებს, სხვის მიწას თხრიო! მე უკეთ არ ვიცი, რასაც ვთხრი? თქვენ თხრით ცუდად, სხვისთვის თხრით, სხვისთვის ათხრევიანებო წელეზე ფეხდადგმულ ხალხს, მე კი ჩემთვის ვიკეთებ, აბა, გიჟი ვყოფილვარ თქვენსავით და მომწვობაა ხელი! ჯერ შენი უნდა მოიწყო და მერე სხვას უნდა მიეხმარო მოწყობაში! შარ. შან გადმა სოფლის კოლექტივს რომ მიეხმარეთ საკვების შემოზიდვაში, იმიტომაც წაგივიდათ საქმე კარგად! უმცირად ჩამოგითოვათ და თქვენი ღაგრჩათ შემოუტანელი. გლეხ-გლეხა დაიარებოდით თივის სასესხებლად, კი მახსოვს მაგი! პირველ რიგში თქვენ უნდა დაიძახსოვროთ! შენ არ გიფარავს სარცხვენალს შენი გამოლექტილი ნიფხავი და სხვა აცმევე?..

სატვირთო მანქანამ ერთი ამოიხვნეშა და თედორეს გვერდით, ზედ შუა გზაზე გაჩერდა. კაბინის კარი გაიღო. თავმჯდომარეს ცალი წარბი მალლა აეწია და ისე უყურებდა კაცს.

თედორემ ლაპარაკი შეწყვიტა, შუბლზე მომსკდარი ოფლი სახელოთი შეიმშრალა, მერე ძალაყინი გულიგულ დასცხო და დასცხო. ერთი წუთით, რკინიკეტის გარდა, ყველაფერი გაირინდა. მანქანის ძარაზე მოყორყალე თანასოფლელებსაც კი ჩაუვარდათ ენა.

— რას აკეთებ, თედორე ბატონო? — დინჯად შეეკითხა თავმჯდომარე.

— წისქვილს ვაკეთებ, თვითონ ბატონო!

— როგორ თუ წისქვილს! წისქვილი ეგერ არ დგას? ან და აქ, ამ ტრიალ მიწოდორზე, უწყლოდ, წისქვილი რას ივარგებს! წისქვილს წყალი უნდა

— წყალი თავისით მოვი!

— აა, ქვევიდან, არა? — გაელიმა თავმჯდომარეს.

— არა, ბატონო ჩემო, ზევიდან! წყალი ყოველთვის ზევიდან მოდის! ზეერთა განყალბული ღრუბელი! ქვევიო

სიმართლის დოლაბი ფქვეს, ცაში კიდევ ოცნების! თქვენ რა იცით, რა არის ოცნება, არც ცაში იციან ოცნების ფასი! ოცნება ის არის, მე რომ ვოცნებობ, მე რომ ვაკეთებ, ფრთას ვასხამ ადამიანის ბედსა და იღბალს!

— მაშ, წისქვილს აკეთებ, არა?

— კი ბატონო!

— ესე იგი, წისქვილს, არა?

— წისქვილს ვაკეთებ! ჩაყვრი კენჭებს, ჩამოვფქვავ, გამოვაცხობ და ჩამოვლაზე მოვართმევ! საკუთარ წისქვილს ვაკეთებ, ჩემი ყია უნდა ვაფქვევინო! ჩემი საფქვავი, გულის ბოღმა უნდა გამოვადეჭინო, გამოვადერდინო, ჩემი გულის წადილი უნდა გამოვადოლაბო! წადით ახლა, საქმეს ნუ მოცდებით! ქვეყანას თქვენი იმედი აქვს, ჩემთან ლაპარაკი ხეირს არ მოგცემთ! გზაზე ბარაკა გენახოთ!

— რკინის ბორბალი გაუკეთე მაგ წისქვილს, დიდხანს გაუძლებს, ფრთას ძირი არ მოუღებება! — მანქანის ძარიდან გამოსძახა ქვემო უბნელმა მეზობელმა.

— შე მართლა ძირმომპალო, შენა, რკინის ბორბალი შენ ვიტრიალებს მაგ გასიებულ თაეში და ვერა ვაგიგია რა! თუ ყური არ გამოიჩხრიკე, მაგი რკინა იქნება, უკანალზე ხელს რომ ავაფარებინებს! უფრო კარგად უნდა გამოირეცხო, ასი თვალი უნდა გამოიბა, თორემ ცოტაც და ნაცარიც კი აღარ იქნები, სასუქად რომ იყენებენ, ისეთი ნაცარი! მე ჩემს წისქვილზე ჩემს ყიას ვოველთვის გამოვიფქვაე! ამ წისქვილის მადლის სამადლოდ მოხვალ, თუ მიხვდი იმდენს! ეს წისქვილი ნაურაზე არასდროს არ დაფქვავს! ნაურა თქვენ იცით! თქვენ გატრიალებენ ნაურაზე!

— დელის წყალი გადმოუგდე, მეორე რუ, ეგება ყია კარგად გამოვიდვაროს! — სიტყვა ახლა სხვა მეზობელმა ისროლა.

— წადით, თქვე საცოდავებო, მეტი ჭკუა არა გაქვთ და რა გელაპარაკოთ! აბა, მოუსვით ჩქარა, თორემ, მოვიდა

ლეთის რისხვა! — ქვებს დასწვდა თედორე.

მანქანა ათუხთუხდა და ჯიკავ-ჯიკავით დაიძრა. თედორემ მოხორხოცე თანასოფლელებს ერთი კი გააყოლა მზერა, მერე ჩაიმუხლა და აჩეხილ მიწას ხელით დაუწყო ამოღება.

— ქვეყანა ამოურწყავია, წამხედურია კაცი! მე ჩემს ნაჭუჭში ვსახლობ, ვიდენ ოფლს! ჩემი ნაჭუჭი მირჩევინა! სხვის სასახლეს! ჩემი სახლის ხის ლიბო მირჩევინა, სხვისი სახლის რკინის ფუძედირეს! შენ თუ კაი კაცი ხარ, რატომ ჩემსავით არ იქცევი! რატომ არ გინდა, შენი ნაჭუჭისათვის ამოღებულ ხრმაღს ფხაზე ბეწვივით შეეჭრა?! სირცხვილა და სირცხვილია..

შურდულით შეიარაღებული ოთხი ბავშვი თედორეს თავს წამოადგა.

— ესენილა მაკლდა ახლა, აი... შენ ვისი ხარ? — შეეკითხა მეთაურ მონადირეს თედორე.

— მე ზალიკოს ბიჭი ვარ!

— შენ?

— ცალხელა ვოგაისი.

— შენ?

— ლიკლიკა ნასტიას ხომ იცნობ, იმის შვილიშვილი ვარ!

— ესე იგი, აქაური მონადირეები ბრძანდებიო!

— მე ხოსია მქვია, თედორე ბიძია, ხოსროს ბიჭი ვარ!

— აბა, ხოსრო! ტრაქტორისტი?

— კი, თედორე ბიძია!

— ესე იგი, მონადირეები ხართ, არა?

— კი, ჩიტებზე ვნადირობთ!

— ჩიტებზე? ჭრელ-ჭრელ ჩიტებზე?!

მერე და სირცხვილი არ არის? შენმა ნასტია ბეზიამ, ძაან რომ ალიკლიკებს ენას, ვერ გასწავლა, ტოროლას მაინც არ მოვკლავ, ბევრიც რომ მქონდეს წამალიო? ჩიტი რა მოსაკლავია, რას აშავებს? ჩიტი არავის არ ერჩის, მღერის და მღერის! ჩიტის მტერი უნდა მოკლა, ყორანს უნდა დააძრო კლანჭები! ყორანს უნდა ამოთხარო თვალები, რომ შენს ჩიტბატონას ავი თვალთ ვედარ უყუროს! დიდი ბიჭები რომ გაიზრდე-

ბით, თოფები გააკეთეთ, დიდი თოფები და ჩიტის მტრებს დაერიეთ! მაგი შურდული შორს ვერ გაიშურდულეს! შორს ჭკუა ისვრის, ყველა ბომბს ჭკუა ჯობნის! აბა, წადით ახლა და დავაჟაკებთაზე იფიქრეთ! ჩიტბატონებზე იფიქრეთ, წადით, წადით!..

— რას აკეთებ? — ზალიკოს ბიჭმა შეხედა თედორეს.

— საქანელას ვაკეთებ, კი, ნამდვილ საქანელას! მაღალ ბოძებს ჩავსვამ, თოქს ჩამოვკიდებ, ბოლოს ჯოხით გამოვუქნი, დაჯვადები და მტერს გაუქანავ-გამოუქანავებ!

— რომელ მტერს? — ახლა ხოსროს ბიჭმა ჰკითხა მორიდებით.

— ჩემს მტერს! ჩემი მტერი გაღმამ! მთელი ღამე მეძახდა, თედორეო! ისიც კარგი გადარეულია! არ მომეშვა ის მაშაძალი! მერე კაცი მომიგზავნა გათახსირებულმა მთვარემ, კაცი, კაცი, აბა! მეომა მარა, რა მეომა! ბოლოს მივგუდე, წიწილივით მივახრჩვე, ის ვიგინდარა! აბა, წადით ახლა, სამუშაო მაქვს და ნუ მაცდენთ!

— თედორე ბიძია...

— თქვენი თვალი არ ვნახო აქ! — დაუტატანა ბავშვებს თედორემ, მერე სახრეს დაუწყო ძებნა, აქეთ-იქით მიჯაჯურ-მოჯაჯურდა.

ბავშვებმა ზურგი აქციეს თედორეს და კალოსკენ ჩამავალ დაღმართზე მოკურცხლეს.

ზევიდან მანქანა მოდიოდა ღმუილღმულით.

„ახლა ის გაჩერდება აქ! არა, შემოჩენილია ქვეყანა, არ გამუშავებენ! არავის საქმე არ უნდა და არც შენ დაგაცლიან! მარტო ენა აქვთ გადმოვლებული სალაყბოდ და მეტი არაფერი! ტყეში წავალ, ჯერ საბოძეებს მოვჭერი, მოვათრევ და გასაკეთებელს ღამე გავაკეთებ! ამ დღე შუაგულ ათასი მამაძალი აივლ-ჩაივლის ამ შარაზე და სულს გამიწყალებს— რას აკეთებო! — კაცმა გაჯავრებულად დააფურთხა მინდორზე, ორმოს თხრა მიატოვა, ბარ-წერაქვს ხელი წამოავლო და სახლისკენ წავიდა.

ტატანურის ქედი ღამესა და ბუს ვერსად გაქცეოდა. ფოცხვრების მთის შიშველი წვეტების თავზე თხელი ღრუბელი ზევით-ზევით მიცურავდა. სამხრეთ დასავლეთით უფრო შავი, ჩატყვიებულ-ჩაშავებული, კამეჩა ღრუბლები მიჯრიო შედგომოდნენ ცის კიდეს. მთვარე ჯერ არ ამოსულიყო, მაგრამ უღიმღამო ნათელი მაინც დაკრავდა მიდამოს...

თედორემ ჯერ ერთი, მერე მეორე მორი ჩამოათრია... მერე ზედ მორზე ჩამოჯდა და შუბლზე წურწურით მომსკდარი ოფლი სახელოთი მოიწმინდა.

თედორეე! — გამოსძახა გამოღმია-ნეთს ბუმ.

— ეე! დაღამდა და დამიწყო ძახილა! ერთი ბეწვი ნაშუსი არა აქვს! სულ მე მეძახის, ერთხელ არ დაუძახია ირაკლიო, ბიკენტიო, შამშეო! რა გინდა, ბიჭო, რას მერჩი, ხომ გითხარი გუშინ, ვიპოვე-მეთქი! იყვირე, იდავიდარაბე, ეგება გული გაგისკდეს! თედორე ვარ, დიახ, თე-დო-რე! ვეძებდი და ვიპოვე! ვიპოვე და წუხელ გემოზე გაუმასპინძლდი, მივახრჩვე! ამაღამ თუ გამოჩნდა, იმასაც დავხვდები, ხვალ და ხვალის იქით მე ვიცი, ავერ ვაკეთებ მტერთა აღსასრულის ბოლო საფეხურს!..

თედორე წამოღდა და აღმართს გრძელი ნაბიჯით შესდია...

— სულ ექვსი მორი მინდა, ოთხი შედარებით წვრილი, მაგრამ მაინც მორი, ორი ერთნაირი და უფრო მსხვილი, ძალა უნდა ჰქონდეს მორს! რომ დაეცემა, მორჩა და გათავდა, მტერი სულამოხდილი უნდა ეგდოს, ამაში გამოიხატება, მორის ძალა! კი, ბატონო, ექვსი მორი! ორი ხომ ჩავიტანე, ახლა ამ ორს ჩავათრევ, მერ კიდევ ორს, თხრილებში გემოზე ჩავაწყობ, მიწას მივუხეპავ, სასხლეტზე თოქს გამოვბამ, წამოვწვები ჩემთვის გრილ მინდორზე და დაველოდები, როდის მობრძანდება მტერი თავის ფეხით!..

თედორემ ხარხარი მორთო.

მთების უკან მორჩენილი მთვარის ნა-

თელი ღრუბელმა ხელზე დაიხვია. ტყე-
ველს თითქოს თვალის ჩინი დააკლდაო,
უფრო ჩამოლამდა.

თედორემ მორები თხრილთან ჩამოათ-
რია, მერე მინდორზე გაგორდა და ოფ-
ლიანი შუბლი ბალახებში ჩარგო.

ერთი ამოვლა ავმა ქარმა ღელეებს
ჟრუანტილევით ამოუარა... გვეშებულ
გველშპას თითქოს თავში მთა დასცეს
და თვალებიდან ცეცხლი აყრევენესო,
დასავლეთის ცაზე ცხრანირად დაიღ-
ვარჯნა ელვის კედები. მერე ისეთმა
ქუხილმა შესძრა ზესკნელი, ცისა და მი-
წის გაყრას აღარა დააკლდა რა.

— კაცივითაა ეს ბუნებაც, მოუვა რაც-
ხაზე გული და რა ქნას, აღარ იცის!
საღამოს წვიმის დაწყებისა არაფერი
ეტყობოდა, ახლა კი ნამდვილად გაწვი-
მდება! ეტყობა, ცაში დევმა გვერდი იცვა-
ლა და მუცელს გაქარა! გაგისკდა ეგ ღორ-
ლოცელი სტომაქი, თუ გეცლიოს ამაღ-
მინდელი ღამე! წვიმაში რას გვაკეთებ,
მტერიც არ მოვა, ყველას დარში უყვარს
მტრობა, ღიმილ-ღიმილში უყვარს ყელ-
ის გამოჭრა! არ ჩაიგვა ფეხი, უღლეუ-
რო ღამის მეხრე! — ხელი მომუჭა თე-
დორემ და გაღმინათს დაემუქრა.

ძაღლებმა საავდრო ცა შეიცხადეს,
ყმუილი მორთეს. ბუმ მიატოვა ყვირი-
ლი, თავი ფულუროიან ხეს შეაფარა. ავა
ქარი კიდევ ამოჰყვა ღელეს. მერე კი
სოფლის შარაზე ავშარამიშეებული ცხე-
ნივით გაიჭვნა. ცოტაც და ღვარცოფი
დაუშვა...

თედორე ახლა სახლის აივანზე იდგა
სვეტს მიყრდნობილი და თავსხმას
თვალდაუხამხამებლად გასცქეროდა. ზე-
სკნელში აღმოსავლეთის მხარეს გადა-
ინაცვლა ქუხილმა, ისეთი ხშირი წვი-
მის წვეთი მოვიდა, ერთმანეთს შუა ნე-
მსი არ ჩაეტეოდა. ბევრი ხანი არ და-
ჭირვებია ღელის წყალს, მოიგლიჯა
ქული და ბარისკენ ბლავილით დაემუჯა...

— ეშმაკსაც წაუღიხარ, უტვინო ლე-
შტერო! — ჩაიქნია ხელი თედორემ, მე-

რე ოთახში შევიდა, ბუხარს მიუჯდა.
ღველფი მიქექ-მოქექა, თვალდამდგარ
მუგუზალს მეორე მუგუზლით წაშუქ-
ლუგუნა, სული შეუბერა, მინავლულ ნა-
კვერცხლებს წკირები დააყარა. ბუხარს
გული გაუთბა...

ღელის ცრიალზე გამოელვიდა თედო-
რეს. გარემოს მიაყურადა. თუნუქის სა-
ხურავზე ფეხსველი წვიმა ფრთხილად
დადიოდა. „არ გადაუღიაო“. — გაიფიქ-
რა, მძიმედ ადგა ტახტიდან. აივანზე
გავიდა. უმზეო ღელას ნისლებში გახ-
ვეული ფოცხვრების მთა ქვრივით მო-
თქვამდა. ძაღლებსაც გამოწასკოდაა
ენა. მარტო ღელის წყალი მოღრიანც-
ლობდა, ისე გადმოხტოდა. თითქოს ლი-
ღები კისრულზე მოაქვსო.

თედორე ოთახში შებრუნდა, ბუხარს
მიუჯდა და ნაცარს ქექვა დაუწყო. ყელ-
გადაჭლობილი მუგუზლები ერთმანეთს,
გულ-გულში, წყნარად შეღიღინებდნენ...

...ღღემუაგულ აღმოსავლეთისაკენ იჭ-
იატა. ცამ თვალში გამოიხედა. ბუხარს
მოსცილდა თედორე. მინდორში გავიდა.
ირგვლივ ჭეჭყი იდგა.

— კაცო, გვემა არ შემეშალოს! გახ-
კრეტა უნდა, სამივე უნდა გაიხვრიტოს,
სიმაღლისაც და სიგანისაც. მერე ენა
უნდა გაუაქეთდეს, საკბენი და საგინებ-
ლი ენა კი არა, სასხლეტი ენა, ენაზე
თოკი ჩაებმება... ბუს უნდა ვაყურები-
ნო. რას ვუხამ ძის გამოგზავნილ კაცუ-
ნა, ჩემი მტრობა რომ უნდა, ჩემი შეშა-
ნება რომ მოისურვა, უფრო მეტაც, ჩემი
ამოგდება რომ უდევს გულში! არ შეგარ-
ჩენთ, თუ თედორე ვარ! — ზურგი იბრუ-
ნა, ბარ-წერაქვის მოსატანად გაემართა,
— ჰო, ბურღი არა მაქვს, არადა, ისე რას
გავხდები! აქ ისეთივე სიზუსტე უნდა
იყოს დაცული, ცხოვრების კვებერთელა
საათს რომ შემურდეს! სოფელში ბურ-
ღის მეტი რა ექნებათ! ერთმანეთის თა-
ვისა და გულის გაბურღვაში უთენდება
და უღამდება მთელ სოფელს და ბურღი
ვერ მიშენია? — თქვა და შარას ქქქ

ვით დაუყვა, გზებს შუა მოკლზე ჩავი-
და და თეოფილეს ჭიშკარს მიადგა.

— თეოფილე! — დაიძახა თედორემ, —
თეოფილე!

ცოტა ხნის მერე ჭიშკარში ქალი გა-
მოჩნდა.

— სად არის თეოფილე!

— ბენა, კი არ არის სახლში, ახლა
ხან ტყეში წავიდა, შეშას გამოვჩეხავ
რაიმესო...

— ამ ჭაჭუნობში ძალღი არ გაიგდე-
ბა სახლდანი. ბურღი მინდა, ბურღი,
მაღალყელიანია ბურღი!

სახლისკენ უსიტყვოდ წაფაშვამდა
ტანსრული ქალი.

— ბურღი, დიახ, ბურღი! — თავისთ-
ვის გაიმეორა თედორემ.

— აა, ბატონო, მარა, ისე წაიღებ, არ
იტყვი, რისთვის გინდა? — შიშით შეე-
კითხა ქალი.

— თავის კეფა უნდა ჩავიბურღო, ხე-
ლი უნდა ჩავიყო, ტვინი მაქვს გვერდ-
შესაქცევი! კარგად იყავი! — თედორემ
ბურღი ერთხელ კიდევ შეათვალეირა,
მიბრუნდა და წავიდა.

— შენ მოძულდი ქვეყანას! — დაადევ-
ნა სიტყვა მეზობელმა.

კაცი თვალს მიეფარა. ქალმა ჭიშკა-
რი მიიხურა...



სამზრობა კარგა ძალზე გადავიდა. თე-
დორე ახლდა მორჩა მორების თლასა
და ბურღის ტრიალს.

გზაზე სატვირთო მანქანა გაჩერდა.
კაბინის კარზე ჩამოდებულ მარცხენა
მკლავს ნიკაბი ჩამოღო მძღოლმა და
თედორეს გამოხედა.

დაუპატიჟებელ სტუმარს კაცმა ალ-
მაცერად შეავლო თვალი.

— რას აკეთებ, კაცი, ასე გულიანად?

— წისქვილს!

— წისქვილსო?! როგორ თუ წისქ-
ვილს! ტრიალ მინდორზე წისქვილი გა-
გონილა?

— რახან ვაკეთებ, ესე იგი გაგონილა!
აა, გიჟი ვყოფილვარ, ვაკეთებ და რას

ვაკეთებ, არ ვიცი! — ხმას აუწია თედო-
რემ.

— დასაფქვავად რა მასალა უნდა გა-
მოიყენო, პური, ქერი თუ ჭვავი, რას
გუებნება გუმანი! — არ მოიშალა მძღო-
ლმა.

— კორკიმელი, გამზმარი, შენი უტვი-
ნო თავისნაირი კორკიმელები... მერე და
მერე შენსავით გაძვალტყავებულ, გამზ-
დარ ფოთლებს მიუურიგებ... და... საერ-
თოდ, წადი ახლა, ხელს ნუ მიშლი, გზა-
ზე დგახარ, ნუ გაიმრუდებ სავალს, ენის
გარდა სხვა რამე არ გამომტყუო! —
თვალდაქაჩულმა თედორემ ბარი შეატ-
რიალ-შემოატრიალა.

— აბა, კარგად იყავი, — თქვა მძღოლ-
მა და მანქანა იქაურობას გაარიდა.

— რას აკეთებო! ნამეტანი გაფუჭდა
ქვეყანა! კულში უნდა გსდიონ, სულში
უნდა გსდიონ, გითვალთვალონ! თვალის
სინათლე არ მიცემოდეს მადევიარ კაცს!
რა შენი საქმეა, რას ვაკეთებ! მოვედი
და გითხარი, შენ რას აკეთებ-თქო? რა-
ტომ გინდა, ცხვირი იქ ჩაყო, სადაც არ
ჩაგეყოფება! — ისე ხმაძალდა ლაპარა-
კობდა თედორე, რომ სისუას მოსვლა
ვერც კი გაიგო.

— თედორეს გაუმარჯოს, თედორეს,
მუშა კაცს! — სისუა მინდორზე დაჯდა.

— გაგიმარჯოს, სისუა ბატონო! რაო,
გაიგე როგორმე, თედორე რას აკეთებსო?!

— მე ხომ მიცნობ, მაგის კაცი არა
ვარ! ტყეში ვიყავი, საშეშე ადგილი მო-
ვითვალეირე და იქიდან მოვედივარ. შენც
არ მინახიხარ კარგა ხანია და მიტომაც
შეგჩერდი, შეილებს ვეფიცები...

— კეთილი და პატიოსანი! ტყუილს
არც მე გეტყვი, მახეს ვაკეთებ, მტერი
ფეხი-ფეხში დამსდევს, მოვარიან ლამეს
მიმწარებს, აქ უნდა გაუაბა, მერე კი მის
სეირს შენ თვითონ ნახავ, ააა!

სისუამ კეფა მოიფხანა...

— სოფლის ტკივილზე მოლაპარაკე
ენიანი კაცია საჭირო, თორემ უნამორაშ-
რაშე კაცს შენ გამოლევე ღუნიანზე? და-
სავლეთის ცაზე ვარსკვლავი არ მოითე-
ლება იმდენი! უენო თუ ხარ, წაჯავალა-
ვინებენი თავწაღუნული მშრომელი თუ



ხარ, მეტს მოგთხოვენ! სხვამ რომ გააფუჭოს, შენ გაგაკეთებინებენ! აგერ, აა, ზემოუბნელი ბრიგადირი, საჩივარს საჩივარზე წერდა, ყველას ბედელში იხედებოდა, თანასოფელელთ ენის წვერით ატრიალებდა და დღეს ბრიგადირად მოგვევლინა! სიმინდის მარცვალი როგორ ღვივდება, იმას ვერ გეტყვის! ენა აქვს გრძელი! ხალხო, სათოხარში გასწიეთ, თავმჯდომარემ თქვაო! თვითონ ჩეროში მიჯდება და გრძელ-გრძელ პაპიროსებს აბოლებს! ბებია უცხონდა, მზემ არ დაკრას! პაპამისის ცხოვრებაც ვერე ნებივრობაში გაილია! უუ, შენი!..

თვალგამტერებულმა სისუამ კეფა კიდევ მოიქექა...

— შენ რა თავის ფხანა ავივარდა, მკებენარი ხომ არ გაგინდა! — თვალები მოჭურტა თედორემ.

— მკებენარი ამ მინდორს ჰყავს გაჩენილი...

— შენ ავაშენა ღმერთმა, ამდენი რომ იცი! კი არ მეგონა, თუ რამე გესმოდა თოხნის გარდა, — სიტყვა ჩამოართვა თედორემ სისუას, — აბა, ეს მახე მეტს კი არაფერს აკეთებს! ეს მახე იმიტომ მინდა, რომ მღვეარი მოვსპო! მტერი ამოვდუდგო, მოვასირსვალო! მტერს თუ იქით არ უმტერე, ჯაბანი ეგონები! ხელწამოსაკრავად ეყოლები! საპამპულოდ გაგიხდის საქმეს! ნურც ის გგონია მართალი, სოფელი პატარაა, მომხდური კი დიდია! ეს ქვეყანა მოვედი-წავედის მეტი არაფერია, ხონთქარიც ერთ დღეს მოკვდა და მისი თავდადებული მენახირეც, მაგრამ შენ, სისუა ბატონო, მენახირედ კი არ უნდა ჩაძაღდე, იხონთქრო შენს მიწაზე, ესაა შენი ვალი! ეს მახე შენსა და ჩემს ვალს უნდა ემსახუროს, მტერი მდირეს ქვეშ უნდა ამოწეწკოს! ეპეპეპე! — შესძახა ცას თედორემ.

სისუამ ჯერ შუბლი მოისრისა, კეფა ისევ მოიქექა, მერე მიძიმედ ადგა და მინდორს უხმოვ გაუყვა.

— წახვედი, ხომ?! აი, ჭკვიანი კაცი, ერთი ჭკვიანი მეთოხარი, წავიდა, ერთი უშნოდ არა უთქვამს რა.

ბეჭობს ცოტა რომ ჩასცდა, სისუამ პირჯვარი სამჯერ გამოისახა.

ის იყო თედორემ განაბურდ მორს რკინის ტაბიკი გაუყარა, რომ სოფლის ზეუა უბანში ისეთი არი-რია ატეხა ქალმა და კაცმა, გაღმა, ტატანეურის ქელის ხევ-ხუცში, დაფრთხებოდა ნადირ-ფრინველი.

— ეპეპეპე, სოფელოო! — შეეხმინა ზედა უბანს თედორე.

წუთიც და დღეს ფრთებგაშლილი კეება ფრინველი თავს წამოადგა. ფრინველი ისე ძალუმად იქნევედა ფრთებს, თხმელნარის ფოთლები შარი-შურმა აიტანა.

— ბატი მოუტაცებია, იმიტომ აყვირდა უბანი! ნაღდად ეს ის არის! იმ დამეს რომ დამეხმარა?! ჩემი ჭირი და ვარამი რომ გაიწილადა! ეპეპეპე! არწი-კაიო!.. არწივიო!.. არწივი ყოველთვის არწივია, ფრთები რომ დაასხიპო, მაინც არწივია, მოღვმიდანა არწივი, ჯილ-გითაა არწივი, სისხლითაა არწივი, ეპეპეპე! სო-ფე-ლოო! — დაწია ხმა თედორემ არწივს, მერე კი გაბაჯულა ბლის უკან ყლორტნაყარ თხმელნარში ჩაშვებულს თვალი ჩააყოლა.

დელის პირა აღმართი, კალოს მხრიდან რომ ჰქონდა სახარ-ურმო გზას შემოყოლილი, გულამოვარდნილმა, თოფ-მომარჯვეტულმა ლადიმომ ამოირბინა.

— ლადიმო, ბიჭო, სად გარბიხარ?! — შეეხმინა ბარის ტარზე ნიკაპამოდებული თედორე თოფთან კაცს.

— ზევით, გავრბივარ, კარგად დავინახე, სადაც ჩაფრინდა, თხმელნარში, ბლის უკან... სოფელი აიკლო მაგ კერანმა... მესამე ბატი მომტაცა, ორი დღე დღი ღაღანანთის გამოტკეირა, ბიკენტის ინდაური ზედ თუთის ძირში გადაუძახა, ჩამოსიძებულ ბიჭიკოს ორი გოჭი აკლია, თვის გოჭები... თუ ასე გაავარძელა, შემოდგომამდე მთელ სოფელს ოლოლიკზე დატოვებს!..

— ლადიმო, ლადიმო! მობრუნდი უკან! ღმერთი არ გაგიწყრეს და თოფი არ ისროლო! ლადიმო, ბიჭო, ლადიმო! — აღრიალდა თედორე.

ლადიმომ ყურიც არ ათხოვა მეზობელს, სულამოსკვნილი ისევ თხმელნარისკენ მივბოდიდა...

— ლადიმო, ლადიმო... მე თქი! — კიდევ დაუყვირა თედორემ თოფიან კაცს.

ლადიმომ თედორეს ძახილი ახლაც არაფრად ჩააგდო...

— შენ გიჩვენებ სეირს! შენი ძაღლი ვარ, რომ არ მეპასუხები?! — ერთი ამოიხივლა თედორემ და ლადიმოს დაედევნა.

ლადიმო თხმელნარს უახლოვდებოდა. თედორე მეზობელს დაეწია, ქამარში ხელი წაატანა, შემოატრიალა და კითხვა ზედ პირთან მიახალა:

— სად მიდიხარ, ერთი კიდევ გამიმეორე?! — არწივი უნდა მოვკლა!

— ბატის გულისთვის, არა?

— შენ ბატი უძახე, ბურღლას იძლევა, გერმას იძლევა, ხორცს იძლევა... სიმინდს ვაჭმევ, ძმარ, ჩემს ნაოფლარს ვაჭმევ და იმას მიაქვს, ის იყორავს ჩიჩახეს!

— ესე იგი, არწივი უნდა მოკლა შენა გამოტყინებული ბატის გამო, არა? — თედორემ მეზობელს ქამარი მიუღრიჯ-მოუღრიჯა, წელი მოუსინჯა.

— დიახ, დიახ, არწივი! ვაგვანადგურა! ხელი გამიშვი, რას მაჩერებ, კარგი მომენტი მაქვს! — გაიწია ლადიმომ.

— დაბრუნდი უკან! მაგ არწივმა მე გადამარჩინა, ამ სოფლის იმედი, ამ სოფლის წყალობა! თოფის სროლა არ გაბედო, თორემ ყბებს დაგაღლეწავ! როგორ თუ არწივი უნდა მოკლა! შენ რომ ჭკუა არ ვეთანადრებოდეს, ნასესხები რომ არ გქონდეს გონება, არწივს ძეგლი უნდა დაუდგა... მზეხატივით მასზე უნდა ილოცო!

— გამიშვი თორემ, შენ გესვრი, ბიჭოს! — კიდევ გაიწია ლადიმომ.

— მე შესვრი? ჰაიტ, შე ვირო მამა-ძაღლო, არწივების ამოხოცვა გინდა, არა? — ერთი დახივლა თედორემ ლადიმოს, მერე ხელში ეცა, მკლავები სახრესავით მიუგრინხ-მოუგრინხა, იარაღი გამოვლიჯა და ქვევით, შარისპირისკენ,

დაეშვა, მახის მორებთან მიიბინა, თოფი შემოაბრუნა, ხელი ლულეებში ჩააქლო, მოიქნია და მსხვილ ღირეს ზურგით დაჰკრა...

ყველაფერი წამისწამში მოხდა. მარჯვენა ლულაში დენთი აფეთქდა...

თედორეს მარჯვენა მხარეს, ნეკნების დაბლა, ტკივილმა გველივით უკბინა, ხელი მიიღო და... თბილი სისხლი ხელის მტევანში გაიბლანდა...

— რა ქენი, ბიჭო ეს?! — შეშინებულმა ლადიმომ ჯერ თედორეს შეხედა, მერე შაბივით გადაფშენილ თოფისკენ დაიხარა, ხელი წაატანა.

— თოფიანო მეზობელო, არწივს კი არა... თუმცა, შენ რომ ჭკუა გქონდეს თავისუფლად ფრენის ფასი იცოდე, არწივს თოფის სროლას არ დაუბირებდი!..

ქალაღი ბევრი უნდა იკითხო!.. — უფრო მოემანჭა სახე თედორეს, ჭრილობაზე მეორე ხელიც მიიღო.

...არწივმა ნისკარტი ბალახს წაუსვწამოუსვა, ხუთიოდე გრძელი ნაბიჯი გადადგა, შეკეცილი ფრთები გაშალა, ძალუმად დაიქნია და ჰაერის ვრცელ ოკნანეში შეცურდა...

— შეხედე, ლადიმო, შეხედე, აი, არწივი! აი, ეგ არის ქვეყანა! მაგის მოკვლა გინდოდა?! იფრინე, იფრინე, არწივი! ეპეჰეე! — მიაყვირა თედორემ თავისი უფლებების ბატონ-პატრონს, მერე თითქოს ფრინველს ცურვაში მიეხმარაო, ხელი ნიჩბებივით მოუსვა და მოუსვა...

— სისხლი, ბიჭო, თედორე, სისხლი! — აყვირდა ლადიმო მაშინ, როცა მეზობელს ხელის მტევანზე სისხლი შეამჩნია, — მანახე, სად მოგხვდა!

— აქედან დამეკარგე! ჩემს თავს მე მივხვდავ, შე არწივების მტერო! შენ მშისარა ხარ, მიპარვით შეგიძლია მოკლა!

— მანახე, შეგიხვევ, მანახე! — შემფოთება ცეცხლივით მოეკიდა ლადიმოს.

— რას მიქვია, შემიხვევ! გასწი აქედან! დღეისამასიქით მიანც შეიგნე, რომ...

თედორეს ტკივილმა კიდევ უკბინა.

მინდორს თვალი მიმოავლო, ღელის პირზე მივიდა, ანწლებს ქვეშ ყვავიკუდას ბალახი ბლუჯა-ბლუჯა გამოწიწინა, ხელისგულებში გამოისრისა, დაწვენიჭეჭყა, ხალათი აიწია, ჭრილობას აუსვდაუსვა, მერე გაქანა და ლადიმოს ერთი ისეთი უჭიტლაყა, აქის იქამდე გადაახტუნა.

მეზობელს თედორეს ჭიტლაყმა ენაზე აკბენინა...

ახლა კი იკადრა გაქცევა ლადიმომ...

სოფლის მარჩენალ მიწას მზენათელი ადგა... ღელის წყალი ჩამცხრალიყო, პაემანზე მიმავალი ბიჭვიით მილიღინებდა რუ...

კაკლის ქვეშ, ძელურ სკამზე ჩამოიჯდარი თედორე, მზეს ჭრილობას უფიცხებდა... თვალში ნაკვერცხალი მინაელოდა, ნაცრისფერი მოძალეობდა სახეზე... იქვე, თედორეს ფეხის წინ, ჩიტბატონები ერთმანეთს შეკურკურებდნენ. კუდმაკრატელა თეთრგულა მერცხლები ძირს ჩამოყოლოდნენ წვიმისაგან შეშინებულ ბუზ-პებლებს და მინდვრის თავზე ისე ახლოს დაფრინავდნენ, შეშინებული გვირილები თავებს აქეთ-იქით ხრიდნენ... უმარცვლოდ დარჩენილმა წის. ქვილის დოლაბმა ყბის ქნევას უმატა, სარეკელასაც საქმე გამოელია, ტაშ-ფანდური დაჰკრა და დაჰკრა. წისქვილის ახუნდრუცებამ ნერწყვამშრალ თედორეს ყური გაუხელა... ადგა, ცოტა ხანს კიდევ უსმინა დოლაბის ლაულაუს, ხელი ჩაიქნია, წისქვილთან მივიდა, კეტი მოტებნა, ღარს ქვეშ ამოსდო და ბორბალს წყალი გადაუგდო.

თედორე ისევ შარაზე ავიდა... კინაღამ სახეზე შეაფრინდა ბუზს გამოღვენებული მერცხალი. ის იყო, ჩამოჯდომას აპირებდა, მანის გასაკეთებელ მორებთან ტალახშემშმარი ღორები გამოილალნენ, ჭრულ-ჭრელი, აქენჩრილი ღორები... მორებს მიეფხანენ, ფერდები დაისიამეს...

— ნძაა, ღორო! ნძაა, ღორო! — დაიყვირა ფერმიხდილმა თედორემ.

ღორებმა ფეხი არ მოიცვალეს...

როგორ თუ ჩემს ყვირილს ფასი არა აქვსო, გაფიცხდა თედორე, ადგილზე მიტრიალ-მოტრიალდა, ქვები წამოხიკა და ღორებს სროლა დაუწყო. მაინცდამაინც ყური არც ახლა დაიბერტყეს ღორებმა. თედორე უფრო გაავდა, მსხვილ-მსხვილი ქვები ახიკა და სროლით ღორებისკენ გაქანა. წავიდნენ ღორები, მინდორზე გაიბნენ... თედორე ახლა მორზე ჩამოჯდა. მძიმედ სუნთქავდა. ენაჩავარდნილი დიდხანს გასცქეროდა გაღმიანეთს. უცბად ნათოფურმა გვარიანად უბჭკინა. მერე რაღაი ერთი კბილი მოუსინჯა, ყოფა უტირა, მიადგა და ბჭინა და ჩქმიტა. მერე და მერე, ტკივილმა რომ უმატა, წამოდგა, ღელის პირთან მივიდა, ანწლების გურურჯებს მიადგა, მიბელ-მობელა, ყვავიკუდას ბალახები ძირი-ძირზე გამოწიწინა, ხელის გულებში გამოისრისა, ხალათის ქვეშ ხელი შეიყო და ჭრილობაზე დაიდო. ნაყვავიკუდარმა არც თუ ისე უხალვათა, სახე უფრო მოემანჭა, გაიქცა, სახლს მიაშურა, გახრიგინებულ ტახტზე გულადმა წამოწვა და ჭირთათმენის თვალი ჭერს მიაშტერა...

...ტკივილმა ერთი კი უხანა და... წასთვლიმა... წასთვლიმა და, მუხლის მოსახალვათებლად კუნძზე ჩამოძდარი სიზმარი ნაბიჯზე აჰყვა: დგას თედორე მინდორზე და დასცქერის თავის ჩრდილს... ხედაა ქცეული, რა იღონოს, არ იცის, რა ძალას მიმართოს, ვერა გაუგიარა... ხმაძალლა ელაპარაკება, ყელის ამოხვეამდე უყვირის... მკაცრად პასუხობენ და უფრო მკაცრად უყვირიან... თუმცა ეს პასუხი და ყვირილი თავისივე ხმაა... ორიოდ ნაბიჯზე, ცოტა იქით, ჯუჯა რცხილის ხეზე, თვალეზადმოკარკლული ბუ ჩამოჯდა და ხედ ყურში ჩასძახა, თედორეო... შენ თუ სერი არ დაგაწიე, არ მომეშვები! აი, ქვებიც აგერაა. ესეც შენ, ესეც შენ... მოგზვდაა?.. ნირიც კი არ შეიცვალე?.. თედორე ადგილს მოსწყდა, ჯუჯა ხეს მხრით მიელახა, ხელი ტოტებში შეყო

და ის იყო, ფრინველს ფეხებში უნდა სწვდენოდა, რომ ღამის მთველი გაუჩინარდა.. თვალხილულ უჩინმანჩინებო, მოცინლდით კაცობრიობას! კაცობა თვალის ჩინია!.. კუღში მადეკარო ჩრდილო, თქვენ ბუმ გამოგზავნათ, არა? თქვენ მე მებრძვით, არა? თქვენ ხომ ჩრდილის მე ხართ? კი მაგრამ, კარგ კაცს გლახ ჩრდილი რომ ჰქონდეს, შეიძლება? შენ ვიგინდარა ხარ! სანამ გაასკაცდებოდნენ, შენ მაინც მოგერევი, შენ ჯავრს როგორ ჩავიტან მიწაქვეშ!.. თედორე თითქოს ზევით ასწიეს, ჰაერში აამალესო... მერე მინდორს ხელეგაშლილი დააცხრა... მერე თითქოს კადრი გაწყდაო... სხვა ფირი ჩაირთო...

...თედორეს რომ გამოეღვიძა, მზე ჩადიოდა. ტყვიანაკრავი ადგილი უფრო ტკიოდა. ოფლს მთელ სხეულზე გამოეჭონა...

— არა, ეგ არ მომასვენებს!.. თუ ბოლო არ მოვუღე, წირვა არ გამოუყვანენ, მაგის წერა გავხდები! სხვანაირად შვება არ მიწერია; ეგ სანამ ივლის, ეგ სანამ კუღში დამსდევს, სანამ გვერდიდან არ ჩამოძვინდება, ქვეყანას საშველი არ დაადგება! — თედორე გარეთ გავარდა, კიბის საფეხურებზე ჩაიჯლივინა, ჭიშკარი გაიჯახუნა, მინდორზე მორებისა და წერაქვის წინ გახვედა...

კარგა ხანს უყურა ბარ-წერაქვს. მერე ხან ერთ, ხან მეორე მორს ხელი ჩაბღუჭა, მისწი-მოსწია, თავ-ბოლო მიუტოლ-მოუტოლა, მოასაზმურა, ძუძუებივით ამოწკერტილი აქა-იქ შემორჩენილი ნატოტურები დაათალა, მერე ერთი, ძირმოსული ამოიჩნია, ხელი ჩაავლო, წამოაყუდა და მსხვილ ძირს ორმოში პირი უქნა. გაასწორა, მიწა მიუყარა, ბარის ტარით მოტენა, მერე ქვები შემოულაგა, ისევ მიწა მიაყარა... მერე მარცხენა თვალს მოჭუტა და ბოძი შეუღღში მოიყვანა...

— ძალიან კარგია, ასე უნდა, დიახ, ასე! ახლა ამას ბოლომდე მოუტენი, ორ-

მოს თავამდე ამოვაკებს და ერთი ბოძანდური მორჩება! მერე დანარჩენებს მივხედავ! დედას გიტყვებ. ქვეყნის მადეკარო! მე ქვეყანა ვარ, ქვეყანა! — ხმას აუწია თედორემ, მერე მეორე ბოძი ჩააყუდა ძირით, დაბურღილი ადგილები ერთმანეთს გაუსწორა, გვერდულად არ გამომივიდესო, რკინის ტაბიციკ კი გაუყარა, მერე მიწა მიაყარა და მიაყარა... მერე ხან ფეხითა და ხანაც ბარის ტარით ტკეპნა და ტკეპნა...

ჩოჩიალა ურმის ბორბლები ხრივინ-ხრივინით მოგორავდნენ, თითქოს შარა აკლესო, ისეთი ხმაური მოსდევდა ურემს. თედორემ იქით იბრუნა თვალი, მზერა მიამტერა.

— ღურუშაა მაგი, სოფლის ამომგდები ღურუშაა მაგი არაა კაცი! სულ სხვის წაგლეჯაში აღამებსა და ათენებს!.. უუპ, შენი!..

ღურუშა ურემზე იჯდა და უსტკვენდა...

— შენ აგაფსტვინა გადაშენებამ! შენი მადლიერი კაცი არ დადის ამ სოფელში, ნეტა ცოლი როგორ გვუობს, ვაი, მისი სიცოცხლის ფასი და საღირალი! ყველაფერში ცხვირის ჩაყოფა რომ იცი, ის ცხვირი და ენა მაგ ხარების ფუნაშო ჩაგეყოს!.. მოვა და კითხვებით ამიკვლებს, რას აკეთებ, რას შერები, რას ხლაფორთობო! მაგის გაუკითხავ-გაუგებელი არაფერი დარჩენილა ამ ხეობაში და... ახლა, ამ ტრიალ მინდორზე რომ მშენებლობას ნახავს, პირს შენ გაუკერავ? მეტი მტერი არ ეყოლოს ამ წისქვილს! რაფერ გინდა აუხსნა, ქვეყანას რა ტკივა, რა უჭირს, სად უნდა მოფერება, სად უნდა მიშველება, ვერაფერს ვერ გაიკვებს საქვეყნიოს ეგ ბეყვი მტაცებელი! ერთი იცის, ოღონდ თავის სახლში შეიტანოს, თავის ბედლის თვალი ამოავსოს და მმას კალოს ლეწვისას ხარს წაართმევს, ხვალ გაღწეო, დღეს ხარი დაღლილიაო! ერთი ენა აქვს, სახლში ისე არ უნდა მიხვიდე, ხელი ცარიელი გქონდესო! რიყის ქვა მაინც ყრია უპატრონოდ, ამოიდე იდლიის ქვეშ და მეზობელს თვალი დაუყენეო!..

თედორე ბარის ტარს ჩამოეყრდნო.

დურუშამ მოხრიგინე ურემი ზედ ცხვირ-
წინ გაუჩერა.

— გამარჯობა, ჩემო თედორე... კი მა-
რა, ჭრილობა შეგიზორცდა? ასე პატა-
რაზე მოგხვდა? — იმ წუთშივე მტკივან
ადგილს დაეტაკა დურუშა.

თედორემ არა უპასუხა რა.

— მეორე ლულიდან, ალბათ, ენაზე
დაგჭრა საფანტმა... — გაკენწლა დურუ-
შამ მეზობელი.

თედორემ არც ახლა უპასუხა.

„არაფერი დამარტყას ამ ვირმა, რაე
აქვს ენა დაბოქლომებული, რაცხა უბე-
დურს ავს ფიქრობს“. — ერთი ფიქრი გა-
ივლო დურუშამ.

თედორემ ბარის ტარზე ხელი მოინა-
ცვლა...

— მუშაობას ნუ მოცდები, თორემ ოფ-
ლი შეგაშრება და პატარა ქვენა ნიაიცი
კი შეგაციებს, აპა, წავედი, ხელს რაე
შეგიშლი, შენს საქმეს გაუმარჯოს! —
ბოლო სიტყვა დაცინეასავით დაუგდო
დურუშამ მეზობელს, ხარებს მოუწრუ-
ბუნა და შოლტი შესაშინებლად შეაფლა-
რუნა. ურემი ისევ ახრიგინდა.

— უყურე მაგ ტუტუცს, მაგას! ქვენა
ნიაიცი კი შეგაციებსო, რა შენი ჭკუის
საქმეა, რა შემაციებს და რა შემაცხე-
ლებს! ოო, ენამოტანტალე კაცზე საშიში
არაფერია ქვეყანაზე! სახლამდე არც კი
იქნება მისული, ცხრა კაცი მომაკითხავს,
კოლმეურნეობის მიწას რა საბუთით
თხრიო, რა დადგენილება გიჭირავს ხელ-
შიო! რად უნდა საბუთი, რად უნდა დად-
გენილება მტრის მოსპობას! მტერი უნდა
ამოძირკვო! მტერს თვალი არ უნდა გა-
ახელინო! დურუშა ამ სოფლის მტერია!
მაგრამ მასაც ჰყავს მტერი! საკუთარი
ენა ისე, უმტრობს, თვითონაც გაუკვირ-
დება.. თედორემ ბარის ტარს ხელი
აუსვა-დაუსვა, თითქოს სიმსხო მოუსინ-
ჯაო.

ხარ-ურემი თვალს მიეფარა...

— ჩემი საქმე სულ სხვა საქმეთა კა-
ცური კაცის საქმეა, სიკეთისათვის ვიბრ-
ძვი, ჭკუა და ხატი ჩემსკენაა და ვიგინ-
დარებს რა ძალა შესწევთ ისეთი, განგე-
ბას აღუდგენენ? ვაპაპაპაა! — გადაი-

ხარხარა თედორემ და სანამ ტუტუცს
თავს მოუყრიდა, მუშაობა გაავრძელა.

... თედორეს ბევრი დრო არ დასჭირ-
ვებია, გულიანად მიაბიტკნა მეორე ბო-
ძიც. ზევიდან თხელი ფიცრის ნაჭერიც
კი დააჭედა, თავი არ გაიხსნასო. ის
იყო, მესამე ბოძის ჩასმას შეუდგა, მიწა
შიუყარა კიდევ, რომ იქვე, წისქვილის
ასწვრივ, ღელეში, თოფი გავარდა. სრო-
ლის ხმა გაღმა არც კი იქნებოდა გა-
სული, ძაღლის წკაფწკაფმა იქაურობა
რომ აიკლო. მეორედაც გავარდა თოფი.
ძაღლი ისევ წკაოდა... თედორემ ბარს
უშვა ხელი და ნათოფური ადგილი მო-
ისინჯა, უფრო სწორედ, თოფის სრო-
ლამ ჭრილობაზე მოაკიდებინა ხელი,
იმდღევანდელი ამბავი მოაგონა... წამიც
და ძაღლი ღელიდან მინდორზე გამო-
ვარდა.. თუმცა, რაღა გამოვარდნა იყო,
მარცხენა ფეხს მიწაზე მოათრევდა,
კუდამოძუებული, ამჯერად უკვე სამფე-
ხა ცხოველი, საშველსა და თავშესაფარს
ეძებდა...

თედორე იქით მიექცა...

ძაღლი ჭრილობას მოთქვამდა...

ღელის პირზე თოფმომარჯვებული
ლუშა გამოჩნდა...

ძაღლი თედორეს ზედ ფეხებთან მია-
დგა; შიშისგან ღორბლი ერთიანად გად-
მოდიოდა... ერთ-ორჯერ ნათოფური ად-
გილიც აილოკა...

— თედორე! თედორე! კაცო! კეტი
მოიმარჯვე, ცოფიანია ეგ პატრონამოსაგ-
დები, დაარტყი, გაერიდე, ბიჭო, დაგ-
კენს! — ყვიროდა ლუშა მონადირე.

თედორემ ძაღლს დახედა...

— რა ეტყობა ახლა ამას ცოფიანო-
ბის! რა ხალხი მოესხა ამ დიდებულ მი-
წას! მაგი ახლა იმ ასაკშია, ხელები
რომ ეფხანება, ტვინი რომ აქვს უტვი-
ნო ადგილზე — ჩაილაპარაკა თედორემ
თავისთვის.

— დაარტყი, დაარტყი.. აქეთ გამოდი,
აქეთ! ჩამოეცალე! — დაუყვირა ისევ
ლუშამ, ოთხიოდ ნაბიჯი გადმოდგა,
თოფში ვაზნები ჩააწყო და ცალ მუხლ-
ზე წამოიჩოქა.

ძაღლმა ჭრილობა ერთი კიდევ მოი-

ლოკა, მერე თავი ასწია და ყმული მო-
რთო... თავის გაჩენას ტიროდა ალბათ
ძალდი...

— გაიწიე, კაცო, არ გესმის? კიდევ
უნდა ვესროლო! — არ იშლიდა თოფი-
ნი კაცი.

— წადი, ბიჭო, იქით! გზას ეწიე! მე-
ტი ვერავინ ნახე დასაჩაგრი? უმწეო
ძალღზე დაგიდგა საქმე? რას მიქვია, ეს-
ერი! ჩემს გვერდით მდგომს როგორ ეს-
ერი! რა ძალ გაქვს ისეთი! ვინა ხარ! რა
დაგიშვა ერთმა ბეჩავმა ძალღმა, ვაი-
უშველებელი ზალბით რომ მოსდევ! —
თვალედაქაჩული თედორე კბილს კბი-
ლზე ისვამდა.

— ცოფი აქვს!

— ცოფი შენ გაქვს! თოფიც შენ გაქვს!
და ცოფიც! მიდი, გვესროლე! გვესრო-
ლე, თუ ბიჭი ხარ! ძალდი კაცის მეგო-
ბარი რომ არის, თუ იცი შენ! მარა, რაც
იცი, მადერ გეტყობა! მტერი ვერ გიც-
ვინა შენ და მოყვარესთან, რა ხელი
გაქვს! წადი, წადი, სანამ მაგ თოფს ამ
მორებს შემოვამტვრევდე! — ისე გულ-
დაჯერებით უთხრა თედორემ, მონადირე
ადგილზე გახვედა.

ძალდი აყმუვლდა...

— გაბრუნდი, ბიჭო, უკან, სანამ ნათე-
ლი გაქვს თვალში! — ბრძანებას ჰგავ-
და თედორეს სიტყვები.

მონადირემ ჩაზმახები მიუშვა, თოფი
მხარზე მოიგდო, მიბრუნდა და უხმოდ
წავიდა.

თედორემ ერთხანს უყურა ძალღს, მე-
რე თავზე ხელი გადაუსვა, მოეფერა,
დაუყვავა, ჭრილობა მოუსინჯა... ნუ გე-
შინია, მოსაკლავად არ მოგზვედრია...
მაგათ სროლაც არ იციან... ახლა იქით
უნდა მივაჩოჩო, ხელი არ შემეშალო,
გადაუდებელი საქმე მაქვს...

ძალდი ნათოფურ ადგილს გულდა-
გულ ილოკავდა.

— შენ იმდენი სახის წამალი გაქვს
ენის ქვეშ, რა მკურნალი, რომელი მკურ-
ნალი მიუდგება შენს ენას! ძალღმოს გა-
მოგონება ვისაც უნდა, შენი ყბისა და
ენის სიტემა უნდა შეისწავლოს! შენი
ღმერთი შენი ენაა, ლოკე და ლოკე! შე-

ნი ძალღმო შენმა ენამ იცის! — დაძობდ-
ვრა თედორემ ძალდი, მერე კი თავის
საქმეს მიჰყო ხელი.

მეოთხე ბოძიც რომ ჩაასვა და ხელი
დაიფერთხა, მზე მაშინ ჩაცურდა ფო-
ცხვრების მთის უკან.

— ზომ ხედავ, ჩემო მეგობარო, მზე-
მაც კი აუჩქარა ფეხს, მთების იქით ჩა-
იკარგა, ყველას უნდა, მტერი რომ ძალღ
ამოწვევით! ბევრი ხელი აღარ სჭირ-
დება, ცოტაც და მოვრჩები ჩემი მხსნე-
ლის, საწინააღმდეგის კეთებას, მერე ძალღ
მთვარეც ამოვა და მადეგარო, მეყოლე
კარგად! მიგასრესავ! უნიჭობა თუ გაუ-
შვი, თვითონ მიისრისება... სხვანაირად
არ ჩამომართვა და შენ რომ ნიჭიერი არ
ყოფილიყავი, თავშესაფარს ჩემთან ვერ
მოძებნიდი, ნიჭიერი თავის ბადალს
იზიდავს და იახლოებს! არ მითხრა ახ-
ლა, რას ბეოტილობი! ნიჭიერად შე-
თითხნილი უნიჭო, საკუთარ ნიფხავს
რომ ვერ ცნობს, ასე ქუჩა-ქუჩა დასდევს
მოაზროვნე არსებას! თოფიანი ლეუშა
უნიჭობამ ამძობრავა, თავის გამოჩენამ
წამოაგდო ზეზე და ცოფითაც იმიტომ
მოგნათლა! უნდა, სოფელს გააგებინოს,
თქვენი პატრონი მე ვარო! თქვენ რომ
კარგად იყოთ, იმიტომ ჩავდივარ ამასო!
ამით მომხრეებს გაიჩენს, დასაყრდენს
გაიმაგრებს! პატარა გუმანი აქვს, რამე
საქმე რომ იყოს, სოფელი მე მომენდო-
ბა და მე ამირჩევს თავკაცადო! ძალდი-
ღან იმიტომ დაიწყო, მიხვედრილია, ძა-
ლდი პატრონს რომ ვერა სცნობს, მღე-
რიე წყალში თევზის დაჭერას იოლად
ფიქრობს!.. მამაზეციერი ერთხელაც მო-
იცლის, საანგარიშოზე ერთად ჩამოუყ-
რის კვრისტავეებს, ერთად უანგარიშებს
ანგარებასაც და უანგარობასაც! ნურავის
ჰგონია, რომ გაღმა უკეთ ცხოვრობენ-
ყველა ვიგინდარას იქით უჭირავს თვა-
ლი, სადაც იოლად ჰგონია ცხოვრება!
კაცი შენს მიწაზე როცა ხარ, ძალღლონე
მაშინ გაქვს! თუ რამეში ეჭვი გეპარება,
შენვე უნდა გაფანტო კოშმარი, შენი
იდეალი შენვე უნდა შეიქმნა! საკუთარ
თავს უნდა ებრძოლო, საკუთარ თავში
უნდა გაიჩინო საკუთარი თავი! მხოლოდ

სიკეთე უნდა თესო, სიკეთე უნდა მკა-
ოფლისა და გარჯის გარეშე ვერ მოე-
რევი მტერს! ზერელე ქაქანი უგზა-უგვ-
ლოდ იკარგება! კიდევ ერთხელ ვიმეო-
რებ: ბურავის ჰგონია, რომ არ დაუან-
გარიშებენ!.. უნიჭოებს იქამდე იყენე-
ბენ, სანამ ჭირდებათ, მერე ვის რაში
არგია! ყველა უნიჭო ბრმა იარაღია! რა-
ძღენი ბრმა იარაღი გაცვეთილა და მისი
ჟანგიც კი არ დარჩენილა სახსენებ-
ლად!.. რაღა შორს მივდივართ, ავე ლე-
უშა ბატონი! კაპიკითაა მოტყუებული:
ვიღაცამ ძვალი გადაუგლო სახრავად,
კბილის მოსანაცვლებლად, მერე ძვლის
ხვრამი კარგად რომ გაერთო, თოფი შე-
აჩნა ხელში!.. კარგი, კარგი, მოვრჩეთ
ახლა ამ ლაქლაქს, რავა პირდაღებული
მიყურებ, მართლა ხომ არ გესმის ჩემი
ნალაპარაკები? მარა, რა გესმის შე
სცოდავო! შენ კი არა, ლეუშას არაფერი
ესმის, ბატონით მართლა ორ ფეხზე დგას
საქმე მიგვიანდება, სახლში გამომეყვი,
მოგასვენებ, იქ ჯობია, საჭმელს მოგართ-
მევ, მერე შე შენთვის ვეღარ მოვიცილი,
დიდი საქმე და დიდი სიხარული მელო-
დება! რაო, არ გინდა წამოსვლა? კაი,
ბატონო, იყავი აქ, მიყურე, როგორ გაე-
მართავ ჩრდილთა აღსასრულებელს! სა-
იდუმლოება რომ გავიმზილო, იმედი
მაქვს, არავის ჩაუკაკლა! არა, ხომ? მამ
გავაგრძელოთ აქედან: ოთხი ბოძი ხომ
არის დასმული? ახლა ძირს ჩავამაგროთ
საყრდენი მორი, რაზეც ზევითა მორი
უნდ დაეცეს, გასაგებია? — თედორემ
მორს წამოთავლო ხელი, ოთხ ბოძს შუა
მოხერხებულად ჩადო და გულიანდაც
მიაღწურსმნა, — აა, ესეც ასე, საქმის
აქამდე მოყვანა იყო მთავარი, თორემ აწი-
ახლა, შენ ხარ ჩემი ბატონი, კარგად
მიყურე, რას ვიზამ, — თედორემ მორე
მორი აიღო, ბოძებს შუა ჩადო, ბურღით
გაზვრეტლი ადგილები ერთმანეთს მი-
ასაზმურა და რკინის ტაბიკი გაუყარა,
— აა, ნახე, ბატონო მეგობარო, ოწინა-
რი ხომ ვინახავს, ან გაგივინია! არა?!
არ გაგივინია?! ჭაზე მართავენ ოწინარს,
მხოლოდ იქ სხვა რამეშია საქმე, ბო-
ლოში ჰკიდებენ ქვებს, წყლით სავსე

ვედრო იოლად რომ ამოიღოს მიწის გუ-
ლიდან, აქ კი, ჩვენს შემთხვევაში,
ქვებს წინ დავამაგრებთ არც ისე უჭ-
კუო ჩანხარ, რომ ვერ გამოიგო! სასხლე-
ტი უნდა ახლა ამას, მაკადე, სახლში
შეველ და თოკებს გამოვიტან, შენ აქ
იდექი, ხომ იცი, ეშმაკს არ სძინავს, ვინ-
მე არ მოგკვებუკოს და იმედის ცეცხლზე
წყალი არ დაგვისხას! — თედორემ
ძაღლს თავზე ხელი გადაუსვა და ჭიმ-
კრისკენ წავიდა.

დაჭრილი დასისხლულ ადგილს ილო-
კავდა...

— აი, ეს თოკი, გრძელი რომ არის, —
გული ჰქონდა ამომჯდარი თედორეს, —
ამ მხრიდან დაეკვრება, ხედავ, ბატონო?
მოიცა, თუ ძმა ხარ, მასხრად მიგდებ?
მიყურე აქეთ, სულ ჭრილობა რომ ილო-
კო, მარტო მაგი კი არაა საქმე, საქმე
საქმეშია, ხომ უნდა ისწავლო, რას
ვაკეთებ და რას ვფიქრობ! არ მისმენ?
— წარბი აქანა თედორემ, თოკები ძირს
დაყარა, ძაღლთან მივიდა და კისერში
უთავაზა.

ვაუუუ, ვაუუუ, ვაუუუ! — მორთო
ძაღლმა.

— ააა, როგორ გგონია შენ, კისერში
შენ კი არა, ბევრს უნდა ხელის წამორ-
ტყმა. აი, აგრე უნდა მიყურო! მამ ასე,
— თედორემ წინა ბოძის მარცხენა მხა-
რეს თავზე თოკი დააღწურსმნა, მერე
რკინაგაყრილ მორს ქვეშ ამოუტარა,
მეორე ბოძის ამონალარ ადგილზე გად-
მოქანა, — ხედავ? როგორ ასწია თავი!
აი, ესაა, რაცაა! — მერე წინა მარჯვენა
ბოძზე მიკრულ ლურსმანს გამოძარყუ-
ებული თოკი გამოსდო ისე ჩანდა, თი-
თქოს ნიანგს ყბა აქვს დაღებულიო, —
ერთი ხელის გაქნევა და მორი ძირს და-
ვარდება, მორჩა და გათავდა, გყავდა მტე-
რი, დაგსდევდა უკან, გვეკლავდა ყოველ
ფეხის ნაბიჯზე, აღარ არის, გადავიდა
გზას იქით!..

ვაუუუ, ვაუუუ, ვაუუუ! — დაჭრილი
ისე უსაშველოდ აფშვკლდა, იქაურობა
ცოლვის ქრუანტულმა აიტანა.

— შენ, ძმაო, ქვეყანას უძახი. აქა
ვართ და მოდითო? მაგის შემყურე

მთვარე საერთოდ არ ამოვა დღეს! მიატოვე ეგ ყმული, რა დროს ეგ არის, რა სოფლის შეყრა გეჭირდება ახლა, ხალხის უმეტესობა ბოროტია, ან ბოროტების ჩადენის მიდრეკილებითაა დაავადებული, წამხედურობამ ხომ მთლიანად მოუღო ბლო გაღმა-გამომღმეთს! თედორეს ისეთი რამე გაუკეთებია, მტერი დაუჭვრიაო, მთელი სოფელი მახეებით გაივსება, ყველა ციგნობასა და ეშმაკობას დაიწყებს, ათასი თვითმარქვია გაახედს თვალს, ჩემო მეგობარო! არ ჩაუვათ ფეხი, მე ვარ მე!..

ძალღმა ერთხელ კიდევ დაიყმუვლა...

— შენ, ძმაო, მასხრად მიგდებ თუ რა შია საქმე! ხელი არ ამადებინო, თორემ ლეუშა მოგონილი იქნება! ახლა ჩვენ ერთნი ვართ, ორთავე დაჭრილი ვართ! ორთავეს ნათოფური გვატყვია!.. იყმუვლე, მაგრამ იცოდე, თავს არ გახვიდე, მთვარე რომ ამობრძანდება, ხელი არ შემეშალო, გვერდზე გადექი, იქით მიიმალე, ანწლის ნაყარიშო გასაგება? — ძალღმა თითქოს გაიგო თედორეს ნათქვამი, მოთრეული წელი წამოსწია და ანწლებში შერგო თავი, — ყოჩაღ შენ, ასე უნდა გაუგო მეგობარს! კაი, მაშინ, ბატონო ჩემო, დროებით დავემშვიდობოთ ერთმანეთს, საღამოს კი, მთვარის სტუმრობისას, საქმეს მოვიკიდოთ ხელი!..

თედორემ ჭიშკარი მიხურა, წისკვილს უხმოდ ჩაუარა და მახესთან შეჩერდა. კარგახანს იდგა მღუმარედ, მერე აღმოსავლეთისკენ შებრუნდა, ხელები შემართა...

— როგორი შავი ღამეა, კაცო! ასეთი უკუნი მთვარის ამოსვლის წინ რომ არ იცის? რა ზდება ნეტავ? პატიცცემული მთვარე სად ბრძანდება ამდენ ხანს?! გაკონილა ამხელა ვახშობა? რას მიერთმევს ნეტავ, რა კერძები მოუმზადეს მოახლეებმა! ნუთუ ჩემს ვახშამს სჯობია? კარგად უნდა შევხვედ მომხვედურს, — თედორემ ხელი მახეს დაადო, — დღეს საღამოსთვის მყავს დაპატიყებული!

ღამე და ტატანეურის გორა საყვარლებივით ჩახუტებულიყვნენ ფოცხვრების მთის კალთაზე...

თედორე ცაზე როჭკივით დაყრილ ვარსკვლავებს თვლიდა...

ის იყო, მთვარის ნათელი კლდთანეთში ჩაივერცხლა, რომ იქვე, შეფერდებაზე, ტყის დასაწყისში, ბუმ ისე გულიგულ შეიცხადა მთვარეშეგვიანებული ღამე, თითქოს დას ომში წასული ძმის დაღუპვის ამბავი შეატყობინესო...

თედორეს უსიამო ჟრუანტელმა თავით ფეხამდე დაუარა. არ ახსოვს, ოდესმე ასე ახლოს მოფრენილიყოს ბუ და ვევიროს...

— უყურე შენ, აქ გამოსულა, — ენა მოიბრუნა თედორემ, — გაღმიანეთი მიუტოვებია, ალბათ, ახლოდან სურს ჩემი ხილვა! ჩუმად მაინც იჯექი, რა ქადაგად დავარდი, ქვეყანას მიყრი? არა, ჩემი არ ესმის, არც უნდა გაიგონოს! მიდექი და რამდენიც გინდა, იძახე, ეგებ გული გაგისკდეს! — გაუჯავრდა ბუს კაცი.

თედორესა და ბუს გაძახილ-გამოძახილს ძაღლის ყმულიც შეემატა...

— მაცადე ცოტა ხანს, მთვარეც ამოვა, ჩემი მტერიც დამეტოლება და სერიის ერთად ვუყუროთ. შენს ყვირილში შეიძლება არც კი მოვიდეს. ისეთი ცივი და ამაზრზენი ხმა გაქვს, რაფერ ვიძლებენ ოჯახში! გაღმიდან კიდევ არა უშავდა რა, ასე ახლოდან კი აუტანელი ხარ. რა გაყვირებს, ჩუმად ნახე, რა მახე მოვაწყვე! აქ მთავრდება ჩემი მტრის აღსასრული! კაცმაცინობლები ქვეყნას ამძიმებენ! საკუთარი ხმის ეშინიათ! აქ მობრძანდება დღეს, თავის ფეხით მოვა მტერი და ნახავ, შენ თვითონ ნახავ, რა დღევ დაადგება! არ მითხრა ახლა, ვერა ვხედავო! მტერს მტრულად არ დავხვედ? არასოდეს ჯაბანი არ ვყოფილვარ და ახლა მოვიხარო ქედი? ნურას უკაცრავად, მე თედორე ვარ, თედორე!... — ხმა-მაღლა ეპასუხებოდა კაცი ბუს.

მთვარის ნათელი ტატანეურის გორას ჩამოსცდა, მერე გამოღმა გამოვიდა და სოფლისკენ მოძავალ აღმართს შემოკვდა...

თედორეე! თედორეე! თედორეე! —
სამჯერ დაიყვინრა ბუმ მიყოლებით.

თედორეს ალმა დაუარა, ჯერ იყო და
ხელი ხელზე დაიკრა, ჩაცუცქდა, ბალა-
ხების გლეჯა დაიწყო; მერე ხელის გუ-
ლებქვეშ გამოსრესილი ბალახი მოაგურ-
გუსალა და ყურებში ჩაიტენა...

კრუალების კრუალი ჭორივით მოსდე-
ბოდა მინდორს...

დაჭრილი ძაღლი განმგებელს შველა's
შესთხოვდა...

თედორეს ყურში ჩატენილმა ბალახ-
მაც ვერ უშველა, ბუს გახელებული ყვი-
რილი მაინც ესმოდა. გაჯავრებული და
აღდავლილი კაცი მინდორზე დაემხო,
ცხერი ბალახებში ჩარგო და ხელის
გულები ყურებზე მიიჭირა. კარგახანს იყო
ისე, მერე მოთმინების ძაფი გაუწყდა,
ფეხზე წამოიჭრა, ყურებში ჩატენილი
ბალახი გამოიყარა, დანაწოლ ადგილს
დააფურთხა, ხელები შემართა და აღ-
მართს სირბილით შეჰყვა. ასიოდ ნაბი-
ჯზე გულმა ისეთი ბაგაბუგი აუტეხა,
ლამის მკერდის ფიცარი ამოუნგრია.
წუთით შეჩერდა. ფილტვები ღოროთე
მჭედლის საბერველივით უბერავდნენ.
ნიკაპზე ღორბლი ჩამოეკიდა, ხველა
აუტყდა... სულს მოთქმა არ აცალა, ისევ
ასდია აღმართს, მერე განში გავიდა... ცო-
ტა მოიხალავათა მუხლი... შენ გავისკ-
და გული, როგორც ახლა მე მისკდება!
სული ხელით მიჭირაეს, ლამის არის,
გამიფრინდეს! ერთ დღეს არ მაცდით?!
არა?! მოვალ, მოგებარები და ქვით გა.
გიხეთქავ მა რეკვენ თავს, მერე კი ენა's
ამოგაძრობ! რას მერჩი, რატომ მეძახა,
ვინ დაგავალა ჩემი თვალთვალი, რას
დამყვიროხარ ასე საქვეყნოდ, მეტი ვე-
რაფინ ნახე? მარტო მე ვამძიმებ ამ დე-
დამიწას? არც კი გრცხვენია, კაცში კა-
ცი ვერ გიცვნი! მე ჩემი მყოფნის და
შენ კიდევ ჩამომიჯდება ყურის ძირთან
და ვულს მიწყალებ! აფერუმ შენს ვაჟ-
კაცობას! — ტყესა და ბუს შელაპარა-
კობდა თედორე.

წვრილ-წვრილ ბუნჩებს და ბალახებ-
ში წვრილი ბილიკი მუქი ლანდივით გა-
წოლილიყო..

ბილიკი მაღალ თხმელასთან მიმდევ-
რად უხვევდა. თედორემაც მკვეთრად
მოუხვია, მერე მოზრდილ გუბებს გადა-
ახტა; ერთი ნაბიჯიც გადადგა და ფეხ-
ქვეშ ღორღი აუგორდა, მუხლი გაქცა,
თავი ვერ შეიმაგრა და ძირს ზღართან
მოადინა.

— დაგემხო ცა მაგ თავზე! — დაწყე-
ლა ბუ თედორემ.

გრული მინდორი ესიამოვნა... საკმაო
ხანს იყო გაშხლართული... მერე მძიმედ
ამოძრავდა, ბალახები მომუჭა, მოწიწ-
ქნა, თავი ასწია, იქაურობას შემინებუ-
ლი გულისყურით მიაყურადა.

— ბოლოს და ბოლოს, მართლა თედო-
რე ვარ! ეს ბალახი შენა გავს! ეს ტყეც
შენა გავს! ბალახს რომ თივად აქცევ,
ტყეს რომ შეშად გამოჩეხავ, გაზაფხუ-
ლზე ერთი ნაგავია, მეორე კი — ნაცო-
რი! ასე იქნები შენც! ახლა მყვირალა
ხარ, ხის კენწეროზე ზიხარ და ყვირი-
ხარ, არაფრის არ გეშინია, მე რომ მო-
ვალ, გაიქცევი, საკუთარ ბუმბულს ოშო-
შას დაადებ, მაგ გადმომტყეულ თვალებს
ეშმაკურად მოიჩრდილავ! აბა, სცადე და
ძირს ჩამოდი, თუ ვაგკაცი ხარ! ძირს
უნდა ჩამოხვიდე, ლამაზად მოტანილი
ენა სასახლეებს კი არ აშენებს, ძირს
უთხრის! — თედორემ მუშტები მინდორს
დასცხო და დასცხო, — მერე წამოხტა
და იმ ხისკენ გაიქცა, სადაც, მისი ვა-
რაუდით, ბუ უნდა მჯდარიყო.

აქედან გამოედო ეკალ-ბარდი, იქედან
მოხვდა თხმელის ტოტი, მაგრამ გზა
მაინც გაიკვლია, იქით და იქით ფრთხილ
ნაბიჯზე გადავიდა, ბოლოს ფეხის წვე-
რებზე აიწია, ფეხაკრეფით მივიდა მა-
ღალი წიფლის ხის ძირში, კოხობობო-
კლებს ზურგით მიეყრდნო, ცოტა გული
მოიფონა, მერე კი ლამის მთეველს თვა-
ლიერო დაუწყო.

— გიპოვი, გიპოვი! ამ ხეზე ზიხარ და
გიპოვი! ნაღდად, კიცი, ყველაფერი ვი-
ცი! გიპოვი და გავიმასპინძლები შე
მყვირალა, შენა! — შებურტყუნებდა ხეს
თედორე, — ადრე სხვას ვეძებდი, ახლა
შენ ხარ, რაც ხარ! გიპოვი, აბა, არ გი-
პოვი? — ქვა მომარჯვებული ხელებით

წიფლის განიერ ვარჯკვეშ წრეებს უვლიდა თედორე, — გასაკვირლად მიკვირს, აქ რატომ მოფრინდი! თავი იცის ბევრი, არა? ბაყაყი დადის ბევრი ამ ლელუებში, არა? ვაი, შენს პატრონს, შე თავვიჭამია მამამაღლო! მეგონა, კაცი იყავი! თფუ!.. ყველა მყვირალა როგორ იმალება, რა ჩვევა აქვთ ამ უჯიშოებს! აბა, გამოჩნდი!.. თუმცა, თავს ვინუგეშებ! არ იმალება! აგერ, ჩემს თავს ზემოთ ზის და ყვირის, ფეხებზეც არა კვიდივარ! აინუნშიც არ მაგდება! — ჩურჩულიდან ხმამაღალ ლაპარაკზე გადავიდა თედორე.

მთვარის ნათელი ქველა უბნიდან ზედა უბანში ამოვიდა. თითქმის ტყე-ველსაც უფრო გაეხსნაო უბე, თვალზედვამ იძალა.

— იმ ტოტზე უნდა იჯდეს, ნამდვილად იმ ტოტზე! აბა, მოვინჯოთ ერთი, რა გული უცემს მაგ მყვირალას! — თქვა თედორემ და ქვებიც ზუზუნით შეიჭრა წიფლის ტოტებში.

წამიც და ბუ აფრინდა, ერთი კიდეუ დაიქოთქოთა და ქვევით დაეშვა. ასიოდუ მეტრი იფრინა, მერე რომელიდაც ხის კენწეროზე ჩამოჯდა და ყვირილი კვლავინდებურად გააგრძელა. თედორემ სამიოდევჯერ დაიქნია ხელი, თითქოს ასაფრენად ტანი მოისინჯაო, ფეხიც კი მიმოატრიალა, ასე არაფერი გამოვაო, იშვირა ხელი და ფეხი და ქუდმოქუცული ბუს გამოუდგა... თედორე თითქმის მიუახლოვდა იმ ხეს, სადაც ბუ იჯდა, რომ ამჯერადაც გაქეცა მუხლი, გამხმარი ხის ტოტი აებლანდა, ფეხი ფეხზე წამოაკრევიდა და ისე უწყალოდ დაეცა, ვაი-უშველებელი ყვირილი დააყოლა, ხუთიოდე ბრუნიც კი გააკეთა, დელის პირისკენ ჩაგორდა. ბუ იმ ხიდანაც აფრინდა, ერთხელ კიდეუ ჩაიქოთქოთა, მერე სახარ-ურმო გზას გადაუფრინა და გეზი სოფლის შუა უბნისკენ აიღო თედორე წამოდგა, შარვალი გაისწორა, ააა-ტატატატატო, დასცა ყიფინა და კისრისტეხით ბილიკ-ბილიკ ჩასდია დაღმართს. ბუ აგრაფინანთ კაკლის წვეროზე ჩამოჯდა და ისეთი ყვირილი მორ-

თო, ხალხს კი არა, ბუხრებს გაშეშებდა დებოდათ ყური...

ბუ მოფრინდა სოფელშიო, იყვირა ვილაცამ და მთელი უბანი გასაყარ ფუტკარივით აირია. არავის უნდოდა ბუს სტუმრობა, ისმოდა შეძახილ-შემომახილი, ვაუ-ვაუ და ბეჭე-ბეჭე! სოფლის ბოლოში მოხალისე მსროლელებმა კახა თოფებს სასხლეტიც კი მოუსინჯეს. ძაღლები ხალხის შემფოთებამ მთლად გადარია, ყეფას ვინ მამამაღლი ჩიოდა, პატრონებსაც კი დაუწყეს ღრენა და უნდობლად ყურება.

— ნაძრახია, ნაძრახი! სოფელში რომ ბუ მოფრინდება, სიკვდილიანობა იცისო! — დაჩემებულად ამბობდა ერთი.

— წავიდა ერთი კაცი კიდეუ ამ სოფლიდან! — სინანულით ჩაიბურტყუნა ვილაცამ.

— ერთ კაცს ვინ ჩივა, პაპაჩემისგან გამიგონია, ბუს მოფრენამ ომი იცისო! — უფრო სინანული გამოხატა მესამემ.

თედორე ბილიკებს ჩასცდა, ფართო შარასაც მოუჭრა ყელი, ლელეს გადახტა და კაკლის ხისკენ გაიქცა.

— მოკალით, ესროლეთ, არ გაგიფრინდეთ! — უბრძანა აივნიდან აგრაფინამ თოფიან შვილებს.

შუბლზე ოფლმომსკდარი თედორე კაკლის ხესთან მივიდა. ისე ჰქონდა ცხრაფეხა ჯოჯო ყელში მიბჯენილი, სულს ველარ ითქვამდა.

— აბა, შვილებო, არ დაგიცდეთ! ჩვენი მამა-პაპის კაკლის ხეზე ზის და კარგი არა მოგველის რა, თუ მაგი ცოცხალი გაგიფრინდათ! საიქიოს მოციქულია! ვისაც მაგი თვალს დაადგამს, მისი საქმე წასულია! — არ ცხრებოდა აგრავინა.

ვეებერთელა კაკლის კენწეროზე ჩამომჯდარი ბუ თავის სატკივარსა თუ სადარდებელს იქაურობას გასძახოდა.

ლანდები გამოიკვეთნენ. თოფმომარჯვებული ბიჭები თედორესა და კაკალს უახლოვდებოდნენ...

„თოფიანი კაცები! ჩემი მოკვლა უნდათ! მე დამაბრალებენ ბუს სოფელში მოფრენას! სოფელს რომ რამე დაემარ-

თოს, მე ამომიჩემებენ! უნდა გაიქცე თედორე!" — უბრძანა თედორემ თავის თავს მერე კაკალს მოსცილდა და ღობე-ღობე გაილალა.

— ბიჭო, ვიღაცის ლანდი მიძვრება იქით-იქით! — გაიკვირვა ერთმა ახალგაზრდამ.

— ვაა, მეც მოვკარი თვალი, მართლა ვინ უნდა იყოს? საყვარელი ხომ არ დუღის კალისტინე უბედურს! — ეჭვი გამოთქვა მეორემ.

— რა დროს მაგის საყვარლობანაა, ალბათ, ნიფხავსაც ვერ იცმევს წესიერად. — კალისტინეს მსუბუქი ნებისყოფის ქალობა იუარა მესამემ.

— საყვარელს რა ჯანდაბად ჭირდება ნიფხავი... — გვიან-გვიან თქვა პირველმა. ბუმ ამლილ უბანს ჩამოაყურადა...

თედორემ ღელე გადაიჯლაგუნა და შარას ყორე-ყორე გაედევნა.

ბიჭები კაკლის ხესთან მივიდნენ, აქეთ-იქიდან შემოუარეს უჭვრიტინესა და უწვრილმანეს თვალი და გუმანი...

აგრაფინა წამისწამის სიჩუმემ არ მოასვენა, აივანზე გადაეყუდა და ბიჭებს ერთხელ კიდეც გასძახა, რღას აყოვნებთ, ესროლეთო.

ბუმ ახლა აგრაფინას მოუსმინა, არ მოეწონა ქალის ცივი ხმა, წარბი შეიკრა, თვალები მიმოამტყია, ერთი კიდეც დაჰყვირა უბანს და აფრინდა.

ვიღაცამ უეცრად თვალის მზერა გააკვიდა ფრინველს და ორივე ლულიდან ესროლა. ახლა სხვებმაც გაიშვირეს იქით თოფები...

თოფის სროლამ ძაღლები ერთი-ორად გაახელა...

— მე მესვრიან! — შეიცხადა ერთა თედორემ, მერე რატომღაც ჭრილობაზე ხელი მიიჭირა და ისე გასდია შარას...

დენტის სუნი დადგა...

— თუ ვერ მოვახვედრეთ, სახსრები ხომ აუჭრიალეთ შიშით, აპა, გაბედოს და კიდეც მოფრინდეს. — თქვა სიცილით ერთმა.

— ჩემი ხელიდან მკედარია და... — გაუცინა მეორესაც.

— მართლა თუ მოკვდება ამაღამ ვინ-

მე? გულუბრყვილოდ იკითხა ^{წინა მხარეზე} მიმავალმა მესამე თოფიანმა ახალგაზრდამ.

— აპა, რა გითხრა, ძველების გადმოცემით ეგრეა!

— ამაღამ და ამ კვირაში შეიძლება არავინ მოკვდეს, მაგრამ ამ წელიწადში ნაღლია!

— ამ წელიწადში, შე კაცო, ერთი კი არა, ბარე ათი შეიძლება მოკვდეს...

— მოიცა, ძმაო, მოიცა, სოფლის ამოწყვეტა გინდა?

— არა, რას ამბობ, სიტყვას მოყვა, ღმერთმა ნუ ქნას, ხარკს კი არავის ვუხდი, იცოცხლონ და იყონ...

— აპა, ღამე მშვიდობისა, მონადირენო! — ირონით თქვა დაბალმა და ჭიმკარში შევიდა.

...უბანი გვიან-გვიან ჩაცხრა...

●
თედორე სირბილით დაიღალა. ჭრილობამ გზადაგზა ჩასწიწკნა და ჩასწიწკნა. სულის მოსათქმელად წუთით ჩაიფერხნა. სოფლის ბოლოში თეოზე მიწოლილ ძაღლებს გულიგულ ჭერ არ ექინათ, კანტი-კუნტად ისმოდა მინავლული ხმა.

— სამშვიდობოზე კი გავსულვარ, ანდა, რა მჭირდა გასაქცევი, მეც ბუს არ მივსდევდი?

ღამურები ერთმანეთს ეთამაშებოდნენ...

— კი, მაგრამ, თანასოფლელებმა მე მესროლეს?! რატომ უნდა ესროლათ ჩემთვის? არადა, მთელი ჯარი იყო მოდებული შარას!.. ნამდვილად შეეშალათ, ღამეში თვალმა არ გაუჭრათ, ან ბუჰ გამოუცვივდნენ და მე ვერა გავიგე რა! მე ხომ მტერს ვებრძვი! მე ხომ ქვეყნის მტერს ვებრძვი, მე ხომ სოფლის გადარჩენისთვის ვებრძვი, მე ხომ თავისუფლებას ვდარაჯობ! რატომ უნდა ესროლათ ჩემთვის? მტერ-მოყვარე ერთნაირად მოიკაზმა! ახლა მტრის გარჩევა ნამეტანი გაჭირდა!..

სოფლის ამ დავიდარაბასა და ორომ-

საქართველო
საქართველო

ტრიალში მთვარეს იმდენი ეკვლი, „სასწორ-ჩარქის“ ვარსკვლავების კარამდე მივლწია...

წარბშეკრულ თედორეს ღამურამ ისე ახლოს ჩაუფარფატა, მოსაგერიებლად ხელიც კი გაიქნია.

— გამომიხვედი შენ კიდე რა! შენდა აკლდი ამ წუთისოფელს! — დაცინვით თქვა თედორემ და ხელი ისევ გაიქნა-გა მოიქნია.

მთიდან დაშვებული ნიაკი ღელეს აღმა ამოჰყვა, ეკალ-ბარდებში გაძვრა-გამოძვრა, მერე თხმელნარს ესტუმრა, ფოთლებს ღიღკილო გაუსხსნა.

თედორეს ჭრილობამ თავი შეახსენა. შიშნარევად მოიფხან-მოიქავა, ფეხთრევით აჰყვა შარას...

— ოჰ, ოჰ, კაცო! კინაღამ არ დამავიწყდა მთავარი საქმე? ერთი საქნარი უნდა აკეთო კაცმა იმას ვსდოე, ამას ვსდოე, კინაღამ ტყვიებითაც გამომასპინძლდნენ და მთავარზე მთავარი მიმავიწყდა! მოვედი, დაგიბრუნდი, გამარჯობა ჩემო მხსნელო! დღეს შენი დაბადების დღეა და თავს როგორ გამოიჩენ, შენზეა ყველაფერი დამოკიდებული, არა, აგებული, ცხოვრებას აგება უნდა ცხოვრებას კენჭი-კენჭ უნდა აგება! გვირისი-ტი უყვარს ცხოვრებას! ალია-ბალიაზე, ნურაზე თუ მიუშვი, ლაგამი თუ არ ამოსდე... ხალხური სიბრძნე ხომ გაგიგონია, ღორის ტილი, ფეხის თითზე დასმული, კეფაზე მოგაჯდებო... მოგაჯდება და იქამდე ამოგწოვს ისედაც გასიფრიფანებულ სისხლს, სანამ არ გაგიშრება, სანამ არ მიკუნელდება, იქამდე მიხვალ, ნიფხვის ტარებასაც კვლარ შეძლებ... მე ისიც ვიცო, აი ის, რწყილისა და ჭიანჭველას ამბავი. გაჭირვებაში ჩავარდნილ ჭიანჭველას გადასარჩენად რწყილს მთელი ცხოვრება გადახდა თავს, ღორის ჯაგარი რომ ეშოვა, ჭიანჭი დაეგრიხა და ძმობილი წყლიდან ამოეყვანა!.. შენ რომ ჩემთვის რკო არ მოვიტანიო? შენ რომ ჩემთვის თავგა არ მოგიშორებო? ყველამ ქრთამი მოითხოვა, ყველამ გასამრჯელოს გულისთვის გაიხსნა კალთა! არსება იღუპება!

მე თუ მკითხავთ, იმ ჭიანჭილ ჯერს უნდა ჩამოეხრჩო, ქრთამად მიტანილი რკოთი გამძღარი, ფაშვგაბერილი წუნკალი ღორი! მერე ჭიანჭველა ეგება თავისითაც კი ამოვიდოდა...

თოფნაკრავ ძაღლსაც ჩასწიწენა ჭრილობამ, სამიოდეჯერ შეჰყმუვლა მიღამოს.

— ხედავ, კაცო? დავჯექი თუ არა, ეს ვივინდარა ჩრდილიც გვერდით მომიჯდა! კუდში დამსდევს! მთვარე როცა ამოდის, პატივცემული ჩრდილი ზურგიდან მეპარება! ზუსტად ისე, როგორც დუშმანმა იცის! დიახ, დიახ, მტერმაც ხომ ზურგში იცის მახვილის ჩაცემა! მთვარე რომ ზენიტშია, მაშინ ლაქუც-ლაქუცით ფეხებში მებლანდება! მშიშარებმა ხომ მუხლებში ჩავარდნა იციან, ან გაქცევა! კი, კი, გაიქცევიან და ბუნადიან ფინია ძაღლებით გამოწქნავიან! როცა მთვარე ერთი ღამით კიდევ ბერდება, დასალიერისკენ უჭირავს თვალი, მაშინ ეს თავზედი იზრდება და იზრდება, ღვებზე დიდი იზრდება, მაგრამ რამხელაც არ უნდა ვიზარდოს, ამ მახეს ვერ გაეჭყავა, შევა აქ და მორჩა მისი სიცოცხლე, ყველაფერს აქ დაამთავრებს! არ შეუუღვეთ საქმეს? — თედორემ ხელი დაადო მახეს, — ნეტა, რაღას ვუცდით? აჰა, ერთი გავსინჯოთ! — მუხლში გაიმართა თედორე, მახეს ქვედა მხრიდან მოუარა, ქვადაკრულ მორს თავი მალლა აუწია, თოკი ამოსდო, — აჰა, შედი, რა ბიჭი ხარ! თუ ვაჟაკი ხარ, შედი! შენ თუ შენი ჩრდილის არ გეშინია, შედი! მე თოკის კული მიჭირავს ხელში, ეგ არის და ეგ, აჰა, შედი! ერთხელ მაინც ხომ უნდა იყო გულადი, ერთხელ ხომ მაინც უნდა გერქვას ვაჟაკი აჰა, შედი! — ელაპარაკებოდა ჩრდილს თედორე და ჩაწვენებული თითით მახისკენ მიანიშნებდა.

ფოცხვრების მთის თავზე შოთივით გაკრული მთვარე იბრმირცულად დანათოდა სოფელს. წელში მობლუნძულ თედორეს ჩრდილიც გვერდულად დაცემოდა მინდორს...

ზედა უბანში მამალმა იყილა...

— უდროო დროს ყვივის ვილაციის მამალი, ჯერ რა დროს გათენება! გათენებაძღე მთელი გათენებაა დარჩენილი აღბათ! შენსავით უნიფხია ეგ მამალი, ბატონო აჩრდილო, მარტო დედლებთან ყვივის! აბა, იმან ჩამოიქროლოს, მე რომ ერთხელ გადამარჩინა, არწივმა, მერე ენახოთ, ვინ როგორ იყვილებს! თუ ყვივის, ის ყვივის! აბა, ეს საცოდავი, საქათმეში გამომწყვედული, შუალამისას ყვივის, დედლებს თავს აწონებს, ვფხიზლობო! თფუ! — თითქოს მამალი იქვე იჯდაო, ისე დააფურთხა მინდორს თედორემ.

ძაღლს ისევ შეახსენა ჭრილობამ თავი, წამოაყმუველა და წამოაყმუველა...

— სანამ შენი ფეხით არ შეხვალ მახეში, მანამ ასე ვიჯდები, მტრის თვალთვალის მეტი სხვა რა საქმე მაქვს! მანამ დავიციდი, სანამ იქ არ შებრძანდები! მერე მე ვიცი და ჩემმა ბიჭობამ! ეს მთვარეც ასე ხომ არ გახვევდება, ქვევით-ქვევით არ წავა? არ ჩაიწვეს? როგორ არ წავა! ყოველ დამე მიდიოდა, მუხლმოყრელად მიდიოდა და ახლა რა ღმერთი გაუწყრება, შენ როგორ გაგამარჯვებინებს! ეგრე როგორ დაგტოვებს ხალსა და სულამთის! ბოლოს არწივებისაა გამარჯვება! ქვეყანაზე არწივები იფრენენ!.. როგორ უახლოვდები შენი ფეხით აღსასრულს! ასე იცის განგება! კი, ასეა, მთვარეცავე გაიმართა მუხლი, ნაბიჯს აუჩქარა!

ახლა შუა უბანში იყვილა მამალმა...

— რა ჭირი ეტაკათ ამ ქათმებს, გაგონილა შუალამისას ყვილი? არა, რაღაცაშია საქმე და ვერა გამოვიდა რა! — თავი გააკანტურა კაცმა.

თედორე ადგა, მახესთან მივიდა, ჩრდილი ერთი სამად გაიმართა წელში, უფრო შორს დაეცა, თითქმის მინდვრის კიდეძღე. კაცი ახლა წელში მოიხარა, კისერი წაივრძელა, თავი აწონჩხილ მორებთან მიიტანა.

— შემომყე, თუ ვაჭაკი ხარ! თუ მშვიშარა არა ხარ, გვერდში დამიდექ!.. გეშინია, ხომ? ვაი, შენს პატრონს! — ჩაიქნია ხელი თედორემ და ისევ დაჯდა.

ცაკრიალი ქედებით გარშემორტყმულ სოფელს ქედვით ეხურა...

ზედ უბანში კიდევ იყვილა მამალმა...

— მე შენ მახეში შესვლას გიბრძანებ! ეგ ის მახეა, სადაც სამოთხეში გასაგზავნად ვაპატიოსნებ ზოგიერთებს! იცი, რა გითხრა? ყველაფერს თავისი გზა აქვს, ბუტაფორიები წააქცევს სოფელს! თუ გვჭირდებაოდა, ახლა გვჭირდება სოფლის პატრონი და მეთაური! აქამდე წეწკით მოტანილი სული ეშმაკს არ უნდა ჩავაბაროთ!.. რა იყო, შე კაცო, რაეა უნდობლად მიყურებ! ეს მახე შენ სხვარამე არ გეგონოს! მად შესვლას რა უნდა, ორი ნაბიჯი გადადგი, ორად ორი, ჩვეულებრივი, აი, აი... აი, ასე, — წამოდეგა თედორე, ორი ნაბიჯი მართლაც გადადგა, — წელში მოიხარე და თვალდახუჭულმა გადადგი, ახლა მეორე ფეხს მოუნაცვლე ადგილი! ერთი, ორი და... მორჩა, ძნელი გზა ამით მთავრდება!? ვერდი უეკლოდ ვის დაუკრეფიაო, ხომ კავიგონია! კაცო, შენ რაეა გაჩერებულხარ, მე რას მიცდი, შედი შიგ, გასინჯე, მართლა ეკლებს ჭამა თუ ვარდების ყნოსვითაა ხალზი გაბრუებული! შენ, ბიჭო, მართლა ქვეყნის დაქვევა გგონია? ჯოჯოხეთიდან სამოთხეში მივიძღვები, გზას გიკვალავ, და არ გინდა? აა, გინდა ხომ? აბა, მომყვი! — თედორემ კიდევ მოუნაცვლა ფეხს ადგილი, — ჰო, ჰო, აი ეგრე უნდა იმოძრაო, მიდი, მიდი, კიდევ წაიწიე, ცოტაც, ცოტაც წაიწიე! მერატომ მიცდი და მიყურებ! შენ უნდა იარო წინ, მე რა შუაში ვარ! აი, იმას რომ გადალახავ... ვერა ხედავ? როგორ თუ ვერა ხედავ! კარგად გაახილე თვალი! ეს ის მწვერვალია, აი ის, ათასჯურის მკბენარი რომ ბუდობს, ჯოჯოხეთის მწვერვალი! გადალახავ ამ უკუნეთს და იქით სამოთხის ზეგანია, მიდა და მიდი, იარე დაუსრულებლად! აბა, ჰე, კიდევ წაიწიე წინ, ცოტაც! აქამდე მე მოგაცილე, ახლა შენი გზა შენვე უნდა გაიკაფო, სამოთხე შენ იოლი საქმე არ გეგონოს! კაცო, მიყურე შენ მე, მწვერვალამდე ხომ მოგაცილე, მოგიყვანე პატიოსნად, რა კენა ახლა მეტი მე!

სულ ხელით სათრევი კი არ უნდა იყო, პატარა ფხა შენც უნდა გამოიღო, ცხოვრებას ფხა უნდა გეშინია?.. არა? მაშინ კოტაც კიდეც წაიწიე, აი, ასე, მიყურე მე! — თედორემ მარცხენა ფეხი წინ გააჩოჩა, მარჯვენაც მიაყოლა, თავი თითქმის შეიტანა მორქვეშ, — მომყვები ხომ? ვაი, დედასა, რომ წინამძღოლი გინდა, თორემ ამ ხეს ერთი ხელის დაკვრით გასცდებოდი! კიდეც მომყვები, ხომ? ყოჩაღ, ყოჩაღ! აი, ახლა კიდეც ასე! შედა, რაღას უცდი! მწვერვალზე ვართ! შედი და სამოთხის ზეგანისკენ დაეშვები, აჰა, ჰე, შედი! არ გინდა? როგორ თუ არ გინდა! შენი ნებაა? გამცილებელი გინდა? კი ბატონო, ეტყობა, მე და შენ ერთად უნდა ვიაროთ, კაი, კაი, გამომყევი, — თედორემ კიდეც გააჩოჩა ფეხი, თავი კიდეც წასწია წინ, — მოდი, მოდი! აი, ასე! ახლა ასე გაჩერდი, მე უკან წავალ და შორიდან გიყურებ! — თედორემ თავი უკან გამოსწია. ჩრდილიც მოსცილდა აჩონჩხილ დირეებს, — რას შერები, შე კაცო, ძლივსძლივობით მივაღწიეთ მწვერვალამდე და კიდეც უკან მომსდევ? მოდა აქ, გამომყე, თუ იქითამდე არ გადაგაცივლე, შენი საშველი არ იქნება! — შუშაბა თედორემ ჩრდილს, თავი ისევ დახარა და მდირეს ქვეშ მიურიდებლად შეჭყო, — აი, ასე, შე კაცო, ევე, იქითაა სამოთხის ზეგანი! — მარჯვენა ხელის გაშვერა კი მოასწრო კაცმა, რომ წკიპზე მოდებული თოკი ცერზე გამოედო; შექანდა და ქვადაკრული მორი ძირს დაეცა, დაეცა და ერთი დაფვირებაც კი არ დასცაღდა, ზივილი ყელში გაეჩხირა, უკანალი აუფართხალდა... მერე და მერე მუხლები მოეშვა, ხერხემალი გაუშვედა, ხელები მათარაზივით ჩამოეკიდა...

● დილაძალზე სისუაანთ რძალი საქონელს საძოვარზე მიერეკებოდა...

მოზვერმა თავი მალლა ასწია, ნესტოები დაუფართოვდა, თვალები გადმოეკარკლა...

— რა ჯანდაბას შერება ევობერი, ევა! რას ჩამხმულა, რავა აუგდია სოფელი, უკანარი მიუშვერია! ჯანდაბა კი დაგაყარე, ჯანდაბა! — თავისთვის ჩაილაპარაკა სისუაანთ რძალმა.

ბარძრობა, თედორესა და აჩონჩხილ მორებს რომ გაუსწორდა, ფეხგადგმით გაჩერდა. ნიშა მოზვერმა ახლა მინდვრისკენ მაიბრუნა კისერი, თავი მალლა ასწია და ისეთი უსასწველო ბლავილი მორთო, ცხრა მთას იქით გაიგონებდა კაცი.

სისუაანთ რძალმა ახლ. წინიდან შეხედა მინდორზე ჩასმულ მორებს. ვერაფერი გაარჩია, გულმა არ მოუთმინა, გზიდან მინდორზე ავიდა, ციოოდ ნაბიჯი წადგა წინ და... გაჭეჭვიო-გაპრტყეულეულ თავსა და გადმოცვენილ თვალებს მხერა რომ შეავლო, თვალზეკლავარებულს ისეთი კივილი აღმოხდა, სოფელი კი არა, ცა და მიწა შეიძრა...

უბან-უბან შეიყარა სოფელი...

— სოფელში ბუს მოფრენამ სიკვდილიანობა იცისო, ძველებს უთქვამთ! — თქვა წუხანდელმა ბუს მადევარმა.

— აა, კაცო, უყურე შენ, მართალი არ გამოდგა?! — დაუკრა კვერი მფორემ.

— ამაზე თუ გადაივლის, კიდე არა უშავს! — ახლა აგრათინამ დაამშვიდა შეწუხებული ხალხი.

სატყირთო მანქანა გაჩერდა. ერმძლოლი ჩამოვიდა კაბინიდან, მერე — კოლმეურნეობის თავმჯდომარე, არცერთს არ უკითხავს, რა მოხდო.

— საწყალი კაცი! თანდაყოლილი სიგიჟე არ ასვენებდა, მშობლებიც მისმა ჭკუათხელობამ მოინელა... საკუთარ ჩრდილის დევნაში ამოხდა სული უკედურს... რაღას უყურებთ, ამოხსენით მაგ ხილაბანდიდან, ბოძებიც მოთხარეთ... ყველაფერი ისე გააკეთეთ, როგორც სოფელს ეკადრება. — თქვა თავმჯდომარემ, უკებზე ცრემლი შეიმშრალა, მიბრუნდა და იქაურობას გასცილდა...

დაჭრილი ძალი ახლა კი აღარ ყმუოდა, ერთიანად მოთქვამდა...



დავით ტაკიძე

ყინვის ხელებით ყინვის კაცი,
წითელ რაშზე ამხედრებულ ბედუნივით
შენი სახლის წინ დგას და გიცინის,
ერთი-ორჯერ კიდეც მოგეფერა,
დერმატინიანი კარი, საყარბელი,
სერიოზული პროფილი გაჩუქა და

„არა რაი არს დაფარული
ცისა ქვეშ“, — იტყვი,
აგიღებს შიში, რით იმართლოს
წარსულმა თავი,
და შთელი ღამე გაოგნებით
ბორგავხარ ძიღში,
ვაიმე! — მთიდან განსჯისათვის
მოვარდა ზვავი.
ის საუკუნე, რაც შენს უკან
ჩამოვლილია,
არის ვაების, უსჯულობის,
ცეცხლის და სისხლის,

საცოდაობა მეტი არ გინდა —
სოფელში მოკვდა ოცი წლის ბიჭი,
და დაგუბებულ მდინარის დარად,
სოფელი თავქვე ტირილით მიდის.

ჩაუტანია ზვავს ხევის ბოლოს,
დაცურებია ტრაქტორი ბედად...
და თოვლის დიდი ზვავისოდენა
გამზდარა სოფლის გაზრდილი სევდა.

და აბელს უჩანს ჭრილობა ღია,
და ერთად ლაღობს კაენი ყველა,
და ლოდისქვეშაც ამოდის ია,
ღაწვზე დაბნეულ ცრემლების ხელა.

კეისარს კეისრისა მიეციო,
— გაგაფრთხილა.
და ამ ჩვეულებრივი გარიგების ჟამს,
გახსოვდა კი — მათხოურის
პერანგადაცმულ
უფლის თვალზე მომწყდარი ცრემლი...

შუბლგანგმირული საგურამოს
გზაზე ილია,
აგერ ექვთიმე დაკითხვაზე
ყავარჯნით მიდის,
ვის თავის ეზო-მოდობილად
უღირს მამული,
და შინდისფერი, დამონძილი
ისევე არს დროშა?
დიდება უფალს, თუ გამოკრთის
ნანატრი ფიქრი,
და ცისარტყელაც ანგელოზის
ფრთასავით მოჩანს...

ღედა ქსოვს, მამა ღიღინებს ტკბილად,
ელევა ქანცი დღეს ღონეშიხდის,
და არ უწყიან რომ სწორედ ახლა,
ისინი სტუმრად ელიან სიკვდილს.

შავი ზამთარი. ყინვა და ყინვა,
და ვერ წადგმული თოვაში ბიჯი,
საცოდაობა არ გინდა ახლა,
სოფელში მოკვდა ოცი წლის ბიჭი.

ზღვაც ღელავს, ზვირთებს რისხვით
ჰერის ცამდე
(მზე, თუნდაც, ერთი საათით რად ღირს,
კაცი ხარ, ახლა შეები ტალღებს,
და მერე მიწვდი იქიდან ნაპირს,

ვინ ჩაიძიოს სული შენი,
ვინ რაი იცის,
ბოროტი ლაღობს შენს სულში თუ
სიკეთე დგება,
ზოგჯერ ტკივილი გაყრიალებს
სამშობლო მიწის,
ზოგჯერ სატანის სურვილითაც,
ბევრი რამ ხდება.

ვით ეგებები აღსარებით,
მომლოდინ სიკვდილს,
ასე მონურად ფორთხვა-ფორთხვა
გათაუდა, კმარა,
შენ დგახარ ზღრუბლზე და ნაბიჯი
სიცოცხლედ გიღირს,
ან ღვთის მსახური, ან ეშმაკის...
ორთავე — არა!

შენ ფარაონის აკლდამასთან
ღუმილით დგები,
ჩაგესმის მძიმედ ფარ-შუბის და
ყიჟინის ხმები,
და გინდა ძლიერ, იქ, წარსულში
სიმართლის პოვნა,
ვინ იქნებოდი, ვინ, პოეტი,
მეფე თუ მონა.

აპოკალიფსი, მღვრიე ყოფა
გაყრჯოლებს მხოლოდ
თითქოს, თავისთვის, უხმაუროდ,
ლოდინით ცხოვრობ,
შენ ისევ დგები, ჩასცქერ დროის
ღენას მდინარის...
და ღიად, ღიად რჩება კითხვა,
თუ ვინ, ვინ არის?!

მამა, დასრულდა... სულ მდუმარება,
და სასაფლაო, ხავსი და ჩრდილი...
ქვა, ქვა რო არის ის იბზარება
და საშველივით მოსულა ძილი.

ბრძოლაში უხმლო, უმთავარსარდლო
და უსამშობლო ჯარისკაცს ეგავარ.

გავშლი გაზეთებს, კატრექსი... შეველა,
ნიაღვარივით სისინებს შიღსი,
დამარცხებული ათენა, ტროა,
მოუშორებლად აქვეა შიში.

მამა, მგონია საუკუნეა,
რაც შენ წახვედი, მარტო ხარ ახლა,
ხომ დაგიამა მიწამ ტკივილი,
ხომ აღარ ჰქვია სიბერეს დაღლა.

მამა, ვაშორე უკვე ბალახი
და სასაფლაოს კარებთან ვდგავარ,

დასრულდა უკვე... სულ მდუმარება,
და სასაფლაო, ხავსი და ჩრდილი...
ქვა, ქვა რო არის ის იბზარება
და საშველივით მოსულა ძილი...



მერაბ აბაშიძე

მოკლე ამბავი

მოთხრობა

ეზოში ვიჯექი, სიგარეტს ვეწეოდი და ჩვენი მეზობლის ქალიშვილს, ოცი-ოდე წლის გვანცას შევყურებდი, რომელიც სარეცხს ფენდა.

გვანცა მაღალი, ლამაზი გოგონა იყო, ჯიშინი ფეხები და მაღალი მკერდი მქონდა.

იგი ხანდახან ჩემკენ გამოიხედავდა, გამიღივებდა და სარეცხის ფენას განავრძობდა.

ერთხანს ასე ვიჯექი, მერე სახლში ავედი. იმ დროს ერთოთახიან ბინაში მარტო ვცხოვრობდი. ჩემთან ხშირად მოდიოდნენ ჩემი მეგობარი ქალები, აი, გვანცა კი ვერაფრით ვერ შემოვიჩვიე. ამაზე უფიქრობდი ტახტზე წამოწოლილი, რომ უეტრად საოცარი ამბავი მოხდა: ოთახი გადმოჭრა დიდმა, ვეებერთელა რუხმა ვირთხამ და ჩემს წინ, უკანა ფეხებზე დაცუტქდა.

— გამარჯობა! — დაიწრობინა მან.

თვალები მოვიფშვნიტე.

ვირთხამ კბილები დაკრიჭა.

— მე მოჩვენება როდი ვარ! — თქვა.

— აბა, ვინ ხარ? — ვკითხე მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

ამოიოხრა და არაფერი უთქვამს.

ტახტიდან წამოვიწიე.

— იწე! — მითხრა მან. შენთან მცირედი სასაუბრო მქონდა.

— მაინც, რა?

— არ მოგწყინდა შინ უსაქმოდ გდება, ქალების დევნა, უნიჭო ლექსების თხზვა და ჟურნალებში ბეჭდვა?

— აბა რა კენა, — შევესიტყვე მე, — ჩემი ხელობა ეგ არის.

— რა?

— ლექსების წერა.

— მე შემიძლია ფული გაშოვნინო! — თქვა ვირთხამ. — ძალიან ბევრი ფული.

— ოჰო! — ესეც ახალი ამბავი.

— ნუ იცინი. შენ ის მითხარი, გინდა თუ არა?

— გააჩნია, რა ფასად! — ვთქვი და დავსერიოზულდი.

— აჰ, მაგაზე ნუ წუხხარ. მე სრულიად უანგაროდ გეხმარები. მხოლოდ მერე მოვთხოვ ერთ უმნიშვნელო რამეს.

— მაინც, რას? — დავინტერესდი.

— ხომ გეუბნები, უმნიშვნელო რამეს-მეთქი, მითხრა მან.

დავფიქრდი.

— ფიქრობ კიდევ? — დაცინვით მკითხა.

— თანახმა ვარ! — ვთქვი უცებ.

— მაშინ ხვალ დილით ისევ მოვალ შენთან. მზად იყავი.

— წავალთ სადმე? — ჩაუვკითხე.

— ჰო.

— სად?

— განძის მოსატანად, — მშვიდად მომიგო ვირთხამ, კბილები ისევე დაკრიჭა, თავი დამიკრა, კუთხესთან მიცუნცულდა, ხერეულში შეძერა და... გაქრა.

●
დილით ავდექი. წინადღით მომხდარ ამბებზე ვფიქრობდი. ყველაფერი

ლამის კომპარად ჩავთვალე. აღარ მჯე-
როდა არც ვირთხის და არც განძის
არსებობა. ჩაეცვი და წასასვლელად
მოვემზადე, რომ ჩამესმა:

— უჩემოდ მიდიხარ?

ძირს დავიხედე.

ჩემს წინ ვირთხა დაცუცქულიყო და
იღიმებოდა.

— მაშ ისევ მოხვედი? — ვთქვი ჩა-
ფიქრებით.

— ჰო, განა გუშინ არ მოვილაპარა-
კეთ?... — გაიკვირვა ვირთხამ.

ერთხანს ჩუმად ვიყავი.

— წავიდეთ! — თქვა მან.

უხალისოდ გავაღე კარი და ვირთხა
წინ გავატარე.

ქუჩაში არავინ იყო.

ვირთხა ჩემს წინ უხმოდ მიცუნცუ-
ლებდა.

საკმაოდ დიდხანს ვიარეთ.

ვირთხა ერთ ნახევრად დანგრეულ
სახლთან შეჩერდა და მანიშნა, გავ-
ჩერებულებოდა.

დავემორჩილე.

— აქ არის, — თქვა მან, — ამ სახ-
ლის სარდაფში.

— მერე, სარდაფი სადაა?

ვირთხამ მორყეულ ტროტუარში ნა-
ხევრად ჩასულ ღია კარზე მიმანიშნა.

ცოტა არ იყოს, შეეშინდი.

— ჯერ შენ ჩადი, — ვუთხარი.

მან შემომხედა, ჩაიციხა და სარდაფ-
ში შეძვრა.

მივყევი მეც.

დიდხანს მივდიოდით ნახევრად ჩაბ-
ნელებულ, ღრმა, ჭუჭყიან სარდაფში.

ბოლოს ვირთხა შედგა

შევდგე მეც.

ვირთხამ ერთგან დიდხანს ყნოსა მი-
წის იატაკი, მერე თავი ასწია და მითხ-
რა:

— აქ არის...

ძირს დავიხედე.

ჩემს ფეხებთან თეთრი ქვა იდო.

— ამ ქვის ქვეშაა, — თქვა ვირთხამ
ქმყოფილებით.

დავიხარე. ქვა ავიღე და დავხედე.

ზედ ვილაცას რაღაც ასოები და
კაწრა.

— მიდი, ნახე, ქვას თავი დაანებე, —
მანიჭარებდა ვირთხა.

ისევ დავიხარე და მიწას ხელები მო-
ვუფოთურე.

— მოჩიჩქნე, მოჩიჩქნე! — წამაქეხა
ვირთხამ.

— ნეტავ ბარი წამომედო, — ამოვი-
ოხრე მე.

— ბარი რად გინდა, აქვეა, — თქვა
მან. — ერთი თითის სისქის მიწაა, ზედ
დაყრილი.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ მიწი-
დან მომცრო, საკმაოდ მძიმე, ოთხკუთ-
ხედი ზანდუკი ამოვართიე.

ხარბად დავაცქერდი.

— რას უყურებ ასე გაშტერებით, —
მითხრა ვირთხამ, — წავიდეთ.

— უნდა გავხსნა, — ვთქვი მე.

— მერე გახსნი, სახლში! — ამაჩქარა
ვირთხამ, — ახლა გავაღწიოთ, ვინმემ
არ შეგვაშინოს.

— მე ახლა მინდა გავხსნა, — გავჯი-
უტდი.

ვირთხამ ამოიოხრა.

— კარგი, გახსენი, — დამეთანხმა ბო-
ლოს.

ზანდუკი მიწაზე დავდგი და სახუ-
რავს დავეჯაჯგურე.

საკეტი ადვილად დამნებდა.

სახურავი აუხადე და განცვიფრები-
საგან შევყვირე:

ზანდუკი თვალ-მარგალიტითა და
ბრილიანტებით იყო პირთამდე ავსილი.
ხელები ჩაკვავი შიგ და ამოვურეი.

— წავიდეთ, — თქვა ვირთხამ.

ზანდუკი დავხურე, მხარზე შევიდგი
და კარისკენ წავიღე.

ვირთხა ცუნცულით მომყვებოდა უკან.

— აბა, რას იტყვი? — მკითხა ვირთ-
ხამ, როცა შინ მივედი, ზანდუკი მა-
გიდაზე დავდგი და ისევ ზანბად დავაც-
ქერდი თვალწინ აელვარებულ სიმდიდ-
რეს.

— მადლობის მეტი რა მეტქმის, — წა-
მოვიძახე მე, — არც კი ვიცი, რა გითხ-
რა...

ვირთხამ ჩაიცინა. მერე სკამზე შეხ-
ტა, იქიდან მაგიდაზე აძვრა და ზანდუკ-
ში ჩახტა. თვალ-მარგალიტებზე და ბრი-
ლიანტებზე დასკუპებული, დინჯად შე-
მომაშტერდა.

არ მესიამოვნა, მაგრამ არაფერი მი-
თქვამს.

— ხომ არ დაგავიწყდა ჩვენი პირობა?
— მკითხა.

— პირობა? — ვთქვი დაბნევილი, — რა
პირობა?

— ხომ გითხარი, განძს გაპოვნინებ,
მაგრამ სამაგიეროდ რაღაცას მოვთ-
ხოვ-მეთქი.

— მთხოვე, — მიუუგე მცირე ხნის ღუ-
მილის შემდეგ.

ვირთხა წელში გაიმართა, თავი ჩა-
ლუნა და დაბალი ხმით თქვა:

— მაკოცე!

— გაკოცო?

— ჰო, მაკოცე...

ვირთხის კოცნა, რა თქმა უნდა, სა-
სიამოვნო არ იყო, მაგრამ მაინც ისე
მცირე საზღაური გახლდათ იმ სამსა-
ხურისა, რომელიც მან გამიწია, რომ
უყოყმანოდ დავიხარე და მრგვალ, რუხ
თავზე რამდენიმეჯერ ვაკოცე.

იმწამსვე გონება დაგვარგე.

გულის წასვლა წამიერი იყო.

ბურანში მყოფმა იატაკიდან წამოვი-
წიე და ჩემს წინ დედიშობილა, ულამა-
ზესი, მოცინარი ქალიშვილი დავინახე.

— გმადლობთ! — მითხრა მან და ლო-
ყაზე ხელი ჩამომისვა.

— კი მაგრამ, ვინ ხარ? — შევეკითხე
გაოგნებული.

მან მხიარულად გაიცინა.

— აღარ ვგავარ იმ ბებერ ვირთხას?

— მაშ, შენ... — ვთქვი ენის ბორძი-
კით.

— ჰო, შენმა კოცნამ მიშველა! — ოდ-
ნავე ზიზღითაც რომ გეკოცნა, გავკრე-
ბოდი და მეტი არაფერი... შენ კი გან-
ძისათვის ისეთი მადლობელი იყავი,
რომ ზიზღი სულაც არ გიგრძენია. აჰან

მიხსნა! — ქალიშვილმა ისევ ჩამოსისკა
ლოყაზე ხელი.

წამოვდექი.

წამოვღა ისიც.

— ახლა რას აპირებ? — ვკითხე მე.

— ახლა არაფერს. ჩავეიცვამ და წა-
ვალ. მაგრამ ჩასაცემელი რომ არაფერი
მაქვს?! — თქვა და შიშველ ტანზე დაი-
ხედა.

ლოჯიაში გავედი. იქ ნელის, — ჩემი
მეგობარი ქალის, — კაბა და ფეხსაცმე-
ლი მეგულეობდა. ჩემთან მოსვლისას
იცვამდა ხოლმე

— არ ვიცი, გამოგადგება თუ არა! —
გამოვედი კაბით და ფეხსაცმლით ხელ-
ში.

მან იმწამსვე გადაიცვა კაბა და ფეხ-
საცმელში ფეხები ჩაყო.

— ფეხსაცმელი ცოტა დიდი მაქვს,
მაგრამ არა უშავს, — თქვა.

გაბრუებული შევცქეროდი ზღაპრული
სილამაზის მზეთუნახავს.

— რას მიყურებ, — გაიცინა, მან, —
მოგწონვარ?

თავი უხმოდ დაუვუქნიე.

— ძალიან, ძალიან მომწონხარ და არ
მინდა წახვიდე.

— ოჰ, მე ხშირად შემოგივლი ხოლმე.
ახლა კი აუცილებლად უნდა წავიდე.

— მაინც, სად? — ჩავეკითხე.

— ეს კი საიდუმლოა, — თქვა ქალმა,
— აბა, ერთხელ კიდევ მაკოცე!

მივედი, წელზე ხელი მოვხვიე და
ტურბეში ვაკოცე. ქალმა მხრებზე და-
მაწყო ხელები. დიდხანს ვკოცნიდი
ერთმანეთს.

— საკმარისია, — პირველად იგი გა-
მოფხიზლდა. — აბა, მშვიდობით.

— ნუ წახვალ! — ჩახლენილი ხმით
ვთქვი და მაგიდაზე დადგმულ ზანდუკს
გადავხედე, რომელიც ქალის სიახლო-
ვემ თითქმის გადამავეიწყა, — შენ ჩემთ-
ვის ბედნიერება მოგაქვს.

— ხომ გითხარი, ხშირად შემოგი-
ვლი-მეთქი. — მშვიდობით! — გაიმეორა,
კიდევ ერთხელ მაკოცა ლოყაზე, კარი
გააღო და გავიდა.

მისი გასვლისთანავე ტახტზე დაჯექი.

დღევანდელი ამბის ელდით გაბრუებული ვიყავი. ერთბაშად განძი გამახსენდა, ზანდუკი მაგიდიდან ჩამოვდგი, პეშვით ძვირფასი თელები ამოვიღე, მერე ისევ დავკეტი და ტახტის ქვეშ დრმად შევაცურე. გადავწყვიტე, ის ერთი პეშვი თვალ-მარგალიტი ნაცნობ ოქრომჭედელთან წამეღო. ასეც მოვიქეცი. ოქრომჭედელს რაღაც მიუეკიბ-მოუეკიბე საგვარეულო განძის შესახებ. იგი თვალელებში შემომყურებდა და ხმას არ იღებდა, მაგრამ ეტყობოდა, მონაყოლის ერთი მეასედიც არ სჯეროდა. როცა მის წინ მარგალიტები და ბრილიანტის თელები დავაწყვე, თვალეები გაუფართოვდა. მერე ლუპა მოიმარჯვა და დიდხანს სინჯავდა.

— რამდენს ითხოვ ამაში? — ჩახლეჩილი ხმით მკითხა ბოლოს.

— ეგ შენ უნდა იცოდე, — ვთქვი მე.

— ჰოო, — ჩაფიქრდა იგი და ჩაახეყლა. — აქ, მართალი რომ გითხრა, ასი ათასის საქონელია.

— ესე იგი, ბევრად მეტის, — ვთქვი გულგრილად და სიგარეტი ამოვიღე:

— არ მენდობი? — იწვინა.

— ჰო, კარგი, მერე, მერე? — ვუთხარი მცირე ხნის შემდეგ.

— ახლა ამდენი არა მაქვს, მაგრამ იქნებ საღამომდე მესესხა და შემესყიდა. არ მინდა, ვინმე უცხოს ხელში მოხედეს თან შენთან რა მაქვს დასამალი, მეც არ მაწყენს ერთი-ორი კაპიკის მოგება.

— კარგი, — დავეთანხმე უცებ. — მოიგე, მაგრამ ჩემი ასი ათასი მომეცი. იგი სიხარულით შეხტა.

— თან მხოლოდ ოთხმოცი ათასი მაქვს, — თქვა და მაგიდის უჯრა გამოადო. — საღამოთი მოდი და დანარჩენს მოგცემ.

— ასე იყოს, — დავეთანხმე.

ოქრომჭედელი ერთხანს უნდობლად მიყურებდა, მერე მაგიდიდან ნელა დაიწყო ასმანეთიანი ასიგნაციების ამოღება.

ფული ხელჩანთაში ჩაიწვევ და მას-პინძელს დავემშვიდობე.

კარგი ამინდი იდგა.

ტელეფონის ჯიხურიდან ნელის დაკურეკა.

ჩემთან მოვიწვიე; მე კი გასტრონომში შევედი, შამპანურები და შოკოლადი ვიყიდე და შინისკენ გავეწიე.

ნელი დათქმულ დროს მოვიდა.

საშუალო ტანის, ჩამოქნილი, მიმზიდველი გარეგნობის გოგონა იყო.

— ეს რა არის, კეჩიფობთ? — მკითხა, როცა გაშლილ სუფრას მოჰკრა თვალი.

— ექეფობთ, მაში — მიუუგე და თვალნი ჩაუუკარი!

— მაინც, რის აღსანიშნავად?

— დღეს მე ჩემს სიღარიბეს ვეთხოვები! — მიუუგე და შამპანურის ბოთლი გაგხსენა.

— ოჰო, ესეც სიახლე, — თქვა ნელიმ. — შენ რა, გამდიდრდი?

— როგორ გითხრა, — შევაგებე დიმილით, — ეს ჩემი საიდუმლოა.

— მე არ გამანდობ?

— შენ? — დაფიქრდი. — ვერა, ვერ გაგანდობ, — ამოვიოხრე ბოლოს და ჯიბეში ბრილიანტის საყურეები მოვსინჯე, რომელიც მისთვის მქონდა მომზადებული. — აი, საჩუქარს კი მიიღებ დღეს.

— მართლა? — ცნობისმოყვარეობით მომაჩერდა. — შენ ეტყობა, მართლა გამდიდრებულხარ.

— ხომ გითხარი, ასეა-მეთქი!

— მაშ, დავლიოთ! შენი უეცარა გამდიდრებისა დავლიოთ, — თქვა და სასმისი პირთან მიიტანა.

— მოიცა, მოიცა, — ვთქვი მე, — მაგ ჭიქაში რაღაცას ჩაეაგდებ, შენ კი მერე გამოსცალე, კარგი?

— რას ჩაეაგდებ? — დაბნეით მკითხა.

— ამას ახლავე დაინახავ, — მიუუგე, ჯიბიდან საყურეები ამოვიღე და ჭიქაშია ჩაეაგდე. — დალიე.

გაკვირვებულმა მოსვა ღვინო.

— ბოლომდე, ბოლომდე! — ვაძალებდი მე.

მან სასმისი გამოსცალა და ჭიქიდან საყურეები ამოიღო. ერთხანს გაოგნებით დაჰყურებდა, მერე შუქზე გახედა.

— საიდან ასეთი ძვირფასი ნივთი? — მკითხა ენის ბორძიკით.

მე ვიციანოდი და არაფერს ვამბობდი.

— უკვე მეშინია შენი, — თქვა ნელ-ნელა ჩურჩულით.

— ნუ გეშინია, ეგ საყურეები ყოვლად პატიოსანი გზით არის ნაშოვნია.

— მაშინ კიდევ დაელიოთ! — მითხრა მცირედი ღუმლის შემდეგ და ორივე ჭიქა პირამდე აავსო.

ასე, ნელ-ნელა გავიდა დრო...

ორი საათის შემდეგ ორივენი უკვე მთვრალეები ვიყავით.

მაგრამ ერთი რამ მაოცებდა: მე ყოველთვის მალეღებდა ნელისთან მიახლოვება, ახლა კი, ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს სუფრას მარტო ვუჯექი. არავითარი ინტიმის განცდა, არავითარი ნდომა...

ნელი ტახტზე გაწვა და თავით თავისკენ მანიშნა.

მასთან გადავჯექი და ხელი მოვხვიე.

— მოდი ჩემთან! — მითხრა.

— შენთან არა ვარ? — ბრეყვულად გავუცინე.

წამოიწია და მიმიზიდა.

დავმორჩილდი.

ასე ვიწქით რამდენიმე წუთი.

— რა მოგდის? — ჩურჩულით მკითხა ნელიმ.

— საშინლად მეძინება, ნელი, — ვთქვი და ვიგრძენი, რომ მართლაც ძილი მინდოდა.

ერთხანს ჩუმად იყო.

— კარგი, დაიძინე! — დამეთანხმა ბოლოს და განზე გაიწია.

ბალიში თავქვეშ ამოვიდე და იმწამსვე მკედარივით ჩამეძინა.



როცა გაიღვიძა, უკვე თენდებოდა. ნელი წასულიყო.

ცოტა ხანი გაბრუებული ვიწქით.

კარზე ვილაცამ დააკაკუნა.

გავალე.

ოქრომჭედელი იყო.

იგი მძიმედ შემოვიდა და დაჯდა.

— გუშინ საღამოს რატომ არ მოხვედი? — მკითხა.

მხრები ავიჩქნე.

— ამიტომ მე მოვედი, — მითხრა. — ფული მოგიტანე. ნახე, აქ ოცი ათასია, — და ფულის ორი მსხვილი დასტა მაგიდაზე დააგდო.

ფული გვერდზე მივწიე.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— კიდევ გაქვს რაიმე ძვირფასი ნივთი გასაყიდი? — მკითხა ბოლოს.

— მაქვს, — ღიმილით მივუგე.

მას თვალეზში სიხარბე დაეტყო, ხელეში მოიფშენიჭა და თქვა:

— სხვას ნუ მიუტან, როცა გაყიდვას მოინდომებ. ჩემზე კარგ ფასს არავინ მოგცემს.

— ასე ვიზამ, — ვუთხარი.

ერთხანს ასე იჯდა, მერე წამოდგა.

— წავალ, — თქვა. — და რაც ვითხარი, არ დაგავიწყდეს.

— კარგი, — მივუგე და კარებამდე მივაცილე.

მისი წასვლის შემდეგ ისევ ლოგინში ჩაწექი და ჩაეთვლიე.

უცნაური სიზმარი ვნახე:

ვითომ ტრიალ ველზე ვიყავი

ველი თვალმარგალიტით იყო მოფენილი.

ველზე რუხი ვირთხები დაძრწოდნენ და მარგალიტებს გროვებდად დგამდნენ.

უცბე გათოვდა.

თოვლის ნაცვლადაც მარგალიტები ცვიოდა.

დაედოდი მარგალიტებსა და ბრილიანტებში და ქალად ქცეულ ვირთხას ვუხმობდი.

ის კი არსად ჩანდა.

ოფლში მცურავს გამოძლევიძა.

საათს შევხედე.

ხუთი სრულდებოდა.

ჩაეცვი და ეზოში ჩავედი.

იქ, ხის ძირას, სკამზე ჩამოვჯექი და

ცას დაუწყვე ყურება

უცბე ზურგს უკან ჩემი სახელი მო-

მქმნა.

მივიხედე.

შეკვრით.

ფეხზე წამოვხტი.

ჩემს წინ გუშინ ქალად გარდაქმნილი მზეთუნახავი იდგა.

— შეძებდი და აი, მოვედი, — მითხრა ღიმილით.

— გეძებდი, ჰო... — ჩავილულულე.

— მაგრამ სიზმარში, არა? — ოდნავ დაცინეით მკითხა მზეთუნახავმა.

— შენ ესეც კი იცი...

— ჰო, მე ბევრი რამ ვიცი.

ერთხანს ჩუმად ვიდექი.

— სახლში არ დამპატიებებ? — ისევ იმნარი დაცივნანარევი ხმით მკითხა.

— რას ამბობ, ჩემი სახლის კარი შენთვის მუდამ ღიაა, — ვთქვი სიხარულით და ქალს შინისაკენ გავუძეხი.

— როგორა ხარ? — მომმართა, როცა შინ შევედი და ტახტზე დავსხედით.

— რა მიშავს, — მხრები ავიჩიჩე. — შენ რაღას იქმ?

— მე მუშაობა დავიწყე!

— სად?

— ცირკში!

— ცირკში? — ცოტა არ იყოს, გაშიკვირდა.

— ჰო, ცხოველების მომვლელად, — თქვა მან მშვიდად.

— შერე, მოგწონს?

— რა?

— შენი ხელობა!

— რომ არ მომწონდეს, არც ვიმუშავებდი.

ერთხანს სიჩუმე ჩამოწვა.

— საქმე ის არის, რომ მე მათი ენა მესმის, — თქვა უცებ.

— ვისი?

— ცხოველების!

— ჰოო!

— დღეს თავისუფალი დღე მაქვს, დამპატიე სადმე.

— სიამოვნებით. სად წავიდე?

— სადმე.

— მაშინ, რომელიმე რესტორანში ვისადილოთ.

— კარგი.

მე წამოვდექი.

წამოვდექი.

კარები გავაღე და წინ გავატარე... უახლოესი რესტორნისკენ ავიღეთ გეზი.

რესტორანი ხალხით იყო სავსე.

ჩვენ კერანდაზე დავსხედით.

ოფიციანტი მოვიდა და მენიუ მოგვართვა.

საჭმელ-სასმელი ამოვირჩიეთ და სადილის მოლოდინში მუსაიფი გავაბით.

— შენ არ მუშაობ, ხო? — მკითხა ქალმა

უარყოფის ნიშნად თავი გავიქნიე.

— ან რაღად გინდა მუშაობა, მგონი ლექსების წერასაც დაანებო თავი, — გაიცინა.

— არა, ლექსები სხვა რამეა! — ვთქვი, — ლექსებს ასე ადვილად ვერ შეველევი.

— იპ, კარგი ერთი! — თქვა მან.

— ვაიმე! — შეჰყვირა უცებ და წამოიწია.

— რა მოხდა? — ვკითხე მე.

— ვაიმე, კატა! — ჩახლენილი ხმით მითხრა.

ახლა შევნიშნე ჩვენსკენ მომავალი ვეებერთელა, მსუქანი, ჭრელი ანგორული კატა. იგი ქალს თვალს არ აცილებდა, ისე მოდიოდა მისკენ.

— აცხა! — შევძახე მე.

კატა შედგა.

— აცხა!.. — გავიმეორე.

კატა დაიკლაკნა და ტუჩები მოილოკა.

წამოვდექი, კატასთან მივედი და ფეხი წავკარი.

კატა კნავილით გაემართა უკან.

ადგილზე დავბრუნდი.

ქალი ისევ სკამზე დაჯდა.

მძიმედ სუნთქავდა.

— კატების შიში დღემდე მომდევს,

— თქვა მცირე ხნის ღუმილის შემდეგ.

შერე, ეტყობა, შიშმა გადაუარა და ისევ ალაპარაკდა.

მაღე ოფიციანტიც მოვიდა.

შეკვეთილი სადილი და შამპანური მოიტანა.

უცებ მუსიკამ იგრიალა.
 დარბაზს გაზედუ.
 ესტრადაზე მუსიკოსები ასულიყვნენ.
 - ვიცეკვოთ! - თქვა თვალეგაბრწ-
 ყინებულმა ქალმა.
 - ვიცეკვოთ! - მიუვუგ და წამოუდე-
 ქი.
 ჩვენ წინ წავედით, საცეკვაო მოე-
 დანზე გავედით და ცეკვა დავიწყეთ.
 მამაკაცები შურით შემომყურებდნენ.
 - რა გქვიათ, მშვენიერო ასულო? -
 ჩავეკითხე ჩემს წინ რიტმულად მოხ-
 ტუნავე მშვენიერ არსებას.
 - ჰო, შენ ხომ ჩემი სახელიც არ იცი,
 - გადაიკასკისა მან.
 - მართლა, რა დაგიძახო?
 - ლინდა, ლინდა დავირქვი, - თქვა
 მან. - შენც ასე დამიძახე, კარგი?
 თავი დაუუქნიე.
 მუსიკა შეწყდა.
 ჩვენ მაგიდას მივუსხედით.
 ვჭამდით, ვსვამდით და ვბაასობდით.
 ასე გავიდა დაახლოებით ოთხი საა-
 თი.
 მალე რესტორანში სინათლე გამორ-
 თეს.
 - წასვლის დროა! - ამოიოხრა ქალ-
 მა.
 საკმაოზე მეტად მომეკიდა ღვინო.
 ქალს თითქმის არ დაუღუეკია
 - ჩემთან წავიდეთ, ლინდა! - ვთქვი
 მე.
 - ჰო, წავიდეთ, - დამეთანხმა.
 ოფიციალტი მოვიხმე და ფული გადა-
 ვიხადე.
 ცოტა ხანში მე და ლინდა უკვე ჩემი
 სახლის კარის წინ ვიდექით.
 მერე ოთახში შევედით.
 სინათლე ავანთე.
 ლინდას გადავხედე.
 მშვენიერი იყო.
 - ლინდა, ჩემო ძვირფასო, - ვთქვი
 და წელზე ხელი მოვხვიე.
 ქალი ხელიდან გამისხლტა და მაგი-
 დასთან დაჯდა.
 მიუუახლოვდი და ისევ მოვხვიე ხე-
 ლი.

- არ გინდა, - დაგულული ხმით
 თქვა.
 - რატომ? - ვკითხე და კვლავ მი-
 ვეტანე.
 ჩემი ხელები მოიშორა.
 - ახლა არ გინდა.
 - აბა, როდის? - ცხარედ ჩავეკითხე.
 - მერე, როდისმე, - თქვა მან.
 ერთბაშად დავმშვიდდი არ ვიცი, რი-
 სი მიზეზი იყო ეს.
 ტახტზე დავჯექი.
 - ასე სჯობია, - გაიღიმა ქალმა.
 მე დამჯერე ბიჭივით თავი დაუუქნიე.
 - ბანქო გაქვს? - მკითხა უცებ.
 - ბანქო? - გამიკვირდა.
 - ჰო.
 - მაქვს.
 - მოიტანე, ვითამაშოთ.
 ბუზღუნით მოვიტანე ბანქო და დავა-
 რიგე.
 ლინდამ ქალღდეები ხელში აიღო.
 თითქმის ერთი საათი ვთამაშობდით.
 - წავალ, - თქვა ბოლოს ქალმა და
 ამოიოხრა.
 - სად უნდა წახვიდე? - გამიკვირდა
 მე.
 - აბა, რა ვქნა?
 - დარჩი.
 - ჭკვიანად მოიქცევი? - მკითხა
 მცირე ხნის ღუმლის შემდეგ.
 - ჰო, - მიუვუგ დატუქსული ბავშვი-
 ვით.
 - მერე, შენ სად დაიძინებ?
 - ლოჯიაში დავიგებ, იატაკზე
 - ჰმ, ამდენი განძის პატრონს იატაკ-
 ზე უნდა ეძინოს...
 - რა ვქნა, ასეა, - ნაძალადევი ღი-
 მილით ვუპასუხე მე.
 - მაშინ, დავიძინოთ, - დაამთქნარა
 ლინდამ ტახტზე გაუხდელი წამოწვა
 და საბანი გადაიფარა. - ღამე მშვიდო-
 ბისა.
 - ღამე მშვიდობისა, - გავიმეორე
 და ლოჯიაში გავედი.

●
 იმ ღამეს მოუსვენრად მეძინა.

როცა გამეღვიძა, ლინდა უკვე ამდგარიყო.

— უშენოდ წასვლა არ მინდოდა, — თქვა მან.

ერთხანს ჩუმად ვიყავით.

— წამოდი ჩემთან, — მითხრა მერე.

— სად?

— ცირკში.

— ცირკში რა მინდა? — ნაძალადევად გავიღიმე.

— ცხოველებს გაგაცნობ... არ გინდა?

— მერე იყოს... — ვთქვი მე, — ახლა რაღაც საქმე მაქვს.

— კეთილი, — ამოიხრა და წამოდგა.

— როდის გნახავ? — ვკითხე ხმადაბლა.

— როგორც კი მოვიცილი, გინახულებ.

— მაინც, როდის მოვიცილი?

— მალე, სულ მალე, — თქვა მან, კართან მივიდა, გააღო და წავიდა.

ტახტზე დავეშვი და სიგარეტი გავაბოლე.

ერთხანს გარინდებული ვიჯექი, მერე გადავწვივიტე ერთ-ერთი ჟურნალის რელაქციაში წავსულიყავი და ცოტა წამეჭორაუა.

რელაქციაში ჯერჯერობით მხოლოდ პოეზიის განყოფილების გამგე იყო მოსული.

— როგორა ხარ? — ვკითხე და მაგიდანსთან დაუჯექი.

— როგორ ვიქნები ამთ ხელში? — თქვა და წინ დახზავებულ ქალღმერთის გორაზე მიმითითა.

— რა არის, კაცო ეს, სულ ლექსებია?

— დიახ. ამ თვეში შემოსული მასალაა.

— ჩვენში დარჩეს, ყველას კითხულობ?

— ნუ წაიკითხავ, თუ ბიჭი ხარ! — ამოიხუნემა მან. — მართლა, შენი ლექსები ორი ნომრის შემდეგ იქნება.

— იყოს, როცა გინდა.

ცოტა არ იყოს, გაკვირვებით შემომხედა.

მე ჩუმად ვიჯექი.

მან ისევ ქალღმერთში ჩარგო თავი.

— წამოდი, წავისაუზმოთ! — შევთავაზე უცებ.

— წავისაუზმოთ?.. — დაიბნა იგი. — სად?

— სადაც გინდა.. დავსხდეთ, ცოტა დაელოთ.

— მერე, საქმე?

— რა ისეთი საქმე შენა გაქვს, მაგის წაკითხვას მერეც მოესწრები.

— არა, არ გამოვა, — თქვა მან. — თათბირი გვაქვს. მერე კიდევ, ვიღაცები უნდა მოვიდნენ.

— კარგი, აბა, — ვთქვი უხალისოდ და წამოვდექი.

— შენი ლექსები ორი ნომრის შემდეგ იქნება, — მომადევნა კარებში გასულს.

ქუჩაში გავედი

ციოდა.

საყელო ავიწიე.

არ ვიცოდი, სად წავსულიყავი.

ლინდა გამახსენდა.

„რაც იყოს, იყოს, წავალ ცირკში“, — გავიფიქრე და ჩემკენ მომჭროლავ მანქანას ხელი დაუუქნიე.

— ცირკთან მიმიყვან?

— დაბრძანდით.



— ვინ გნებაეთ? — მკითხა ცირკის შესასვლელში გაჩერებულმა ზნიერმა კაცმა.

— ლინდა.

— აა, ლინდა, — გაეღიმა მას. — აი, ასე, პირდაპირ წახვალთ, მერე მარჯვნივ შეუხვევთ.

ცოტა ხნის შემდეგ მე და ლინდა ერთმანეთის პირისპირ ვისხედით.

— მოხვედი? — უბრალოდ მკითხა ქალმა. — მოდი, დაჯექი.

ვიწრო, პატარა ოთახში ორი სკამი და მაგიდა იდგა.

სკამზე დავეჯექი.

— ძალიან გამეხარდა, რომ მოხვედი. — თქვა ლინდამ. — მე ახლა ვეფხვებ:

საჭმელი უნდა მივუტანო, — ხელით დიდ ტაშტზე მანიშნა, სადაც ხორცის ნაჭრები ელაგა. — ერთად ვაჭამოთ, კარგი?

— რა ვიცი, — შევყოყმანდი მე.

— ნუ გეშინია, — ჩაიცინა ლინდამ. — ისინი ისეთი კარგები არიან!

— კარგი, წაიდეო! — ვთქვი და წამოვდექი.

— ხორცი აილე! — მითხრა ლინდამ. ტაშტს ხელი დავავლე და ლინდას მივეყვი.



ვეფხვები ოთხნი იყვნენ, — ორი ძუ და ორიც ხვადი

ლინდა საალერსო სახელებს ეძახდა და საკუთარი ხელით აჭმევდა ხორცს.

მეც იქვე ვიდექი.

უცებ გალიასთან ვილაცა დაბალი ტანის, გრიმწასმული, ხელოვნურცხვირიანი, ჭრელტანსაცმლიანი კაცი აიტუნა.

იგი მშვიდად ადევნებდა თვალყურს, როგორ აჭმევდა ლინდა მხეცებს.

ლინდამ ჩვენსკენ მოიხედა.

კაცმა უსიტყვოდ დაუკრა თავი.

ლინდამ სალამზე არ უპასუხა, მიბრუნდა და ისევ განაგრძო დაწყებული საქმე.

კაცი ერთხანს ასე იდგა, მერე წავიდა.

— ვინ არის? — ვკითხე ლინდას.

— ვერ მიხვდი? — გაიცინა მან

— ვერა.

— კლოუნია, — ლინდამ მოზრდილი ნაჭერი ჩაუდო ვეფხვს პირში. — ამას წინათ ხელი მთხოვა.

— ოჰო!

— მაშ. გემოვნება ჰქონია, არა? — გაიცინა ქალმა.

— ჰქონია და მერე როგორი. შენ რა უთხარი?

— საერთოდ არაფერი მითქვამს, — ამოიოხრა ლინდამ, — მეგონა, მიხვდებოდა და ჩამომეცლებოდა. ეს კი, ისულ უკან დამდეგს.

— უფრო გარკვევით უნდა გეთქვა.

— შემეცოდა, — თქვა ლინდამ.

— აბა, ახლა უფრო ცოდო არ არის?

— არ ვიცი, — წაიბუტბუტა ქალმა, — არაფერი არ ვიცი.

იგი გალიიდან გამოვიდა.

— ესეც ასე, — თქვა, ახლა რა ვქნათ?

— ახლა? — დავიბენი. — არ ვიცი...

— მე კი ვიცი, — თვალი ჩამიკრა. — ახლა ჩვენ შეგვიძლია ნატალი გავასერინოთ ქალაქში.

— ნატალი ვინ არის?

— ნატალი? ვეფხვია! — უბრალოდ მითხრა.

— გაგიჟდი? — ვთქვი მე.

— სულაც არა. შენ აქ დამიცადე. მე დირექტორს ნებართვას ვთხოვ და გავისეირნოთ.

იგი თავისი წვრილი ქუსლების პაკიპუკით გამცილდა.

უცებ საიდანღაც ისევ ის კლოუნი გამოტყვრა.

ახლა წესიერად ეცვა და გრიმიც მოეშორებინა, მაგრამ მაინც ვიცანი.

სიგარეტი მთხოვა.

მივაწოდე.

სახეში შემომაბოლა და თქვა:

— ლინდა შესანიშნავი ქალიშვილია, არა?

— დიახ, — მიუუგე ოღნავი დაბნევით.

— რალაცით თვითონაც ვეფხვს ჰგავს, არა?

— არ ვიცი... — ჩავილულულე.

— ჰგავს, როგორ არა! — დაიჩემა კაცმა. — თქვენ გიყვართ იგი? — მკითხა უცებ.

— კი მაგრამ, თქვენ ეს რატომ გაინტერესებთ? — გაებრაზდი მე.

— მეე? — გაიკვირვა მან. — მე ხომ მისი საქმრო ვარ... არ იცით?

— არა, და არც მაინტერესებს.

კაცი ერთხანს ჩუმად იყო

— არა, ტყუილს ვამბობ, — თქვა ბოლოს სევდიანად — საუბედუროდ, მე არა ვარ მისი საქმრო.

ამ სიტყვებზე სიგარეტი მაგრად მოქაჩა და გასასვლელისაკენ გაემართა.

ცოტა ხანში ლინდაც გამოჩნდა.

— წავედით, — თქვა და შემომცინა.

— დირექტორმა ნება დამართო წაიყვანე, ოღონდ პირი აუკარიო.

— ვინ წაიყვანეო?

— ნატალი.

გამვლელუბი გაოცებით და შიშით

შეჭყურებდნენ ლინდას გვერდით მომავალ მუ ვეფხვს.

ლინდა ისე მომყვებოდა გვერდზე, ვითომც აქ არაფერიაო.

— ბაღში შევიდეთ! — თქვა მან, როცა ბაღს მივუახლოვდით.

ასეც მოვიქეცი.

სკამზე დავსხედით.

ნატალი ქალის წინ გაწვა და თავი მუხლებში ჩაუღო.

— ჩემო მშვენიერო, — მოეფერა ლინდა ვეფხვს. — რა ლამაზია, არა? მომიბრუნდა.

— ჰო, — მივუგე და სიგარეტს მოვუკიდე.

ერთხანს ასე ვისხედით.

უცბა მოკირწყლულ გზაზე წელში ორად მოკაკული, სახედანაოჭებული, შავებით მოსილი დედაბერი გამოჩნდა.

როცა მოგვიახლოვდა, შედგა და დაგვაკვირდა.

მერე უფრო ახლოს მოვიდა, ვეფხვს თავზე ხელი გადაუსვა და ლინდას საყვედურით მიმართა:

— არ გრცხვენია, ამ მშვენიერ ცხოველს რომ აწვალებ?

— რატომ? — დაიბნა ლინდა.

— რა რატომ? — გამოაჯაგრა ქალმა.

— რატომ ვაწვალებ-მეთქი?

— რატომ და, პირი რომ აგიკრავს.

— ჰოო, ეგ მეც არ მომწონს! — თქვა ლინდამ, — დაიხარა და ვეფხვს პირსაკრავი მოხსნა.

ვეფხვმა პირი დაადო და ლაშები მოილოკა.

— აი, ასე! — გაუხარდა დედაბერს, — ასე, შვილებო, არასოდეს არ გააწვალოთ ცხოველი! — ამ სიტყვებით თავი დაგვიკრა და... თავისთვის წაცანტარდა.

— ეტყობა, კარგი ქალია, — თქვა ლინდამ. მე ჩემი მოსაზრება მქონდა ამის თაობაზე, მაგრამ არაფერი მითქვამს.

— ეჰ, მომბეზრდა ასე ცხოვრება, — შემოქმედილა ლინდამ.

— აბა, რა გინდა? შენ თვითონ არ აირჩიე შენი პროფესია? — ვკითხე.

— ჰო, მაგრამ ახლა მინდა... — იგი შედგა და მაცდურად გამიღიმა.

— რა გინდა ახლა?

— ახლა მინდა ყველაფერი გავიხადო. ვეფხვზე ამბხედრდე და ასე გავიარო ქალაქში.

ამ სიტყვებით მან ზიზლით დაიწყო ტანსაცმლის გახდა და მათი აქეთ-იქით მიყრა-მოყრა.

— რას სჩადიხარ! — ხელეში ვეცი მე. ის კი უკვე თითქმის სრულიად დედიშობილა იდგა ჩემს წინაშე.

მოშორებით ხალხი შედგა და გაკვირვებულებმა დაგვიწყეს ცქერა.

ლინდამ მათ გაუცინა და ხელი დაუქნია.

— მოდი აქ, ნატალი! — დაიძახა ქალმა.

ვეფხვი წამოდგა, გაიზმორა, ლინდასთან მივიდა და თავი მუხლზე გაუხახუნა.

ლინდა ელვის უსწრაფესად მოექცა ზურგზე.

— სირცხვილია, ლინდა! — წამოვიძახე მე.

— მაშინ წადი! — თქვა ქალმა და მის თვალეში წყენამ იელვა.

ერთხანს ასე ვიდექით.

მერე ვეფხვი ადგილს მოსწყდა და წინ გაქანდა.

რა უნდა მექნა.

მეც უკან მივეყვი.

ვეფხვი ჯერ ნელა მირბოდა, მერე სრბოლას უმატა და ბოლოს ნიავეპარით გაიჭრა წინ.

მე ჩამოვრჩი.

ლინდა და ვეფხვი თვალს მიეფარნენ. ერთხანს მღუმარედ ვიდექი, მერე შევბრუნდი.

სახლისკენ დავადექი გზას.

შინ მისვლისთანავე გავიხადე და დავწექი.

საშინლად მტკიოდა თავი.

ცოტა ხანში ჩამეძინა კიდევ.

როცა გავიღვიძე, უკვე შეღამებული იყო.

ხალათი მოვიცვი, აივანზე გადავდექა და სივარეტი გავაბოლუე.

უცებ კარზე ვიღაცამ დამიკაკუნა

გავალე.

გაკვირებისაგან ოდნავ დავიბენი.

ჩემს წინ დღეს ცირკში ნანახი კლო-
უნნი იდგა.

— შეიძლება? — მორიდებით იკითხა-
მდუმარედ შევყურებდი.

— შეიძლება? — გაიმეორა.

მობრძანდით! — ვთქვი უკმაყოფილოდ
და დაუპატიჟებელ სტუმარს შინ შევუ-
ძეხი.

იგი სკამზე დაჯდა.

— მე გამოგყევით თქვენ, როცა ლინ-
დას დაშორდით და ასე გავიგე, სად
ცხოვრობთ, — თქვა ღიმილით.

— რით შემიძლია გემსახუროთ? —
ვკითხე მე.

იგი წამით დაფიქრდა, მერე თავი აი-
ღლო და მითხრა:

— დამეხმარეთ!

— მაინც, რაში?

კლოუნი ერთხანს დუმდა, მერე ყოყ-
მანით წამოიწყო მისი ლინდასადმი და-
მოკიდებულების ამბავი. თითქმის ნახე-
ვარი საათი ილაპარაკა. როცა სათქმე-
ლი დაამთავრა, ერთიანად აწითლებუ-
ლი და გაოფლილი იყო.

— მაინც, ვერ გაეიგე, მე რა დახმარე-
ბის გაწევა შემიძლია, — ვთქვი მე. —
მეორეც, თქვენი საქციელი ცოტათი
უტაქტო მერვენება, რადგან გარკვეული
გრძნობა მეცა მაქვს ლინდასადმი.

— ვიცო, — დაღონებით თქვა მან. —
სწორედ მაგაშია საქმე.

— რაში?

— თქვენ... თქვენ... უნდა დათმოთ
ლინდა.

— ოჰო!

— მე მას კარგ მუშაობას გავუწევ,
— თითქმის მუდარით მითხრა კაცმა.

— არ ვიცო, არ ვიცო, — დაბნეული
ვთქვი მე. — არ უნდა მოგემართათ ასე-
თი თხოვნით, — დავამატე უცებ, როცა

დავინახე, რომ თვალებში იმედის ნა-
პერწყალმა გაუელვა.

— მე ინტელიგენტ კაცად მომეჩვენ-
ნით!

— მაინც, მე მგონია, არ უნდა მოგე-
მართათ...

მან თავი ჩაჰკიდა.

— წავალ, — წამოდგა მცირე ხნის
შემდეგ.

კარებამდე მივაცილე.

იგი შედგა, მობრუნდა და თქვა:

— ლინდას არაფერი უთხრათ, კარ-
გი?

თავი დაუვუჭინე.

იგი წავიდა.

კარები დაკეტე და თავისუფლად ამო-
ვიუსუნთქე.

მეორე დღეს, დილით, კარზე ვიღაცამ
დამიკაკუნა.

გავალე.

ჩემს წინ წითელი ხავერდის კაბაში
გამოწყობილი ლინდა იდგა.

იგი უხმოდ შემოვიდა და საწერი მა-
გიდის კიდზე ჩამოჯდა.

— როგორა ხარ? — მკითხა.

— მხრები ავიჩნე.

— გუშინ ცოტათი გავაფრინე, —
თქვა მან. — ხომ მაპატიებ?

გაუულიმე და თავი დაუვუჭინე.

— კარგი ბიჭი ხარ! — გამიღიმა მანაც.
— დღეს რას აპირებ?

— არ ვიცო... არაფერს, — ვთქვი მე.

— შენ ბინის გამოცვლას არ ფიქრობ?

— მკითხა უცებ — ამდენი განძის პატ-
რონი სანამ უნდა იჯდე ამ სოროში?

— ვნახოთ, — ვუთხარი.

იგი დადუმდა.

ახლოს მივედი მასთან.

მისი სიახლოვე მაბრუებდა.

რადაც მძაფრი სურნელება ასდიოდა.

ლინდა, ჩემო მშვენიერო! — ვთქვი
და ჩემკენ მივიზიდე.

ნებას დამეცა...

მოცელილებივით წავეციკით დიდ,
მაუდგადაკრულ ტახტზე.

ერთი საათის შემდეგ, როცა სარეც-
ლიდან ედგებოდით, უცნაურმა გაღიზია-
ნებამ შემიაყრო.

მთელი ჩენი ალერსის განმავლობაში ლინდას ბაგეებს ოდნავ დამცინავი დიმილი არ მოსცილებია.

— აბა, უკვე შევცოდე კიდეც, — თქვა მცირე ხნის დუმილის შემდეგ.

— განა შეიძლება ასეთი არაჩვეულებრივად კარგი რამ ცოდვა იყოს?

— ცოდვაა, — ჯიუტად გაიმეორა მან. — და ჩემთან ჩადენილი ცოდვა ორჯერ უფრო მძიმეა.

— არაფერი მესმის, — ვთქვი დაბნევიტ.

— ვერც გაიგებ! — მიპასუხა ისევე დამცინავად და, ცოტა არ იყოს, გაბრაზებით გადმოძახდა.

ერთხანს ორივე ვდუმდით.

— რომელი საათია? — იკითხა ბოლოს ლინდამ.

— რა იყო, გეჩქარება?

— არა, ისე, — თქვა მან.

— პირველი საათია, — ვუპასუხე.

— რას აპირებ დღეს? — მკითხა ქალმა.

— არ ვიცი.

— რატომ მერე?

— არც ეგ ვიცი.

— არ ვიცი, არ ვიცი... — გამაჯავრა მან. — აბა, რა იცი?

— აღარაფერი ვიცი, ვიცი, რომ ერთად ვართ... ეს კი ყველაფერია.

— ვითომ?

— ასეა.

— არსად გავისეირნო?

— რა ვიცი, ლინდა, იმდენად კარგად ვკრძნობ თავს, რომ განძრევაც არ მინდა.

ლინდამ მსუბუქად დამარტყა მხარზე ხელი, მერე სკამთან მივიდა და დაჯდა.

— აბა, მთელი დღე რა ვაკეთო?

— ვიწვეთ, — ვთქვი მე.

მან გაიღიმა.

— არა, — თქვა და წამოდგა. — სჯობია, ცირკში წავიდეთ...

— ცირკში? — ზანტად ვიკითხე მე.

— ჰო... დღეს წარმოდგენაა დღის სამ საათზე. წავიდეთ?

— რა ვიცი... მართალი რომ ვითხრა, არასოდეს მიზიდავდა ცირკის არენა.

— წავიდეთ, რა — მუდართ მითხრა.

— კარგი, წავიდეთ! — მივუგე მე.

მან სიხარულით ტაში შემოჰკრა. ერთი საათის შემდეგ უკვე ცირკში ვისხედით... პირველ რიგში.

პირველად ფოკუსების მკეთებელი გამოვიდა, შემდეგ — ძაღლების მწვრთნელი.

როცა აკრობატების რიგი დადგა, არენაზე ეროსი გამოჩნდა (ეროსი იმ კლოუნს ერქვა, ლინდა რომ უყვარდა).

იგი აკრობატებთან ერთად აძვრა ცირკის თაღზე და სასაცილო ნომრების ჩვენება დაიწყო.

არ მოველოდი, ასეთი ძლიერი და მოქნილი თუ იყო.

უცებ ეროსი ცირკის თაღს მოსწყდა, შემკავებელი თოკით ძირს დაეშვა, ჩვენთან მოიჭრა, ლინდას ხელი სტაცა და ისევე ზემოთ აიჭრა.

განცვიფრებისაგან შევუყვირე.

ხალხს კი ეს მორიგი ნომერი ეგონა და აქა-იქ ტაშიც დაუკრეს.

ვხედავდი, თანამაზე დაკიდებულ კლოუნს როგორ ეჭირა ხელში ლინდა და რაღაცას ეუბნებოდა თუ ემუქრებოდა.

ბოლოს, დაახლოებით ათი წუთის შემდეგ, ისინი დაეშვნენ...

ლინდა მომიახლოვდა და ჩემს გვერდით დაჯდა.

— აბა, ნახვამდის! — დაიძახა არენიდან კლოუნმა და თვალს მიეფარა.

— გავიდეთ! — მითხრა ლინდამ.

წამოდექი და ქალი წინ გავატარე.

ცირკიდან გამოვედით.

— საშინელი ამბავი მოხდა! — თქვა ლინდამ ცირკიდან გამოსვლისთანავე.

— მაინც, რა?

ლინდა ერთხანს დუმდა, მერე ნელა მოატრიალა თავი ჩემკენ და ენის ბორძიკით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად თქვა:

— მე ცოლობის პირობა მივეცი მას.

— კი მაგრამ, როგორ?

— რა მექნა, თალიდან ძირს ჩამოვდე ბით მემუქრებოდა... ღმერთს მაფიცებდა. მეც... შევშინდი და პირობა მივეცი

— არაფერი მოხდება, მაგ პირობას თუ დაარღვევ, — ვთქვი მე.

— მე ღმერთი დავიფიცე, — ყრულ თქვა ლინდამ.

— ესე იგი...

— ესე იგი... მე მეყოლება ქმარი, ცირკის მასხარა... და მეყოლები შენც, — დაამატა უცებ ღიმილით.

— იქნებ აჭარბებ? — ვთქვი მცირე ხნის ღუმილის შემდეგ.

— ეჰ, რა მნიშვნელობა აქვს ქმარს, — აგდებით თქვა ლინდამ, — მთავარია, მე და შენ ვიყოთ კარგად.

დავდუმდი.

გზაჯვარედინზე შევედექით.

— ახლა სად წავიდეთ? — ვკითხე.

— შენთან, რა თქმა უნდა, შენთან, — მიპასუხა ლინდამ. — სულაც იმ ჩემი მომავალი ქმრის ჯინაზე.

და ორივემ ჩემი სახლისაკენ ავიღეთ გეზი.

თითქმის სამი თვე გავიდა ამის შემდეგ. ლინდა და ეროსი დაქორწინდნენ, მაგრამ, მართლაც ყველაფერი ისე აუწყო, როგორც ლინდამ თქვა.

ჩვენ უმეტეს დროს ერთად ვატარებდით.

ეროსიმ ძალე გაიგო ეს ამბავი და, როგორც ლინდა ამბობდა, საშინელ სცენებს უწყობდა თურმე.

ერთ დღეს ლინდა ტანსაცმელშემოფლეთილი, აღვზნებული მოიჭრა ჩემთან.

— რა მოხდა? — ვკითხე და ტახტზე დავსვი.

ამოხვედა.

დატანჯული სახე ჰქონდა.

— ცუდად არის საქმე.

— რა მოხდა? — გავიმეორე.

— მცემა... დანა ჩავკარი... — ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ქოშინით თქვა.

— შერე?

— მოკვდა! — ამოიხრიალა ლინდამ და გაფაციცებული მზერა შემაველო. — რა ვქნა მე ახლა?

ვდუმდი.

— რა ვქნა-მეთქი? — ხმამაღლა იყვირა ლინდამ.

— უნდა გავიქცეთ, — ვთქვი მე.

ისტერიულად გაიცინა:

— გავიქცეთ? სად? მართლმსაჯულება ყველგან მომავნებს.

უმწეოდ ავიჩეე მხრები.

იგი უცებ დაწყნარდა...

სახეზე უცნაური ღიმილი გადაეფინა.

— მოდი ჩემთან! — მითხრა.

მივედი და ხელი მოვხვიე.

იგი მცირე ხანს ასე იყო, ჩემს მკლავებში განახული, უცებ ოხვრა აღმოხდა, მკლავებში გამიძვრა, დაპატარავდა, დაპატარავდა და ისევ რუხ, დიდ ვირთხად იქცა.

— ეს რა ჰქენი, ლინდა! — შეეძახე შეძრწუნებით.

— არაფერი, — თქვა და ტახტიდან იატაკზე ჩახტა. — ახლა ვეღარ მიპოვნინან.

— მე, მე რალა უნდა ვქნა? — მივახალე გამწარებით.

— მე ყოველ დამე ისევ ქალად ვიქცევი, — თქვა ლინდამ. — ღამით ხომ არ დამიწყებენ ძებნას.

თავი ჩავკინდრე.

— ახლა კი, საღამომდე! — მომამახა და ოთახის კუთხეში, ხვრელში შეჭვრა.

აი, ასეთია ის მოკლე ამბავი, რომლის მოყოლაც თქვენთვის მინდოდა. ლინდა ახლა ყოველ დამე ჩემთანაა და ჩვენ ბედნიერნი და უზრუნველნი ვართ.



კახა კახიძე

შემოდგომის ერთი დღე

სოფელში

ანუ

„თ ა თ ა რ ა ო ბ ა“

მარანში ბანი აღის ჭერამდის,
ოდნავ მთვრალეები ჩანან ბოცები,
შორიდან უმზერს თეთრი ჭერამი
პირდაღებულ ქვევრს განაოცები.
სადგარზე ქვაბი თუხთუხებს შავი,
— აბა, ვინ იცის მარჯვედ მორევა? —
ასტკივდა, ალბათ, სიცხისგან თავი,
ამთქნარებს თონე და იზმორება.
სალამო იკრავს ხილაბანდს თავზე,
— „თათარასათვის“, ჩქარა, თეფშები!

შემოდგომური ღზენით ვარ სავსე
და ნაზ ფერებში გადავეშვები.
ხტიან, ცმუკავენ შოთები ცხელი,
ღულს და გადმოდულს ანკარა წვენი,
გადაქანცული სწუხს საწნახელი,
თელემს მზე მთებს იქით გადანაწვერი.
მოედინება ღზინი მორევად —
შემოდგომური თრთოლა ოცნების,
ამთქნარებს თონე და იზმორება,
დაბარბაცებენ მთვრალი ბოცები.

იხატება მინაზე
თოვლისფერი სინაზე
და დეკემბრის კალთობში
არხეინად სძინავს მზეს.
როგორ გნატრობ... და როდის
მოხვალ... ჯერ კი სხვა მოდის,

კრთება მწუხრი... და ციდან
თეთრი ღამე ჩამოდის.
იქარგება მინაზე
თოვლისფერი სინაზე...
წწუხვარ, ზამთრის ბინდში შენ
კარი გადამირაზე...

ნასახლარი

ღუმილი მიმზერს ნანგრევებიდან,
წუხილს გამანდობს ცალთვალა თონე,
სევდა ნასახლარ ბინდში შევიდა,
ვეძახე, მაგრამ ვერ გავაგონე.
ხელს მიწვდის შავი, მოხრილი თუთა,
სიხარულისგან იკივლებს ბაღჩა,
მოვეფერები ეზოს სათუთად,
ნაზმა აპრილმა რომ გადაფარჩა.

ხეივანს დარდით მოეშვა წვერი
და ჩაეკიდათ ვარდებს თავები,
წლებზე მოსთქვამდნენ ოხვრით ბებერი
ხეები, ქარში მონანავები.
შემომამჩერდა ნანგრევებიდან
გათეთრებული, ცალთვალ თონე,
სევდა ნასახლარ მწუხრში შევიდა,
ვეძახე, მაგრამ ვერ გავაგონე...

ეზო ზეებს ზელებივით იქნევს,
ქარზე არის გულმოსული იქნებ.
ოთხი დღეა ზეცაზე მზე არ ჩანს,
მოენატრა და მთვარესთან დარჩა.
კალენდრიდან მაისი სწუხს თითქოს,
ცივა, აწვიმს კრწანისსა და დიდგორს.
საოცარი ის არის, რომ არ თოვს,

თუმცა წვიმდეს, ახლა წვიმაც მართობს.
მარტო არ ვარ, ჩემთან არის ბერნსი, —
— საყვარელი და უძვირფასესი.
მე შეგობარს ჩემი სული ვანდე,
მოვიგონებთ მერი ჰაილანდელს...
გარეთ ეზო ზელეებს ბრაზით იქნევს...

სამშობლოს

ჩემთვის სამშობლო იწყებოდა ვიწრო ეზოდან,
პანტის ძირიდან, ზეივნიდან, თეთრი თუთიდან
და მთავრდებოდა ზედ ჭიშკართან... მე არ მესმოდა
კავკასიონი პონტოს ზღვას რომ სალამს უთვლიდა.
ჩემთვის სამშობლო იწყებოდა მომცრო სახლიდან
და ოღრო-ჩოღრო გადამტკერილ გზებსაც სწვდებოდა,
მე ვერ ვხედავდი, მტკვარი მეტებს დარდს რომ ახლიდა,
შორს, მთაწმინდაზე წითელი მზე როგორ წვეებოდა.
ჩემთვის სამშობლო იწყებოდა ბაღის მდელიდან,
გრძელი ვენახის ბარაქიდან, ციციკა ვაზიდან,
მე ვერ ვხედავდი მთები ნისლეებს რისთვის ელოდნენ,
ვერ ვგრძნობდი ძალას, ციხეები, რამაც აზიდა.
ჩემმა სამშობლომ, დაწყებულმა ვიწრო ეზოდან,
გადაარღვია ჭიშკარი და ცისკენ გასწია...
საოცნებოდ და სადარდებლად მწარე ესოდენ —
ის ახლა ჩემი ერთადერთი დიდი განძია!



როგორ, მაგადახსენებ იმდენს
თუღი და თოვლი ზღვას ჩემს
ლორსებზე იტრფენეს ძანს
ანემ ქაქუნებს ტანონ
და მტორთაღუნ მაღვტრო

სამშობლოს

ჩემთვის სამშობლო იწყებოდა ვიწრო ეზოდან,
პანტის ძირიდან, ზეივნიდან, თეთრი თუთიდან
და მთავრდებოდა ზედ ჭიშკართან... მე არ მესმოდა
კავკასიონი პონტოს ზღვას რომ სალამს უთვლიდა.
ჩემთვის სამშობლო იწყებოდა მომცრო სახლიდან
და ოღრო-ჩოღრო გადამტკერილ გზებსაც სწვდებოდა,
მე ვერ ვხედავდი, მტკვარი მეტებს დარდს რომ ახლიდა,
შორს, მთაწმინდაზე წითელი მზე როგორ წვეებოდა.
ჩემთვის სამშობლო იწყებოდა ბაღის მდელიდან,
გრძელი ვენახის ბარაქიდან, ციციკა ვაზიდან,
მე ვერ ვხედავდი მთები ნისლეებს რისთვის ელოდნენ,
ვერ ვგრძნობდი ძალას, ციხეები, რამაც აზიდა.
ჩემმა სამშობლომ, დაწყებულმა ვიწრო ეზოდან,
გადაარღვია ჭიშკარი და ცისკენ გასწია...
საოცნებოდ და სადარდებლად მწარე ესოდენ —
ის ახლა ჩემი ერთადერთი დიდი განძია!

ლოდი ნათიქე

რუსთაველი

დაღლილ მხრებზე აფენია
 თეთრი თოვლი...
 მესიზმრება დამზობილი სადღაც
 ლოცვად.
 სიბრძნით სავსე... მაგრამ მაინც
 პირველ ყოვლის,
 გაჩენილი სიყვარულის საგალობლად.
 რა მზე სწვავდა,
 რა ტრფიალი, ღმერთო, რაი!
 (გუბე ცრემლისო, საცაა აღიდგება...)
 სიბრძნის წყარო, ბრძენთა — ბრძენი,
 მაგრამ მაინც,
 გაჩენილი სიყვარულის სადიდებლად.
 ვეფხის ტყავში გახვეული

კენესის გული,
 შერჩენილი ცას და მიწას
 გამოცანად,
 უწმინდესი ჩვენთვის, როგორც
 კვართი უფლის,
 გაჩენილი სიყვარულზე სალოცავად.
 დაღლილ მხრებზე აფენია
 თეთრი თოვლი...
 (ბრწყინავს ცრემლის მარგალიტი
 სადღაც ობლად...)
 ბრძენთა-ბრძენი, მაგრამ მაინც
 პირველყოვლის,
 გაჩენილი სიყვარულის საგალობლად!

დამიმახსოვრე, სამშობლოვ...

(სამაჩაბლოში დაცემულ ვია მოსეშვილის ხსოვნას)

იქნებ უცტრად გავთავდე,
 ჩემი სათქმელი ვერ ვთქვა
 — მამა, პაპათა საძვალევე,
 მედავებიან შენ თავს!
 ზვალიდან იქნებ ვერ გნახო,
 (დღეებს შემოვრჩე ლექსად).

— ჩემო ბალო და ვენახო,
 მეცილებიან შენ თავს!
 თქვენთვის მოვკვდები... მაშოროს
 სხვა აღსასრული ღმერთმა
 —დამიმახსოვრე სამშობლოვ,
 მეცილებოდნენ შენ თავს!

ამას გევედრები, ღმერთო...

მტერი მომძალვია, ერთობ
 სავსე ღვარძლითა და იჭვით.
 ამას გევედრები, ღმერთო,
 მომეც მიტყეების ნიჭი.
 ორგულს, გულბოროტს და

მძალავს,
 ვუცქერ, ოი, როგორ მიჭირს.
 ღმერთო,
 შემამველე ძალა,
 მომეც პატიების ნიჭი.

ო, ნუთუ მართლა!

მე ისე დიდხანს, დიდხანს ვიწვოდი,
 სულ ამერია ცხადი სიზმარში:
 — ო, ნუთუ მართლა მე შენ გიცნობდი,
 — ო, ნუთუ მართლა მე შენ მიყვარდი...
 გაფითრებული კაცის პროფილი
 ცისკენ გაფრენილ ქალის სურათთან...
 მაგრამ ო, ღმერთო, ეს ყველაფერი,
 სინამდვილეში იყო თუ არა...
 გადამიარეს გულზე ქარებმა

და შემაჩვენეს ძველი ნაყმევი:
 — მაგრამ თუ იყო...
 მაგრამ თუ იყო!
 სინამდვილეში ეს ყველაფერი.
 მე ისე დიდხანს, დიდხანს ვიწვოდი,
 სულ ამერია ცხადი სიზმარში:
 — ო, ნუთუ მართლა მე შენ გიცნობდი,
 — ო, ნუთუ მართლა მე შენ მიყვარდი!..

ქეთევან დოლიძე

თვალები ვარუჟი ჩაფიქრებას

ფიქრი თვალდათხრილი მილასლასდა,
თვალები ვარუჟე ჩაფიქრებას...
ზეცაზე დაისი მეწამული
უიღბლო სანთელივით ჩამიქრება.
შორს, სადღაც უკუნეთში გამიტაცებს
ღამე, ბადესავით მონასროლი,

მერე ხატების წინ დაემხოა
ფიქრი — ლურჯთვალეა მონაზონი.
ჩემო ცისფერკაბა გაზაფხულო,
უკვე მერამდენედ მეორდები...
იქნებ არასოდეს გამითენდეს,
მაინც გათენებას ველოდები.

ზამთრის ნასუფრალს ალაგებს, მარტი

ზამთრის ნასუფრალს ალაგებს მარტი
ფაფარაშლილი და ფეხშიშველი,
ქარიშხლის ნაქონს მომახვევს მანდილს
და შეერევა ცისკარს გიშერი.

უბით მომქონდა ჩიტის ჭივჭივი,
ძონძით ვმალავდი მკერდის სიშიშველს,
ისე დამოკუნა წვიმამ გიჟივით,
ღრუბლებმა ღამის ზმლები იშიშველს.

მალე ფიქრებსაც ასწყდათ სადავე,
როცა ძარღვებში სისხლი აყივლდა,
მერე მდინარეს ვპოვე სათავე
და გადმოვედი ნავით ზღაპრიდან.

ზეცას ნისლები ჩამოერიგა...
წვიმას უყეფდნენ იქნებ ძაღლებიც
და წუთისოფელს — ჭარმაგ ბერიკაცს
შემოსცვეთოდა რკინის წაღები.

ღღესაც უკრავდა ვიღაც „ელიზეს“

ჩვენ ვსაუბრობდით მაშინ მერიზე,
ღღე იმსხვრეოდა, როგორც აღმასი,
ღღესანს უკრავდა ვიღაც „ელიზეს“
და გვიყურებდნენ მხერით ავაზის.

მაგრამ დემონი, პერანგით გიჟის,
კვლავ მადვენებდა მზერას დაგეშოლს
და ჯადოსნური ფერების ჩრდილში
გადაგემალე ზღაპრულ სარკეში.
.....

მარტის შეტევით ღონემიხდილებს,
შემოგვისახლდა სევდა თვალებში...
და ენძელები როცა მიყიდე,
მახსოვს, სადამოც მოვითარეშე.

ღღეს მეფიქრება ისევ მერიზე,
შეცდომებისთვის ნუ გამიწყრები,
ღღესაც უკრავდა ვიღაც „ელიზეს“ —
თავდავიწყებით...





ცხილვით მთავრებს

რევაზ თვარაძე

სამასი შედეგები

ყოველივე, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ, ჩემი სუბიექტური შეხედულებაა მხოლოდ და მხოლოდ, შესაძლოა — ჩემი მხატვრული გემოვნების კაპრიზი. ლიტერატურის ისტორიასთან ყოველსავე ამას იმ შემთხვევაში შეიძლება აღმოაჩინდეს შეხების წერტილები, თუკი სხვანი და სხვანიც გაიზიარებენ ჩემს შეხედულებას. ოღონდ, თუ არ გაიზიარებენ, იმას მაინც ნუ იზამენ, რომ აუგად მოიხსენიონ ამ შეხედულების ავტორი: პოეტურ ქმნილებათა შეფასებისას სუბიექტური გემოვნების კრიტიკაზე თუ გამოვრიცხეთ, საბოლოოდ უსულგულო სქემებია შეგვრჩება ხელთ.

ამ ორი თუ სამი წლის წინ სრულიად შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ალექსანდრ ბლოკს ოცამდე შედეგური შეუქმნია სულ, ალექსანდრ ბლოკს — ლექსის დიდოსტატს, რომელსაც გალაკტიონ ტაბიძე ამგვარად მოიხსენიებდა: „იმ საშინელ წელს პოეტი-მეფე გარდაიცვალა ალექსანდრე ბლოკი“ (გარდა ამისა, მშვენიერი ლექსებიც აქვს მიძღვნილი მისდამი — „რუს პოეტს“ და „აღარ არის მენესტრელი“); ალექსანდრ ბლოკს, ჩემს ერთ უსაყვარლეს პოეტს, რომლის ქმნილებები არაერთხელ მი თარგმნია სიჭაბუქისას.

ღიბ, სულ ოცამდე შედეგური. დანარჩენი უბრალოდ კარგი ლექსები ყოფილა, უამრავი კარგი ლექსი, ბლოკის თხზულებათა ტომებს რომ შეადგენს

და დაახლოებით ერთი დონისაა, მაღალი დონის პოეზიის კუთვნილებაა — ასობით და ასობით კარგი ლექსი. ოღონდ შედეგური ოცზე მეტი არ არის მაინც.

მანამდე, მართალი მოგახსენით, არასოდეს დავფიქრებულვარ იმ საკითხებზე, თუ რამდენი შედეგური შეიძლება ჰქონდეს დიდ ლირიკოსს. არადა, თითქოს ძნელი არ უნდა ყოფილიყო იმ აზრამდე მისვლა, რომ ამა თუ იმ პოეტის ხატება ჩვენს წინაშე, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მისი შედეგების მეოხებით გამოიკვეთება ხოლმე. დანარჩენი ფონია მხოლოდ, აუცილებელი, მაგრამ მაინც ერთსახოვანი ფონი.

ამ აღმოჩენამ სხვებისკენაც მიმართა ჩემი ყურადღება: რამდენ-რამდენი შედეგური ექნებათ შექმნილი პუშკინს, ლერმონტოვს, სერგეი ესენინს, ანა ახმატოვას, ბორის პასტერნაკს? იმის განმსჯელად მე ვერ გამოვდგები, რამდენი შედეგური აქვთ პეტრარკას, გოეთეს; მიცყევიჩს, ედგარ პოს, ბოდლერს, ვერლენს, რილკეს, ან კიდეც — ფავშიუწენდელ აღმოსავლელ პოეტებს (მათი ჩამოთვლაც კი ძნელი იქნება). მაგრამ რატომღაც გულდაჭერებული ვარ: ყოველი მათგანის მშობლიური ენა ზედმიწევნითაც რომ ვიცოდე, რაც აუცილებელი პირობაა შედეგრთა გამოსარჩევად, ორ ან სამ ათეულზე მეტ შედეგურს, ალბათ, ვერ მივაკვლევდი თითოეულის პოეზიაში.

და უეცრად — სამასი შედეგები ერთი პოეტისა!

1977 წელს გამოიცა გალაკტიონ ტაბიძის ლექსთა „რჩეული“, ჩემს მიერ შედგენილი. ამ წიგნს საიმისო პრეტენზია ჰქონდა, რომ თავი მოეყარა ყოველივესთვის, რასაც ჭეშმარიტი პოეზია შეიძლება ეწოდოს, რაც თვალნათლივ გამოირჩევა გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში საკმაო რაოდენობით არსებული არა-პოეზიისგან. და ამგვარი უღმრთო კრიტიკიუმის მომარჯვების შემდეგაც წიგნში წარმოდგენილია ათას ორმოცდაათამდე ლექსი (პოემების ნაწყვეტებს აქ არ მივათვლი). ისიც გავითვალისწინოთ, რომ ათიოდე თუ ოციოდე ლექსი კონიუნქტურული მოსაზრებებით იყო შეტანილი — სხვაგვარად საიმდროოდ პოეტური კრებული საერთოდ ვერ დაიბეჭდებოდა. გამოვაკლოთ ის ათიოდე თუ ოციოდე ლექსი, გამოვაკლოთ კიდევ ზოგიერთი სხვა ნაწარმოები (ვთქვათ, პოეტური შეგირდობისდროინდელი ქმნილებები). საბოლოოდ ჩვენს წინაშეა არანაკლებ ათასი ლექსისა, რომლებიც ნებისმიერი პოეტის შემოქმედებას დაამშვენებდა. დიახ, ათასი საუცხოო ლექსი!

მაგრამ შედეგები?

ცალკე შედეგებზე იმხანად არ მიფიქრია. ის იყო, რომ იმ დიდი „რჩეულიდან“ ჩემთვის ვადგენდი ნაირ-ნაირ მომცრო რჩეულებს (სათაურებს ვიწერდა).

ვიდრე ის აღმოჩენა არ გაკეთდა, რომ ალექსანდრ ბლოკს, დიდ ალექსანდრ ბლოკს, მეფე-პოეტს, ოცამდე შედეგები შეუქმნია სულ.

მაშინ იყო, გალაკტიონის შედეგთა გამოცალკევება რომ გადავწყვიტე და შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა — სამასამდე შედეგის!

ოღონდ აქ ორ გარემოებას უნდა მივაპყროთ ყურადღება.

ერთი რომ, დამოწმებულმა რიცხვებ-

მა ზედმეტად არ უნდა აღაგზნოს ჩვენი ფანტაზია, არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს ზემოხსენებული „ოცამდე“ და „სამასამდე“ ალექსანდრ ბლოკს და გალაკტიონ ტაბიძეს „ქულებად“ ეწერებოდეთ (გინდაც სპორტულ შედეგებთან გვეკონდეს საქმე). საერთოდ, კარგი იქნება, თუ გვემაზსოვრება, რომ დადი პოეტი დიდი პოეტია და იმის გამოძიება, თუ „ვინ უფრო დიდი პოეტია“, ამო გარჯა იქნება უეჭველად.

მეორე და უმთავრესი: ბლოკის „ოცამდე შედეგები“ და გალაკტიონის „სამასამდე შედეგები“ იმგვარი საჭოჭმანო კრიტიკიუმის მომარჯვებით არის გამოყვანილი, როგორცაა ამა თუ იმ პიროვნების (ამ შემთხვევაში — ჩემი) პოეტური გემოვნება. ხოლო პოეტური გემოვნება, მოგესხენებათ, ძნელად რომ რაიმე მყარ, უტყუარ საზომს დაექვემდებაროს. რასაც მე შედეგად მივიჩნევ, მავანისთვის შესაძლოა უბრალოდ კარგი ლექსი იყოს და მეტი არაფერი, კიდევ სხვამ შესაძლოა უვარგისადაც მიიჩნიოს ის ლექსი.

არ დამავიწყდება, როგორი გულდაჩერებით ამზობდა გალაკტიონ ტაბიძის შესახებ ერთი ქართველი ლიტერატორი (რუსულად რატომღაც):

— Дутый поэт...

რამდენიმე კაცი ვიყავით ამის შემსწრე. არც ერთი არ შევკამათებოდათ. როგორც მსგავს შემთხვევებში ითქმის ხოლმე, ეს იგივე იქნებოდა, შობითგან უსინათლო კაცისთვის გვემტკიცებინა — ფერადოვანი ზეცა საამო საცქერის არისო.

ასე რომ, მკითხველებს ვთხოვ: იმას კი ნუ ირწმუნებენ ამ წუთშივე, თითქოს მართლა სამასი შედეგები ჰქონდეს შექმნილი გალაკტიონ ტაბიძეს, ის ირწმუნონ, რომ მე მიმაჩნია უეჭველ შედეგად მისი სამასი ლექსი. ამ შემთხვევაში ყოველ მკითხველს, ვინც კი მოისურვებს, შესაძლებლობა ექნება შეამოწმოს ჩემი (და თავისიც) გემოვნება და თავადვე დარწმუნდეს, რამდენად

მართალი ვყოფილვარ, მაინცდამაინც სამასი შედეგები რომ ავიჩიე.

გამოვინება ერთობ სათუთ კრიტიკი-
ული არის-მეთქი, მოგახსენეთ. მაგრამ
იქნებ ცოტა რამ მაინც ითქვას იმის
თაობაზე, თუ რით ვხელმძღვანელობდი
ხსენებული სამასი შედეგების გამორჩე-
ვისას. გავიხსენოთ ორსტროფიანი ლექ-
სი — „შადრევნების ვედრება“:

ცამდე ალბათ ბევრჯერ აღის
შადრევნების ვედრება,
დამტვრეული სიფერადის
სულით შემოთეთრება.
ოზოლ დობას, ვარდთა კონებს,
დროთა ფუჭად სიოხრებს
იგო ისე ვერ იგონებს,
რომ არ ამოიოხროს.

შედეგები მგონია ეს ლექსი. თუმცა
ძნელია, ძნელი კი არა, ალბათ შეუძ-
ლებელიცაა ამ მოსაზრების დასაბუთე-
ბა. რამდენსააზე ორიენტირის მიგანიშ-
ნებთ მხოლოდ: შადრევანის ნაკადთა
ზესწრაფვა ვედრებას რომ არის შედა-
რებული, ზეციურისკენ მარადიულ
სწრაფვას და ვედრებას („აწუცა რა თვალ-
ნი ლაყვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი
შენდა მოისწრაფიან...“); „დამტვრეული
სიფერადი“ რომ არის შადრევანი და ამ
დამტვრეული სიფერადის სულით შე-
მოთეთრებული („...მაგრამ შენამდინ
ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნე-
ვიან“); ცალკერძ ზეციურისკენ. ზესთა-
სოფლურისკენ სწრაფვა რომ არის ჩვე-
ნი არსებობა და ცალკერძ სოფლიური,
ამქვეყნიური „ობოლი დობა“ (რალაც
სევდიანი ამბის გამახსენებელი), „ვარ-
დთა კონები“, ვერაგი მსწრაფლწარმა-
ვალობა — „დროთა ფუჭად სიოხრე“...
და კიდევ: რაც ამ წუთას ვთქვი, უბად-
რუკი ანარეკლი რომ არის იმისა, რასაც
ეს ლექსი წარმოადგენს, რასაც აღ-
რავს ჩვენში.

აი, ასე: ლირიკული შედეგების დასა-
ბუთება და ლოგიკურ კატეგორიებში
მოქცევა არასგზით არ ბერხდება.

იქნებ იმის ახსნა მაინც მოხერხდეს,

თუ რატომ არ მიმაჩნია შედეგებად და
იმ სამასი ლექსის ნუსხაში რატომ არ
შემაქვს გამორჩეულად პოპულარული
ისეთი ლექსები, როგორცაა „უსიყვარუ-
ლოდ“, „მესაფლავე“, „გურის მთები“,
„მე და ლამე“. არც ამის ქმნა არის იოლი.
იქნებ ამ ლექსთა ოდნავ მოჭარბებული
სენტიმენტალურობის გამო, იქნებ ოდ-
ნავად ტრივიალური ელფერის გამო.
დაბეჭილებით ვერაფერს ვიტყვი.

არადა, იოლი სხვა რამ არის — ორი-
ვე შენედეგების ზეღაღებით უკუგდება
და გაბიაბრდება. ალბათ საკმაოდ აღ-
მოჩნდებიან მკითხველნი, უაღრესად რომ
დადგებიან იმის შეტყობისას — „უსიყ-
ვარულოდ“, „მესაფლავე“, „მე და ლა-
მე“, „გურის მთები“ შედეგების სი-
აში, რჩეულთაგან რჩეულ ლექსებში არ
შეუტანიათ. ზოგიერთმა იქნებ აბდა-
ლიც მიწოდოს და ისიც შემახსენოს,
თავად ავტორი, თავად გალაკტიონ ტა-
ბიძე რარიგად აფასებდა ამ ლექსებს
(„ან „მესაფლავეს“ რისთვის ვმღერო-
დი, ან ვინ ისმენდა ჩემს „მე და ლა-
მეს“).

ანდა პირუკუ: შეჩვენების ღირსად
იმის გამო ჩამთვალონ, „შადრევნების
ვედრება“ თუ ნებისმიერი სხვა ლექსი
რომ მიმაჩნია შედეგებად. ორიოდ გამ-
კილავი ფრაზა და — არც შედეგებიდან,
არც მის მიერ ჩვენში აღძრული განც-
დიდან თითქმის აღარაფერი დარჩება.
გინდაც „მხურვალე ლოცვით მიქანცე-
ბული“ სული შეეშფოთებინოთ უდიე-
რი შეძახილებით, ასეთ დროს დადუმე-
ბა სჯობს შეკამათებას.

გვინებ სიტყვა გამიგრძელდა და მა-
რთლაც სჯობს დადუმება. ოღონდ მა-
ნამდე ერთი რამ უნდა გამცნოთ კიდევ:
ის იყო, ამ მცირე სტატიისთვის წერტი-
ლის დასმას ვაპირებდი, გამახსენდა,
რომ ჩემს არქივში სადღაც შენახული
უნდა მქონოდა ამონაწერი კონსტანტინე
გამსახურდიას მშვენიერი ესსედან „გა-
ლაკტიონ ტაბიძე“. ბედად მივაგენი. წა-
ვიკითხე მეოთხედი საუკუნის წინანდუ-
ლი ფერგადასული სტრიქონები და გუ-

ლით გავიხარე: ამის უმჯობესს სხვას
რას შევარჩევდი საფინალოდ!

„საქართველო მუდამ იამაყებს სამი
გენიოსის სახელით. ესენი გახლავთ:
რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა და გალაკ-
ტიონ ტაბიძე. ხანდახან აგრე მგონია,
რომ ვერც რუსთაველი, ვერც ვაჟა გა-
ლაკტიონის უფაქიზეს ლირიულ შედეგ-
რებს ვერ დაწერდნენ. მე, ასე თუ ისე,
ვიცნობ მსოფლიო პოეზიას და უნდა
მოგახსენოთ: გალაკტიონისთანა დიდი
ვირტუოზი ლექსისა არც საქართველოს

და არც ჩვენს პლანეტას არ მოეპოვე-
ბა... მსოფლიო პოეზიაში მე არ მეგუ-
ლება პოეტი, რომელსაც ამდენი შედეგ-
რი ჰქონდეს. მე აგრე ვვარაუდობ: გა-
ლაკტიონზე სიკაბუტეში განსაზღვრუ-
ლი ზეგავლენა მოახდინეს ვერლენმა და
ედგარ პომ, მაგრამ სრულიად მიუდგომ-
ლად ვამბობ: გალაკტიონმა გადააჭარბა
თავის მასწავლებლებს, მე ვიტყვოდი,
შორს გადააჭარბა“ („საბჭოთა ხელოვნე-
ბა“, 1963, № 6).



[Faint, mostly illegible text from the reverse side of the page, appearing as bleed-through.]



ემზარ კვიციანი

შოთა ჩანტლაძის გახსენება

შარშან ზაფხულს ვერის უბნიდან მელიქიშვილის ქუჩას მოვეყვებოდი. ღვინის ქარზანასთან, სადაც გვირაბის ჩამრაზავი, ზამთარ-ზაფხულ ჩამომენძილი სუროთი სანახევროდ დაფარული, ვერცხლისფრად გადაღებილი რკინის ჭიშკარია, ცოტა ხნით შევდექე. აქ ბავშვობიდანვე მიყვარდა შეჩერება. ზემოთ გაკეთებული ნასვრეტებიდან ღვინის ოზშივარის სასიამოვნო სურნელი იფრქვეოდა ხოლმე და იმისი შესუნთქვა მსიამოვნებდა. ისევ მოვაველე იმ ჭიშკარს თვალი. ძალდა, თუნუქის მთლიან ფურცელზე მოზრდილი დისკოა, რომლის შუაში რკინის მსხვილი, ფოთოლწაფარებული მტკევანია ჩამოგრძელებული. ჭიშკარი ორფრთიანია. ძირს, დაყოლებით, ერთმანეთს ენაცვლება ხელისგულისსიფართე ვაზის ფოთლები (თითო ფრთაზე სამ-სამი) და ამდენივე დაცალკეებული, მაგრამ შედარებით მომცრო მტკენები. კიდებზეც, იქეთ-აქეთ, გვერდულად მიჭყლებილი, ფორმაშეცვლილი მტკენებია მიყუჩული. ქვემოთ ქართული ორნამენტებია ერთმანეთში ჩახლართულ-გადაწნული. ჭიშკარი უხეში, ტლანქი ნამუშევარია, ხელოვნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს, მაგრამ ზედ გამოსახული ემბლემები ქართულია და ალბათ ამიტომაც მიყვარს იქ შეჩერება. ღვინის სურნელი ისე აღარ, მაგრამ მაინც მოყონავს მრგვალი ნასვრეტებიდან. ჭიშკრის თავზე სურო-

თივე დაფარული და დანესტიანებული, ალაგ-ალაგ მუხლებში გადატეხილი პატარა-პატარა რკინის თუ თუჯის რიკულებია. ბევრ რამეს მახსენებს ეს ადგილი. გარდა ამისა, გადაღმა, მოპირდაპირე მხარეს, ღვას სახლი (№45), რომელთანაც ბევრი რამე მაკავშირებს. სწორედ მის ფსახლზე (ახლა რომ რუხად არის გაღებილი) შესასვლელთან დავინახე — ვილაც ბავშვს ცარცით მიწვერა: „ამ სახლში ცხოვრობდა პოეტი შოთა ჩანტლაძე“.

შეეკრთი ამის წაკითხვაზე, თან უცნაური სიხარული ვიგრძენი. მაშინვე ვიფიქრე, რომ ბავშვის გაუწაფავი ხელით გამოყვანილი აცა-ბაცა ასოები ყოველგვარ ოფიციალურ დაფასებას აღემატებოდა. რა ძალა ჭკონია სიყვარულს... რა დიდხანს შესძლება ხსოვნის შენახვა. იმ წარწერის გამკეთებელს ვინმე უფროსისგან თუ ექნებოდა გავიანილი შოთა ჩანტლაძის სახელი. ეგებ რაიმე კიდევ წაკითხა. ასე იყო თუ ისე, მან იგრძნო — ამ სახლში ერთ დროს ცხოვრობდა კაცი, რომლის დავიწყება არ შეიძლება. სცადა კიდევ ამ უსამართლობის თავისებურად გამოსწორება.

ღღის თორმეტი საათი იყო. იმ ადგილიდან ასიოდე ნაბიჯის გავლაა საჭირო, რომ გამოჩნდეს უნივერსიტეტის ბაღი, ტანდაბალი, განაპირა ფიჭვი, ერთ დროს შოთას უსაყვარლესი ადგილი. მისი ბედის ბორბალი უკუღმა რომ არ

დატრიალებულიყო, ახლაც უეჭველად იქ იქნებოდა, გაჭადრაკებული, წელში შესამჩნევად მოხრილი, მაგრამ შავ-შავ, მოძრავ თვლებში ისევ ცეცხლი იქნებოდა ჩარჩენილი. გარს ისევ ახალგაზრდების გუნდი ევლებოდა შემოჯარული (უკვე სულ სხვა თაობა); თუ ექნებოდა, ახლა ექნებოდა საკამათო და სალაპარაკო...

უამრავი ფიქრი ამიშალა იმ პატარა, გაკრული ზელით გაკეთებულმა წარწერამ, ქუნის მეორე მხარეს, სადარბაზოს მარჯვენა კუთხეში. აქერცილ ფასაღზე რომ ამოვიკითხე.

წლევანდელ ვაზაფხულსაც დაეკვირდი იქაურობას წარწერა, ცხადია, აღარ იყო, ალბათ დამლაგებელმა სველი ტილოთი წაშალა. სამაგიეროდ, სახლზე უკვე მიემარებინათ „საოჯახო ნამტვრებისა“ და „საკომისიო ძალაზის“ აუზრული ფირნიშები. ის წარწერა ისევ დამიდგა თვალწინ, შევწუხდი: „არაფერი დაშავდება თუ შოთა ჩანტლაძის მემორიალურ დაფასაც გააკეთებენ, შოთას იმდენი მეგობარი და პატივისმცემელი კი დარჩა, რომ ეს მცირე რამ შესძლონ-მეთქი“, ვთქვი ჩემს გულში. დიდ ხანს აღარ გაუვლია, მაშინდელი ფიქრი სინამდვილედ იქცა.

სიმბოლურ ფაქტად მიმაჩნია, რომ წლეულს, 1991 წლის 13 ივნისს, შოთას დაბადების დღეს, გამოღვიძების გზაზე დამდგარ საქართველოში, ხსენებულ სახლს გაუკეთდა თეთრი მარმარილოს მემორიალური დაფა, რომელიც გამკვლელ-გამომვლელს აუწყებს, რომ აქ იყო ქართველი პოეტის შოთა ჩანტლაძის ადგილ-სამყოფელი.

ბევრი რამ შემიძლია გავიხსენო ამ უაღრესად თავისებურ შემოქმედსა და კაცზე. ამ გახსენებაში ყოველთვის არ იქნება დაცული ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, თავიდან ვერ ავიცილებ ფრაგმენტულობასაც, მაგრამ მუხსიერებაში შემორჩენილ სურათებსა და შემთხვევებს შოთა ჩანტლაძის პიროვნება გაამთლიანებს; მე რასაც აღწერ, იმ

ეპიზოდებისა და მოვლენების ქრონოლოგია ის იყო მოქცეული.

შოთა ჩანტლაძეს უფვარდა ახალგაზრდობილ კაცზე შთაბეჭდილების მოხდენა. არტისტული ბუნების პიროვნება იყო და ამას პოზიირობაში ვერასგზით ვერ ჩამოართმევდით. სიმართლის თქმა, გულახდილობა მისი უპირველესი თვისება გახლდათ. თავის ლექსებსაც, თუკი მოგვინდობდათ და მოსმენის ღირსად ჩავთვლიდით, საიმოვნებით წავგიკითხავდით. სხვათა შორის, ასეთი თვისება ჰქონდა ოსიმ მანდელშტამსაც, რომელიც შემთხვევით გაცნობილ ხალხსაც კი, სადმე კაფეში (ამას მისი თანამედროვენი იგონებენ) ხალისით უკითხავდა თავის ლექსებს.

შოთა კითხულობდა საუკეთესოდ, ძალზე მოხდენილად. თითონ მსახიობებისგან ლექსის წაკითხვა არ მოხწონდა. გამოწკლისი იყო მხოლოდ უმანგი ჩხეიძე. მის მიერ წაკითხული „ბაღდავეფისა და მოყმისა“ დეკლამაციის შედეგად მიაჩნდა დააკვირდი, რანაირი ფოლადი აქვს ხმაში, ფილტვები როგორ უზრიალებსო.

ახალგაზრდა კაცს, ვისაც მწერლობა ჰქონდა გადაწვევტილი, შოთა მუდამ დაუზარებლად აძლევდა რჩევას, დროსა და ენერჯიას არ ზოგავდა. ჩემთვისაც არაერთი გულწრფელი და სასარგებლო რჩევა მოუცია, რის გამოც დღემდე ვემადლიერები.

ძალიან მოხწონდა ჩვენი ხალხური პოეზია. ზეპირად ამბობდა ხოლმე ერთ ლექსს („მალა მთას მოდგა უცხო ფრინველი“); საოცარი რამეა, ძალიან განსხვავებული და გამორჩეული, უსათუოდ გენიალური პიროვნების ნათქვამიაო. ალტაცებული ლაპარაკობდა, აგრეთვე, ხალხური პოეზიის თითო-სტროფიან მინიატურებსა და შაირებში ხშირად გამოყენებულ კონტრასტის ხეობზე, როცა წინა ორ სტრიქონში სხვა რამეზეა მიწინიშება, ხოლო ბოლო ორი სტრიქონი

სულ სხვანაირად თავდება. ეფექტის კაცი იყო და გასაკვირი არ არის, ასეთ მოულოდნელობას უპირატესობას რომ ანიჭებდა.

ეს ხერხი კიდევაც აქვს გამოყენებული ერთ აღრინდელ მცირე უსათაურო ლექსში, რომელიც ერთხელ ჩემზე განაწყენებულმა (ვიღაცამ ცუდად მიუტანა ენა) ვერის ბაღში ირონიული ღიმილით წამიკითხა:

გადაფრინდა საღღაც წერო,

ფრთები გაჭკრა ელამად,

ეს გული რომ გადაწერო —
არ გვეოფა მელანი.

გადაფრინდა საღღაც წერო,

გაიყოლა მუღარა;

ეს გული რომ გადაწერო —
ბევრი არა უნდა რა.

მალე ყველაფერი გაირკვა და ძველებურად ახლობლები დაერჩით, შოთას წყენა გულში არ ჩარჩენია, არც არასოდეს მოგვსვლია რაიმე უთანხმოება.

ბევრგან მაქვს აღნიშნული, მეტისმეტად გულახდილი და გულწრფელი კაცი იყო, არაფრის დამალვა არ იცოდა. ერთხელ უნივერსიტეტში მისაღება გამოცდების ჩაბარების ამბავს მომიყვანე, თავი ნათესაებმა ანდრო ჭილაიას ჩააბარეს, ნიჭიერი ბიჭია, მიზეფე, დაეხმარეო, უთხრეს. ამ კაცმა ნამდვილი სასწაულები აკეთა, — სახეზე ღიმილი არ შორდებოდა შოთას... — სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო რუსულ კარნახში იმდენი შეცდომა დაეუშვი, ვერ დათვალეს; ცოცხალი თავი მოიკლა და ორიანი არ დააწერინა გამოცდელს, სხვა საგნებშიც მიშველა (ქართულის გარდა ყველაფერში მიჭირდა) და ასე აღმოვიჩნდი უნივერსიტეტის სტუდენტი. სწავლით, არა უშავდა, ვსწავლობდი (ალბათ სტიპენდიის ეშხით). სადილობო „მერანზე“ დავწერე, ძალიან კარგად გამომივიდა (საერთოდ მიყვარს ბარათაშვილი), მაგრამ გული მწყდება ხელნაწერი, შავი, არ შემოვიინახე, დიპლომებს კი, ხომ იცი, რამდენიმე წლის მერე ანადგურებენ...

ბატონი ანდრო ჩვენს კურსსაც უკით-

ხავდა ლიტერატურის თეორიას. ლიანი, შინაურული, ძალიან კეთილი კაცი იყო. ყველას გვეფერებოდა. „ფრინაღზე“ ნაკლებ ნიშანს, მგონი, არც წერდა; რა გინდოთო, ეკითხებოდა თვითუღელ გამოსაცდელს. მაშინ შეგნება და ნამუსი მეტი იყო და გამოცდის ჩაბარებამდე რაღაცეებს გადავიკითხავდით ხოლმე. ახლა მთელ კურსზე რამდენიმე ბავშვი თუ აიღებს ხელში წიგნსო, გვეუბნებიან. უმეტესობას არც სწავლა უნდა და არც სხვა რამის გაკეთება. თუ ასე გაგრძელდა, საქართველოს მომავალს კარგი პირი არ ექნება.

შოთა ჩანტლაძეს ერთი თვისება ბოლომდე შერჩა; თუ რამე აზრი ჰქონდა სათქმელი, იშვიათად მოგერიდებოდა, დაუფარავად გეტყოდა, შენგანაც გულახდილობას მოითხოვდა.

ერთხელ (რა თქმა უნდა, ეს მისი სურვილი არ იყო, გარემოებამ აიძულა) რომელიღაც დეკაბრისტი პოეტი ეთარგმნა. წამიკითხა. ერთი ადგილი მეჩოთირა. მახსოვს, ასეთი რამ ეწერა: „ბედი ლუტისა“. დავეჭვდი, ბიბლიურ ლოტზე ხომ არ არის მინიშნება-მეთქი. დედანი მოვთხოვე. წავიკითხე თუ არა „ЛЮТЯЯ СУДЬБА“, სიცილი ამივარდა. შოთა, ეს რა გიქნია, დაგიღუპავს საქმე-მეთქი, ამაზე თითონაც ბევრი იცინა და თარგმანი მაშინვე შეასწორა, დასწყევლოს ღმერთმა, სინქარეში აღარ დავაკვირდი და რამხელა იაღლიში მომსვლიაო.

საერთოდ, როგორც ვთქვი, პრინციპული პიროვნება იყო; თავის აზრს არ დამალავდა ხოლმე, დაუფარავად გეტყოდა. ამის გამო ბევრი უსიამოვნებაც შეხვედრია. ერთხელ ჩემი აღრინდელი პოემა წავაკითხე („მწვანე აფრები“), ბევრი ძალა მივახარჯე და იმედი მქონდა, რაღაც გამომივიდა, ყოველ შემთხვევაში, დასახევად და გადასაგდებად არ შემეტებოდა. შოთამ დიდი გულისყურა გამოიჩინა. ჩემი თანდასწრებით წაიკითხა. ერთხელაც არ აუწყვია თავი, ბოლოს შემომხედა და წარბშეკრულმა მითხრა, შენგან მე უკეთესს მოველოდი, დიდი

ვერაფერი შეილია, დაწერილი ცუდად არ არის, ოსტატობაც ჩანს, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება ვერ დატოვაო. მაშინ ნამდვილად დამწყდა გული, ის პოემა დაეპეტღე, წიგნშიც შევიტანე, მაგრამ მერე აღარასოდეს მივბრუნებივარ; მიმაჩნია, რომ ლიტერატურული ვარჯიში უფრო იყო და მოგვიანებით მეც შოთას აზრზე დაედექა. მადლობელი ვარ მისი, სიმართლე რომ მითხრა.

ერთხელ საერთო ამხანაგმა შოთა და მე შინ მიგვიწვია, რაღაც უნდა წაგვიკითხოთო. მდუმარედ ვუგდებდით ყურს. ეს იყო სიყვარულით შთაგონებული ლექსები პროზად, მაღალფარდოვანი და მხატვრულად სუსტი. ამის მიხედვრას დიდი ამბავი არ სჭირდებოდა. არც იმის დადგენა იყო ძნელი — იმ კაცისგან პოეტი რომ ვერ დადგებოდა (მერე რივიანი, კარგი მექართულე მთარგმნელი კი გამოვიდა). შოთამ დაინდო ეს კაცი და ამ შემთხვევაში სწორადაც მოიქცა, სიმართლის პირში მიხლას არ ჰქონდა აზრი (სჩვეოდა ხოლმე გულის აჩვილება); თანაც კახეთიდან ზორავი იყო ჩამოტანილი, სუფრა უნდა გაწვობილიყო (შესაძლოა, ამანაც იმოქმედა), კითხვის დამთავრების შემდეგ მისებურად ჩაახველა მუჭში და საკმაოდ რიზიანი სიტყვა წარმოსთქვა. აღნიშნა ბიბლიის კეთილმყოფელი გავლენა ავტორზე, ფრაზის ოსტატურად აგების უნარი, რიტმის გრძნობა და სხვა ღირსებები. ამ ცეცხლოვანი სიტყვის შემდეგ მე საჭიროდ არ ჩაეთვალე რაიმე მეთქვა, შოთას დაეთანხმე. „განხილვას“, ჩვენს გარდა, ორიოდვე კაცი ვიდევ ესწრებოდა. მომჩვენა, რომ ის პატარა უპრინციპობა (სუსტი ნაწერების შექება) იმ დღეს სავსებით გამართლებული იყო. ავტორს, ამხანაგს, ნამდვილად გულს ვატკენდით, ვერც ჩვენს სისწორეში დავარწმუნებდით. მერე და მერე თითონაც მიხვდა, ლექსების წერა მისი საქმე რომ არ იყო. შოთას რომ მაშინ ჩვეული პირშიმთქმელობა გამოეჩინა, პურ-მარილს მაღლი დაეკარგებოდა, ის ვემო აღარ ექნებოდა.

შოთას ადრე ჩემთვის ნათქვამი პეტლანა და — ერთი დიდი პოემა მაქვს დასაწერი, კარგა ხანია ვფიქრობ და ამ თახსირი დროის ყველა უბედურებას ვამხელ, ნამდვილი ჯოჯოხეთი უნდა დავხატო. ამ ნათქვამიდან ორი თუ სამი წელი გავიდა და ვკითხე, რა ჰქენი, შოთა, შენი პოემა რასა შერება-მეთქი.

— იმ პოემას, მე რომ ჩავიფიქრე, ზუთფუთიანი სხეული მაინც ჭირდება, მე კი ამის ჯანი და მასა არა მაქვს, ამიტომ შევეშვი, რაც მოფიქრებულ მქონდა, დეტალები, სხვადასხვა ლექსებში დავანაწილე. — ასე მიაასუხა.

ერთი მშვენიერი ლირიკული პოემა მაინც დაწერა — „ტრამვია“, — რომელიც მისი გარდაცვალებიდან კარგა ხნის მერე პოეზიის ჰერიოდულ კრებულში გამოვაქვეყნეთ.

ადრე დაკარგულად ვთვლიდი შოთას საუცხოო, იუმორისტული შტრიხებით დაწერილ მინიატურას „როგორი ვარ მე გარეგნულად“, აგრეთვე დიდად საინტერესო პოეტურ ნოველას „კოლექციის გულისათვის“, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ჩვენი მეგობრის, ზურაბ კიკნაძის ქაღალდებში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ესენი თავის დროზე გადასაბეჭდად გავატანეთ ზურაბს და მერე მივგარჩა. მალე ალბათ ამ მასალებს მკითხველი გაეცნობა ჟურნალ „მნათობში“, სადაც შოთა ჩანტლაძის არაერთი ლექსი და მოთხრობა გამოქვეყნდა.

შოთას დოკუმენტური პროზიდან ადრე მე ამოვარჩიე შვიდი-რვა გვერდის მოცულობის დღიური, ფოლკლორულ ექსპედიციასში მის წასვლას რომ ასახავს. დღიურს თავიდან ბოლომდე გასდევს უაღრესად თავისებური, სევდიანი იუმორი. საუცხოოდ არის აღწერილი ზესტაფონში ჩასვლა და სახტუმროში ღამის გასათევად დაბინაჟება. თუცა განაწილების შემდგომ შოთას თურმე დასაწოლი არ შეხვდა. „ისევე როგორც ცხოვრებაში, ჩემი ადგილი არც იმ სახტუმროში არ აღმოჩნდა“, ირონიულად შენიშნავს იგი დამე ხეტიალი დაუწ-

ყია, გათენებამდე დრო რომ გაეყვანა. ჯგუფიდან ერთი კაცი გაპყლია (სტიმ-სონ ოგანოვი), მართო არ დაუტოვებია შოთა.

ეს დღიური ამ ხუთიოდე წლის წინ „ცისკრის“ რედაქციაში მივიტანე, მაგრამ რატომღაც სხვა მასალებში გაიბნა და აღარ გამოქვეყნებულა. იმედია, შოთას რომელიმე წიგნში დაიბეჭდება.

მე მახოვს ერთი მისი სხვა დოკუმენტური ჩანაწერი, ერთ ქალიშვილთან ინტიმური (არა შორს წასული) ურთიერთობისა. დაწვრილებით ჰქონდა აღწერილი შეხვედრები და საუბრები იმ არსებასთან, უნივერსიტეტის ბაღში. ნაწერში ჩანდა შოთასეული ენერჯია, ექსპრესიულობა, დაუოკებელი ჟინი. ჩემთვის პირადად წაუკითხავს (თხუთმეტ ვეგრდამდე იქნებოდა); მერე აღარსად მინახავს. იმ ქალის გვარსა და სახელს ნაწერში არ ამხელდა, დაშიფრული ჰქონდა. შესაძლოა, დროთა განმავლობაში, ესეც აღმოჩნდეს სადმე. არა მგონია, თითონ რომ გაენადგურებინა.

შოთას ამბის მოყოლის გასაოცარი უნარი ჰქონდა, განსაკუთრებით სასაცილო, იუმორისტული ამბისა. ისე ზატავდა მომხდარს, თვალწინ დაგიყენებდა. ერთხელ ერთი სამოც წელს მიტანებული, ტანდაბალი კაცი დამანახა, უღვაშები მოკლედ, ერთი თითის დადებაზე ჰქონდა ჩამოპარსული. მწვანე, კარტუზიანი მოსამხედრო ქუდი ეხურა და ასეთივე ზალათი და გალიფე შარვალი ეცვა, ქრომის ჩექმებში ჩატანებული. ენერგიული მიხვრა-მოხვრა ჰქონდა, ჩაკურატებული იყო. უკვდავბე ტიპიანო, მითხრა. დიდ ლილოში შოთას მასწავლებლობის დროს ეს კაცი სკოლის დირექტორის მოადგილე ყოფილიყო საშუაური ნაწილი. ნამდვილი პარაზიტი, არაფრის გამკეთებელი, მაგრამ ორატორობის დიდ ნიჭს იჩენდა, საერთო კრებებზე ცაცხლს აფრქვევდა, ადრე სტალინის დაცვაში ემსახურა; იმას ერთგულებისთვის მანქანა მიეცა (ასე ამტკიცებდა თითონ), მერე იქედან გამოეგდოთ. თურმე ყოველ გამოსვლაში

თავს იწონებდა, ნეტარების ღიმილი დასძენდა, ჩვენ გვაქვს ბელადის ნაჩუქარი მანქანაო. იმდენი უმახნია, მოუშლია ზალხი და ვიდაცას დაუყვირია, გაჩერდი, თორემ იმ მანქანას დაგიწვავთო. ამ მუქარას ემოქმედნა და მერე ისე აღარ ტრახბახობდაო.

ქუჩაში ტიპების თვალყურება და დახასიათება ჩვენი საუკეთესო გასართობი იყო, ქულებს ვარიგებდით; ყველაზე მაღალი ოცდაერთი ქულა იყო და იშვიათად ვიმეტებდით. ერთი თავისი კლასელიც დამანახა, მთავარ ქუჩაზე გადიოდა, საჭესთან იჯდა. ეშმაკური, დაფეთებული გამოხედვა ჰქონდა, წამწამებს ნერვიულად ახამხამებდა, გრძელი ცხვირი ვირთხას ამსგავსებდა.

იმ კლასელზე მითხრა, ცხოვრებაში ერთხელაც არ უსწავლია გაკვეთილი, მერხში ძვრებოდა, მასწავლებელმა არ დამინახოს და არ გამომიძახოსო. მაინც დაამთავრა სკოლა, ეკონომისტი გახდა. ახლა „ვოლგით“ დაქრიალებს აღმადამა, მე კი ფეხით დაეწინაწალებო, გაიღიმა.

მისთვის ეს ფეხით სიარულიც არ გაიმეტა დიდხანს განგებამ, ორმოცი წლისას სიცოცხლე მოესწრაფა. ერთი უცილობელი და დასაფასებელი თვისება აქვს სიკვდილს — მომხდარი ტრაგედიის შემდეგ მთელი სიგრძე-სიგანით დაგანახებს პიროვნებას, შეგძრავს, გაგრძნობინებს, თუ ვინ დაკარგე. ყველამ ცხადად დაინახა, რომ შოთას უქმად არ უცხოვრია (ასე ეგონა ადრე ბევრს), სტუდენტთა მრავალ თაობასთან ჰქონდა ყოველდღიური, მჭიდრო კავშირი და მათზე კეთილი გავლენა მოახდინა. იგი თავისებური სოკრატე იყო (მეც და სხვებიც ასე ვფიქრობდით იმ მწუხარე დღეებში), ყმაწვილებს ეპაექრებოდა, აწრთობდა, სიმართლის თქმას აჩვევდა, მწერლობის, ლექსის სიყვარულს უღვივებდა...

ჩემი ყმაწვილკაცობის ერთი ამბავი მაგონდება. მეორე კურსის სტუდენტი

ვიყავი. მამაჩემი არც იყო გადასახლებიდან დაბრუნებული: ადრიანი, თბილი შემოდგომა იდგა. სამხედრო მეცადინეობიდან გამოსულს, უნივერსიტეტის წინ შოთა და ფილიპე ბერიძე შემხვდნენ. ფილიპეს მაშინ უკვე დამთავრებული ჰქონდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და თარგმანებსა და წერილებს აქვეყნებდა ჟურნალ-გაზეთებში. მოხდა ისე, რომ ლუდის დასალევად წავედით (თავიდან ასე იყო ნათქვამი), მგონი სანაპიროზე პატარა, ლურჯად შეღებილ ფარდულში ჩავედით, იქ ვიცოდით წასვლა. ლუდს არაფი მოჰყვა, კარგა ხანს გაგრძელდა ჩვენი პურობა. საკმაოდ ნასვამები ბოლოს ფილიპეს ბინაში აღმოვჩნდით („ბამბის რიგი“ ერქვა მაშინ სიონის ეკლესიის მახლობლად მდებარე ვიწრო ქუჩას). ყაზარმასავით შენობაში ფილიპესა და მის უფროს ძმას — ადამს (საოცრად ზრდილი, თავშეკავებული კაცი იყო, სოფლის მეურნეობის მეცნიერი მუშაკი, ისიც ნაადრევად გარდაიცვალა) ერთი დიდი, უჩვეულოდ მაღალჭერიანი ოთახი ეკავათ. იატაკი მგონი ქვისა იყო. უფრო მექანიკური სამაქროს დაცლილ, გამოთავისუფლებულ სამყოფელს გავდა.

ფილიპემ და შოთამ კარტის თამაში („სეკა“) გაახურეს. მე სახლში წასვლის თავი არა მქონდა; როგორც სმამში შედარებით გამოუცდელი, მალე მოვიცეულე და ტახტზე მივეგდე, იქვე ჩამეძინა. კარგა ხნის გათენებული იყო, თავატკიებულს და პირგამომშრალს რომ გამომეღვიძა. შოთა და ფილიპე, როგორც დავტოვე, იმავე პოზაში იყვნენ და აზარტში შესულები კარტს გამეტებით უტყვლაშუნებდნენ, დროდადრო დაძაბულად ჩითავდნენ. ფულზე თუ დიდ სანაძლეოზე თამაშობდნენ. ჩემკენ არც გამოუხედავთ. სახეზე წყალი შევისხი, ოდნავ მოვეცოცხლდი. იმ სახლის სიახლოვეს რაღაც სახელოსნო თუ სამჭედლო იყო და დღედაღამ დაგა-დუგი ისმოდა, პირდაპირ ტვინში გირტყამდა, ფანჯრებს ზრიალი გაუდიოდა. კი ვიფიქრე, საწყალი ფილიპე, ალბათ, ხში-

რად იმიტომ თვრება, ეს გაუთავისუფლებელი გუგუნი არ ამინებს-მეთქი. ერთ საათს კიდევ მომიხდა მათი თამაშის ყურება. მერე შოთა ვაიძულე, შინ წამოსულიყო...

საცოდავი დედაჩემი გადარეული დამხვდა. ქუჩაში, სახლის წინ გაეთია ღამე, რა არ ეფიქრა. ამხანაგებს შოთას სახლი მიესწავლებინათ და ჩანტლაძეებთან ასულიყო ღამის ორ საათზე. შოთას დედა, ქალბატონი ელისო ისე მშვიდად დახვედროდა (ასეთ დაგვიანებას კარგა ხნის შეჩვეული), რომ დედაჩემმა მითხრა, იმ ადამიანის შემხედვარე ცოტა მეც დავწწნარდი, თან დამამშვიდა, ნუ ღელავთ, ჩვენ შვილებს ცუდი არაფერი დაემართებოდათო. იმის შემდეგ, ასე თუ ისე, მოწესრიგებული ვიყავი, ღამით მაინც არსად არ დავრჩენილვარ.

შოთა და ფილიპე ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან. თუ ფილიპეს ვინმეს რიდი ჰქონდა, უპირველეს ყოვლისა და ყველაზე მეტი, შოთასი. სიმთვრალეში აუტანლად ჭინჭყელი, ჭირვეული ხდებოდა, ბევრჯერ გაუშწარებივარ, მაგრამ თუ მის სიახლოვეს შოთა იყო, იოლად იმორჩილებდა, როგორღაც მონუსხული ჰყავდა. ფილიპეს შოთას ერთი ნათესავი გოგო მოსწონდა, ქობულეთელი; თბილისში იყო სასწავლებლად ჩამოსული. ერთხელ შეზარხოშებულმა ფილიპემ რაღაც უშნოდ გაიხუმრა იმ გოგოზე, კაი ტიპიაო, დაატანა. შოთა გაეცეხლდა, შენ ნუ ციგნობ, იმ ბავშვს გზა-კვალი არ აუბნიაო, ეტყობა სერიოზულად არ ფიქრობ და დაეხსენიო. მართლაც, ფილიპე იმ გოგონას ჩამოშორდა, მაგრამ ის და შოთა ერთმანეთთან არ დაუბრებულან, ძველებურად მეგობრობდნენ.

ფილიპემ საშინლად განიცადა შოთას დაღუპვა. შეშლილის სახე ჰქონდა, წრიალებდა, ოხრავდა. მახსოვს, წლისთავის სუფრაზე თამაძობა სთხოვეს. ფილიპემ ძალზე კარგად, თავდაჭერილად ჩაატარა ყველაფერი. ძალიან დანალევიანებული იყო და დინჯად, შესანიშ-

ნავად ლაპარაკობდა. ბოლო ჭიქა ისევ შოთას მოსაკონარი ასწია. იქ მყოფთ — შოთას ახლობელ-ნათესავებს და მეგობრებს მიმართა: ამერიდან, ძვირფასო მეგობრებო, შოთა ჩანტალიე არაფერზე არ შეგაწუხებთ. თუ თქვენ თვითონ გაგინდებათ სურვილი და ამ ოჯახის კარს შემოაღებთ, მადლობის ღირსი იქნებით... ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ. სამგლოვიარო სუფრა აიშალა. გზაში ჩემთვის ვეფირობდი: ჩვენს საზოგადოებას სიცოცხლეში იმის მეთაუდი ყურადღება რომ გამოეჩინა შოთასადმი, რაც გარდაცვალების მერე ერგო, შეიძლება არც დაღუპულიყო-მეთქი საბედისწერო გამოდგა მისთვის მეორმოცე შემოდგომა. ის მართლაც ბრმა შემთხვევა რომ არა, იმდენი ჰქონდა გაკეთებული (თარგმანებს ვგულისხმობ, ვინაიდან სხვა ნაწერებს არ ბეჭდავდა), მაღლე შოთა წელში გაიმართებოდა და სულ სხვაგვარად წაეიდოდა მისი ცხოვრება. ჩვენს მწერლობასაც ბევრად მეტს შესძენდა, ვიდრე დატოვება მოახსრო.

ფილიპეს იმდღევანდელი თამაღობა ყველას დაამახსოვრდა. ყოველ სიტყვას სწონდა, ზუსტად, ლოგიკურად და უაღრესად შთამბეჭდავად მეტყველებდა, არ იგრძნობოდა პათეტიკის ოდნავი გამოვლენაც კი, ასე მხოლოდ ნამდვილ, გულდამწვარ ჭირისუფალს შეეძლო ელაპარაკა. იმ საღამოდან მხოლოდ რამდენიმე თვე გავიდა და უკვე მისმა უაზრო, აბსურდულმა სიკვდილმა შეგებრა ყველანი. არადა, სწორედ მაშინ დაილუპა, როცა კალაპოტში ჩაღვა, დაშოშმინდა. რაღაც სასტიკი, საშინელი წლები იყო — შოთას ასაკში ასევე ბრმა შემთხვევებმა იმსხვერპლეს ნოდარ ჩხვიძე და არლი თაყაიშვილი; ცოტათი მათზე უფროსი წაეიდა ამ წუთისოფლიდან ედიშერ ყიფიანი.

თვითონ შოთას ყველაზე მეტად, როგორც ვიცი, გურამ რჩეულიშვილის მართლაცდა უღვთო სიკვდილმა მოუკლა გული. შოთას განსაკუთრებულად უყვარდა იგი და მის ნიჭსაც სხვანიარად აყასებდა, დიდი მოძავლის შემოქმედად

თვლიდა. გურამის დაღუპვის დღეებში შოთას კაცის ფერი არ ელო, წრიალებდა, ვერ შეგუებოდა მომხდარ სამინელებას. მახსოვს, მითხრა, კიდევ კარგი, შენ არ გყავს ნანახი მიცვალებული... სახე არც უჩანდა. იმდენად იყო შეცვლილი, ვერ გავუძელი შეხედვას, თვალებზე ხელი ავიფარე... გურამას თურამე მოერეოდა, არ მეგონაო, ამბობდა გამწარებული.

საერთოდ, მეგობრისა და ახლობლის უბედურება კი არა, უბრალო ნაცნობის სიკვდილიც კი ძალზე ადარდიანებდა, ყველას მიაგებდა ხოლმე უკანასკნელ პატივს, არაფერში არ გამოწყდებოდა, მოვალეობის გრძნობა ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, შესისხლხორცებული.



ეს ოცდაათი წლის ამბავია. 1961 წლის ზაფხული იყო... მე და შოთამ გადაწყვიტეთ სვანეთში წავსულიყავით, ლატალიში დათოს წერედიანს ესტუმრებოდით: დიდი მომზადება არ დაგეგირებია. ჩაუჯექით მატარებელში და დილაზე ზუგდიდში ვიყავით. მოღრუბლული დღე გამოვიდა. მსხვილი, მეჩხერი წვიმის წვეთები ეცემოდა მტკვერში. სვანეთისკენ წამსვლელი მანქანის ძებნა დაეწყეთ. ბოლოს ერთი სატვირთოს შოფერმა გვითხრა, მე წაგიყვანთო (გულკეთილი კაცი აღმოჩნდა; მერე არასდიდებით არ გამოგვართვა ფული). მანქანის მარაზე სიმინდის მარცვლით გაჭექილი ტომრები ელაგა და რამდენიმე მგზავრთან ერთად ჩვენც მოვითავსდით, ზედ გადავუმხეთ. დაიბრა მანქანა. გზაში გავხალისდით. მოძრაობა, ქროლვა სიცოცხლეს გმატებს, კიდევაც გადაიდარა, თორემ უმოწყალოდ გავილუმპებოდით, გასაწურავი გავხდებოდით (ქოლგები ან ბრუენტის ლაბადები ხომ არ გვექნებოდა წამოდებული). ნაშუადღევს ხაიშში გაჩერდით, პატარა, წაწკარა ღელესთან ჩადგმულ დუქანთან. მოშიებულები კიყავით. ფიცრულ დუქანში სხვა

მეზარებიც საკმაოდ იყვნენ, პატარა მაგიდებს უსხდნენ. საამზარეულოს სარკმელთან ჭალარაშერეული, ულვაშა მელქენე იდგა, წითური, თავაზიანად მომღიმარი.

საჭმელი რა გაქვთო, კვითხეთ. თქვენ რა გნებაუთო, გვიპასუხა. მივხვდით, რაც არ უნდა მოგვეთხოვა, ეს კაცი არაფერზე უკანდამხევი არ იყო და შედარებით ღარიბებს რომ შეეფერებოდა, ისეთი კერძები დავასახელებთ. ყველაფერი საოცრად გემრიელი იყო, ოღონდ წვნიანს ცოტა ჭარბად ჰქონდა წიწაკა, რაც აქ ჩვეულებრივი ამბავია.

გაგრძელდა ჩვენი მოგზაურობა. მალე დან დაეყურებდით გახელებულ, ნაცრისფერ ენგურს — გეგონებოდა, მდინარედ ქცეული გამდნარი კლდე მოსრიავით გაფანტული ჩანდა აქაფებულ წყალში დატრიალებული ვეება მორები), თვალს ვერ გაუსწორებდი, ალაგ-ალაგ ისე გამეტებით ეხლებოდა მისსავე ფერის კედლებს. მაშინდელი გზა ბევრად უფრო საფრთხილო იყო; ზოგჯერ მეგონა, ზედ უფსკრულის თავზე ტრიალებდა აღმუკლებული მანქანის ბორბალი, მაგრამ იმ შიშსაც თავისი მომხიბლაობა ახლდა.

გვარიანად შედამებული იყო, რომ მძლოლმა დაამუხრუჭა და კაბინიდან გადმოვიდა, გვანიშნა, ჩვენც გადმოვსულიყავით და გზის ქვემოთ, პატარა შენობისკენ წავკვიძლვა. სოფლის სასურსათო მალაზიას მივადექით. კარი გაიღო და იქვე ჩამომჯდარ სამ თუ ოთხ კაცს წავადექით თავზე — მოზრდილ ყუთზე ხორავი დაეწყით და დაკუთხული ჭიქებით ღვინოს სვამდნენ. შოთას დანახვაზე ერთი მათგანი ფეხზე წამოიჭრა და გადაეხვია, პოეტ სიმონ შამფრიანის ბიძაშვილი აღმოჩნდა, იქ მომუშავე ინჟინერი, შოთას სტუდენტობის კარგი ნაცნობი. ერთმანეთი მოიკითხეს და მასპინძლებმა თავაზიანად დაგვსხეს. მძლოელი ჩვენთან ერთად დაჯდა.

მალაზიის ღვინო იყო (რაც ჰქონდათ), იაფფასიანი, მაგრამ არც ისე ურიგო

დასალევი. გაშლილ ქალაღზე შული ხორცის დიდი ნაჭრები ელაგა (მოგვიანებით მითხრეს, რომ დათვის ხორცი იყო და კინაღამ გავვიფიდი; შოთაზე ამას ოდნავადაც არ უმოქმედნია, ჩვეულებრივ ამბად ჩათვალა).

შოთას ნაცნობი (სახელი აღარ მახსოვს) წვერმოშვებული და დაღვრემილი იყო, ლაპარაკში გამოირკვა, რომ ერთი კვირის წინ მძიმე ავარია მოივლიდათ. მანქანის მძლოლი ხრამში გადავარდნის შემდეგ საშინლად დაშავებულიყო. არ ვიცი, გადარჩება თუ არაო, წუხდა. თვითონ სამსახურიდან გათავისუფლებული იყო, მაგრამ ამას ვინ ჩიოდა. შენ როგორღა გადარჩიო, შეეკითხა შოთა.

— „პლამჩის“ კალთით ხის ტოტს გამოვედე და კარგა ხანი ხრამის თავზე ვეკიდე, ძლივს ჩამომხსნეს... — თქვა დამწუხრებულმა.

ამის გაგონებაზე სიცილი ამივარდა და „რა კარგია-მეთქი“, წამოვიძახე (მგონი, კლდის თავზე დაკიდებული ბეთქილა წარმოვიდგინე).

„რა არი კარგით“, გაოცებულმა შემომხედა ავარიავადატანილმა და მოლუსული დამაკვირდა.

აქ შოთამ მიხსნა უხერხული დაძაბულობა მაშინვე განმუხტა. ამას ასეთ დროს უცნაური რალაცეები ახსენდება და ყურადღებას ნუ მიაქცევთო. ცხადია, აღარავინ ჩამძიებია, თუ რატომ გამეცინა და ცოტა ხნის მერე შოთა და მე კიდევ წამოვდექით. წერედიანების სახლამდე თურმე ცოტა მანძილი იყო დარჩენილი და მივგასწავლეს.

ჩვენი სტუმრობა იმ დამით საკმაოდ მოულოდნელი იყო, მაგრამ დათომ და დედამისმა, არაჩვეულებრივად კეთილმა პიროვნებამ — დელი იამ, რომელიც გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე ხშირად სვანეთში იმყოფებოდა, საუცხოოდ მიგვიღეს და მოგვასვენეს.

სხვა დროს (ზამთარში, შემოდგომაზე) არ მინახავს და ზაფხულში სვანეთმა იმერეთის მთიანი სოფლები გამახსენა. თვალწინ ერთთავად დავით კაკაბაძის

ხელით დახატული ჰეიზაჟები მიტრია-
ლებდა. შორიდან საუცხოო სამხური იყო
ერთმანეთისგან თანაბარ მანძილზე ამარ-
თული, ჩამწკრივებული კოშკები, სანთ-
ლისგან ჩამოქნისს რომ გაედნენ.

ხალხიც ძალიან გულშია და შხარუ-
ლი აღმოჩნდა, ხუმრობის მოყვარული,
კითილი. დილით, საუზმემდე, მუავე
წყალის — სემის — დასალევად მივდი-
ოდით სამივენი, სასიამოვნო გემო აქვს;
მერე და მერე, როცა შეეჩვევი, უფრო
მოგწონს.

შოთა აღტაცებული ათვლიერება
სოფლის განაპირა ადგილებს და სურვი-
ლი ჰქონდა წინ აზიდულ რომელიმე
მთაზე აესულიყავით. მე ვუმტიცივებდი,
ახლო რომ გვიყვება, იმხელა მანძილია,
შუა გზაზე დავარდები, არ გირჩევნია
იყო აქ ცოტა ხანს, კარგი სეა, კარგი ჭა-
მო, ფერზე მოხვიდე. ჩემებურად კიდე-
ვაც შევაშინე: ასკლის დროს, მტერს და
ავს, ხომ შეიძლება კლდის ფენა მოწყ-
დეს, დაგეცეს და თავი გაგიფრიწოს-
მეთქი.

ამაზე სიცილი აუტყდა, რა იუმორის-
ტულად ხედავ ყველაფერსო. მერე და-
თოს მიუბრუნდა: შეხედე, როგორ გა-
იხსნა ბუნების წიაღში, თავის სადის-
ტურ ფიქრებს რა თამამად ამჟღავნებსო.
ყოველ შემთხვევაში, დამიჯერა და
მწვერვალის დალაშქრა გადაიფიქრა.

დაუკიწყარი, არნახულად ლამაზი და
მეები იცის სვანეთში. მზერა მთლიანად
ცისკენ, თეთრად გადაჭიმული „ირმის“
ნახტომისკენ არის მიპყრობილი. მახ-
სოვს; როგორ ვიდექით ეზოში, გომურ-
თან, და გონიუწუნდომელ სიმორქუე გა-
ცეულ, დაჭორფლილ თაღს ავცქერო-
დით. თვალს გვჭრდა, ბრჭყვიალებდა
ფეტვის მარცვლებად გაბნეული, ჭკუი-
დან შემშლულ შავ უსასრულობაში ღმერ-
თის ხელით ჩათესილი და ოქროსფრად
აკიაფებული ვარსკვლავები...

სვანეთში გატარებული ათი დღე მუ-
დამ სასიამოვნო მოგონებად დამჩრება.
ერთ დილას ლატალიდან ცხუმარისკენ
გავწიეთ. გზად, ჩრდილებით დაბინდულ
ხეობაში, საპირისპიროდ მომავალი ალ-

აზა ხაიაური შემოგვეყვარა; სვანეთის
უკვე შინ ბრუნდებოდა. მანქანიდან ჩა-
მოხტა და გადაგვეხვია. შოთას ძალიან
უყვარდა ალაზა და გული დაწყდა, რომ
მიდიოდა, დარჩენა აღარ შეეძლო. გა-
მოვემშვიდობეთ იმ სურვილით, რომ ძა-
ლე თბილისში შევხვდებოდით.

იქვე ვნახეთ, როგორ გამოქონდათ
ტყვიდან გრძელ ტრალერებზე გადაჭიმუ-
ლი ნაძვისა თუ სოჭის კეება ხეები; თი-
თო მანქანაზე ორ-ორი იყო გაწოლილი
მოკლული გოლიათებივით გამოტილი-
ყვნენ იმხელა ხეები, რომელ აც ეტყუ-
ბოდა, იქვე ტყის სიღრმეში კრხაუნდენ.
მამინ არ გვესიამოვნა ეს ამბავი. რო-
გორც ჩანს, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ვაანადგუ-
რეს ზღაპრული მთიანეთი და ამიტომაც
დაატყდა თავს ამდენი უბედურება სა-
ქართველოს უღამაზეს კუთხეს. ახლად
წერენ გაზეთები, რომ სვანეთის ტყეებს
დასვენება და მოვლა ესაჭიროება. აღ-
ბათ, არავინ არ ექცევა ისე ბარბაროსუ-
ლად და უდიერად თავის სამშობლოს
როგორც ქართველები (სულერთია, სხვი-
სი ხელით ხდება ეს, თუ თავად ჩვენ ვა-
ფუჭებთ საქმეს).

ცხუმარში სიკეთითა და სტუმართ-
მოყვარეობით ცნობილ ვალიკო საღლიან-
ის ოჯახს ვეწვიეთ. საუცხოო მასპინძ-
ლობა გავგვიწიეს. იქ ორი დღე დავრჩით.
ძალიან მოგვეწონა ჩვენთვის უცნობი
სვანური კერძების გემო და შრავალეფ-
როვნება. სასმელად ჩვეულებრივ იყენი-
ბენ ქერის არაყს, რომელსაც მაინცაა-
მაინც ვერ ვეწყობოდი. ბევრად უფრო
გემრიელი მენჯება ხილის (მგონი, სან-
ტა მსხლის) არაყი, რომელსაც არა
სასიამოვნო სურნელება დაჰყვებოდა.

ჩემს განცვიფრებასა და აღტაცებას
იწვევდა იქაური, უცნაური ჯიშის ღი-
რები. საოცრად დიდი ყურები და ძველ-
ბური დამბაჩებივით გრძელი დინგები
ჰქონდათ (დაახლოებით ასეთი ღირე-
ბია გამოსახული დიურერის გრაფიურა-
ზე „უძღები შვილის დაბრუნება“). დი-
ლით, ადრე გაღვიძებულმა, საღლიან-
ბის ეზოში დაინახე ასეთი დიდი დედა-
ლორი. წამოწოლილს იმავე ფორმის მო-



ზრდილი ვოჭი მიხუტებოდა მუცელზე, შეიძლება მუქუსაც წოვდა. დედაძისს ნახად ჰქონდა თავი შიბრუნებული მისკენ და ჯეგბა ყურები მალმის ფოთლებით გადაკეცოდა, აღერსიანად, ჩუმად ღრუხუნებდა. იშვიათი სანახავი იყო. შოთა შევალვიძე და წამოვყენე, დედაშვილს განახვებ-მეთქი. ფანჯარაში რომ გაიხედა, კინალამ გული შეუწუხდა, იმდენი იცინა. ნეტა სურათის გადაღება შეიძლებოდა, უკვდავი რალაცაო, იძახოდა.

სვანურ ღორებზე ლატალშიც ძალიან ვერობოდი ერთხელ სოფელში ვიყავით გასული. ხალხი იყო თავმოყრილი, როგორც იციან ხოლმე. დეიდა იაც გვახლდა, დათოს დედა. იქაურმა ახალგაზრდა, სასიამოვნო გარეგნობის ქალმა კალთიჟ წვრილი, მაგრამ გემრიელი მსხალი მოგვართვა, საგანგებოდ ჩვენთვის დაეკრიფა. მე რამდენიმე მსხალი გავკბიიქე და გულმა აღარ მომითმინა, მსხლებს თითო-თითოდ იქვე შევჯგუფულ გრძელდინგიან ბურვაკებს ვუგორებდი. გაიმართა ბურხლაობა, ერთმანეთს წაწვეტებული ცხვირებით ეტაკებოდნენ, რომელს დარჩებოდა მტკერში გაკოტრიალებული მსხალი. ჩემს სიცილზე დათო და შოთაც ხარხარებდნენ. უცებ იმ ქალმა დეიდა იას ხმადაბლა რალაც გადაულაპარაკა. თან მე მიყურებდა სახეშეცვლილი და გაოცებული. დეიდა იასაც სიცილი აუტყდა, ჩაბჟირდა. ვთხოვე გაეგებინებინა, რა უთხრა მეზობელმა, იმ ახალგაზრდა ქალმა, დეიდა იამაც არ დაძმალა: ეგ თქვენი სტუმარი ცოტა შექანებული ხომ არ არის, ამ მსხლის მოსაკრეფად იმსიძალღე ზეზე ავძქერი, ძირს გადმოხედეა მეშინოდა, მაგი კიდევ დამდგარა და ღორებს უყრისო. ამაზე ცალკე ბევრი ვიცინეთ. იმ ქალსაც გაეცინა. დარჩენილი მსხალი ღორებისთვის აღარ გადამიყრია, საწყლებს დაუცაცხანეს და იქედან გაყარეს, ტუნძულით გადაიკარგნენ სადღაც...

ცხუმარიდან ისევ ლატალში დაებრუნდით ვალიკომ საბარგო მანქანა მოყვანილა ნათესავს, ძარაზე ავედით ყვე-

ლანი და გამოვეშურეთ. ერთმანეთს ვამოვლიხას ვალიკო ძარას ფსკერზე გაწვა. აქ რომ დამინახონ, საქმე არ გათავდება კარგად, ვილაკები ეტყვებიან ჩვენებს (თითონ არაკითარი ბრალი არ მოუძლოდა არავის წინაშე) და შეიძლება რამე მოხდესო. მალე ადგილზე ვიყავით და ძმურად დავემშვიდობეთ ერთილ მასპინძელს.

ლატალში კიდევ დავრჩით ცოტა ხანს. მერე მესტიისკენ წამოვედით, თვითმფრინავით რომ ჩავსულიყავით თბილისში ან თუნდაც ქუთაისში, მაგრამ არ გავვიმართლა პატარა თვითმფრინავის ერთმა რეისმა გაგვასწრო. მერე კი გამოვეციხადეს, ფრენა არ იქნებოდა რამდენიმე საათს იქაურ ალბიურ კლუბში ვიყავით. ვნახეთ შთაბეჭდილებათა წიგნი. ჩვენი სახელოვანი მოძღვრლის ზურაბ ანჯაფარიძის ჩანაწერს წავაწყდით. სვანეთს არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოეხდინა მასზე. თავად მესტიაზე კი დიდი აზრისა არ ჩანდა. ტურისტებისა და ცივილიზაციისგან არის წარყვნილი, „შორს მესტიისგანო“, წერდა. ჩვენც აღარ გვიდგებოდა გული მესტიაში და მალე ზუგდიდისკენ მიმავალ რუსი ტურისტების ავტობუსს დავემგზავრეთ.

გზაში რამდენიმე საათს ისევ მოგვიწია ჯაყყაყი საუბარი გაიბა ტურისტებთან. შოთა ცოტათი დაძაბული იყო, რალაცაზე ედავებოდა ზოგიერთ მათგანს. მე ერთ ებრაელ გოგოს ველაპარაკებოდი, ძალიან გონებაშეხვეილი და მზიარული არსება იყო, ფოტოაპარატი ჰქონდა გადაკიდებული და დროდადრო. ხან მე, ხან შოთას, სურათებს გვიღებდა. ვნანობ, ისე დავშორდი, მისამართი არ გამომიერთმევი - სურათებს გამოგვიგზავნიდა და სამახსოვროდ დავკრჩებოდა. ერთ ადვილას ავტობუსი შეაჩერეს, მოსადამოვებული იყო. საჭმელი უნდა კბამოთ, რაც გვაქვს, ერთად დავნაყრდეთო, გულითადად მიგვიწვიეს და ძოლზე ზურგჩანთები გახსნეს კონსერვები, პური, ყველი და რალაც-რალაცები ამოვალავს. შოთამ ცივი უარი განაცხადა (რომელიღაცაზე განაწყენებული იყო),

მე მაგათთან ერთად საჭმელზე არ დავე-
ლებიო. მერე მითხრა, მეგონა, სამშობ-
ლო დიდად არაფრად მიღირდა, მსოფ-
ლიო მოქალაქედ მიმაჩნდა თავი და აქ
წამოსვლამ მიმახვედრა, რამხელა პატ-
რიოტი ვყოფილვარ, ერთმა ბითურმა რა-
ლაც უწიოდ თქვა ქართველებზე და კი-
ნალამ მანქანიდან არ გადავაგდეო. დავა-
წყნარე, ვთხოვე, რო ნერვებს არ აჰყო-
ლოდა. მე ცოტა ხნით, უხერხული რომ
არ გამოსულიყო, დავეკეი ტურისტებ-
თან და მალე ისევ წამოვდექი, განაპირე-
ბულ შოთასთან მივედი.

საღამოს ათი საათი იქნებოდა, ზუგ-
დიდში რომ ჩავედი და ჯუმბერ თით-
მერიას ოჯახს მივადექით. ჯუმბერმა და
მისმა ძმამ გონელიმ, ოჯახის წევრებ-
თან ერთად, ჩვეული სითბოთი გვიმას-
პინძლეს — დაგებანეს, გვაგახშმეს, მოგ-
ვასვენეს. დილიდან სუფრა და გართო-
ბა გველოდა.

ზუგდიდლების პურ-მარილი განთქმუ-
ლია, მაგრამ ყველაფერს, თვით კიტრის
მწილსაც კი იმდენი წიწაკა აქვს გამჯ-
დარი, ენას წაგაწვავს. მიუხედავად სიც-
ხარისა, კერძებს საუცხოო გემო ჰქონდა
და დიდადაც ვისიამოვნეთ ახლობლების
წრეში. ნასადილევს (ჩვენს თბილისში
გამომგზავრებამდე) გახურდა ნარდი. შო-
თა ჯიქურ ჩაება ამ სახელდახელო ას-
პარეზობაში (ნარდი მისი სტიქია იყო,
ქობულეთური სკოლა მაქვს გაეკლილო,
ამბობდა ხოლმე). შოთამ რამდენიმე ხე-
ლი მოიგო. მორიგ მოწინააღმდეგედ თი-
თმერიების ახლო მეზობელი, გვარად
წიწაკა შეხვდა. ჩასუქებული, მელოტი
კაცი იყო. შავზოლებიანი მწვანე პიჯა-
მა ეცვა, შინაურულად გადმოვიდა სახ-
ლიდან, პარტია დაიძაბა და გაგრძელდა.
ქვების „მოკვლას“ და „გაცოცხლებას“
ვედარ აუდიოდნენ. უპირატესობა ხან
ერთის მხარეზე იყო, ხან — მეორისაზე.

ბოლოს საქმე ისე წავიდა, შოთას მა-
ინცდამაინც პატარა კამათლები სჭირ-
დებოდა და კიდევაც შესთხოვა გაჭახუ-
ნებისას, მაგრამ „შაში-ბეში“ გაგორდა
და იმ „შაში-ბეში“ დაღუპა, ის ხელი
წააგებინა. „შაში-ბეშის“ დანახვაზე მე

კინლამ გადავფიჩინდი, რამხელაზე გა-
აჭენე-მეთქი. სახეზე წამოწითლდა, გა-
მიბრაზდა, შენ, ბიჭო, სულელივით რა-
ვა ყველაფერზე იცინიო, შემომიტიო.
მერე თვითონვე გაიცინა, ხელი ჩაიქნია.
გამარჯვება, როგორც ვთქვი, წიწაკას
დარჩა. მე რატომღაც (ალბათ უცნაური
გვარის გამო) იმ კაცს ვემზრობოდი და
ამას არც ვმალავდი, ჩემპიონიც ის გახ-
და იმ საღამოს, დიდად ნასიამოვნებიც
დარჩა.

გულითაღმა მასპინძლებმა სადგურში
გაგვაცილეს, ვაგონში ჩავსვეს, სასმელ-
საჭმელიც გამოგვატანეს, გზაში რომ არ
მოგვწყენოდა. თბილისში კარგ ხასიათზე
დავებრუნდით.

უნივერსიტეტი ორი-სამი წლის დამ-
თავრებული მქონდა. მგონი 1962 წლის
ზაფხული იყო. ქუჩაში გამოსულ რეზო
ჭვიშვილსა და მე შოთა ჩანტლაძე და
ოთარ სადრამე შეგვხვდნენ. ერთად გან-
ვაგრძეთ სეირნობა. ოთარს მხარზე ფო-
ტო-აპარატი ჰქონდა გადაკიდებული და
ზოლოპარკში შესვლა შეგვათავაზა, სურა-
თებზე გადაგიღებთო. იქ ადრე კარგი სა-
საუზმე იყო და ლუდი დავლიეთ. მერე
ზოლოპარკის ტერიტორიაზე დაიწყო გა-
დაღებათა სერია. სურათების კომპოზი-
ცია, ძირითადად, შოთას ეკუთვნოდა.
რამდენიმე მაშინდელი სურათი შემომრ-
ჩა. ერთზე მე და რეზო სკამის განაპი-
რას ვზივართ. შოთა მარჯვენა მხარეს,
ზედა ძელზეა შემომჯდარი. ამითაც ჩანს
მისი სხვანაირობა, რაღაცათი მაინც გა-
მოიჩინა ჩვენგან, ჩვენ რომ დავსხედით,
ისე არ დაჯდა. მეორეგან სკამზე მისვე-
ნებულ შოთას მე ვითომ დასახრჩობად
ვიმეტებ, „გათავდა შენი საქმე“, ვეუბ-
ნები. ელიმება, პირში თავისი განუყრე-
ლი „პრიმა“ აქვს გაჩრილი. სხვა სი-
გარეტი მის ხელში იშვიათად მინახავს.
როცა რაიმე ჰქონდა გასაკეთებელი ან
სათარგმნი და სახლიდან არ უნდა გა-
მოსულიყო, ამ უიფეს სიგარეტს დაი-
მარაგებდა ხოლმე, ოც-ოცდაათ კოლოფს
შეიძენდა და გასწევდა შინისაკენ.

მესამე სურათში სამივენი ერთად ვეგავართ თუჯის დაბალ მესერთან (გალაუნის მახლობლად ახლაცაა დარჩენილი ერთი ასეთი მესერი). შოთას აქ უფრო სოლიდური პოზა უჭირავს — დონჯი აქვს შემოყრილი. რეზოს ცერი ქამარში აქვს გაყრილი, თითქოს წრეში უნდა გადაეშვას საცეკვაოდ და ჩამოუაროსო, მარცხენა ხელით მხარზე ეყრდნობა შოთას, წონასწორობა რომ დაიცვას.

ხსენებულ დეკორატიულ მესერზე ალაგ-ალაგ ჩამოგრძელებული, სამკობხა მტკენებია დატანებული, თვითელს ფოთოლი აქვს თავზე წაფარებული სწორედ ისე, ღვინის ქარხნის ალაყაფზე რომაა გამოყვანილი. ფონად ფართოფოთლებიანი ყვავილებია, გლადიოლუსის მავგარი, შემოზღუდულ ფართობზე ჩარგული. იქვე უნდა იდგეს სასმელი წყლის პატარა სოკო-შადრევანი. ვინ მოსთვლის, ჟანგბანი მილიდან რამდენი წყალი ჩაწანწკარდა მას მერე პაწია ნასერეტქმში. მე მაინც ის დრო შენატრება, ახალგაზრდები რომ ვიყავით და იმდენი მეგობარ-ახლობელი ცოცხალი გვყავდა.

შოთამ მაშინ ცალკე გადაიღო ერთი ეგზოტიკური თუ ექსტრავეგანტური სურათი (მე არ აღმომაჩნდა). იქვე ლომის შავი, მომცრო ქანდაკება იყო. წმინდა მამიას დარად ზურგზე გადააჯდა იმ ლომს და აპარატის ტკაცუნი როცა გაიგო, ჩამოქვეითდა. მაშინ კი გაგვიკვირდა, ცოტა, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, ისეთიც არაფერი მომხდარა. შოთა მაშინ ოცდათხუთმეტი წლისაც არ იყო, ბიჭური ზასიათი ჰქონდა შერჩენილი და ასეთი გახუმრებაც გასაგებია.

უნივერსიტეტის გარდა იგი ვერის ბაღშიც ხშირად შემოდიოდა, უფრო საღამოობით. ზაფხულის თვეებში აქ შუალამემდე არ იშლებოდნენ თავშეყრილები. მახსოვს, შოთამ შემომჩივლა, წუხელ ბაღში გვიანობამდე შევრჩი და მილიკი-ელმა ხულიგანით გაამაძევაო, კიდევ კარგად გადარჩენილიყო.

ერთხელ ნოდარ ღუმბაძე (მაშინ იგი „ნიანგის“ რედაქტორი იყო და ეს ამ-

ბაიცი თითონ მოგვიყვა), ვერის ბაღში იჯდა თურმე ჩაფიქრებული. ღამის ორ საათზე მილიციელი წამოდგომოდა თავზე და საბუთები მოეთხოვა. ნოდარს საბუთები არ აღმოაჩნდა. „წესრიგის დამცველს“ დაეყვირა, შენ აქ კაი საქმეზე არ იქნები შემოსული და სამორიგეოში წამობრძანდი, იქ გაარკვევენ, ვინცა ხარო. ბევრი ეხვეწა ნოდარი, დამანებე, ძამა, თავი, შენ შენი გზით წადი, მე შინისკენ გავუყვებიო, მაგრამ ის სერჟანტი არ იქნა და არ მოეშვა, ღამის ხელებგადაგრეხილი მიეყვანა სამორიგეოში. მილიციაში ნოდარი ეცნოთ და რადღეც დაადგებოდა მის იქ მიმყვანს, ადვილი წარმოსადგენია. ეს კი ეთქვა მილიციიდან გამოსვლისას: არ გინდოდა სუფთა ჰაერი და ქე იყავი აწი, შენისთანა კაცს ის ბაღი არ უნდა ებაროს, ყველაფერი შენს თავს დააბრალეო.

ერთი უშნო ხუმრობა, რამაც შოთას, ცოტა არ იყოს, გული ატკინა, ამ ბაღთან არის დაკავშირებული. მე იმ დღეს სხვაგან ვიყავი და მომხდარი გვიან გავიგე. შოთა ჯერ კიდევ არ იყო ბაღში მოსული და ბიჭების ერთმა ჯგუფმა „შეთქმულება“ მოუწვევეს — სულ გენიოსობაზე რომ დებს თავს, სეირი ვუჩვენოთო. სადღაცოდან დისკომოცილილი, გაცვეთილი საბურავი მოეტანათ და გაზონთან მიეყუდებინათ, დაემალათ. მალე შოთაც გამოჩნდა და ჩვეულებისამებრ ნაცნობებისკენ წამოვიდა. რას იფიქრებდა, მზაკერული გეგმა თუ იყო მომზადებული. ხელის ჩამორთმევის დროს მოულოდნელად გაქანეს, თავზე გვირგვინად ის ძველი საბურავი ჩამოაცვეს და წინასწარ მომარაგებული თოკით უკანა მხარეს ერთ გადაქანებულ, ტანდაგრეხილ ფიჭვზე მიაბეს. მომალლოდ ჩამოკიდეს, ფეხები ძირს რომ ვერ დაეწვდინა.

პირველად დაბნეულა, ვერ გარკვეულა, რა ხდებოდა. მერ ძალიან გაბრაზებულა. ხეზე დაკიდებულს ამ „ოპერაციის“ ინიციატორი (სხვათა შორის, კუთილი გულის ადამიანი, რომელიც

მერე შეაწუხა ამ ვერტელოდებულმა შა-
ფირმა) თურმე ეკითხებოდა:

— ახლაც იტყვი, რომ გენიოსი ხარ?

შოთას იხტიბარი არ გაუტეხია:

— ვარ, აბა, არა ვარ... ახლავუ შენი
ხელით ჩამომხსენი, ნუ მიქარავ, შე
ბითურო!..

ბიჭებმა შეატყვეს, ნამეტანი რომ მო-
უვიდათ და სახეზე წამოწითლებული,
ბრაზისგან ანთებული შოთა ფიჭვიდან
ჩამოეხსნათ. იმის მერე კარგახანს ბა-
ლისკენ პირი აღარ უქნია, მაგრამ იმ
ბიჭებმა ბოლოს შეირიგეს, ბოდიში მო-
უხადეს და პატიება გამოსტყუეს.

შოთას მისებური მწარე ღიმილით
ეთქვა იმ ჯგუფისათვის: არა უშავს, უა-
რესიც მომხდარა, თავის დროზე ქრის-
ტეც აბუნად აიგდეს თქვენნაირებმა, თავ-
ზე ეკლის გვირგვინი დაადგეს, მაგრამ
ხომ ხედავთ, ვერაფერი დააკლესო.

სრულიად უბრალო რამეში, უმნიშე-
ნელო დეტალშიც ჩანდა ამ კაცის ხასი-
ათი, თავისთავადობა. ისედაც პრინცი-
პად, ცხოვრების წესად, ჰქონდა, ყვე-
ლაფერში გამორჩეული ყოფილიყო და
მისი აზროვნებაც ამ ნიშნით არის აღ-
ბეჭდილი.

შოთას უყვარდა საგნის საგანთან შე-
დარება. ყოველთვის ზუსტი და ხატო-
ვანი იყო ეს შედარება. ერთ საღამოს
იმავე ვერის პარკში ვიყავით, სადაც
ახლა ჩოგბურთის მოედანია, სანაბიროს
გადაყვრებდით. შოთამ განათებული
ცირკის შენობისკენ გაიშვირა ხელი:
„შეხედე, ასმანეთიანი ტორტივით არ
არის გაჭიმული!“

ასეთი ტორტები მართლაც ცხვებოდა
თბილისში ადრე (იმ დროს აღარა);
ბიჭობაში რამდენჯერ ნერწყვი გადამი-
ყლაპავს, ვეებერთელა, შოკოლადმოფრ-
ქვეული, ნაირფერად მორთულ-მოკაზ-
მული ტორტი ვიტრინაში რომ იყო გა-
მოდებული. ახლა კი მეცინება მაშინ-
დელ დაუოკებელ სურვილზე. შოთა-
საც, ეტყობა, თავის სიყმაწვილეში ნა-
ნახი თუ ნაჭამი ტორტი გაახსენდა, თო-
რემ ნამცხვრების მუშტარი არასოდეს
ყოფილა. უფრო გემრიელ, ცივ ლულსა

და კარგ (უცელოფანო) სოსისხა-
ნებოდა, რაზეც კიდევაც წერდა ლექ-
სებში.

კუშიტი გამომეტყველების მიუხედა-
ვად (ასეთად იგი შეიძლებოდა მოსჩვე-
ნებოდა ახალგაცნობილ კაცს), შოთა
ზედმიწვევით გულჩვილი პიროვნება
იყო, ამხანაგისთვის შეეძლო თავი გაე-
წირა.

პატარა შემთხვევა მაგონდება. ერის-
თავის ქუჩის კუთხესთან ვიდექით. სა-
დაც ამჟამად გრძელი, გამოცარიელებუ-
ლი, გასტრონომია. ზაფხული იყო. შო-
თამ ყვავილების გახონზე ბელურას
კულმოკლე ბარტყი დაინახა, ბუდეს ნა-
ადრევად რომ გაშორებოდა ფრენა უჭი-
რდა, ფრთხილებდა. შოთა დაიხარა,
პაწაწინა, გულამგერებული არსება მუჭ-
ში მოიმწყვდია. ცოტა ხნის შემდეგ შო-
თამ ქუჩაში მომავალ ერთ ხანშიშესულ
მანდილოსანს უთხრა: „ქალბატონო,
ჩიტს ხომ არ წაიყვანთ სახლში... ბავშ-
ვები გაერთობიან, დააპურებენ და მერე
თავისით გაფრინდებო“.

ქალი მაშინვე განზე გადავა, ისე შეხუ-
და, ეტყობა, ჭკუაზე მყოფელად არ ჩათ-
ვალა და ფეხს აუჩქარა.

შოთა მომიბრუნდა, ამითთან ლაპარა-
კი არ ღირს, წამო, ეს ბარტყი უნივერ-
სიტეტის ბაღში დავტოვოთ საიმედო
ადგილას; თორემ აქ ან კატა შეჭმის ან
მანქანა გასრისავსო. მართლაც, უნივერ-
სიტეტის უკან მყოფრო ტოტზე შემოსვა
აბუზული ბელურას ბარტყი, რომ თავი-
სიანებს მიეგნოთ. აბა, იმ უსუსური ბა-
რტყის მოვლა-პატრონობის თავი შო-
თას სადა ჰქონდა.

ადრეც მითქვამს — უზომოდ კეთილი
კაცი იყო. ოჯახი ღარიბულად ცხოვ-
რობდა, მაგრამ როცა კი ეწვეოდი ჩან-
ტლადეებს, უპატივცემულოდ არასგზით
არ გამოგიშვებდნენ სახლიდან, ღვინოს
მაშინვე გააჩენდნენ. დეიდა ელისო
დაგვფუსფუსებდა და მალე სუფრაც
გაშლილი იყო, საინტერესო საუბრებიც
იმართებოდა. მერე ნარდის თამაში გა-
ჩადდებოდა. აქ შოთა ნამდვილ დიდოს-
ტატობას ავლენდა (ვფიქრობ, მას ჭეშ-

მარიტ სიამოვნებას მოგვრიდა ეხლანდელი ნარდის ჩემპიონატები), მისი დეიდაშვილი, ნიჭიერი და ასევე ადრევე დაღუპული მათემატიკოსი იური პეტრიძეშვილი ჭადრაკის თავგადაკლული მოთამაშე იყო. ზეპირადაც, ზურგშეკცევით ეფაშაშებოდა ხოლმე მსურველებს და კიდევაც ამარცხებდა. უჩვეულოდ ნათელი გონება ჰქონდა, საუცხოოდ ერკვეოდა პოლიტიკაში, რაზედაც გინდოდა, ზუსტ და ამომწურავ პასუხს მოგცემდა. ის იყო ჩვენი განმანათლებელი ამ საქმეში. მაღალი იყო, წარმოსადევია, როხროხა ხმა ჰქონდა. სწავლის დამთავრების შემდეგ ერთხანს აქ იყო. მერე, რადგან სხვა სახსარი არ გააჩნდა და ასპარეზიც არ მიეცა მის ნიჭს, ქობულეთში დაბრუნდა დედამისთან, ასევე უაღრესად კეთილ ადამიანთან, ქალბატონ ჩაკალასთან, რომლის გულთბილი მასპინძლობა და ყურადღება ბევრს ახსოვს, ვინც კი იმ დროს ქობულეთში ჩასულა.

შოთა და მე, ცხადია, ერთმანეთთან ხშირად დავდიოდით. დაბადების დღეს როცა ვიზდიდი, სხვა ახლობლებთან ერთად ისიც მოდიოდა. იცოდა რეპროდუქციები რომ მიყვარდა და ერთხელ ჩინური კედლის მხატვრობის დიდი, შავი ალბომი მომიტანა (შენახული მაქვს). ერთხელ ლამაზ, ნატიფ დოქში ჩასხმული ლიქიორი გადმომცა, ასე ტკბილად დაბერდიო, გამიღიმა. ის ყელყარყარა, ბოთლის ფორმის დოქი ახლაც კარადაში მიდევს, ფაიფურის ნაკეთობაა, მოყვითალო, ქართული ორნამენტები დაჰყვება, მუცელზე ყურძნის მტევანია გამოყვანილი. როცა შევხედავ, შოთა მახსენდება.

ერთხელ არლი თაყაიშვილმა მითხრა, ახალი მოთხრობა დავწერე, შენთან მოვალ და წავიკითხავ; ბიჭებსაც გადაეცი, მოვიდნენ და მოისმინონ, ახრი მაინტერესებსო. ზამთრის პირი იყო. დათქმულ დღეს, საღამო ხანს, მოვიყარეთ

თავი. შოთა ჩანტლამე, გივი შაჰნაზარი და ბესიკ ადღიშვილი რომ იყვნენ, კარგად მახსოვს, დანარჩენებს ზუსტად ვერ ვიხსენებ. ჩვენები, რა თქმა უნდა, სახლში იყვნენ. ჩემი გამზრდელი მამიდაც ახალი ჩამოსული იყო სოფლიდან, საჭმელ-სასმელი, ხორაგი ბლომად იყო ჩამოტანილი, ციოდა, ღუმელი გვენთო, სასადილო ოთახში ვიჯექით ყველანი.

არლი კითხვას შეუდგა. ჩუმად ვისხედით და ვუსმენდით. მოთხრობაში სათავგადასავლო ელემენტი იყო, სიუჟეტური ხაზი ოსტატურად ჰქონდა გამართული. მთავარი გმირი სხვადასხვა მისამართებზე დადიოდა და ხიფათებს ეყრებოდა, მეტნაკლებად სასაცილო სიტუაციები იქმნებოდა. ჩვენი მეგობარი საკმაოდ ნიჭიერი იუმორისტი გახლდათ, პატარა-პატარა ესკიზებსა და ფელეტონებს მშვენივრად აბამდა თავს, ეს მოთხრობა კი თავდაპირველად ცოტა უყვრული გამოუვიდა, მოზრდილი იყო და ალაგ-ალაგ ავტორისეული მარილიც აკლდა (შემდეგში საფუძვლიანად გადაამუშავა და ნაწერი ბევრად სრულყოფილი გახდა).

არლი მეტისმეტად მგრძნობიარე, გონებაშაზვილი კაცი იყო და მაშინვე მიხვდა, მსმენელები, იგივე მკითხველები იმდენად ხალისიან გუნებაზე რომ ვერ დააყენა; მაინც მოგვაულო თვალი. მთლიანობაში მოთარობა ურიგოდ არ იყო მოფიქრებული და ცუდად არც არავის შეუფასებია. მეც მკითხა, რამე შენიშვნა ხომ არა გაქვსო. დავამშვიდე არაფერი... ეს შენი მოთხრობა წაიდე მემანქანესთან, ოთხ ცალად გადაბეჭდინე და მერე... დედნიანად ანთებულ ღუმელში შეუკეთე-მეთქი. ყველას გაეცინა, თითონ არლისაც. შოთას სიცილში ხველა აუვარდა (ასე იცოდა, ბევრი წევისგან ბრონქები გაღიზიანებული ჰქონდა), დაწვას გადაბეჭდვა რად უნდა, ბარემ ახლავე შეუძახოს ცეცხლში, ღუმელიც ანთებულიაო. ერთმანეთზე ხუმრობა არ გვწყინდა, გულში არასოდეს არაფერი ჩავგვრჩინა.

დედაჩემმა და მამიდაჩემმა კახშაბო

გააწყვეს. სუფრას მამაჩემი უძღვებოდა, ცაში აიყვანა არლი, იმდენი აქო (ვინც უყვარდა, იმაზე საქებარ სიტყვას არ ზოგავდა, ყველას მოგვეყვრა). შოთა აღტაცებას ვერ მალავდა ცხელი მჭადისა და ტაფაზე აშიშინებული გურული კუპატების დანახვაზე. სიამოვნებისგან ხელის გულები მოისრისა და იქვე ექსპრომტად წამოისროლა თავის თავზე:

**მომიტანეთ, კუპატიო,
იმახოლა უპარტიო.**

ასეთ სასაცილო წამოძახილებს და გულიან სადღეგრძელოებს ბოლო არ უჩანდა. შოთას ძალიან ეხერხებოდა ამგვარი სხარტი, გართომული სტრიქონების ერთმანეთზე მიწყობა. მისი ერთა ასეთი ნათქვამიც მახსოვს: „მოდოდა ქურა-ქურა ზეინკალი უჩაქურო“... ვინ იცის, მისი რამდენი ხუმრობა თუ კაფია დაიკარგა.

მართლაც თავისებური, სხვანიირი იუმორი ჰქონდა. იცოდა სხვადასხვა კურიოზული შემთხვევების გახსენება. არ ვიცი, სად ამოიკითხა, მითხრა, რომ ერთმა ქართველმა პროლეტარმა პოეტმა (მგონი სიო ზიდისთაველმა) პროლეტარული პოეზიის მამამთავრის დემიან ბედნის ლექსი თარგმნა და სახელი და ფსევდონიმიც ქართულად გადმოიღო — „დიომიდაი გაჭირვებული“ მიაწერაო. ვერ ვიტყვი, სინამდვილეში მოხდა ასე თუ შოთამ მოიგონა.

ბევრი სახუმარო ლექსი პირადად მომისმენია, სხვებისგანაც გამოიგონია შოთას მიერ სხვადასხვა დროს წარმოთქმული მშვენიერი ექსპრომტები, მაგრამ ბევრ რამეს ვეღარ ვიხსენებ, საკმაოდ დიდი დროა გასული.

მოცალოების ჟამს ხშირად ვერთობდით თავს. ერთხელ სამი თუ ოთხსტროფიანი რაღაც დაეწერე, იუმორისტული. შოთას წავაკითხე, მოეწონა, ბევრი იცინა. თან მართალია, თან კარგაო, იახნდა. მხატვრული ღირებულება არავითარი არ ჰქონდა. არც შემინახავს. ორი სტრიქონი მახსოვს. გვიანი შემოდ-

გომა იღგა და დღის დაპატარავებაზე და ღამის სიდილეზე იყო მინიშნება:

**ღღა მენშევიკი, ღამე — ბოლშევიკი,
საწყალი ხალხი ხელში რომ შეიკლეს.**
ვერის უბანში ერთი საეჭვო ყოფაქცევის თვალბმონწილანებული კაცი დადიოდა. თმას წითლად იღებავდა. „რიჟა ქეთინოს“ ეძახდნენ იმ უბედურს. იმაზე დაეწერე ერთი ნაუცბათევი ლექსი. შოთას ვაჩვენე, შენს სტილშია-მეთქი დაწერილი. ფინალი მოეწონა, კაი, რამეაო, თქვა, გაკეცა და ჯიბეში ჩაიღო, ჩემთან იყოსო.



შოთა ჩანტლაძე წიგნების კითხვაშიც თავისებურებას იჩენდა. საკუთარი პოზიცია თუ თეორია ჰქონდა. არაერთხელ უთქვამს, რამდენიმე გამორჩეული ავტორი უნდა გყავდეს და მთელი ცხოვრება რამდენიმე წიგნს უნდა კითხულობდე, სამაგიეროდ, ეს წიგნები საფუძვლიანად უნდა იცოდეთ. ამ პრინციპს თავისებურად კიდევაც ანხორციელებდა. მაგალითად, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“ თითქმის ზეპირად იცოდა. ასევე, მისი საყვარელი წიგნი იყო ნიცშეს „ზარატუსტრა“ და რამდენიმე თავი ნათარგმნიც აქვს. თარგმანს, როგორც ყველაფერს, მუდამ პატიოსნად, კეთილსინდისიერად ეკიდებოდა და ამაში მკითხველი არაერთგზის დარწმუნებულია.

ყველაფერზე თავის აზრს გამოთქვამდა. ძნელად, რომ ვინმეს, ამ მხრივ, მასზე გავლენა მოეხდინა. მახსოვს, ერთხელ „დავით აღმაშენებლის“ ბოლო, მეოთხე წიგნი ახალი წაკითხული ჰქონდა და შთაბეჭდილებას მიზიარებდა. განსაკუთრებით მოსწონდა „უკანასკნელი ომი“, სადაც დავით მეფის აღსასრულია აღწერილი. იხსენებდა ცალკეულ დეტალებს (ვირთხისსახანანი სიკვდილის გამოჩენის სცენას). „შუქძღვებელია, ეს თავი ასეთი ძალით ხანშიშესულ კაცს დაეწერა. ხომ იცოდა თავისი რომანის ქარგა და ეჭვი არ მეპარება,

მანამდე ექნებოდა დაწერილიო“. ასეთა რამ მწერლობაში მართლაც ხდება — ქრონოლოგიურად გვიანდელი ეპიზოდი შეიძლება ადრე დაიწეროს. ბევრჯერ მომხდარა — რომანისა თუ პოემის შესავალი ნაწილი ავტორებს თვით ნაწარმოების გასრულების შემდეგ დაუწერიათ (მაგალითად, ფიქრობენ, და ალბათ სამართლიანადაც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი ბოლოს უნდა იყოს დაწერილი). რა თქმა უნდა, ხდება პირიქითაც.

ამდენად, შოთას მამინ ამის გამო არ შეეკამათებოდა. პოლემიკური ყინიც რომ გამოემჩინა და შეეხებოდი, მაინც ამო გარჯა იქნებოდა. თავის აზრში როცა დარწმუნებული იყო, უკან დახევა არ სჩვეოდა.

შოთა დიდ პატივს სცემდა გალაკტიონ ტაბიძის პოეზიას, ზეპირად შეეძლო ეთქვა მისი არაერთი ლექსი („თოვლი“, „ცამეტი წლის ხარ“, „ცხრაას თვრამეტი“...); საოცრად ხიბლავდა უკანასკნელის ერთი სტროფი, შთაგონებული წარმოსთქვამდა:

სასტიკი იყო ჩემი ღემონი,
არ ითვისებდა ჩვეულ გალობას,
ანგელოსები უდემონი
სტიროდნენ ცათა მიუვალობას.

„უდემო ანგელოსი“ ხომ იგივე სატანაა, რა გენიალურად არის ნათქვამიო, იძახდა.

განსაკუთრებულად მოსწონდა გალაკტიონის ერთი მცირე ლექსი „ამ ბნელა ღამით ვიღაც დადის საქართველოში“... ფიქრობდა, რომ ეს ლექსი ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი და მისტიური იყო მისი ავტორის შემოქმედებაში.

ცხადია, დიდ პოეტად არ მიაჩნდა, მაგრამ თავისებურად უყვარდა ვალერიან გაფრინდაშვილი. მანამდეც აღმინიშნავს, მის ადრეულ ლექსებში შეინიშნება გაფრინდაშვილის ბოჰემური ლექსების კვალი. ერთხელ ზეპირად მითხრა მისა „ზღვა“. ოსტატობის საუცხოო მაგალითად მიაჩნდა ამ ლექსის პირველი სტროფი:

ზღვას ენატრება იყოს პატარა,
ვით უნაზესი ჩიტი კოლიბრი,
თავისი თავი ვარსკვლავს ადარა,
ცაზე რომ ბრწყინავს

დაუბრკოლებრივ.

დააკვირდი, რა დიდებული და ორიგინალური სახეაო, მითხრა, ზღვას, უკიდევანოდ გადაჭიმულ ამოდენა სტიქიას, მობურბობია თავისი წარმოუდგენელი სიდიდე და ნატრობს ერთ ციციქნა ჩიტად იქცეს ან ცაზე მოციმციმე ვარსკვლავივით მოჩანდეს, თვალშეუდგამი სიმალლიდან რომ დაგვეყურებს. აი, ეს არის მიგნება და პოეზიაო, დაატანა ნათქვამს.

ტერენტი გრანელის პიროვნებასა და ლირიკასაც მუდამ პატივისცემით ეყვრობოდა. ზეპირად იცოდა მისი რამდენიმე ლექსი მათ შორის ყველაზე უშუალოდ და ნატიფად მიაჩნდა „გაზაფხულის საღამო“

ეს ლექსი მაგალითია იმისა, მთლად უბრალო ფიქრი, ყოვლად ჩვეულებრივი, ყოველდღიური სურათი როგორ შეიძლება ჭეშმარიტ პოეზიად გადაიქცესო, თქვა და მერე მოაყოლა: სანამ საქართველო და ქართული ენა იარსებებს, ეს ლექსიც ტერენტი გრანელთან ერთად იცოცხლებსო.

ერთხელ შოთას ვკითხე: უპრეტენზიო კაცი არ გეთქმის და მითხარი, გენიალური ქმნილებები თუ ძველდება-მეთქი.

ამაზე ამოიხვნეშა: რა თქმა უნდა, ძველდება, კარგავს თავის პირვანდელ ძალას და სწორედ ეს არის შემოქმედი კაცის, საერთოდ ხელოვნების ტრაგედიაო.

მახსოვს შოთა და მე ერთად ვათვალიერებდით ფიროსმანის გამოფენას „მეეზოვის“ წინ დადგა. განსაკუთრებულად უყვარდა ეს სურათი. „ნახე, რანაირი გამოხედვა აქვს. მე თითონ მინახავს თბილისში ამნაირი ტიპები ქუჩებსა და ეზოებს ხვეტავდნენ, თან მეთვალყურეები იყვნენ, საჭირო ალაგას ცნობებს აწვდიდნენ. მარტო „მეეზოვე“ რომ გადარჩენილიყო, ფიროსმანის გენიოსობის საბუთად ესეც იკმარებდაო“. ამ-

ბოდა. ასევე დიდ სიამოვნებას გვრიდა ფიროსმანის ხელით დახატული ცხოველთა და ფრინველთა სამყარო. კახეთის სიმსუფე მასავით არავის გადმოუციაო. სოფელ შილაში ყოფილიყო სტუმრად რამდენიმე დღე ვილაც ნაცნობთან და იქ გატარებულ დროს მუდამ ნეტარებით იგონებდა. საოცრად მდიდარი სოფელია, მარცვლი უკუღმა რომ ისროლო, წალმა ამოვა, შრომა არც დაგჭირდებაო, იძახდა.

აქვე მინდა აღვნიშნო — შოთა ჩანტლადე მოქმედი, ცოცხალი ურთიერთობების კაცი იყო და გასაკვირი არაა — ბევრი პატივისმცემელი, ახლობელი ადამიანი დარჩა ამ ქვეყანაზე. ერთი ასეთი პიროვნებაა დიდად კეთილი, პოეტური სულის ვაჟკაცი, საგარეჯოს მკვიდრი ნუგზარ ჭანტურია, რომელიც მუდამ უზომო სიყვარულითა და სითბოთი იხსენებს შოთას. ამ ცოტა ხნის წინათ შემხვდა. საუბარში მითხრა — შოთას ორი დაუბეჭდავი ლექსი მაქვს, ერთი სახუმარო, მე მომიძღვნა, ერთიც — სერიოზული, საგარეჯოში ჩამოდი და მოგცემო. შოთას ნაწერები, როგორც ადრე ვთქვი, ალბათ კიდევ იქნება დარჩენილი მის ნაცნობ-მეგობართა ოჯახებში და გამოვლენა ჭირდება.

იყო დრო, როცა ჩვენს ერთ-ერთ მთავარ გასართობს კინო წარმოადგენდა. ხშირად მინახავს მასთან ერთად ახალი სურათი. სიანის დასაწყისიდანვე იცოდა ალღოს აღება, ფილმი ივარგებდა თუ არა. ბევრჯერ დაგვიტოვებდა დარბაზი. ერთხელ ბერძნულ ფილმზე შევედით; „ყალბი ლირა“ ერქვა. ჯერ კიდევ ტიტრების ჩვენებისას ეკრანზე გამოჩნდა მონეტა, ჩვენსკენ შემოტრიალდა, ზედ გამოსახულმა ქალმა თვალი ჩაგვიკრა, თითქოს დაგვანამუსა და ისევ მიტრიალდა, შოთამ ალტაცება ვეღარ დამალა, უკვე ჩანს მაგარი რაღაცა იქნება, საუცხოო მიგნებააო. ფილმი მართლაც კარგი გამოდგა. ჰაერზე როცა გამოვედით, გახარებული

ლაპარაკობდა — ბერძნები მაინც დიდი ხალხია, რამდენი უბედურება გამოიარეს და კიდევ შეუძლიათ დღევანდელ ხელოვნებაში თავიანთი სიტყვა თქვანო.

მახსოვს უნივერსიტეტში ჩვენების დროს როგორ მოეწონა მიშა კობახიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ქორწილი“. განსაკუთრებულად მოხიბლა იმან, რომ სიტყვა არ იყო გამოყენებული, ამ ყმაწვილმა კაცმა ჩაპლინის პრინციპი ააღორძინა, დაამტკიცა, რომ კინოს სიტყვა არ ჭირდებაო, ამბობდა იგი.

კარგი, მელოდიური სიმღერაც ძალიან უყვარდა. შეზარხოშებულს თითონაც წაუღიღინებია: „ეს ქუჩები ბნელია. მიყვარს ამ უბნელია“... მე პირადად ძალიან მახარებს, რომ თუნდაც მისი გარდაცვალების შემდეგ შოთას ერთ ლექსზე მშვენიერი სიმღერა შეიქმნა და ქართული ესტრადის თვალსაჩინო წარმომადგენლები ხშირად ვიტარაზე მღერინან:

მოედინიდან მოვედინე,
როგორც თათრის ხონთქარი,
შენი კარის პოეტი ვარ,
შენს კარებზე მომდგარი.

გამოადე კარი ჩქარა,
ისე, როგორც ფანჯარა,
ვინაც კონცა არ იჩქარა,
უკონცელი დამჩქალა.

მას სხვაცა აქვს ასეთი ლაღი, რომანისის ტექსტად გამოსადეგი ლექსებია („შენ ერთ დროს იყავ ძლიერ ლამაზი“, „მე შემოდლია ბაგე რძიანი“, „სიზმარი“, „გულანშარი“, „გამომელია შენი ღიმილი“, „სადღაც მოკვდა თარი მძიმედ“ და სხვა.) და კარგი იქნება, თუ ჩვენი კომპოზიტორები ამ მხრივ მეტ დაინტერესებას გამოიჩინენ.

ამ ორიოდე წლის წინ „მნათობში“ გამოქვეყნდა შოთას ძალზე საყურადღებო მითხრობა „პროზორი“. მარტოხელა, თვისტომთაგან უყურადღებოდ მიტოვებული რუს ბერეიკაცხეა დაწერილი. ამ



საცოდავს ცხოვრების ერთადერთ აზრად ისლა დარჩენია, ობლივიაციაში ფული მოიგოს. ამ მოთხრობაზე გაზეთმა „მამულმა“, სხვათა შორის, კრიტიკოს თამაზ ვასაძის მშვენიერი რეცენზია გამოაქვეყნა.

შოთას ეს მოთხრობა ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული, მითხრა, ასეთი ტიპი მინდა გამოვიყვანო და სახელი ვერ შევურჩიეო. მე შევთავაზე პროზორი დაერქვა; მართალია, წარმოშობით ეს სახელი ბერძნულია, მაგრამ რუს მოხუცებულ კაცსაც შეეფერება-მეთქი. ჭკუაში დაუჯდა.

მერე მთხოვა, ჩემს გმირს რეკოლუციური წარსული აქვს, წითელ არმიასთან ნამსახური და რამე პატარა სიმღერის ტექსტი, „ჩასტუმკასავით“ რომ იყოს, გამიკეთო. ორ ვარიანტად გავუკეთე. ერთი, რომელიც უარყო, ასე გამოიყურებოდა:

**Мы с честью прошли наш путь
достоинный,
Мы не боролись зря,
И новую жизнь построили,
Мы — дети Октября.**

მეორე, შოთას მიერ მოწონებული ვარიანტი ამისგან დიდად არ განსხვავდებოდა, მაგრამ იქ ბოლო სტრიქონად იყო შემოქაჩებული, მოწვევითი ფრაზა: „короче говоря“. ეს „კაროჩე გავარია“ ძალიან მოეწონა; წამოიძახებდა, ვითომ მარშორების დროს და ხელის მკვეთრ მოძრაობას აყოლებდა. ეს მოთხრობა თავდაპირველად მე მომიძღვნა; გრძელი წარწერაც ჰქონდა წამძღვარებული, მაგრამ ვთხოვე, წარწერა წაეშალა. მკითხველები დაიბნევიან-მეთქი, ვუთხარი. დამიჯერა.



სანამ დაილუპებოდა, ორი-სამი წლით ადრე შოთასთან ერთად რუსთაველზე მოვდიოდით. სამხატვრო გალერეას ამოცდით, რუსთაველის თეატრს ვუახლოვდებოდით. შემოდგომის თბილი საღამო იდგა. შოთამ უფულობაზე ჩამოაგდო ლაპარაკი. ფული, ან იმას, ან

მე, საიდან გვექნებოდა. მითუმეტეს, შოთა არ მუშაობდა და შემთხვევადან შემთხვევამდე რამე თარგმანს თუ დაუბეჭდავდნენ სადმე. სამუშაოს დაწყებასაც არ დაადგა საშველი, თუმცა ბევრჯერ სცადა. მის მეგობრებსაც არა ჰქონდათ მაშინ ისეთი მდგომარეობა, რამე სამსახურში მოეწყობო.

უცებ მომიბრუნდა და ღიმილით მითხრა — ერთი იდეა მაქვს. მაგრამ არ ვიცი, როგორ განვახორციელო. დავინტერესდი, ასეთი რა იდეა ჰქონდა. მთელს ჩემს ნაწერებს სიაძოვნებით ჩაკაბარებდი ლიტერატურის მუზეუმს, ათას მანეთს რომ მომცემდნენო. ღიმილით კი ამბობდა ამას, მაგრამ არ ხუმრობდა. რაღაცნაირად შემაწუხა ამ მისმა ნათქვამმა. თავის თავზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს ცხოვრება გასრულებული ჰქონდა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, სიცოცხლეში არცერთი ლექსისა და მოთხრობის დაბეჭვდა არ უცდია, სურვილი აღარ ჰქონდა ამდენად, სულერთი იყო, სახლში ედებოდა ხელნაწერები, თუ მუზეუმს ჩააბარებდა.

ამ რამდენიმე წლის წინათ შოთას უმცროსმა მეგობარმა, ლიტერატურის მუზეუმის დირექტორმა პოეტმა იზა ორჯონიკიძემ მითხრა, შოთას მთელი არქივი შევიძინე, ჩვენთან უფრო დაცული იქნებაო. მაშინვე ის საღამო გამახსენდა და კიდევ უფრო მეტად დამწყვდა გული.

ესეც ადრიან შემოდგომაზე იყო, წელი ზუსტად არ მაგონდება. უნივერსიტეტის ბაღთან შევხვდი. იქვე ჩამოვსხედით. იმ ზაფხულს ახლო მეგობარს ბინის გასაღები დაეტოვებინა მისთვის (თითონ ოჯახთან ერთად ქალაქიდან გასულიყო), ხანდახან შეიარე, რამე არ მოხდეს ან ვინმემ არ გამქურდოსო. შოთა, რა თქმა უნდა, კეთილსინდისიერად ასრულებდა დანაბარებს. ერთ საღამოს ქუჩაში ვიღაც ქალს გამოლაპარაკებოდა, ქალიც (ეტყობა, ადვილად დასაყოლებელი) აპყილოდა საუბარში რამდენიმე ხანს ისეირნეს, გამაგრილებელი წყალიც დალიეს (შოთა ამას თვალვებან-

თებული მიყვებოდა, თან რაღაც ღიმილიანი სევდა გამოკრთოდა მის მზერაში). ბოლოს შეეთავაზებინა, აქვე ახლოს ვცხოვრობ, სახლში შევიაროთო. ქალი დათანხმებია. გაპყლიან გზას. შეუღიათ ოთახის კარი, შესულან, დამსხდარან, ქალს მიუხედ-მოუხედავს, მერე შოთასთვის შეუხედავს (ჩვეულებრივად, სუფთად მეცვალ, გაცივებული ამბობდა) და მერე კუდიანივით უთქვამს, ეს ბინა შენი არ არისო. კაცი გამშრალა, ხასიათი გაფუჭებია, არაფერი უპასუხნია. რაღაცნაირად გულდაწყვეტილი ამბობდა, ყველაფერი შემქმლო იმ ქალთან, ბოლოსდაბოლოს ვეტყვოდი, ნათესავის ბინაა-მეთქი და გათავდებოდა საქმე, მაგრამ როგორღაც ყველაფრის სურვილი დაკარგე. ასე როგორ შემეტყო სახეზე, რომ სხვის სახლში შევიყვანე ქალი. ნაღდად დაღდასმული ვარ. არ ყოფილა და არც იქნება ჩემი საშველი... — ჩაიციხა, ხელი ჩაიქნია. უკიდურესად გულახდილი კაცი იყო. არაფერს არ დაგიმალავდა.

სხვა თვისებებთან ერთად, შოთა ჩანტლაძეს უაღრესად გამამაფრებელი ჰქონდა სილამაზის, მშვენიერების შეგრძნებისა და თავისებურად გადმოცემის უნარი.

ერთხელ ვერის ბაღთან მომავალი მანანა გედევანიშვილი დაენახა (მანანა მაშინ ცხრაშვიტი-ოცი წლისა თუ იქნებოდა, ჩვენ მეზობლები ვიყავით) და აღტაცებას ვერ მალავდა. შოთა ისეთი გზნებითა და ხატონად აღწერდა მანანა გედევანიშვილის გარეგნობას, რომ არ გცნობოდა, თვალწინ გაგიცოცხლდებოდა მისი პორტრეტი. აპრილი იდგა. მანანას ღია ვარდისფერი კაბა სცმოდა და ზელთ აყვავებული ატმის რტოსჭეროდა (ალბათ მიართვეს, თითონ არ მოსტეხდა). შოთა სიზმარივით თუ უცხო ხილვასავით იხსენიებდა ნანახ საოცრებას: ნამდვილ ღვთაებას, ქალად გარდასახულ გაზაფხულს, გაცივებულ ფრესკას ვხედავდი, ატმის რტოს-

თან ერთად გვეკონებოდა მისი ლოყებიც ბოლავდაო, ჰყვებოდა შოთა. უბრალო გამკვლელებიც ჩერდებოდნენ და შეჰყურებდნენ. ჩაიარა ასე, წავიდა და მოეთქვა წაილო. თამარ ციციშვილს სწორედ მისთანა ქალიშვილი უნდა გასჩენოდაო, ამყვად თქვა.

მე მალიზიანებს ზედმეტად მებრძოლი, შეტევაზე გადასული, პირგამებუბული ქალები, მანანა გედევანიშვილი მათი აშკარა ანტიპოდი. გამორჩეული სილამაზის გარდა, სათნოება და კლემამოსილება, რაც ასე ამშვენებს ქართველ ქალს, იმთავითვე მომადლებული ჰქონდა. ამას წინათ მელოქიშვილის ქუჩაზე, აფთიაქთან შემხვდა. ერთმანეთი მოვიკითხეთ. მეუღლესთან, ქართველი მხატვრებისა და მწერლების ახლო მეგობართან, საქვეყნოდ ცნობილ ფიზიკოსთან და დიდად კეთილ ვაჟკაცთან იური ჩაჩხიანთან მოკითხე დავაბარე. როგორც შინაურს, უუთხარი, თავის დროზე შენმა სილამაზემ აწ გარდაცვლილ პოეტზე, შოთა ჩანტლაძეზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და თუ შეიძლება ავღნიშნო-მეთქი. ულაპარაკოდ გაძლევ მაგის უფლებას, ყველამ გაიგოს, როგორი ვოგო ვიყავით, მითხრა და თავისებური, არავისას რომ არ გავს, ისეთი ნათელი ღიმილი მოეფინა სახეზე, ნასიამოვნები წავიდა.

შოთას ბევრი ამგვარი ნათქვამის გახსენება შეიძლებოდა, მაგრამ ეს ახალს ვერაფერს შემატებდა მის ხასიათს, ხოლო ამ მოვონებას კი ალბათ დაამძიმებდა, გადატვირთავდა.

უძიძიძე ავადმყოფობა (ფილტვისა და გულის ინფარქტი) რამდენიმე თვის გადატანილი მქონდა. შოთა შემხვდა ვერაზე. წამოვედით, გასტრონომში რამდენიმე ბოთლი ღვინო ვიყიდეთ, ბარნოვზე აუუხვიეთ. დაბალ, ჟურნალ-გაზეთების მაგიდასთან ჩვენ ორნი მივუსხედით პატარა სუფრას. საწყალი ჩემი მეუღლეც იქ იყო, დროდადრო შემოგვაკითხავდა. წერილი ჭიქებით ვსვამდით,

კარგა ხანს შევეყვით ლაბარაკს. ხან ცოცხლებს ვაღლეგრძელებდი, ხან — გარდაცვლილებს ვიგონებდი. შოთა როგორღაც მოწყენილი იყო, მომიბოდიშა, ავადმყოფობის დროს ვერ გინახულე (საავადმყოფოში არ გადაუყვანივართ, შინ ვიწევი), ასე თქვეს; ისე მძიმედა, ნახვა არ შეიძლებაო. ადრე რომ პტონდა, იმ ხალისს ველარ ვამჩნევდი. რაღაც აწუხებდა; ტანი თუ უგრძობობდა მოსალოდნელ უბედურებას. იმ საღამოს მერე, მგონი, ერთად აღარც ავიღია ჭიქა. იმ საღამოს მერე ბევრი რამ ავად შეტრიალდა. ათასი საშინელება დამატყდა თავს. ზოგჯერ მგონია, თანდათან მიცვალებულთა ალყაში ვექცევი და სადაცაა შეიკვრება საბედისწერო წრე. ძნელია ამაზე ფიქრი. ყველას ვერ გაუმხელ...

შოთას გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, 1970 წელს ჩამიწერია: „ყველაფერს განსჯის მკაცრი, არცთუ ისე შორეული მომავალი — ათასი ტიტულებითა და ჩინ-მედლებით შეხირხლული ხალხი არქვის ჩაბარდება. იქ, იმ დროში, არ გასჭრის მედროვეთა ზვანჯები, პირადი ინიციატივა, გაძრომ-გამოძრომა.“

ბევრს, ვისაც უკვდავება განადღებულ იქნევა და თავი გაღმა გასული ჰგონია, დავიწყების შლამი დაფარავს, შოთა ჩანტლაძის სახელი და პოეზია კი შერჩება ქართულ ლიტერატურას, თანდათანობით საკადრისადაც დაფასდება“.

ამას, ცხადია, დიდი წინასწარმეტყველება არ ჭირდებოდა; ცრუ, გაფუფული კერპების დაჩუტვა და მსხვრევა კარგა ხნის დაწყებულია და ეს პროცესი თანდათან უფრო უღმობელი გახდება.

ამჟამად შოთა ჩანტლაძის ორი წიგნია სტამბაში დასაბეჭდად გადაცემული და ალბათ ორივეს მალე მიიღებს ქართველი მკითხველი.

მის მეორე წიგნს — „თენდება, დამდება“... — როცა ვაღვინდი (გამოსცა „საქართველომ“ 1984 წელს), ხშირად მიწევდა ჩანტლაძეების ოჯახში ასვლა, ხელნაწერებზე მუშაობა. შევეცადე ყვე-

ლაფერი საუკეთესო შემეტანა ამ კრებულში. ზოგიერთი ზედმეტად სკაბრეზული სტრატონი ამოვლე; რითაც იმ ლექსებს არაფერი დაკლებია წიგნისათვის შოთას პორტრეტი — საგანგებოდ დახატა და თვით კრებული დიდი გემოვნებით გააფორმა. შოთას მეგობარმა, ჩვენმა საუცხოო მხატვარმა ვახტანგ რურუამ. ერთ რამეზე კი დავრჩი გულნაკლული. ჩანტლაძეების ოჯახში: შოთას საწერი მაგიდა მოვიკითხე და გადატიხრულ მუშაბანდში გაეტანათ — უჯრები გამოეღოთ და სასადილო მაგიდად იყო გადაკეთებული. დედა-შვილს, თუმცა უფლება არა მქონდა, მორიდებით ვუსაყვედურე ამის გამო, ძალიან შეწუხდნენ, მაგრამ საქმეს არაფერი ეშველებოდა. სამწუხაროდ, ხდება ხოლმე ასეთი უნებლიე გაუგებრობანი.

ამ შეიდი-რვა წლის წინ კიდევ შეიძლებოდა ასეთი სურათის დანახვა: უნივერსიტეტთან, ტროლეიბუსის გაჩერებისკენ, შავგვრემან, ტანმორჩილ კაცს ფრთხილად მიჰყავდა სუსტი, შავი თავსაფრიდან ჭალარაგამოშლილი ქალი, რომელიც ქარის დაბერვაზე მსუბუქად, გაბუმბლული ლერწამივით ირხეოდა; ხორციელს არც გავდა; ესენი იყვნენ შოთა ჩანტლაძის დედა — უსათნოესი ქალბატონი ელისო და მისი ვაჟი, შოთას უფროსი ძმა — რომანი. ისინი ამ დროს შოთას საფლავეზე მიდიოდნენ („შოთიკა, დედა, სადა ხარ?“ — რამდენჯერ გამოივინა მყუდრო, განმარტოებულ საფლავეზე გადამხობილის ჩუმი ქვითინი). განუმეორებელი, უმშვენიერესი კადრები იქნებოდა, ეს მოძრაობა ვინმეს კინო — კამერით რომ აღებეჭდა.

არადა, იმ ხანებში შოთას უმცროს მეგობრებს (მათ შორის ვახტანგ როდონაიას) დაებადათ იდეა, დოკუმენტური ფილმი შექმნილიყო შოთა ჩანტლაძეზე. მე სცენარის მონახაზის გაკეთება მთხოვეს, ფირიც იშოვეს და ორი კხალგაზრდაც მზად იყო, გადაღება დაეწყათ ამის

მერე იგივე სურვილი გამოთქვა რუს-
ლან ღონღაძემ (ყველას გვახსოვს მი-
სი მშვენიერი ფილმი ავთო ვარაზზე),
პრიორიტეტიც მას მიენიჭა, მაგრამ რა-
ტომღაც ეს ამბავი სამომავლოდ გადასდო,
ვერ მოახერხა (რამ შეუშალა ხელი, არ
ვიცი), ეს კეთილშობილური წამოწყე-
ბა ჩაიშალა. ამასობაში ქალბატონი ელი-
სოც გარდაიცვალა და თვით იდეამ აზრი
დაკარგა.

დღესდღეობით შოთა ჩანტლაძეზე ბე-
ერი კარგი წერილი, მოგონება და ლექ-
სია გამოქვეყნებული. ბევრსაც (იმ ადა-
მიანებს, ვისთანაც შოთას ახლო ურთი-
ერთობა ჰქონდა) შეუძლია მისი ცხოვ-
რების სხვადასხვა ეპიზოდები გაიხსე-
ნოს. ასეთი წიგნის შედგენა ადრე განზ-
რახული ჰქონდა ჯარჯი ფხოველს და
ურთვო არ იქნება, თუ ამ განზრახვას
განახორციელებს; ჩვენს საზოგა-
დობას უფრო ნათელი წარმოდგენა

შეეკმნება, თუ ვინ იყო შოთა ჩანტლა-
ძე, რისი გაკეთება შეძლო და რისი ვე-
რა, როგორ იტანჯა და ეწამა, მაგრამ
თავისი მრწამსისთვის არასოდეს არ
ულალატნია — არაერთ თაობას მაგა-
ლითი აჩვენა იმისა, თუ რა შეუბღალა-
ვი ზნეობისა უნდა იყოს შემოქმედი ადა-
მიანი.

მე მოვიხმე ცალკეული სურათები,
მეხსიერებაში შემონახული ეპიზოდები.
შევეცადე შეძლებისდაგვარად აღმედგი-
ნა, თუ როგორი იყო ჩემი უფროსი მე-
გობარი, ახლობელი კაცი შოთა ჩანტ-
ლაძე სიცოცხლეში. ყველა ჩვენთაგანს
მიეცა შესაძლებლობა, დაენახა, როგორ
გამოიყურება იგი მიწიერი არსებობის
შემდგომაც. თავის ახლანდელ ზვედრს,
ვფიქრობ, არ დაემდურებოდა, თვითო-
ნაც რომ ეზილა, რა სიყვარული და პა-
ტივი მიაგეს კეთილმა ადამიანებმა მის
სახელსა და ხსოვნას.

1991, აგვისტო.





თამაზ ვასაძე

ნაიპოვლი ღმერთი

თავისი მხატვრული მსოფლხედვა ვასილ ბარნოვმა განსაკუთრებული სი-სავსით, ყოფიერების კონკრეტის მაქ-სიმალური დაუფლებით გამოავლინა რომანში „ტრფობა წამებული“. მწერ-ლის რელიგიური, ზნეობრივი და ეს-თეტიკური იდეალი აქ იკვეთება ადამი-ანური ბუნების რეალობასთან ტრაგი-კულ შეჯახებაში, ადამიანის სულის მრავალგვარ მოძრაობათა მართლად და სრულზმოვნად ამეტყველებით. ძლიერი ადამიანების ვნებათაღელვა იხატება ძლიერი სიტყვით და შემოქმედებითი აგზნებით.

რომანის ავტორი მიწიერი და იმავ-დროულად ამაღლებული სიყვარულის კულტის ერთგული და შთაგონებული თაყვანისმცემელია. ასეთი სიყვარული მისთვის წარმოადგენს დედამიწაზე ღვთაებრივის გადმოფენას, მის ყველა-ზე ადეკვატურ გამომქლავებას და უზე-ნაესი სიკეთის, ჭეშმარიტების, მშვენი-ერების განხორციელებულ სინთეზს.

მწერლის ამ თვალსაზრისს და მას-თან დაკავშირებულ მიწიერი სილამაზის საკრალიზაციას, როგორც ლიტერატუ-რისმცოდნეობაში აღიარებულია, აქვს პლატონისტური ძირები, აქვს სიაზლო-ვე საერთოდ ანტიკურ მსოფლგანცდას-თან. მისი სათავეა ასევე სამყაროს რე-ნესანსული ხილვა, „ვეფხისტყაოსანი“, ქართული კულტურის მთლიანი სულის-კვეთება. შესამჩნევად ეხმიანება იგი ილია ჭავჭავაძის „განდევლის“ კონ-ცეფციას.

აშოტის და შუქიას სიყვარული რო-

მანში წარმოსახულია როგორც ჩვეუ-ლებრივი ცხოვრების მიღმა არსებუ-ლი რომანტიკული სავანე, თავშესაფა-რი, სადაც ადამიანები სრულად მთლი-ანდებიან და ამ შერწყმით უმწვერვა-ლეს ბედნიერებას და ნეტარებას განი-ცდიან. სავანის შიგნით აღმოფხვრილია ბოროტება თავისი ნაირგვაროვნებით და ხორციელი ტკობაც სულიერი აღ-მაფრენით არის განწმენდილი. აბსო-ლუტურად დაძლეულია ეგოიზმი და შეყვარებულები ერთმანეთში პოვებენ თავისი არსების დასრულებას; სრულქ-მნას, აღფრთოვანებით ჭკრეტენ ერთმა-ნეთის თითქოსდა მარადიულობიდან გა-მომზირალ ნათელ სახეებს, რომლებსაც ყოველგვარი ცხოვრებისეული მწიკვილი ჩამოშორდება. ეს არის თავისუფლების თვითკმარი სფერო, რომლის საზღვარ-თან მთავრდება ბოროტების, სიკვდი-ლის, ცოდვის და ტანჯვის სამფლობე-ლო. აშოტის და შუქიას სიყვარული თითქოს პირველყოფილ ცოდვას ძღვეს და იქცევა ედემში დაბრუნებად, სადაც უცოდველი ადამიანების მსუბუქი სუ-ლები და მატერიით დაუმძიმებელი სხე-ულები სამყაროს უღრმეს და უმაღლეს, ღვთაებრივ წესრიგთან უშუალო ერთი-ა-ნობაში იმყოფებიან. ბარნოვი ჰარმო-ნიულად დენადი პოეტურობით, „პიმი-ნოგრაფიული“ წყობილისიტყვაობით გა-მონახტავს ამაღლებული სიყვარულის მე-ტაფიზიკას. „ვინა სთქვა ევას ჩამოეცა-ლაო ნათელი მხიარული და მის შთამო-საც განეძარცვა ღვთაებრივი სამოსი ტანთა, მთელ მის შთამომავლობას? არა!

ზოგს ევათაგანს, იშვიათ მათგანს, შერჩენია იგი ციაგი ზეარსი ნათელისა, ანარეკლი მისი ბრწყინვალეობისა. ისე ავესებს იგი ციაგი საოცნებოდ ქმნილს სიამის ნექტრით, როგორც მაისი ყვავილთ ფილას მზისკენ ახრილს. ბედნიერი შეპხვდება იმ ძვირფას თვალს მანათობელს, წყნარად მოციავებს, ვნებათა კოცონზედ სავსებით დამწველს, მაინც ღიმილით დამატკობელს, გრძობათა მასუჩრებელსა, წყნარ ნეტარებად მიმყვანებელსა. — ეწაფე, ბედისაგან აღნიშნულო, ნექტარს სასურველს, დასთვერ სიტკობებით თუნდ ერთ წამს, იგემე ამქვეყნადვე ნეტარება ზეციური, ეზიარე განცხრომას უშრეტს, ვითა ღვთაება ხორცსხმულად მოვლინებული და... ჰმადლობდე შემოქმედს სახიერს, უხვად სიკეთის შენდა მნიჭებელს“.

ვიდრე ამ ნანატრ სავანეს მიაგნებდეს, აშოტი იტანჯება მარტოობით, იმით, რომ მის ცხოვრებას მთლიანად სახელმწიფო საზრუნავი ნთქავს, რომ არა აქვს სულსმოსათქმელი სივრცე, სადაც თავისუფალი იქნება, სადაც იგი, როგორც კერძო პიროვნება, თავისუფლად გამოავლენს თავის არსებას, სულიერ მისწრაფებებს და მოთხოვნისებებს. მას სწყურია სიბოძო, თანაგრძნობა, უანგარო ყურადღება. მისი ფარული ღირებულება და სიღბო საზრდოს და გამომკლავნებას საჭიროებს. რომანში აშოტის სახე ორ პლანში იშლება, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს — ერთი მხრივ, იგი ნაჩვენებია გარეგანი, სოციალური ცხოვრების ასპექტით, როგორც ენერგიული, მტკიცე და გონიერი მეფე და მხედართმთავარი, ქვეყნის მესვეური. ის ზედმიწევნით შეეფერება თავის სოციალურ როლს, სტატუსს; ხალხის აღფრთოვანებას იწვევს და მისი იმედების საყრდენია, ხალხის თვალში გმირი და ზეკაცია. ეს პლანი სწორედ ხალხის თვალსაზრისის გამტარებელია, აქ მეფე გარედან და შორიდან დანახული მოჩანს, მეორე მხრივ, აშოტს ვხედავთ შიგნიდან, ისე, როგორც თვითონ აღიქ-

ვამს თავის თავს, ვხედავთ თავისი თავის წინაშე დარჩენილს — სულიერი შიმშილით გაწამებულს, ნაზად მგრძნობიარეს და მარტოსულს. პირველ პლანში ის წარმოგვიდგება აპოლოგეტური მატიალის თუ სარაინდო ეპოსის პერსონაჟად და მოჭარბებულად იდეალიზებული გამოიყურება. მაგრამ ეს იდეალიზება ნაწილობრივ ფუნქციური დანიშნულების მქონეა: იგი კონტრასტულად ამკვეთრებს მეორე პლანს, სადაც მეფე ინტიმური სიახლოვით, არაოფიციალურ და საკუთრივ პიროვნულ-შინაგან განზომილებაში წარმოჩნდება, სადაც ხალხისეულ, თავისებურად სწორ, მაგრამ ზერეულე აღქმას ავტორის დაკვირვებულ და ანალიტიკურ ხედვა, ნატიფი ღირებულება და თვით პერსონაჟის მედიტაციები, შინაგანი მონოლოგები ცვლის.

ორ პლანს ფსიქოლოგიურად აერთებს აშოტის ხასიათის ერთი თვისება, რომელიც მის სახელმწიფოებრივ საქმიანობაში იჩენს თავს — დიდი განსაცდელის დროს მას ზოგჯერ პროსტრაცია ეუფლება, სრული სისუსტე და მოდუნება დარევეს ხელს. ასეთ მომენტებში იგი ბავშვით უმწეოა. ეს მოულოდნელი სისუსტე ერთგვარად შეამზადებს მისი ბუნების „არაოფიციალურ“ მხარეთა წვდომას, მისი ფაქიზი გრძობების სამყაროში შესვლას.

აშოტს არ შეუძლია იცხოვროს პატივმოყვარეობის ამარა, მხოლოდ პოლიტიკური მიზნების მიღწევის მკდელობით და პოლიტიკური წარმატებების ჯილდოთი — დიდებით, საყოველთაო აღიარებით, თუმცა ესეც სიამოვნებას ანიჭებს, მითუმეტეს, რომ აღიარებას გულწრფელი სიყვარული და მადლიერება ახლავს. აშოტი სხვა, უფრო მაღალ და ჭეშმარიტ სიყვარულზე ოცნებობს.

დედოფალს, პირიქით, აქვს მძლავრი და ხარბი პატივმოყვარეობა და არ შეუძლია და არ სურს სიყვარული. მისი გოროზობა მუდამ უკმაყოფილოა; მისთვის მუდამ უკმარია ის, რაც უკვე მოპოვებულია და მუდამ მეტს მოითხოვს.

ნიშანდობლივი დეტალებით გამოისახება გურანდუხტის სიცივე და მიუკარებლობა, მისი ამპარტავანი სულის მოუსვენარი ლტოლვა კიდეც უფრო მეტად აღზევებისკენ, კიდეც უფრო დიდი ძლიერების და პატივის მოხვეჭისკენ. ასეთ ადამიანს, ბუნებრივია, არ შეუძლია მისცეს აშოტს ის, რასაც იგი მთელი არსებით ესწრაფვის: „ამოდ ეძებდა სიბ ქვაზედ ნაზ ყვავილს ტურფა გაზაფხულისას“. აშოტთან მას ურთიერთობა აქვს როგორც მხოლოდ მეფესთან, როგორც სოციალური როლის შემსრულებელთან და დაქინებით მოითხოვს მისგან, ეს როლი კიდეც უფრო უკეთესად, კიდეც უფრო წარმატებულად ითამაშოს. მისი სურვილია არა ქვეშევრდომთა სიყვარულის დამსახურება, არამედ ის, რომ სამეფო ხელისუფლება შიშს და კრძალვას იწვევდეს; ამიტომ, აშოტისგან განსხვავებით, მუდამ იცავს დისტანციის პათოსს, მუდამ მკაცრი და შეუვალია; მეუღლესაც ამას ავალდებულებს.

რომანის პრობლემური და იდეური არის რეალში უშუალოდ მოექცევა გურანდუხტის რელიგიურობა, რომლის თავისებურება ჯერ კიდეც ნაწარმოების ძირითადი კონფლიქტის გასაღად ბევრად აღრეა მინიშნებული. ქვეყნისთვის და მეფის ოჯახისთვის სასიკვდილო განსაცდელის დროს, კრიტიკულ სიტუაციაში შეღავნდება დედოფლის რელიგიურობის ნამდვილი რაობა. იგი, ვინც განგებვისგან, მოვლინებულად თვლის თავს საქართველოს გასაერთიანებლად, ღმერთს ცოდვათა მიტევებას კი არ თხოვს, არამედ უწყრება მას, რადგან ქრისტიანებს ხელი ააღო და მამადიანებს გაუმარჯვა; მხოლოდ საჯაროდ აცხადებს განსაცდელს ღვთის რისხვად და ხალხს მოუწოდებს სინანულისკენ, როგორც ვხედავთ, დედოფლის ქრისტიანობა სხვებისადმი მომთხოვნი და არა საკუთარი თავისადმი; ის მას სჭირდება, როგორც თავისი ნების დამკვიდრებელი, ადამიანების დამორჩილების საშუალება. გურანდუხტის ასეთი მიმართება რელიგიასთან განსაკუთრებით იჩენს

თავს, როდესაც იგი აშოტს და შეუქიას კავშირს შეიტყობს, დედოფლის სულიერი შფოთვა გამჭოლი, მრავალღვრიანი ფსიქოლოგიური ანალიზით და იმავდროულად ლირიკული იმპულსურობით არის გადმოცემული. საშინელია ამ მეტისმეტად ამაყი ადამიანის შეურაცხყოფილი თავმოყვარეობის ტანჯვა. მას სევდა, გულისტკივილი როდი ეუფლება ახლობელი ადამიანის სულიერად დაკარგვის გამო, იმას როდი უფიქრდება, მხოლოდ ხორციელი გატაცება თუ რაღაც მეტია აშოტის და შეუქიას ურთიერთობა და თვითონ ხომ არაფერში შეცვდა, თვითონაც ხომ არ არის თავისი სიცივით ამ ურთიერთობის წარმოშობის მიზეზი... ის თავის თავში არ იხედება. თავის თავს არაფერს მოკითხავს; ქრისტიანული მოთმინება და თვინიერებაც ვერ ეთვისება მის ხასიათს და თუ ახსენდება, მხოლოდ წამიერად, მხოლოდ თავისი უღონობისგან. დედოფლის მოქმედებას მთლიანად შელახული სიამაყე განაგებს, მის არსებას საცხებით გათანგავს შურისძიების ვნება, ცოდვილთა სასტიკად დასჯის მძაფრი სურვილი და სწორედ ამას მოითხოვს დაქინებით იგი ღმერთისგან. რათა ეს მოთხოვნა, მტრების განადგურებისკენ მისი სწრაფვა კანონიერი იყოს, მათ ეშმაკეულებად შერაცხავს, მაგრამ ეშმაკს ემსგავსება თვით ის ღმერთი, რომლისგანაც იგი სისასტიკეს, თავისი შეურაცხყოფილების მიმართ შურისძიებლობას გამოელის, რომელსაც გულქვა, უღმობელ დესპოტად წარმოიდგენს. გურანდუხტი გულის სიღრმეში გრძნობს, რომ მის ვნებებს და ზრახვებს ქრისტიანული ღმერთი ვერ შეიწყნარებს. „— ამოდ მოიწვევ, დედოფალო, შემოქმედს: ყოვლად კეთილისაგან არ ეგების შეუქურის მოსპობა სიხარულის მომნიჭებელისა, სახიერისაგან ვერ შეიძლება ჩაქრობა სილამაზისა, შემოუწერელი სიმშვენიერე ვერ დაჰკრებს ქვას ჩასაქოლავად უნაკლულოსი (...) — უხმე ღმერთს სასტიკს, უფალს მრისხანეს, სინათლის მქრობელს, სიკვდილის დამრგველს (...)

— რომელმან მოსპო შვილი მამის წინ, მშობელს უკრძალა ცრემლით ფონება, ვინც ცეცხლით დასწვა ათასეული თავისუფლების დასახვის გამო; რომელმან დაჰკლა მეფე ტყვექმნილი, მისი რჩეულნიც, მას შევედრე, სასტიკსა მფლობელს სასტიკი გულით. — ღმერთსა სასტიკსა თუ თვით სატანას? — შეუფეს სასტიკს, გინა ბელზებელს ბნელთა მფლობელს!“

აი, ამ შიშისმომგვრელი და დაუნდობელი ღმერთის მსახურთა შორის პოვნებს გურანდუხტი საიმედო მოკავშირეებს და დამხმარეებს, თებრონია და გრიგოლი მზად არიან შეუპოვრად იბრძოლონ ცოდვის წინააღმდეგ, რომელსაც, ისევე როგორც დედოფალი და უფრო კატეგორიულადაც, ეშმაკეულად, სატანისეულად რაცხენ. დედოფალიც და ისინიც თვლიან და აცხადებენ, რომ ამ ბრძოლას ეწევიან ქვეშაობების გულისთვის, სახელმწიფოს უმაღლესი ინტერესებისთვის, იმისთვის, რათა სარწმუნოება და საეკლესიო კანონი არ შეიზღუდოს, რათა მეფის ცოდვამ, როგორც უმსგავსმა მაგალითმა, ხალხის ზნეობა არ გარყვანს და ქვეყანას, რომელიც მაჰმადიანური აგრესიისგან იცავს თავს, სარწმუნოებრივი და სულიერი ძალა არ შეუსუსტდეს.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, საპატრიო და კეთილშობილური მოტივებია, მაგრამ ბარნოვი აქაც, როგორც აშოტის სახის კვეთისას, სინამდვილეს ორბლანოვნად აღიქვამს, მასში ორ შრეს გამოყოფს — ოფიციალურს, საპარადოს და შინაგანს, მალულს, ზედაპირის ვალსა შეფარულს, რომელიც უჩუმრად წარმართავს იმას, რაც ზედაპირზე ხდება. გარეგნული, საჯაროდ გაცხადებული მოტივების უკანა მხარეს არის სხვა, გაუცნობიერებელი თუ განგებ მიჩქმალული ძლიერი სურვილები, განწყობები და კომპლექსები, რომელთა გამიჯნა და გამომზეურება არ შეიძლება, რომლებიც ოფიციალურ მოტივებს უნდა ამოეფარონ და ასე არაპირდაპირ, გაშუალებულად იმოქმედონ. ხაზგასმით უნ-

და ითქვას, რომ როცა ფარულად ვეხსენებ ამოხსნის, მწერალი თავის პერსონაჟებს ბანალური გაგებით როდი ამხელს, რადგან ისინიც ბანალური მატყუარები და თვალთმაქცები არ არიან, მათ მართლაც სჯერათ, რომ მოქმედებენ კეთილად და საღვთო საქმის აღსასრულებლად. უპირისპირდებიან ბოროტებას, ცდილობენ აღმოფხვრან ისეთი რამ, რაც ქვეყნისთვის და ადამიანებისთვის მავნეა. მათ ბევრი რამ არ უნდათ იცოდნენ საკუთარი თავის შესახებ და თუ მაინც იციან ზოგადად, ახერხებენ დაივიწყონ კონკრეტულ სიტუაციებში, ქმედებისას, თავისი აქტივობის საექვო ხასიათს, მის საჩოთირო საფანელს რომ გრძობენ, უფრო გაბედითებით აღივრებიან სატანასთან საომრად, უფრო ფიცხად მოიმარჯვებენ საჯაროდ გამოსაფენ სარწმუნოებრივ მოტივაციას და ამგვარად, ალტკინებით, ეგზალტაციით იყრუებენ სიმართლის შინაგან ხმას... ამ პერსონაჟების სულიერ ცხოვრებაში და ქცევაში გამოსჭვივის ფენომენი, რომელიც თანამედროვე ფსიქოლოგიაში „რაციონალიზაციად“ იწოდება. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ „ტრფობა წამებული“ უახლესი ქართული პროზის განვითარებაში თვალსაჩინო მოვლენაა უპარველესად სწორედ ფსიქოლოგიზმის მომეტებული სირთულით და გაწაფულობით.

თითოეულ პერსონაჟს, რომელიც აშოტის და შუქიას სიყვარულის წინააღმდეგ ამხედრდება, თავისი შინაგანი, ფარული ზრახვები და სტიმულები აქვს საამისოდ, მაგრამ ეს სტიმულები აუცილებლობით გადაეხლართებიან ერთმანეთს და კონცენტრირდებიან მრისხანე ძალად.

გრიგოლის და აშოტის ბავშვობისდროინდელი მეტოქეობა და შური ერთმანეთის მიმართ განსაკუთრებით ღრმა კვალს გრიგოლის არსებაში ტოვებს. აქედან მოკიდებული, მისი ფარული მამოძრავებელია სურვილი, რაღაც უნდა დაუჯდეს, გაუტოლდეს და გადაამეტოს კიდევ აშოტს, იყოს უფრო დიდი

სულიერების სფეროში, ვიდრე აშოტია სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში. მეფის კარზე აღსაზრდელად აყვანილი ბავშვი დამცილებას გრძნობს უფლისწულის გვერდით თავისი მეორეხარისხოვანი მდგომარეობის გამო და ამ წყენის და დამცილების კომპენსაციის მოთხოვნილება გრიგოლს დაძაბული ქმედებისკენ. თავდაუზოგავი შრომისკენ უბიძგებს, ნებისყოფას უაღრესად უკაყებს. იგი ესწრაფვის ღმერთთან სიახლოვეს, წმინდანურ სრულყოფილებას, ოღონდ ახვედროს სურს იქცეს ამ ქვეყნიურ სათაყვანებლადაც, მიღწიის სასულიერო გმირობის უზენაეს წარჩინებას და აღზევებას, ამქვეყნად უკვდავყოს თავისი სახელი. პატივმოყვარეობაა გრიგოლის ენერჯის დაუშრეტელი მასაზრდოებელი და ის გარკვეულწილად ახერხებს ამ ძალის სუბლიმირებას, შემოქმედებით აქტივობად გარდაქმნას. მწერალი „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაზე“ დაყრდნობით მოგვითხრობს მისი დიდი ღვაწლის, მისი ნაყოფიერი აღშენებლობითი საქმიანობის შესახებ; აფასებს გრიგოლის დამსახურებას ქვეყნის სარწმუნოებრივ აღორძინებაში, გაძლიერებაში; მან იცის, რომ მაჰმადიანობასთან შეჭიდებულ ქვეყანას ძალიან სჭირდება ქრისტიანობის ენერჯული და აქტიური მსახურები. გრიგოლის პატივმოყვარეობასაც ავტორი ამ კუთხით საკმაოდ შემწყნარებლურად უცქერს, — მისი რელიგიურობა ჰუმანისტურია, ადამიანის მოყვარულია და მის მიმართ ლობიოერი, ვინაიდან იგი ღვთის ქმნილება და სახეა და თვით მისი სისუსტეებიც კი გაშუალებულად ამაში იღებს სათავეს. როგორც ჩანს, მწერალი გულსხმობს, რომ შესაძლებელია მათი სასიკეთოდ წარმართვა, გაკეთილშობილება. „უკ, მიწიერია ადამიანი და ქვეყნიური გრძნობა არ განშორდება მის გულს არცროდის. შეუძლიან შეზღუდოს ამო სურვილები, წარმავალი სიტკბოებანი; ვერ უარყოფს თვის ლტოლვილებას დიდებისადმი, ვერ უკუაგდებს სურვილს უკვდავებისას, ვერ შეუთრგ-

დება განქარვებას თვის სახელისას: უკვდავმა შექმნა კაცი ხატად და მსგავსად თვისად და დაუწერა სწრაფვა გარდუვალ დიდებისადმი“. ცხადია, ეს არ არის საერთოდ პატივმოყვარეობის გამართლება. ბარნოვი ბუნებრივად და არსებობის უფლების მქონედ მიიჩნევს მხოლოდ უკვდავების წყურვილს. ადამიანური ინდივიდუალობის ისეთი ზრდის და გავრცობის წადილს. რომელიც ღვთაებრივ სიარულს ესგავსება და უახლოვდება. მწერლის ამგვარ თვალსაზრისს რენესანსული სული მსკვალავს. ისევე როგორც მის სიყვარულის კონცეფციას. იგი მოიკავს ადამიანის შემოქმედებითი ძალმოსილების რწმენას. — უკვდავების მოთხოვნილება დიდ საქმეებში და ქმნილებებში განივთდება. გრიგოლის შემოქმედებითი აქტივობაც დაძაბული და პროდუქტიულია.

მაგრამ კიდევ უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანია, და უცნაურიც არის. რომ შემწყნარებლურია თვით გრიგოლის დამოკიდებულება თავისი პატივმოყვარეობისადმი. რასაკვირველია, მას, როგორც ქრისტიანს, შეგნებული აქვს ამ ენების საძრახისობა, მაგრამ მის აღმოფხვრას კი არ ცდილობს, არამედ ღმერთისგან პატივმოყვარულ მისწრაფებათა შენდობას ელის და იმედოვნებს, რომ მათ ძალას სასიკეთო მოღვაწეობაში გადაადნობს. „— ნუ მიწყენ, მეუფეო, ამპარატავნობასა ჩემსა; მსაჭე მე არა გულისთქმისათვის ჩემისა, მოქმედებათათვის ჩემთა. საქმეთა ჩემთა გამომაჩინონ მე“. პატივმოყვარეობა ისე ღრმად და ერთიანად არის გამჯდარი გრიგოლის სულიერ არსებაში, რომ იგი მის გარეგნულ თავმდაბლობასაც სარჩულად დაყვება. ის უარს ამბობს საეკლესიო იერარქის, ეპისკოპოსის თუ პატრიარქის დიდებაზე, რადგან ეს დიდება ესახება საერო ხელისუფლების ბრწყინვალეების მხოლოდ მიბაძვად. ასლი კი ვერასდროს გაუტოლდება დედანს. — ასეთ შემთხვევაში გრიგოლი ვერ გაუთანაბრდება და მიოუთმეტეს ვერ აღემატება მეფე აშოტს; მხოლოდ წმინდა-

ნის დიდება აიყვანს ისეთ სიმაღლეზე, რომელიც ყველასთვის, მათ შორის შეფისთვისაც მიუწვდომელია. როცა მაღალ საეკლესიო ხარისხზე უარს ამბობს, გრიგოლი ქრისტეს თავმდაბლობას და მოკრძალებასაც იხსენებს, მაგრამ ის არ უმაღავს თავის თავს საკუთარი გარეგნული მოკრძალების ნამდვილ არსს. მისი პატივმოყვარეობა იმდენად მძლავრია, იმდენად წარმმართველია ეს ძალა მის სულიერ-რელიგიურ აღმაფრენაში, რომ მას და ამ აღმაფრენას ერთმანეთისგან ვეღარ აცალკევებს. „— ნუ მიწყენ ზვიადობას სიმდაბლისას, ვგრძნობ სულსა ძლიერსა შენგან მობერისს, მადლს ფრთოსანს სიმაღლედ ამყვანებელს, ნებისყოფას მძლეს, განმტკიცებულს შენის მარჯვენით; განვიციდი ამას და ვისწრაფვი შუქისკენ, რომელს ვხედავ ამ ვიწრო და ბნელის სავალის დასასრულს“.

გრიგოლი კომპრომისზე მიდის თავისი პატივმოყვარეობის წინაშე, იმ ლტოლვის წინაშე, რომელიც ქრისტიანული თვალსაზრისით სატანური წარმოშობისაა და რომლის დათრგუნვა, დამარჯნება არის მორწმუნის და მითუფრო ასკეტის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი. „ასკეტიზმის მიზანია სულის ბატონობა სხეთსზე, ეგოიზმის დაძლევა, — მისი უფრო ფაქიზი, უფრო სულიერი სახითაც და მისი მიმართულობითაც გრძნობაზე და მდაბალზე; ყოველგვარი თვითგანდიდების და ქედმაღლობის გადალახვა...“ (გ. მარტენსენი, ქრისტიანული მოძღვრება ზნეობის შესახებ). ლოგიკურია, რომ, რაკი ქრისტიანობა სატანის და ადამიანის დაცემის მიზეზად გამრუდებულ თავისუფალ ნებას, თავნებობას მიიჩნევს, იგი უწინარესად სწორედ ამ საწყისთან ბრძოლას სახავს აუცილებლად. ს. ავერინცევის აზრით, „ქრისტიანულ ასკეტიკაში, საბოლოო ანგარიშით, ამოსავალია „მორჩილების“ და „თვითნებობის“ დაპირისპირება, ნეოპლატონურ ასკეტიკაში — სულის და მატერიის დაპირისპირება“.

გრიგოლი, პირიქით, თავის ასკეტურ

მოღვაწეობას ნაკლებად მიმართავს თავმოთნეობის დასაძლევად და თავისი მტკიცე ნებისყოფის მთელ ენერჯიას მოახმარს ხორციელი ლტოლვების აღკვეთას. შეიძლება ითქვას, რომ რაც უფრო დიდია და ძლიერია მისი ფარული პატივმოყვარეობა, მით უფრო სასტიკად ახშობს იგი ხორციელებას და პირუქუ — რაც უფრო მეტ წარმატებას აღწევს ხორციელების ჩახშობაში, მით უფრო ძლიერდება და კმაყოფილდება პატივმოყვარეობა, მით უფრო უახლოვდება თავის მიზანს, რასაც ამქვეყნიურობის ძლევის გზით წმინდანის სიმაღლის მიღწევა წარმოადგენს. მაგრამ მთავარი ის არის, რომ წმინდანობა სიღრმისეული მიზანია არა თავისთავად, არამედ იმდენად, რამდენადაც იგი თავისი სიმაღლიდან ამქვეყნიურობაზე მბრძანებლობს. მიწიერი სამყაროს უარყოფა გრიგოლისთვის მიწიერ სამყაროზე ბატონობის შესაძლებლობის მიმნიჭებელია. როგორც ცნობილია, ამგვარი მიზანსწრაფვა სრულად დასავლურ ქრისტიანობაში, პაპიზმში, კათოლიკურ თეოკრატიაში განხორციელდა, თუმცა მსგავსი ტენდენცია არც აღმოსავლეთისთვის იყო უცნობი, რასაც თუნდაც თვით მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ადასტურებს.

ხორცის დამთრგუნავი თავგამეტებული ასკეტური ღვაწლის გამო გრიგოლი ეუბნება თებრონიას: „...ის არის გზა ცხოვრებისადმი დაუსრულებელისა, იგივე მათუფლებს მე ქვეყნიურ ძალთა ზედან ყოველგვართა. კარგად შეიგნე: იგივე მათუფლებს მე ყოველთა ქვეყნიურთა ძალთა ზედან! შენც გაუფლებს, ჩემო კარგო“. საკუთარი ხორციელების შეზღუდვა, მკაცრი თვითაღკვეთა გრიგოლს აძლევს საშუალებას, ამქვეყნიური ცხოვრებით მცხოვრებთ თავს მოახვიოს, უკარნახოს თავისი ნება, მათ ხორციელ, მიწიერ ვნებებთან ღმერთის და სიწმინდის სახელით ბრძოლის მეშვეობით დაიმკვიდროს ძალაუფლება; საკუთარ ხორციელ ბუნებაზე გამარჯვების შემდეგ „შეუბრალებლად აღიმართება

რვალის მარჯვენა საწრთველად სხვათა, თვით ქედფიცხელთა მოსაძიებლად“. მაგრამ მანამდე საჭიროა ისევ და ისევ თავისავე არსებაში შეუპოვარი წინაღობა ხორციელი სწრაფებისადმი, ნებისყოფის გამოწრთობა ამ დაპირისპირების სისასტიკეში, თავის თავზე ბატონობის უნარის სრულყოფა, რაც სხვების დამორჩილების წინამძღვრად შეიძლება იქცეს. თებრონია, მისი სიყვარული სჭირდება გრიგოლს, რათა ხორციან ბრძოლას სიმწვავე მიუმატოს და თავისი ნებაც უფრო მეტად გამობრძმედოს, სიყვარულის მსხვერპლად შეწირვით ღვთის წინაშე თავისი ღვაწლი გაადიდოს. გრიგოლისთვის თებრონია თითქოს თავისებური „ცდისპირია“, რომელზეც ძალებს მოსინჯავს — თავის თავზე და სხვებზე ბატონობისას. აღწევს კიდევ საწაღებს, თავსაც იმორჩილებს და ქალის ნებასაც თავისი მძლავრი გავლენის არეში სამუდამოდ მოამწყვდევს. თუმცა არა მარტო გრიგოლი ბატონდება თებრონიაზე, არამედ თვითონ თებრონიაც უმოწინებს თავის თავს მკაცრ ასკეტს ისე, რომ სხვა აღარაფერი დარჩენია იმის გარდა, გრიგოლთან სულიერი ურთიერთობა, გრიგოლის თანამოაზრობა და თანამებრძოლობა იქმაროს; თვითონაც ასკეტობა იტვირთოს და გრიგოლის ხვედრი გაინაწილოს, რათა მასთან ერთად ერთი მიმართულებით იაროს. ამ ქალის ტანჯულ სიყვარულს ბარნოვი შთაგრძნობით გამოსახავს, როგორც ემოციათა მრავალტონიან გამას, იმედს და სასოწარკვეთას შორის მერყეობის წამებას, რომელიც თვით საყვარელი არსების მოსპობის წადილსაც შობს. ეს უარყოფილი სიყვარული თებრონიასაც გულს უქვეავებს და ასასტიკებს, ყოველგვარი ამქვეყნიური სიამის, მშვენიერების, სიყვარულის მოძულედ აქცევს. იგი ასკეტი ხდება არა ღმერთის სიყვარულით, ღმერთთან სულიერი მიახლოების წყურვილით შეპყრობილი, არამედ იმის გამო, რომ მოშურნე მტრობით და ზიზღით იქლინება მისთვის მიუწყვდომელი ხორციელი და მიწიერი

ბედნიერებისადმი, რომელსაც ცოდვად მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ თვლის, რომ თვითონ მას არ ხვდა წილად. ამის გარდა, თებრონიას ასკეტურ მოღვაწეობას ასულდგმულებს მოთხოვნილება, ამ ასპარეზზე დაუმტკიცოს გრიგოლს თავისი ღირსება, სრულფასოვნება, თავი მოაწონოს მას. თებრონია მართლაც ღირსეულ თანამოსაგრედ ევლინება გრიგოლს ხორციელებასთან დაუწნობელ ომში. ის და გრიგოლი, რომლის გული მაინც სავსებით შეუვალი ვერ დარჩა სიყვარულისადმი, თავის თავში რომ სასტიკად იხშობენ მიწიერ სურვილებს, თავის ირგვლივაც იმავე სისასტიკით ლამობენ მათ ამოძირკვას. ეს არ არის მოულოდნელი, რადგან ადამიანის სიღრმისეული მიმართება საკუთარი თავისადმი და სხვებისადმი, როგორც ეფრომი განმარტავს, არსებითად ერთნაირია, ერთგვაროვანია. მოულოდნელი არ არის ისიც, რომ გრიგოლის და თებრონიას წარმოდგენაში არსებული ღმერთი, იმის მიუხედავად, გაცნობიერებული აქვთ მათ ეს თუ არა, აღარ არის ღმობიერი და გულმომწყალე, განუზომელი სიყვარულით აღსავსე ქრისტიანული ღმერთი, „რომელს სიბრაღულით ევსებოდა გული ადამიანის ტანჯვის ხილვაზე და მზად იყო შეენდო ყოველთვის, ყოველთათვის“. სინამდვილეში ისინი თავყანს სცემენ „მაცხოვარს კაცთა სისასტიკისაგან შექმნილს, უგულოს, რომელს გზნებულ კოცონზედ აპყვანდა ყველა, ვინც ეახლებოდა მას არა როგორც მონა უსიტყვო მის წინ მძრწოლარე“. ღმერთზე წარმოდგენის რაობა გეზს აძლევს როგორც ღმერთისადმი, ასევე თავისი თავისადმი და სხვებისადმი ადამიანის დამოკიდებულებას, მის ფასეულობებს და მიზანსწრაფვებს. კერძოდ, თუ ადამიანს ღმერთი შიშის-მომგვრელ ტირანად ესახება, ხოლო თავის თავს მისი ნების მედიუმად და გამტარებლად მიიჩნევს, ბუნებრივია, ის ძალაუფლებაზე და ბატონობაზე იქნება ორიენტირებული და თავის ზეციურ კერპს ემსგავსება. სწორედ ასეთად

ფორმირდება გრიგოლის და თებრონიას მსოფლმომართება.

მეფის სასიყვარულო კავშირის მხილება და დარღვევა გრიგოლის და თებრონიას ფარული განზრახვების, სანუკვარი მიზნების და სურვილების სრული რეალიზაციისთვის უაღრესად ხელსაყრელ საშუალებად იქცევა. დგება მათი მოღვაწეობის კულმინაციური და გადამწყვეტი მომენტი, როცა საკუთარი ძალების მთლიანი შემოწმება და მობილიზება უნდა მოახდინონ, თავისი ძალაუფლება სავსებით და მტკიცედ უნდა დაამყარონ; მწარე მარცხი აგემონ მეფეს და... სიყვარულს, რომელიც თავის თავში ასე დაუნდობლად გასრისეს, დაუნდობლად, მაგრამ არა დაუნანებლად და ეს გამაბოროტებელი სინანულიც აიძულებთ, შური იძიონ მათზე, ვისაც დიდი სიყვარულის ბედნიერება ერგო. ეს უპირატესად თებრონიანზე ითქმის. გარეგნულად იგი უფრო მეტად აქტიურობს, ვიდრე გრიგოლი, მეტ სიფიცხეს და მოუთმენლობას იჩენს და მზადაა სიცოცხლეც არ დაზოგოს სატანურად ჩათვლილ ძალებთან ბრძოლაში. მაგრამ მის ამ განზრახვასაც მალული, გაუმხელებელი საფუძველი აქვს — თავი გამოიჩინოს, გაბრწყინდეს, დაუმტკიცოს გრიგოლს, რომ მისი სიყვარულის ღირსი იყო, ტყვილი აგრძნობინოს იმის გამო, რომ ქალს შეუბრალებლად მოექცა. გრიგოლი კი, რომელიც სიმტკიცესთან ერთად ფრთხილ ანგარიშობანობასაც არ არის მოკლებული, არსებითად კიდევ ერთხელ წირავს თებრონიას, ძნელი და საშიში საქმის სიმძიმეს ძირითადად მას აკისრებს, მეფის მოსალოდნელ რისხვას მართო შეატოვებს.

მეფისადმი სახიფათო დაპირისპირებაში გრიგოლი და თებრონია საბრძოლო ხერხებს მაინცდამაინც ფაქიზად არ ირჩევენ და ეს გასაგებიცაა, — ისინი ხომ სატანას, ტოტალურ ბოროტებას ებრძვიან და, ამდენად, თვით სისასტიკე, ცბიერება, უსუფთაო მეთოდები გამართლებულია. ცოცხალი დადამიანის, ცოცხალი გრძნობების დანახვა მათ არ

უნდათ, ხედავენ მხოლოდ ცოდვას აბსტრაქტულად, რადგან ასე, სატანის წინააღმდეგ ლაშქრობის ეგიდით, უფრო მოსახერხებელია და საპატიოც არის შეუწყნარებლობის გამოძღვანება, სიძულვილის, შურისძიების, ბატონობის წყურვილის ძალთა შეუფერხებლად ამოქმედება.

თუმცა გრიგოლის და თებრონიასთვის მათი განწყობების და ქცევის პირველსათავეები მთლად ბნელითმოცული არ არის, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, გონების თვალს აშორებენ მათ, თავიანთი მრწამსის და საჭაროდ გაცხადებული მიზნების თეგირის უკან მოაქცევენ და თავისთვისვე ნაკლებად შესამჩნევს ხდიან; იჯერებენ, რომ მრწამსის მოთხოვნებს ასრულებენ და სხვა მიზანი არა აქვთ. მათი ქცევა შეესაბამება იმ პრინციპებს, რითაც საერთოდ ხელმძღვანელობენ, გარეგნული, ფორმალური თვალსაზრისით ისინი მართლები არიან, მრუშობის აღმოფხვრას ცდილობენ და ეს უადვილებთ საკუთარი სულის იღუმალი კუნჭულებისთვის მზერის მოცილებას, თუმცა გრიგოლი განსაკუთრებულად კრიტიკულ მომენტებში მაინც წუხილით ამჩნევს თავის მოქმედებაში თავმოთენობის ნიშნებს.

რომანის პერსონაჟებს შორის გრიგოლი ყველაზე რთულია, მრავალწახანგოვანია. თავისი მსოფლგაგების ჰეშ. მართებაში ეს ღრმად დარწმუნებული კაცი დროდადრო ეჭვის მეტად მტკივნეულ შემოტევებს განიცდის. ის შიშობს, ხომ არ უარყო თებრონიას სიყვარულის ჭახით თვით ღმერთის ამქვეყნიური გამოცხადება; მშვენეირების, სიხარულის, სიამეთა უკუგდებით ხომ არ გადაუხვია ღვთისგან კაცისთვის დაკისრებულ მისიას, რომელიც, შესაძლოა, სულიერის და ხორციელის ჰარმონიულ შეზავებაში, სულის მიერ ხორცის არა მოძაგებაში, არამედ გასბეტაკებაში მდგომარეობდეს... ასეთი ეჭვები უახლდება და ეძალება მას, როცა შექიას დაატყვევებს და მონასტერში მიყავს.

დიდებულ სცენაში, სადაც ეს არის აღწერილი, გრიგოლი მძლეველიც არის და ძლეულიც, მბრძანებლობს ქალზე და ამავე დროს იხიბლება მისით, შინაგანად გატეხილია ორჭოფული ფიქრით... მაგრამ დაეკვებები მძლავრი ნებელობით ჩაიხშობა და ისინი ვერ არბილებენ გრიგოლის მოქმედების სიმკვეთრეს, მის მიერ შექმნილ მოტყუებით, სულიერი და ფაქტობრივად ფიზიკური იძულებითაც სასახლიდან გამოყვანის და მონასტერში გამოძწყვდევის აქტი უკვე ძალიან ჰგავს მტარვალობას და ასეთი რამ გრიგოლის ფსიქოლოგიის და მრწამსის შინაგანი ლოგიკის თვალსაზრისით გარდუვალია. მეტოქეობის და განდიდების, ბატონობის მალული ვნებები, თვითდარწმუნებული შეუწყნარებლობა სატანურად მიჩნეულისადმი და მისი ყველანაირი საშუალებით ერთიანად განადგურების ჟინი ბუნებრივად გასრულდება ძალადობით, ცოდვილად შერაცხულის სულზე და სხეულზე ძალმომრეობით. ქრისტიანობა, თავისუფლების და სიყვარულის რელიგია, აქ არსებითად ინკვიზიციად, თავის საპირისპირო და საწინააღმდეგო მოვლენად გარდაიქმნება. პარადოქსულია და ქრისტიანობის მსახურთა დამამდაბლებლად წარმოჩენი, რომ მათგან განსხვავებით საერო ხელისუფალი, მეფე თავდაცვისთვისაც არ კადრულობს ძალდატანებას ქალის (თებრონიას) მიმართ.

მეფეს შექმნიასთან ძალით განშორება სასოწარკვეთაში აგდებს, სულიერად ადამბლავებს, ეს კი მამამდიანობისგან შევიწროებულ ქვეყანას უმეთაუროდ ტოვებს და განსაცდელის წინაშე აყენებს, — გარეგნულად სახელმწიფოს საკეთილდღეოდ განხორციელებულ აქტს სწორედ სახელმწიფოსთვის საზიანო შედეგი მოყვება. მალალ საზოგადოებაში მწიფდება აზრი შექმნის სასახლეში დაბრუნების შესახებ. ზნეობის ეგზალტირებული დამცველებიც შეყოყმანდებიან, ფანატიური დაბანჯულობიდან გამორკვევას იწყებენ, მითუფრო, რომ კათალიკოსიც გულმონყალებსკენ

მოუწოდებს. „შეიგნეს, რომ ამ შემთხვევაში მათ ზედმეტი იტვირთეს, უფრო მეტი, სანამ იესომ, რომელმაც აუკრძალა მოწაფეებს, გადმოვევლინათ ურწმუნოებზე ცეცხლი ციური, რომელმაც განათავისუფლა მეძავი განწირული. შეკრთნენ კიდევ, როცა ჰნახეს როგორ დაახლოებოდნენ მკაცრ წინასწარმეტყველებს სასტიკი იელოვასი, რომლებიც ბოროტი ღიმილით ბაგეზედ თვითონ ჰკლავდნენ მსახურებს ბაალისას“. გრიგოლი გაკვირვებით აცნობიერებს, რომ რაც ღმერთის ნების შესატყვისად წარმოედგინა, რეალურად ძალზე შორსაა ქრისტესგან, მისი ღმობიერების და მიმტვეებლობისგან. აცნობიერებს, რომ მართებულია ცოდვისადმი წინაღობა არა სისასტიკით, უღმობლობით, არამედ ადამიანისადმი ქრისტესებური თანაგრძნობით, კეთილი შეწყვნიით; ცოდვის შანთით ამოწვა თვით ცოდვილსაც სობს განკურნების ნაცვლად: სისასტიკეს, ძალმომრეობას მხოლოდ ადამიანისთვის თავისუფლების წართმევა შეუძლია და არა მისი ჭეშმარიტებასთან მიყვანა; თავისუფლების ღმერთს კი თავისუფალი ადამიანი სურს, რომელიც ძალდაუტანებლად ამბობს უარს ცოდვაზე, ცდომილებაზე და თავისი ნებით ირჩევს მას და მის ნებას. „განაყველას შეუძლიან ზიდოს ჭვარი გოლგოთად, თუნდ სხვისი დახმარებით! ტვირთმძიმენი მისწრაფიან იესოსადმი სახიერისა, რომ შეუნდოს მათ, ღირს. ჰყოს ზეიმს საქორწინოსა თვით უღირსნიცა. ნუ შეამძიმებ, საყვარელო, ისეც ტვირთმძიმეს, მიწამდინ დახრილს! ზელი უბყარ მას და აღადგინე! სახიერება შენი გულს მოულობს მას და მოგენდობა. აასრულებს ყველას, რასაც ეტყვი სიღრმიდან მოყვარულის გულისა. განდევნე სიმკაცრე გარდარეული! ის გულფიცხელ ჰყოფს ადამიანს, განაძებს მისგან ყოველ სიყვარულს. გულმშრალი ძალა მხოლოდ გადასტეხს ნებისყოფას, დაგიმონებს მას, მაგრამ არ მიიღებს იესოსგან ტყბილისა არც დამონებული, არც დამმონებელი. ჰბაძავდე მას, ემზ-

გავსებოდე!“ ახლა გრიგოლი იმასაც ნათლად ხედავს, რა დიდი წილი უღევს ქრისტიანული ლმობიერებისგან მის დაცულებასში თავმოთნობას, პატივმოყვარეობას, რომლის ნაყოფად მხოლოდ დიდ და კეთილ საქმეთა ხილვის იმედი ჰქონდა.

მაგრამ ეს გამოფხიზლება უკვე ნავიანევი, რადგან ხორციელების სიძულვილი, ფანტიკური შეუწყნარებლობა და სისასტიკე არსებობს და მოქმედებს მდამბიური, განუეთარებელი ცნობიერების დონეზეც და მისი აქტივობა წაქეზებული და სადავეახსნილია სწორედ სარწმუნოებრივ წინამძღოლთა მიერ. მონაზონი ივდითი გრიგოლის და თებრონიას მახინჯი, გამარტივებული მსგავსებაა, თითქოს მათი არსების შემზარავად ჰიპერტროფირებული და პრიმიტიული ორეულია, რომელსაც ლოგიკურ დასასრულამდე — მკვლელობამდე, მშვენიერი და სათნო ქალის სამარცხვინო, ბარბაროსულ მოსპობამდე მიყავს მათ მიერ წამოწყებული დაუნდობელი ბრძოლა იმასთან, რაც სატანურ, მანკიერ ხორციელებად და საზიზღარ ცოდვად წარმოიდგინება. შეუწყნარებლობა, იდეოლოგიური აგრესია მომაკვდინებელ ფიზიკურ აგრესიაში გადაიზრდება.

ბრძოლის მოთავეების, გრიგოლის და თებრონიასთვის ეს მორალური კრახია, — ასკეტები, სულიერი სიწმინდის და გამბობისკენ მძაფრად მიმსწრაფი ადამიანები, მკვლელობის უშუალო აღმსრულებელთან ერთად საშინელი ცოდვის პასუხისმგებლობას კისრულობენ. მათ მაქსიმალიზმს, სხვათაშორის, აშოტის გაბოროტება, გასასტიკებაც მოყვება. ხოლო სარწმუნოების და ეკლესიის ავტორიტეტი, იმის ნაცვლად, რომ განმტკიცებულყო, როგორც მათ ჩაფიქრებული ჰქონდათ, ილახება და კლუბდობს, რაც სიმბოლურად გამოიხატება რომანის ფინალით — შუქიას ძმების მიერ აშოტის ტაძარში მოკვლით.

თავისი შეცდომის და მისი სამწუხარო შედეგის მტკივნეული სიცხადით

გაცნობიერება გრიგოლს ტრაგიკულ პიროვნებად წარმოგვიდგენს. ის ხვდება, რომ აკლია უმთავრესი ქრისტიანული სიქველუები, ლმობიერება და თავმოთნობაზე ამაღლება, ცდილობს მათ მოპოვებას, მაგრამ მაინც ვერ ახერხებს თავის შეუპოვარ არსებაში მათთვის ადგილის პოვნას. სამყარო მისთვის ბოლომდე რჩება კეთილის და ბოროტის გააფთრებულ კვებებად. „რანდი იყო ის მეტბოლი ეკლესიისა და ვინ სთქვა ბრძოლაში ლმობიერება?!“ ხასიათის ასეთი მთლიანობა, შეუხრებლობა გრიგოლის სახეს პირქუშ სიდიადეს მატებს.

გრიგოლი და თებრონია თითქოს მართალ საქმეს, ქრისტიანულა ზნეობის განმტკიცებას ემსახურებიან ერთგულად, შემართებით და რწმენით, ამ მსახურების რეზულტატი კი ანტიქრისტიანულია, ანტიადამიანურია, რისი თავიდათავიც ის არის, რომ გრიგოლს და თებრონიას არა აქვთ სიყვარული. იგი, როგორც ურთიერთლოვა, მათ თავის თავში გათელეს, აწამეს, ჯვარს აცვეს, მაგრამ მათში ჩაკვდება საერთოდ სიყვარულის ნიჭიც, სიყვარული ადამიანისადმი, მოყვასისადმი, რომელიც ღმერთისადმი სიყვარულის უტყუარი, მეტიც, ერთადერთი საზომია. ისინი ასკეტები სიყვარულის ხარჯზე არიან, მთელ თავის რელიგიურ არსებობას და მოღვაწეობას ამყარებენ სიყვარულისგან დაშრეტილ ხრიოკ ნიადაგზე, ენერჯის და შთაგონებას პოვებენ არა სიყვარულში, არამედ იმის სიძულვილში, შეურჩევებელ უარყოფაში, რასაც სატანურად თვლიან. სიყვარულის უუნარობა მოასწავებს, რომ მათთვის ადამიანი და მისი კეთილადყოფნა კი არ არის მნიშვნელოვანი და მითუმეტეს მთავარი ფასეულობა და მიზანი, არამედ აბსტრაქტული პრინციპი — მათსავით უსიყვარულო ღმერთის ნების გატარება დედამიწაზე და სატანის ძლევა, რაც ფაქტობრივად მათი ძალაუფლების მსურველი ნების დაფუძნებაა და სწორედ კონკრეტული ადამიანის მიმართ ულმობლობის მეშვეობით რეალიზდება.

უსიყვარულოდ, თანაუგრძნობლად, ადა-
მიანისადმი ფაქიზი დამოკიდებულების
გარეშე განხორციელებული, შეფარუ-
ლი ეგოისტური ლტოლევით სტიმუ-
ლირებული ცოდვის აღმოფხვრის ცდა
თვით ამ ცოდვაზე უფრო დიდ ბორო-
ტებას იწვევს, — რომანის აზრობრივ-
მხატვრული კონცეფციის გაშლით ეს
სრულიად ეჭვშეუვალად დასტურდება.
თუნდაც დავეშვათ, რომ აშოტის და
შუქიას ურთიერთობა მართლაც ცოდ-
ვიანია, — თუმცა ავტორი მას წარმოსა-
ხავს ამიღლებულ, ღვთიური მადლით
ცხებულ გრძნობად, რომელსაც მხო-
ლოდ სახე აქვს ცოდვის, — გრიგოლის
და თებრონიას აქტივობა ქრისტიანობის
გულისგულთან მიანიც შეუთავსებელია.
მათი მიზანი რომ ცოდვილი სულების
ხსნა იყოს, მაშინ, როგორც ქრისტიან-
ობის ჭეშმარიტ მსახურებს შეფერიოთ,
ამ სულებში ჩაწვდომას ეცდებოდნენ —
გულისხმიერების, თანაგანცდის მეოხე-
ბით და შემდეგ შეუდგებოდნენ მზრუნ-
ველობით მათ განკურნებას. გრიგოლის
და თებრონიას ხელში, რომელსაც სიყ-
ვარული არ წარმართავს, ქრისტიანული
ზნეობრივი კანონები, სწორედ ღმერ-
თის და კაცის ცოცხალი სიყვარული
რომ უძევთ ქვაკუთხედად, იქცევა ადა-
მიანის დამორგუნავ, გახევებულ ფორ-
მლობად, უსულო კონსტრუქციად. მას
ისინი უხეშ იარაღად მოიხმარენ, კლავენ
ჭეშმარიტ სიყვარულს, არსებითად კლავ-
ვენ ღმერთს, როცა ყოველივე ამას ვით-
ვალისწინებთ, შესამჩნევი ხდება, რომ
რომანის სათური „ტრფობა წამებული“
მართო აშოტის და შუქიას ტრაგიკულ
სიყვარულს კი არ გულისხმობს, არამედ
ზოგადად სიყვარულს, როგორც ამქვეყ-
ნად მოვლენებული ღვთაებრიობის, რო-
გორც თვით ღმერთის წამებას.

ჭეშმარიტ, შეურყვანელ ქრისტიანულ
ფასეულობებს, ადამიანის სიყვარულს,
თანაგრძნობას და გულმორწყალებას,
შემწყნარებლობას ნაწარმოებში გა-
ნასახიერებენ ეპიზოდური, მაგრამ
დასამახსოვრებელი გმირები — კათა-
ლიკოსი, მონაზონი თემისტო, უდრტ-

ვინველად სწირავს თავს ღმერთს, ქვეყანას
ეპისკოპოსი ტიმოთე — ჩუმი, უბრალო ბერი.
თავისი ბუნებით ნამდ-
ვილი ქრისტიანია თვით შუქია, რომე-
ლიც ყველას მიმართ კეთილმოსურნეა
და რომლის სულს არ ამღვრევენ ქვე-
დამზიდველი იმპულსები და მედიდუ-
რობა; და ბოლოს, ნაწარმოებს კაცთ-
მოყვარული ქრისტიანული სულით ათ-
ბობს ავტორის მაღალი და დახვეწილი
მგრძნობელობით გამსჭვალული ლირი-
კული მონოლოგები, კომენტარები, ჩა-
ნართები.

„ტრფობა წამებულის“ ცენტრალურ
კონფლიქტს და მხატვრულ საზრისს
ქმნის ავტორიტარული და ჰუმანისტუ-
რი რელიგიურობის დაპირისპირება. თუ
პირველი ადამიანს შიშით ქედს ჰიად-
რეკინებს და არარაობად აქცევს, მის
თავისუფლებას, სულიერი პოტენციის
რეალიზაციას ბოჭავს და ადამიანზე ბა-
ტონობისთვის გამოიყენება, მეორე
ადამიანური ინდივიდუალობისადმი პა-
ტივისციემას, თავისუფლების, სულიერი
სიმართლის და ბედნიერებისკენ მისი
სწრაფვის სრულუფლებიანობის აღიარ-
ებას და ადამიანის მაღალი, ღვთიური
ღირსების დაფასებას ემყარება. რომა-
ნის მიხედვით, ქართველი ხალხის მსოფ-
ლანცდა ეწინააღმდეგება რელიგიას,
რომელსაც ავტორიტარული ვეწოდეთ
და ბუნებრივად მიელტვის რელიგიუ-
რობის ჰუმანისტურ ტიპს. „ქართველი
სჯულის მოყვარული იყო, მისთვის თავ-
დადებული, მაგრამ თვია ღმერთთან
ურთიერთობაში უარსა ჰყოფდა სასტიკ
წესებს; ლალად მოქმედებდა წინაშე
ღვთისა, როგორც მამის წინ, რომლი-
სადმი პატივი და სიყვარული ღრმა
არის, ძრწოლა კი დაკნინებულ-დამცო-
რებელი. უყვარს ქართველს თვისი მე-
უფე, ზოლო ალლოთი იცის, რომ შიში
უარყოფს ყოველ სიყვარულს, გარე გან-
დევნის მას“.

ასეთი ზოგადი აზრობრივი მოტივე-
ბი და მსოფლმხედველობრივი პრობ-
ლემატიკა, ფილოსოფიურად განყენებუ-
ლი მასშტაბური ჩანაფიქრი იქვემდე-

ბარებს რომანში ცხოველყოფელი ინტუიციით შეგრძნობილ ისტორიას და ისტორიული პიროვნებების, გრიგოლის და თებრონიას სახეებიც ამ ჩანაფიქრის შესაბამისად, კონცეპტუალიზებულიად წარმოგვიდგებიან. — წარმოგვიდგებიან გარკვეული სულიერი წყობის ადამიანის წარმომჩენ მონუმენტურ ფიგურებად, ადამიანის, რომელიც თანამედროვე აზროვნებამ დაახასიათა როგორც ავტორიტარული. ბარნოვის მიერ გამოკვეთილ ამ ფიგურებში, ერთი შეხედვით თანამედროვეობას სრულიად მოწყვეტილნი რომ არიან, ობიექტურად და ავტორის მიზანდასახულობისგან დამოუკიდებლად, მეოცე საუკუნის, მოძალებული, მძვინვარე ავტორიტარიზმის ეპოქის სულიერი ფიზიონომიის ნიშნები შეიცნობა.

თვალსაჩინო და საგულისხმო პარალელიზმი შეინიშნება ბარნოვის რომანს და ჩვენი საუკუნის ევროპული ლიტერატურის ზოგიერთ მოვლენას შორის. ავტორიტარულად რელიგიური ადამიანის შესანიშნავ სახეს ძერწავს ფ. მორიაცი რომანში „ფარისეველი“. ბრიეტ პიანი ქრისტიანული ზნეობის თავგამოდებული დამცველია, ღვთის ნების უკომპრომისო დამამკვიდრებელია, ოღონდ ეს სინამდვილეში არის მისი საკუთარი ნების დამკვიდრება, გარშემომყოფ ადამიანებზე ბატონობა, მათი მორალური ტერორიზება, რითაც მისი ამპარტავნობა და თავმოთნობა ნაყრდება. ამ ქალის მთელი არსებობა საკუთარ სინდისთან დამალობანას თამაშია და ის მუდამ „მართალია“. მან როგორღაც ყოველთვის ზუსტად „იცის“, რას მოითხოვს ღმერთი ადამიანებისგან და თავდაჯერებულად და უხეშად იჭრება მათ ინტიმურ ცხოვრებაში, ასეთი ჩარევის შედეგები კი საშინელია, ტრაგიკულია. მისი ღმერთი ისეთივეა, როგორც თვითონ არის, — სიყვარულის უნარს მოკლებული, მკაცრი და შეუბრალებელი ზედამხედველი.

ბოლოს მას თვითონვე შეზარავს თავისი უსიყვარულო, მოყვასისადმი უგრძნობელი და შეუწყნარებელი ღვთისმოსაობის ცოდვილი ნაკვალევი. მორიაკის კრიტიციზმი ეყრდნობა ქრისტიანულ ჰუმანიზმს, რომლის უშუალო ხორცშესხმაა რომანის მეტად სიმამათური პერსონაჟი აბატი კალიუ.

გარკვეული შეხების მომენტები აქვს ბარნოვისეულ გრიგოლის სახეს ე. ბერნანოსის რომანის „სატანის შუის ქვეშ“ მთავარ გმირთან. დონისანი თავისი თავისადმი უშედეგათო ასკეტია, რომელიც სიცოცხლის აზრს სატანასთან შეუწყნარებელ და სასტიკ ბრძოლაში პოვებს. ეს ბრძოლა იმ განუზომლად მძლავრ გავლენასთან, ბნელ საწყისს ადამიანების ცხოვრებაზე რომ აქვს მოპოვებული, ჭეშმარიტად პეროიკული და შთაგონებულია, თავგანწირულია. დონისანის სიწმინდე სიკეთისმთესველია, მაგრამ ამისთანავე ის ტრაგიკულ განსაცდელს ვერ აიშორებს — აღარ შეუძლია უყვარდეს, არ ეზიზღებოდეს ადამიანები, რომლებშიც ველარაფერს ხედავს სატანურის, ცოდვილის და მდაბალის გარდა და მისი მეტისმეტი სიცხარე ცოდვის ამოძირკვისას ახალგაზრდა ქალს შეიწირავს. ბოროტება სხვა შემთხვევაშიც ძლევს დონისანს საკუთარ საგანგებო მისიაში ამ რელიგიური ენთუზიაზმით აალებული პიროვნების გადაჭარბებული დაჯერებულობის შემწეობით და კვლავ მატულობს ადამიანური ტყვილი და უბედურება. თავის არაჩვეულებრივ, ტიტანურ პერსონაჟს ბერნანოსი შარავანდედს არ აცლის, მაგრამ გვიჩვენებს არსებითად იმასვე, რაც ბარნოვის რომანში დავინახეთ, — გვიჩვენებს, რამდენად იოლრა ჰუმანიტური ორიენტაციისგან აცდენა და მოულოდნელად სწორედ ბოროტების გაზრდა, გაძლიერება იმის აღმოფხვრის მაქსიმალისტური და თავდაჯერებული ცდისა, რაც სატანურ ბოროტებად დაცხება.

როსტომ ჩხეიძე

ნამი მკობარი

რალა თავისებური მიმზიდველობა ჰქონდა: ისედაც მუდრო ქუჩაში დატანებული თალი და კიდევ უფრო ჩამყდროვებული ეზო, გვერდით ბაღი, ოდნავ მობურული და სრულ სიმშვიდეში ჩაძირული, და ზედ მიბჭენილი ოთახის ყოველთვის ღია კარი... საამო განწყობილებას კიდევ უფრო ამკვეთრებდა კედელზე გაკრული საქართველოს დაძინილი რუკა, ვაჟას ბარელიეფი, ჭკრის გამოსახულება, ასომთავრულის ვეება ფიგურები, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიასა და პავლე ინგოროყვას ფოტოსურათები ერთად და სხვა მხარეს — ნიკო სადაშვილის ფოტო... ხოლო აქეთ — დანტეს, ბოდლერისა და თავორის გამოსახულებანი.

ამგვარი გარემო, განსაკუთრებით ყოველთვის ღია კარი ძალიან აადვილებდა იქ სტუმრობას, თუმცა რა გარემოს ვამბობ... უპირველესად ის კაცი აადვილებდა, ოთახში შებიჭებისას საბეჭდ მანქანასთან მიმჯდარი რომ წარმოგიდგებოდა ან კალმით ხელში, უფრო გუმანით რომ გრძნობდა შენს მიახლოებას.

„ძალიან მიყვარს ახალგაზრდებთან ურთიერთობა, მოდით, მესტუმრეთ, რადროსაც გენებოთ, სულ შინა ვარ, არ მოგერიდოთო“, — ეს მისი ჩვეული სიტყვები გახლდათ, ისეთი გულითა და მოწადინებით ნათქვამი, რომ თუნდ მაშინ გაგეცნო პირველად, მართლაც იოლად გადალახავდი უხერხულობისა თუ უც-

ხოობის განცდას, მიუთმეტეს, თუ შენი ცნობიერების დადგენაზე მის წიგნებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოეხდინა.

მეც სწორედ წინაღობით გავიცანი ის იყო, უნივერსიტეტის დერეფანში ზურაბ კიკნაძეს გამოვემშვიდობე, ვილაციები შემოეხვივნენ და ხელი აღარ შევეშალო-მეთქი, უეცრად შემაჩერა, მოიცა, თამაზი მოდის აქეთ და გაგაცნობო... და მაშინ იყო, რომ შემომთავაზა, თუ გცალია, ახლავე წავიდეთ ჩემთან, გინდ ხვალ მოდიო. ქართული ასომთავრულისადმი მიძღვნილ მის სტატიებზე ჩამოვუგდე სიტყვა და ამან ძალიან გაახარა, ჩემთან გულდასმით ვისაუბრებო, ვერ წარმოიდგენ, რა საინტერესო რალაციები ირკვევაო.

ოღონდ ეს საუბრის დასასრულს იყო.

გაცნობისთანავე სულ სხვა რამ მკითხა.

„შენიშვნები რა გაქვს... „ოდისეა“ მეორე გამოცემას ვამზადებო მე და ზურაბი და ყველას იმას ვეკითხებო, შენიშვნები რა გაქვთ-მეთქი... აი, შენ რა შენიშვნები გაქვს...“

„რა ვიცი, რა შენიშვნა... არა, არაფერი“.

„შენიშვნები როგორ არ გაგიჩნდა, ხომ წავიკითხავს?“

„როგორ არა, როგორ არა“, ძალიან ვთაკილობ.

„აბა, შეუძლებელია შენიშვნები არ გქონდეს, მითხარი რა, ერთი მაინც მითხარი“.

„ასე უცებ რა... ძალიან მომწონს და...“

„რომ მოგწონს, მაღლობლები ვართ მეც და ზურაბიც, მაგრამ შეუძლებელია, შენიშვნები არ გაგჩენოდა, — და ერთბაშად მოგონებებში ჩაეფლო, — მამაშენი იყო „გიტანჯალის“ რედაქტორი და ოცდაათი შენიშვნა მომცა. დღემდე ისეთი მაღლობელი ვარ. მაშინ პირადად არ ვიცნობდი და ნოდარ აღანიამ მომიყვანა თქვენთან. ბატონმა ოთარმა რამდენიმე ლექსზე მითხრა, ესენი „გიტანჯალის“ ორიგინალში ვერ ვნახეო. ეს ლექსები თაგორის სხვა კრებულიდან ამოვიღე, შეუთხარი, აქ უნებლა და იმიტომ ჩავუერთე. ეს ერთი ლექსი კი თაგორისა არ არის, ჩემია, მაგრამ მის მოტივებზე დავწერე, „გიტანჯალს“ რომ ვთარგმნიდი, იმ განწყობილებით, და მიინდა, რომ აქ იყოს, თუ საწინააღმდეგო არაფერი გიქნებათ. არა, საწინააღმდეგო რა უნდა შექონდეს, ორიგინალში რომ ვერ მოვძებნე, იმიტომ გითხარი, სხვა გამოცემა ზომ არ შექონდა ხელთო. მერე ფურცელი მაჩვენა, ოცდაათი შენიშვნა იყო ჩამოწერილი, დანომრილი, მითითებული, რომელ გვერდზე რომელ სტრიქონსა თუ სიტყვას დაეუქმებინა. თვითონ დედანში სიტყვა არ იყო შეცვლილი. გამოვიკვირდა, ისეთი გადახაზულ-გადმოხაზული მიინახავს ჩემი თუ სხვისი დედანი... როგორ შეიძლებაო, ბატონმა ოთარმა, ტექსტში რაიმე ცვლილების შეტანის უფლება ავტორის მეტს არავის აქვსო. შენიშვნები კი აი, ეს არის, ნახე და გინდ გაიზიარე, გინდ არა, როგორც საჭიროდ ჩათვალოო, ეს რამდენიმე ადგილი კი აუცილებლად უნდა გასწორდეს, აშკარა შეუსაბამობააო... ის ფურცელი გამოვართვი, შინ წავიღე და ახლაც შენახული მაქვს... ყველაფერი არ გამოიზიარებია, მაგრამ ჩემთვის მაინც მნიშვნელობა ჰქონდა... თვითონ ეს ურთიერთობა იყო ძვირფასი... მაგრამ, აი, შენ რა შენიშვნები გაქვს. როგორ დავიკვირო, „ოდისეას“ თარგმანში სულ არაფერი გაეჭვებდეს.“

„კეთილი, მაშინ...“

„ჰო, ჰო...“

„მაშინ, აი, შენიშვნა კი არა...“

„თქვი, აბა, გისმენ“.

„რამდენად ზუსტად მახსოვს... აი, რომ გიწერიათ, „ხარის გამოშვების ქამმა მოაწიაო...“

„ზურაბ, ზურაბ, ერთი აქ მოდი, შენც მოუსმინე“.

„ეს ჩვენთან, ქართლში, ერთი სიტყვითაც ითქმის: ხართაშობაო, ასე ამბობენ. ამიტომ ხომ არ ჯობდა, „ხარის გამოშვების ქამი“ ამ ერთი სიტყვით შეგეცვალათ. უფრო სხარტი იქნება „ხართაშობამ მოაწია“ ან თუნდაც „ხართაშობის ქამმა მოაწია“.

„ხართაშობა ჩვენც გავვიგია, — ამას ზურაბ კიკნაძე ამბობს, — ამ ფრაზას რომ ვთარგმნიდით, ხართაშობაც ვიფიქრეთ, მაგრამ იმან შეგვაჩერა, ეს სიტყვა მკითხველს უნებლიედ ხარების გამოშვებასთან კი არა, ხარების შობასთან არ დაეკავშირებინა და მაშინ ფრაზა ბუნდოვანი გახდებოდა. ასეც ვიფიქრეთ, ისეც, ბოლოს ისეც „ხარის გამოშვების ქამი“ ვამჯობინეთ“.

„ამ გამოთქმისათვის კომენტარი მაინც გაქვთ დართული, ბერძნულ „ბულიტონდეს“ ეს გამოთქმა ზუსტად შეესატყვისებაო; ეს დღის რომელი დროა, ისიც ახსნილი გაქვთ და „ხართაშობის“ გამოყენებას არავითარი გაუგებრობა აღარ უნდა მოჰყვეს“.

„კომენტარს შესაძლოა ყველამ არ ჩახედოს და თვითონ კონტექსტმა არ უნდა აღძრას სულ სხვა ასოციაცია, — ეს უკვე თამაზ ჩხენკელია, — შეიძლება ყური არა გვაქვს ისე შეჩვეული და „ხართაშობა“ ამიტომაც გვეხამუშება. ეს „შობა“ რომ არ გვაბრკოლებდეს, ამ სიტყვას უეჭველად გამოვიყენებდით. ისე ამ ადგილს ჩვენც ვუტრიალებთ და ახლა იქნებ „ხართაშობების ქამი“ ვარჩიოთ. ასეც ამბობენ, სისხარტითაც უფრო სხარტია, ვიდრე „ხარის გამოშვების ქამი“ და თან ეს „შობაც“ აღარ ისმის“.

„მე ამ სიტყვას მთლიანად აღვიქვამ,

ხართაშობა ხართაშობაა, რატომ უნდა დავანაწევროთ. და „შობა“ სულაც არ მჭირს ყურს“.

„რა ექნათ, ზურაბ?“

„რა ექნათ, თამაზ?“

„მოდი, ეს როგორც ვარჩიეთ, ისე შევცვალოთ... მაგრამ სხვა, სხვა შენიშვნა გვითხარია“.

„კეთილი, მაშინ... თვითონ ფრაზეზი არ მაგონდება, მაგრამ ასეთ კონსტრუქციას რომ იყენებთ, კონსტანტინე გამსახურდია რომ ხმარობს, ვთქვათ, აი: წავიდაო ის, ვიცი, რომ ეს გამსახურდიას შემოტანილი არ არის, ბარნოვიც იყენებს ხანდახან, ძველ ძეგლებშიც გვხვდება, მაგრამ გამსახურდიამ სისტემად აქცია და ამიტომაც იწვევს ამგვარი წყობა მისი სტილის ასოციაციას... ეს თავისთავად იმდენი არაფერი, მაგრამ, დამეთანხმებით, ფრაზის ასეთი აგება ძალიან მოედო ჩვენს ლიტერატურას, განსაკუთრებით, თარგმანებს და აშკარად გამაღიზიანებელი გახდა. „ოღისეაში“ ეს კონსტრუქცია ხშირად არა გაქვთ; სადაც იყენებთ, ზოგან ბუნებრივია; საერთო კონტექსტია ისეთი, რომ ყურს არ ეხამუშება, მაგრამ ზოგან ხელოვნურ შთაბეჭდილებას ტოვებს... გამსახურდიას სპეციფიური სტილური თავისებურება ჰომეროსს ნამდვილად არ უხდება... გენბავთ ყველა მაგალითს დაეძებნი და თვითონ ნახეთ“.

„რა ექნათ, ზურაბ?“

„რა ექნათ, თამაზ?“

„მოდი დარჩეს ისე, როგორც გვაქვს. ძალიან რომ გავრცელდა, მართალი ხარ, მაგრამ აქ შეუფერებლად არ უნდა გამოიყურებოდეს... ესეც ისევ ისე დარჩება, მაგრამ სხვა შენიშვნაც გექნება, იქნებ კიდევ რამე გაეჭვება... რა კარგია, რომ ესენი გვითხარი, მაგრამ კიდევ, კიდევ...“

ეს იყო და ეს, მეტი შენიშვნა აღარ მიმოიცია.

ხოლო მეორე დღეს თაღს გავცდი თუ არა, ისიც მოადგა: ორ პიროვნებას მოაცილებდა და როგორც კი დამინახა, გახალისებულმა ხელი მომხვია მხრებ-

ზე. იმათთან წარმადგინა: „ეს ჩემი მეგობარია“, და ოდნავ შეტეხუნდა: „შენი სახელი დამავიწყდა...“

მერე იყო ის გარემო მთელი თავისი მიმზიდველობით.

შინაგანი სიწრფელე და ალტაცების უნარი ისე ნათლად დასტუბია მის ალგზნებულ მონოლოგებს, თეატრონზე გადმომდგარი ქოროსთვისაც რომ შეუღარებათ: მღელვარების სიმძაფრით მართლაც ტოვებს ქოროს შთაბეჭდილებას, ხან შენს ჩართულ ფრაზას სრულიად აირიდებს და თავისას მისდევს, ხანაც მარჯვედ ისარგებლებს და ამ ფრაზაზე ააგებს მსჯელობებს: ლიტერატურაზე მონოლოგებს გახსენებანი მოსდევს, გახსენებებს კვლავ ლიტერატურა. ეს ალტაცება და სიწრფელეა, ადვილად მისანდობს რომ ხდის და ვეღარც იგებ, ახლახან გაიცანი თუ დიდი ხანია იცნობ: და მეც მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ ჩვენს შორის ასაკობრივი ზღვარი ერთბაშად წაშლილიყო და ის გულითადობა და სიახლოვე გაჩენილიყო, ის იღუმალი შინაგანი ლტოლვა, რასაც თითქოს წლები სჭირდება... ის, რასაც მანამდე ზურაბ კიკნაძისადმი განვიცდიდი, კიდევ ერთი პიროვნების სახებას უნდა შევესო, თითქოს „გიტანჯალის“ ერთ საგალობელში ჩაბუღებული გრძნობა ჩემს გულისთქმას გამოხატავსო: „და მე სიმღერის სიხარულით მთვრალს, მავიწყდება ჩემივე თავი და შენ, ჩემს მოძღვარს, მეგობარს გარკმევ“.

თეატრონზე ქორო გადმომდგარიყო. „მახსოვს, რა გამოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე უიტმენმა. კონსტანტინე გამსახურდიას თარგმანებით გავეცანი, 26 წელს რომ გამოქვეყნდა ცალკე წიგნად. თუ გინახავს?... მე ერთ ჩემს მეგობართან ვნახე, სხვათა შორის გადავფურცლე, ჩავიკიოხე და ვიგრძენი, რომ ეს ის სამყარო იყო — ხილვებითაც და პოეტური აღნაგობითაც რომელსაც ქვეშეცნეულად მიველტვოდით... ეს წიგნი უნდა მეკითხა და მეკითხა, ასე იოლად ვერ მოვწყდე-

ბოდი... „უნდა წაგართვა“, ჩემს მეგობარს ვუთხარი. „რად უნდა წაგართვა, მიჩუქნია, შენი იყოს“. წამოვიღე. ვახტანგ კოტეტიშვილის პატარა წიგნიც გულდასმით წავიკითხე, რა შესანიშნავი გამოკვლევაა. რუსულად რაც არსებობდა უიტმენზე, ყველაფერი მოვიძიე. ბევრი კი არ აღმოჩნდა. როგორც როლანდის სტატია მაინც რა არის, არა? აღტაცება არ მინელდებოდა და გადავწყვიტე: უნდა ვთარგმნო-მეთქი... ლანა ლოლობერიძესთან ვიყავი სტუმრად. ბავშვობიდან ვმეგობრობდით, ხელნაწერი ჟურნალიც კი გვქონდა, — მოგიძებნი და გაჩვენებ, — და მე, რეზი თვარაძე, რეზო თაბუკაშვილი, რამაზ პატარაძე, ზურაბ კაკაბაძე და ლანა იქ „ვბეჭდავდით“ ჩვენს ლექსებსა თუ სტატიებს. ლანაც ძალიან იყო უიტმენით გატაცებული, დისერტაციაც უიტმენზე დაიცვა, მერე წიგნადაც გამოსცა. მაშინ რომ ვესტუმბო, რამდენიმე ლექსის თარგმანი მიჩვენა, რას იტყვიო. „ქარგია“, ვუთხარი, „მაგრამ ზოგიერთ ადგილს, მე რომ ვყოფილიყავი, ასე ვთარგმნიდი“ — და ფურცლებს დაეწვდი. „აი, ვთქვით, ეს პირველივე სტრიქონები, იქნებ ჯობდეს, ასე რომ იყოს: „მწუხრის ქამს, ოდეს გავიგონე კაბიტოლში ხალხის ხმაური, ჩემს სახელს რომ ტაშისცემით ეგებებოდა, იმ ღამეს მაინც არ ვიყავი მე ბედნიერი“. როგორია? ანდა ეს...“ უცებ კიდევ ვილაც ესტუმრა, მომიბოდიშა და მეორე ოთახში გაუძღვა. მე ვიჯექი და თარგმანს იმ პოეტურ მეტყველებას ვუახლოვებდი, როგორც წარმომედგინა. ლანა რომ შემობრუნდა, ვაჩვენე, იქნებ ამ რედაქციით ჯობდეს-მეთქი. ეს რედაქცია კი აღარ არისო, მითხრა, უკვე შენი თარგმანიაო. როგორ, ჩემი, მეუთხარი. წაიღე, შენიაო. მეც წამოვიღე. და კიდევ ჩავუჩქე უიტმენს“.

ეს ის უიშვიათესი შემთხვევაა, როცა ორიგინალის ენის უცოდინრად (პქარედითა და იმ ეპოქის შესწავლით) ასე შეიძლებოდა პოეტის შემოქმედებით სულში შედღწევა და მისი ასე შთაბეჭე-

დავი ამეტყველება. „მეგობარო, ეს არ არის წიგნი, ხელი ახლე და კაცს შეეხები“ — ასე წარმომედგინა უიტმენს თავისი პოეზიის დანიშნულება და ქართულ თარგმანში სწორედ ამას გრძნობ — როგორ ეხები მახლობელ პიროვნებას.

სხვათა შორის, ის პატარა ლექსი, სადაც ეს სტრიქონებია ჩართული, სინამდვილეში ვრცელი ლექსის ფრაგმენტია. მთლიანად კონსტანტინე გამსახურდიას ჰქონდა თარგმნილი (თუმც ისიც რამდენადმე შემოკლებულია) და თამაზ ჩხენკელი მორიდებია ხელახლა გადმოქართულებას (საერთოდ, მის მიერ დამუშავებული თავისუფალი სალექსო საზომის სტრუქტურას ეყრდნობოდა), ამ პატარა ადგილს კი ვერ შელეგია და ასე ცალკე გადმოუტანია, თითქოს დამოუკიდებელი ლექსიაო.

კონსტანტინე გამსახურდიას ზეგავლენა მარტო ამ თავისუფალი სალექსო საზომის სტრუქტურის გაზიარებით არ შემოფარგლულა... თუმც თამაზ ჩხენკელმა ამ საზომსაც დააჩნია თავისი ხელი და გადაახალისა, მარჯვედ შეუხამა წყობილი სიტყვის მოდერნიზებული ფორმა: რამდენადმე სახეცვლილი ძველქართული ლექსი სწორედ შესაფერისი აღმოჩნდა უიტმენის წარმოსახვებისათვის. საგულისხმოა, რომ 1959 წელს პავლე ინგოროყვა (ვინც ეს ლექსი აღმოაჩინა და ვის მიგნებებსაც თამაზ ჩხენკელი ეყრდნობოდა) საერთოს პოულობდა უიტმენის თავისუფალ ლექსსა და წყობილი სიტყვის ნიმუშებს შორის... ეტყობა, გამორჩა „უნივერსიტეტის გაზეთისა“ თუ „მნათობის“ ფურცლებზე 1955 წელს დაბეჭდილი უიტმენის ლექსთა თარგმანები, თორემ პოლემიკისას მარჯვე საბუთად დაიმოწმებდა. ედავებოდნენ: წყობილი სიტყვა სალექსო ფორმა არ არის, პროზაულ ფრაგმენტებს ასაღებ ლექსადო. და თურმე თვალნათლივი ნიმუშები გამოჩენილიყო: წყობილი სიტყვა არამცთუ ძველად იყო ლექსი, მისი აღდგენა და განახლება თურმე ჩვენს სინამდვილეშიც ყოფილა შესაძლებელი.

ხოლო რაც შეეხება კონსტანტინე გამსახურდიას ზეგავლენას: 50-იანსა და 60-იან წლებში მთარგმნელთა ახალთაობა (და ერთი პირველთაგანი თამაზ ჩხენკელი) უშუალოდ მისი გავლენით ცდილობდა თანადროულ სალიტერატურო უნაში ძველი ქართულის სავანძურიდან ამოზიდულ სიტყვათა და გამოთქმათა ხელახალ დამკვიდრებას: ეს ვახლდათ მკვეთრი დაპირისპირება ენის გაუსახურებასთან, რა ჩარჩოებშიც ცდილობდა ოფიციალური ხელისუფლებაც ქართულის ჩაქედვას და მისი შინაგანი ძარღვის დაჩლუნგებას. არადა, მხატვრული ენა, როგორც განსაკუთრებული და უნივერსალური მოვლენა, თვალსაჩინოდ უნდა გამოჩნეულიყო სასაუბრო მეტყველებისაგან (მითუფრო, სიღარბისლენდაკარგული მეტყველებისაგან) და შინაგანი სიერციით ბოლომდე გამოხატულიყო. ჩვენს მთარგმნელთა ამგვარი ცდები — თავიდან, ზოგ შემთხვევაში იქნებ ხელოვნურ იერგადაკრული, მაგრამ თავისი მნიშვნელობით უდავოდ ფასეული — მცდარად მოინათლა არქაულ ნაკადად. ნეტა რატომ არ სურდათ იმის დახვება, რომ ის სიტყვები თუ გამოთქმები ახალ ენობრივ კონტექსტში ახლებურ სიტოცხლეს იძენდა?.. ზერელე და ცალმხრივი შეფასებანი ყოველთვის თან სდევს მოდერნიზების, გადახალასების მცდელობებს, ძალზე მკვეთრი იქნება და მხატვრული აზროვნების შემომამბრუნებელი (ვასილ ბარნოვი, ვაჟა-ფშაველა) თუ შედარებით ნაკლები ძალისა, ოღონდ აუცილებელი. ჩვენი საუკუნის ქართულ სტილურ ძიებებზე დაკვირვება, თავისებურ და მრავალფეროვან ნაკადთა შესწავლა და გათვალისწინება სულ სხვაგვარად წარმოგვადგენინებს ყველაფერს და ცალმხრივ, ზერელე შეფასებათა უკუგდებით ძალდაუტანებლად ჩამოსცილდება ნამდვილ სტილურ ძიებებს, უდავო მონაპოვრებს როგორც არქაულობის, ისევე კუთხურობის ცრუსახელები... ამ მეტად რთულსა და მონოგრაფიულად შესასწავლ პრობლემას ორიოდ სიტყვა რას გასწე-

დება, ოღონდ აქ ერთ დეტალს მივიპყვევ ყურადღებას:

როცა „ოღისეას“ თარგმანში, სადაც ბრწყინვალედ გაცხადდა ქართული ენის ძალმოსილება, ვაჟას სიტყვიერი მარაგიდან ამოკრებილი გამოთქმები გვხვდება, ანუ ვაჟას სუნთქვა ჩაგვესმის, ეს ერთი წამითაც არ არის (და არც შეიძლება იყოს) შემაცბუნებელი — ამით „ოღისეას“ სამყაროს ოდნავადაც არ დამჩნევია დიალექტური კოლორატი, რადგან ვაჟას ენა მთლიანქართული მხატვრული აზროვნების მომცველი მეტყველებაა. ამის მტკიცება ამ ოცის წლის წინათ ჭედაც აუცილებელი გამხდარიყო და თავის ერთ-ერთ საუკეთესო წერილში „ვაჟას ქართული“ თამაზ ჩხენკელიც შეეცდებოდა ცრუაზრების დარღვევას. თუ ვაჟას მხატვრულ-ენობრივ მრწამსს ვიწრო თვალთახედვით აღიქვამდით, მისი კოსმოური გააზრებანიც ვიწრო ფარგლებში ჩაიჭედებოდა.

ვაჟას უმძაფრესად გამოხატული ეროვნული და საკაცობრიო ტცივლები ამიტომაცაა ასეთი სიღრმით და ექსპრესიით წარმოჩენილი მონოგრაფიაში „ტრაგიკული ნიღბები“ — განსაკუთრებული სიძლიერით მაინც იმ ნაწილში, სადაც „ააღუდა ქეთელაური“ განხილული.

„ძალიან მინდოდა ვაჟას მთელს ცხოვრებას გავეყოლოდი, სულ ნაბიჯ-ნაბიჯ... ის კი არა, პეტერბურგში რომ ლექციებს ისმენდა, მაშინდელი არქივებიც გადაამებრუნებინა და იქაური გარემოც აღმედგინა: ვინ კითხულობდა ლექციებს, რას კითხულობდნენ, როგორ... რა განწყობილებანი სუფევდა... ქართული გარემო ზომ თავისთავად... ვერ შევძელი... რომ ვეგრძენი, ვერ გავწვდებოდი, კიდევ კარგი, მთლად ხელი არ ჩაეიქნე, ვიფიქრე, პატარა წიგნი მაინც ნუ დამრჩება დაუწერელი-მეთქი“.

ქორო გადმომდგარიყო თეატრონზე. „ოღისეას“ თარგმნის იდეა რომ გამიჩნდა და ზურაბს შევთავაზე... აქ იყო სწორედ მაგ სკამზე იჯდა, შენ რომ ზი-

ხარ... შევთავაზე, ერთად ვთარგმნოთ-მეთქი; ძალიან შორს დაიჭირა, გაოცებულმა იყვირა, რამ ამბობ, რამ მოგაფიქრა, ჩვენ „ოლისეას“ მთარგმნელები ვართო? რატომ არ ვართ-მეთქი და — ჩვენთვის ჯერ აღრეაო. რალა აღრე იყო, მე ორმოცს გადავცილებოდი, ზურაბი უახლოვდებოდა, როდისთვისღა გადაგვედო; დარწმუნებული ვარ, სწორედ საუკეთესო და შესაფერისი ასაკი გვქონდა ჰომეროსის სათარგმნელად. დღეები გადიოდა, მე ისევ ვუმეორებდი, ბარემ დავიწყოთ-მეთქი, ის კი ხელეებს ასავსავენდა და ხან გაოცებით მპასუხობდა და ხან სიცილს ვერ იკავებდა, ტყუილია, ჩვენ ჰომეროსის მთარგმნელები არა ვართო, სხვას რომ თავი დავანებოთ, „გილგამეშიანი“ გაქვს თარგმნილი, არ ვეშვებოდი, მე — „ბაგავატგიტა“, ეპოსი უყვე მოსინჯული გვაქვს და ესეც ვცადოთ, თუ არ გავიშვებოდა, ჩვენს ხელში არ არის? თავი დავანებოთ-მეთქი. „გილგამეში“ და „ბაგავატგიტა“ სხვაა, „ოლისეა“ სხვა, რისთვის დავიწყოთ, მაინც დასანებებელი გვექნებაო. მაგრამ მეც ისე ვიყავი მონდომებული, რას მოვეშვებოდი და დავითანხმე: კარგი, რახან ასე გინდა, დავიწყოთ, ოღონდ მე მითქვამსო...

მაგრამ თარგმნამ ისე ჩავგვითრია და ზურაბიც ისე გაიტაცა, უკვე თვითონ აქტიურობდა, აქი ჯერ ჩვენთვის აღრეა-მეთქი, გავახსენებდი. არ ყოფილა აღრეო, მომიგებდა და ორიგინალში ჩარგავდა თავს.

ზურაბს ბერძნული დედანი და ლათინური თარგმანი ჰქონდა გადაშლილი, მე რუსული თარგმანები მეჭირა, დროდადრო სხვა თარგმანებსაც ვიშველიებდით, ათასგვარი ლექსიკონიც მოგვეწყო გვერდით, მაგრამ ის მაინც ყველაზე ძვირფასი იყო, „ჰომეროსის ლექსიკონი“.

თარგმნა თბილისში დავიწყეთ, მაგრამ ვატყობდით, ხელი გვეშლებოდა. არადა, მართლა ჰომეროსია, ერთიანად თუ არ ჩაფეალი, არაფერი გამოვა... ოთხი წელი, ოთხი წელი შევწირეთ —

ამით ვცხოვრობდით... თბილისში ჩვენს ნებაზე განმარტობდას ვერ ვახერხებდით და მოვიფიქრეთ, აქედან გავიღეთ ხოლმე და სხვადასხვა ქალაქების სასტუმროებს შევეფაროთო. ჩვენი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა და დღედაღამ ვმუშაობდით. არა, გარეთაც გავდიოდით, ჰაერს ჩავისუნთქავდით, გავიხედ-გამოვიხედავდით, ახალი ენერგიით ავივსებოდით და ისევ ოთახში შევრგავდით თავს. მთელი საქართველო შემოვიარეთ, ერთ კუთხეს არ მივეჯაჭვეთ, რათა შთაბეჭდილებებიც განახლებულიყო... თუ კვამათობდით? კვამათობდით რომელია, ჩხუბიც კი მოგვდიოდა. ერთმანეთს კალამს წვატაცებდით, ჩვენებურად ჩავასწორებდით... ბოლობოლო ვრიგდებოდით: ხან ვუჭერებდით ერთმანეთს, ხანაც გული გვეთანაღრებოდა, კარგი, ეგრე იყოს, ოღონდ სხვაგვარად კი ჯობდაო. თარგმანის ხელნაწერი დღიურებადაც ვაქციეთ — იქვე ვინიშნავდით ჩვენს განწყობილებებსა და შთაბეჭდილებებს... გვინდოდა, მკითხველს თანადროულ რომანად აღექვა, ოღონდ არც ძველი კოლორტი, ამდღობული და რომანტიული მაღლი დაქარგულიყო“.

„ილიადას“ თარგმნას აღარ აპირებთ?“
 „სულ ვაპირებთ, მაგრამ... იქ შევცდით — „ოლისეა“ დავასრულეთ თუ არა, „ილიადასთვის“ მაშინვე უნდა მოგვეკიდა ხელი. დავისვენოთო, შევთანხმდით, სხვა რაიმეს ჩავუჭდეთ და მერე დავუბრუნდეთ ჰომეროსსო. გადაწყვეტილიც გვქონდა — მთლიანად ისევ პროზად გვეთარგმნა, მაგრამ ზოგიერთი ადგილი — თვითონვე რომ მოითხოვდა — ლექსად ვადმოგვედო... მაგრამ ვეღარ დავუბრუნდით, ზურაბი ბიბლიამ ჩაითრია „ილიადასთვის“ აღარ ეცალა... ისიც ვიფიქრე, პუკარედს ვთხოვ ვინმეს და მარტო მოვიკიდებ ხელს-მეთქი. მაგრამ ვეღარც ეს მოხერხდა... ნამდვილად იქ შევცდით“.

დავით წერედიანზე ისეთი ალტაცებით ჰყვებოდა, თითქოს მსგავსი კეთილსინდისიერება თვითონ მისთვისაც



არ ყოფილიყოს ნიშანდობლივი: „ვი-
ონის „მცირე ანდერძი“ რომ წამაკით-
ხა, გამოგნებელი შთაბეჭდილება მო-
ახდინა. გამოქვეყნებას რატომ აყოვნებ,
მეუთხარი, ჯერ არ არის დამთავრებუ-
ლიო. როგორ თუ არა, ერთი სტრიქო-
ნიც არ არის ჩავარდნილი. არაო, ორ
ადგილას თითქოს რაღაც ნიუანსია გა-
მოტოვებული და უფრო მარჯვე სიტყ-
ვას უნდა მივუბნაო; რამდენიმე თვეა
ამას ვუტრიალებო... და კიდევ რამდე-
ნიმე თვე რომ გავიდა, მითხრა, მე მგო-
ნი მივაგენო“.

„რა სუფთა სინდისი უნდა ჰქონდე-
სო“. — სწორედ ასეთ შემთხვევას შე-
ეფერება რილკეს ფრაზა. ეს ხომ ის
უმთავრესი რამაა, ურომლისოდაც მხა-
ტვრულ-ესთეტიკურმა ძიებებმა შეუძ-
ლებელია სტილის სრულყოფილ სილა-
მაზეს მიაღწიოს.

თვითონ თამაზ ჩხენკელი ლორკას
ერთი ლექსის („სხვისი ცოლი“) თარგ-
მნას ლამის წელიწადი მოუწია. მისივე
თქმისა არ იყოს, ამდენ ხანში და ენერ-
გიის ასეთი დაძაბვით, ვთქვათ, ლოსე-
ვის ვეება „ალორძინების ესთეტიკას“
ნახევარზე მეტს მაინც თარგმნიდა.

პოეტურ თარგმანში, საერთოდ პოე-
ზიაში, ასე სხვაგვარად წარმოგვიდგე-
ბა შემოქმედის ჯაფის სიდიდე და ინ-
ტენსივობა. ნაყოფიერება ღირსებაა
ყველა ქანრისთვის, მაგრამ არა პოეზი-
ისთვის — მისი მნიშვნელობა მხოლოდ
ზემოქმედების ხანგრძლივობით გაიზო-
მება. ცხადია, ზემოქმედების ხანგრძ-
ლივობით გაიზომება რომანიც, დრამაც,
ნოველაც, კრიტიკულ-ესთეტიკური
თხზულებაც, მაგრამ ლექსისა თუ პოე-
ტური კრებულის მცირე აღნაგობა
შთაბეჭდილებას კიდევ უფრო მკვეთრსა
და გამომსახველს ხდის.

ამ თვალსაზრისით, პოეტური თარგ-
მანები, თავმოყრილი წიგნში „მარიო-
ტა“ (1986 წ.) მართლაც მრავლისმეტყ-
ველია პოეტური კულტურით, ოსტატო-
ბით და გემოვნებით: მრავალფეროვანი
რიტმები, ძველ ქართულ სალექსო სა-
ზომთა მოდერნულად სახეცვლილი და

ინტონაციურად გამდიდრებული წყობა
მარჯვე და შესაფერისი აღმოჩნდა არა
მარტო თვითონ თამაზ ჩხენკელის შე-
მოქმედებითი ბუნებისათვის, არამედ
სხვათათვისაც: აღმოსავლურ პოეტურ
ნიმუშთა თარგმანები ხშირ შემთხვევა-
ში მის მიერ მოსინჯულ გზას დაადგა
და ეს რიტმი და ინტონაცია დროდა-
დრო ამიტომაც შეგვახსენებს ხოლმე
თავს. ეს ზეგავლენა თვალნათლივია.
თუმცა არსებობს შედარებით უფრო
უხილავი, მაგრამ უფრო მძლავრი ზე-
მოქმედებანი, იღუმალად ჩამალული
სიტყვათა ვანლაგების მიღმა: მთარგმ-
ნელობითი ხელოვნების ის იშვიათი მილ-
წევანი, რაც მთარგმნელს უცხო მწერ-
ლის ტოლად წარმოგვიდგენს და კიდევ
ერთხელ დაბეჯითებით აბათილებს თვა-
ლსაზრისს პოეტური ქმნილების თარ-
გმნის შეუძლებლობაზე. აქ იქმნება ის
ილუზია, თითქოს ეს პოეტური ნიმუში
ქართულად შექმნილიყოს, და ეს პირო-
ბითობა დაუჭერებელი აღარ გვეჩვენე-
ბა: კიდევ იოლად გადაეჯაჭვება მთარ-
გმნელისა და ორიგინალის ავტორის სა-
ხელი, ერთად ბუნებრივად იხსენიება
და მათი ყოველი მოხსენიება ძალდაუ-
ტანებლად წამოშლის კარგად ნაცნობ
და საყვარელ პოეტურ სტრიქონებს,
სტროფებს, ლექსებს: პაოლო იაშვი-
ლის პუშკინი, გრიგოლ აბაშიძის პეტე-
ფი, თამარ ერისთავის ბერსი, ვახუშტი
კოტეტიშვილის ჰაფეზი, დავით წერე-
დიანის ვიიონი... და ამ რკალის ნაწი-
ლია თამაზ ჩხენკელის თაგორიც, ღრმა
რელიგიურ-ფილოსოფიური ღირსება,
მოქცეული ექსპრესიულ მხატვრულ
ფორმაში.

„მარიოტას“ მთავარი ბირთვი სამი
პოეტია: ბო-ძიუი, უიტმენი და თაგო-
რი, ეპოქებით და სივრცით დაშორებუ-
ლი, ოღონდ ფარული შინაგანი კავში-
რებით გაერთიანებული შემოქმედნი,
რომელთა ირგვლივაც — სხვა პოეტთა
სახით — ასეთივე კავშირები იქსოვება
და ეს ქმნილებანი ამიტომაც ერწყმის
ერთმანეთს ერთ მთლიანობად, გამთლი-
ანებისაყენ სწრაფვა — თუმც ერთგვა-

რი მინიატურული ფორმით — ნიშანდობლივია თამაზ ჩხენკელისათვის და პოეტურ ნიმუშთა თარგმანებს ამიტომაც ავსებს დასავლელ თუ აღმოსავლელ შემოქმედთა და მოაზროვნეთა ესეების თარგმანები — წარმატებული ცდანი მისთვის ფასეულ კულტურათა თავისებურებებისა და ღირსებათა შესაცნობად.

თითქოს კომპილაციურ, ოღონდ ორიგინალურ ნაშრომს ქმნიდეს: ამ ნიმუშთა შორის (ცალკე წიგნად, ალბათ, მალე უნდა ველოდეთ) არაერთია ფრაგმენტი წიგნიდან თუ მოზრდილი სტატიიდან — ფრაგმენტი ხან დასრულებულია, ხან სულაც გამოკრებილი და მთარგმნელის მიერ გადაბმული: ამგვარი ჩარევების შესაბამისად ხან აბზაცები გადაადგილებულია და, თუმცა აზრობრივად ყველაფერი ზუსტადაა დატული, გარეგნულად თარგმანი და ორიგინალი მეტად დაშორებულად გამოიყურება. თითქოს იმ უძველეს მთარგმნელობით მეთოდს ადადგენდეს ჩვენს სინამდვილეში, ორიგინალის გადმოქართულებისას გარკვეული მოსაზრებებით — საზოგადოების ცოდნისა და წვდომის უნარის გათვალისწინებით — რომ აკლებდნენ და უმატებდნენ შედარებით მომცრო თუ მოზრდილ ფრაგმენტებს, ამარტივებდნენ მსჯელობას ანდა კომენტარებს შიგვე ჩაურთავდნენ.

მაშინ ეს იმ მიზეზს გამოეწვია, რომ ქართულ წიგნთა სიმცირე ძალაუნებურად მოითხოვდა რაც შეიძლება მალე ამოვსებულიყო ჩვენს კულტურაში არსებული ვეება ნაპრალები: თავდაუზოგავად ამიტომ შრომობდნენ და დრო აღარ რჩებოდათ, თხზულებანი მთლიანად აემეტყველებინათ ქართულად: მოსასწრები ჭერ ის იყო, რაც უფრო აუცილებელი ჩანდა — „ზედმეტისგან“ ამიტომაც წმენდნენ და მთავარი ბირთვი ამოჰქონდათ, ყველაზე მკვირივი და ღრმამაზროვნანი მონაკვეთები. აღსაქმელადაც ასე უფრო იოლი და მოსახერხებელი იყო.

ხოლო ამ ხერხის გარკვეული აღდგე-

ნაც უნებლიეთ იმას გამოეწვია, რომ მეტი სიცხადისათვის ყველაზე მკვირივი და მნიშვნელოვანი ადგილები ცალკე გამორჩეულიყო. რასაკვირველია, ეს ვერ გაამართლებდა (ჩვენი ძეგლებისაგან განსხვავებით თამაზ ჩხენკელს უზარმაზარი ლიტერატურული მემკვიდრეობა არ შეუქმნია) და ასე გადასხვაფერებული სტატიებიც ამორფული კონგლომერატის უკეთეს ვერაფერს მიაღწევდა, თუ არა მთარგმნელს ის იშვიათი ალლო და მხატვრული სიფაქიზე, სხვადასხვა მოაზროვნეთა შორის ღრმა საერთოს რომ პოულობს და ამ საერთოს ამთლიანებს, ავსებს, ხან მეტად საგულისხმო დაპირისპირებებსაც წარმოაჩენს. და ეს ყოველივე უკვე მწვენიერ მოზაიკურ სურათს ქმნის, დროისა და სივრცის უზაზღვროებაში განფენილს: ოღონდ — პოეზიისა არ იყოს — ამასაც მინიატურული სახით (ოღონდ ამ უაიღისა, როგორც თავისებური ნიმუში, ეს ერთი წიგნი შეიძლება იყოს და ყოვლად გაუმართლებელი იქნება სხვათა მიერაც ამ მეთოდით თარგმნა).

გადმომდგარიყო თეატრონზე ქორი „სიმონ ყაუხჩიშვილმა მიაშობ, მცხეთის აკროპოლის გათხრისას ბერძნული წარწერა რომ იპოვნეს, ოთხი მეცნიერი დაგვიბარეს, ცალ-ცალკე დაგვსხვს და მისი გაშიფვრა და თარგმნა გეტხოვეს... წარწერა დაქარაგმებული იყო, დაზიანებულიც. ბერძნული რომ სრულყოფილად უნდა გცოდნოდა, ეს თავისთავად, მაგრამ ალლო და გუმანიც აუცილებელი იყო. მე ვიყავი, პავლე ინგოროყვა, აკაკი შანიძე და გიორგი წერეთელი. დავსხედით თუ არა, ვიდრე ჩვენ მოხერხებულად მოვეწყვეთ სჯამზე და წარწერის ფოტოასლი დაკვირვებით შევატრიალ-შემოვატრიალეთ ხელში, პავლემ ერთი გადახედა, იქვე გაშიფრა, ქართული თარგმანიც მიუწერა, ადგა, ჩანთა აიღო და წავიდა. დამიჭერე, ერთი თვალის გადავლებით. ჩვენ ვისხედით, ვუკირკიტებდით, ბოლოსდაბოლოს, გაეშიფრეთ და წამოვიშალეთ. როცა ოთხივე შეამოწმეს, გაირკვა, რომ

ყველას ერთნაირად გაგვიშიფრავს და სავსებით სწორად. პავლესგან აღარაფერი მივივრდა, მაგრამ ეს მაინც რა იყო... და, აბა, მითხარი, ამის მერე როგორ არ მჭეროდეს ყველაფერი, რასაც ამტკიცებს და ვარაუდობსო“.

ბატონ თამაზს პავლე ინგოროყვაზე სხვაეც უამბნია, მაგრამ ეს ეპიზოდი განსაკუთრებით მიყვარდა, და თუმც ჩემს გარშემო ყველასთვის მქონდა მოყოლილი, კიდევ მოსმენა არა და არ მწყინდებოდა. და შემთხვევით რომ გაიხსენებდა, „იმისი არ იყოს, ბერძნული წარწერის გაშიფვრაზე რომ ვიამბეო“, ისე გავიოცებდი, რა ბერძნული წარწერა-მეთქი, თითქოს მართლა პირველად გამეგონოს. „აი, სიმონმა რომ მომიყვა“. „ჩემთვის არ ვითქვამთ“. „ქარგი, მაშინ... მცხეთის აკროპოლის გათხრისას...“

კიდევ ქარგი, აღარ ახსოვდა... და მღელვარედ ვნთქავდი ყოველ სიტყვას, ვიდრე ბოლო ფრაზა მართლა პირველად გაგონილივით არ აღმიტაცებდა: როგორ არ მჭეროდეს ყველაფერი, როგორ არ მჭეროდეს ყველაფერიო...

თითქოს ვერ ხედებოდა, მაგრამ ერთხელაც...

ქართულ ანბანზე მღელვარებდა, მერე ჯოხს წამოავლო ხელი, კედელზე გაკრულ ტაბულებთან მივიდა და ხანგრძლივი საუბრისათვის მოემზადა: „წაკახვივით კი წაკითხული გაქვს, მაგრამ უფრო ნათელი რომ იყოს... რაც ჯერ არ დამიწერია, იმასაც გეტყვი. თითოეული ასოს გრაფიკულ აღნაგობას ხომ ხედავ: მისი გეომეტრიული სტრუქტურა ემყარება სეპტიმალურ აღრიცხვას, ანუ შვიდობით თვლას — მაშინდელი ანგარიშით შვიდეული ნიშნავდა ათეულს...“ მე ცოტა ვჩქარობდი, მერე შეწყვეტინებდა უფრო უხერხულად მომეჩვენა და ავწრიალდი, თან გაწბილებაც არ მინდოდა და ფრთხილად შევახსენე, „ეს უკვე მოსმენილი მაქვს... თანაც ორჯერ“, „მთლიანად?“, „მთლიანად“, „და ქართული ანბანის შემქმნელი ვინ უნდა იყოს, ისიც ვითხარი?“

„დაიხ, პეტ...“ „მოთქვამს, მაგრამ რა მოხდა მერე, პავლესზე რომ ასევე მომავოლე, ამას მესამედ მოუსმინე, რა მოგვია“, „არაფერი, არაფერი და პავლემ ერთი გადახედვით გაშიფო, არა?“ „აბა?! ამას რომ დავამთავრებ, კიდევ მოგიყვები... სეპტიმალური აღრიცხვით...“

— თოთხმეტი წელია სხვა არაფერი მიკეთებია... თექვსმეტი წელია... ოცი წელია... — წლები გადიოდა და მისი პირადი წელთაღრიცხვა ანბანის პრობლემის კვლევის იქით აღარ მიდიოდა. ათვლას იქიდან იწყებდა, რაც ამ საიდუმლოებას ჩათვრია. მანამდელი მოღვაწეობა ლამის ერთიანად უარეყო და მთელს იმედებს ამ ძიებებზე ამყარებდა.

იმ თოთხმეტი, თექვსმეტი, ოცი წლის წინათ ასეთი რამ გულშიც არ გაუვლია და რამაზ პატარიძეს აქეზებდა — საშენო თემია და მიჰყევო. მაშინ მასაც ისევე სწამდა, როგორც რამაზს — ქართული ასომთავრული ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნეში უნდა შექმნილიყო და საფუძვლად ფინიკიური ანბანი დასდებოდა. — ივანე ჯავახიშვილის თეორია რაც არის, რამაზ პატარიძე კიდევ ბოლომდე გაჰყვა ამ გზას, მაგრამ თვითონ ერთხელაც სხვაგვარად შეხედა ამ თეორიას და აღარც ისე დამაჯერებლად მოეჩვენა. ასე მოულოდნელად დაიწყო მის ცხოვრებაში ახალი ხანა — განუყოფელი ანბანის სამყაროსაგან: თანაც მისი შეხედულებანი სრულიად დაუპირისპირდა ადრეულ რწმენას. „რამაზი გოცებული იყო, თვითონ მაგულიანებდა და ახლა საწინააღმდეგოს რატომ ამტკიცებსო. მაგრამ რა მექნა, ვანზრახ ხომ არაფერი ჩამიდენია, თავისთავად გამოვიდა ასე: არ არის ქართული ანბანი წარმართული ხანის ძეგლი, ქრისტიანული ეპოქის ქმნილებაა... საერთოდ, ფარნავაზ მეფე არც არსებობდა, ის ადგილი, მროველის მატრიანეში, ანბანის შექმნაზე რომაა, დაშიფრულია და სულ სხვას ნიშნავს“, „როგორ თუ არ არსებობდა...“ „დამიჯერე... ბიძის სახელი რომ წერია, სამა“

რა ერქვავო, და მამისა არა, შემთხვევითი გგონია?“ „არა გგონია შემთხვევითი: ფარნავაზის, როგორც დინასტიის დამფუძნებლის სახე მითოსურ წარმოსახვებშია გახვეული და სხვა ტრადიციული გმირებზე თუ უცნობია მისი წარმოშობა და მამის სახელი. ხოლო ბიძის სახელი იმიტომ შემოგვრჩა, რომ ფარნავაზი რეალური პიროვნებაცაა და თავისი გარემო და ბიოგრაფია ჰქონდა.“ „არ არის ეგრე... ფარნავაზიც შიფრია, სამარაც შიფრია. აი, ნახე...“ რასაც ვერ ვიჭერებ, ვერ ვიჭერებ. თუმც მისი საბუთები მტკიცე ლოგიკურ ქარგაზეა აგებული, ასომთავრულის გრაფიკული მხარის ანალიზთან, მისი აღნაგობის გეომეტრიულ საფუძვლებთან დაკავშირებული გამოთვლები მწყობრი თანმიმდევრობით ებმის ერთმანეთს, მაგრამ, როგორც ჩანს, ასეთ დროს მარტო ლოგიკურობა და გარეგნული დამაჯერებლობა არ კმარა: ვანა რამაზ პატარძის „ქართული ასომთავრულიც“ გარეგნულად სავსებით სარწმუნოდ არ გამოიყურება? და ბოლოს და ბოლოს, ამ ორთაგან ერთი უნდა ვაიწიროს, შეუძლებელია ორივე სწორი იყოს: ქართული ანბანი ერთდროულად წარმართულ ეპოქაშიც შექმნილიყოს და ქრისტიანულშიც.

ასომთავრულის ესთეტიკური მხარის, გრაფიკულ და გეომეტრიულ თავისებურებათა ანალიზი მართლაც შესანიშნავია, რადგან თამაზ ჩხენკელის პოეტურმა ბუნებამ და შინაგანმა ექსპრესიამ აქ მკაფიოდ იჩინა თავი: ამასთან, მეცნიერულ მიმოქცევაში შემოიტანა ისეთი თხზულებანი და თვალსაზრისები, რაც აქამდე უცნობი ან ნაკლებშესწავლილი იყო... არაერთი ახლებური და მახვილგონივრული დაკვირვება უთუოდ ამდიდრებს მის ძიებებს: და თუნდ მის გაბედულ დასკვნებს, რასაც ვერაუგულში ინახავს და შემთხვევით თუ გაუმხელია თითო-ორი ახლობლისათვის, ის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აღმოაჩნდეს, რაც ეიმედება და გადატრიალება ვერ მოახდინოს ჩვენს

მეცნიერულ აზროვნებაში, ღრმა ერუდიციითა და კულტურით აღბეჭდილი ციკლს მისი გამოკვლევებისას და სტატიებისას უდავო მეცნიერული სარგებელი ექნება, მითუმეტეს, რომ ამგვარი ცდები სხვათა ციკლოებს ხოლმე ძიებისათვის.

ოღონდ მონოგრაფიად კი აქამდე ვერ ჩამოუყალიბებია და ის მთლიანობა, რაც ასე ნიშანდობლივია მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის, აქ ჭრჭერობით როგორღაც მიულწევილია: ამიტომაც წარმოგვიდგება გამოკვლევების ციკლად და არა მონოგრაფიის ნაწილებად. თითქოს მოჩადობულ წრეში მოქცეულიყოს, რაღაც მიჯნას ვერ გასცდა: ამიტომ უბრუნდება ხელახლა ადრეულ სტატიებს, ამუშავებს, აზუსტებს, გადაახალისებს, მაგრამ კომპოზიციური ქარგა ვერა და ვერ შეიკრა.

„ოცი წელია სხვა არაფერი... ოცდაორი წელია...“

ისე დაიჭერა, გადატრიალებას მოვახდენ და აქამდე რაც მიკეთებია, მხოლოდ მოსამზადებელი ეტაპი (თუმც ხანგრძლივი) იყო ანბანის წარმოშობის საიდუმლოების ამოსახსნელად, რომ უცნაური გაუცხოება ივრძნო თარგმანისადმი. „ტრავიკული ნიღბების“ ხსენებას ერიდება, ეტყობა, ასე იოლად ვერ ელევა, თარგმანები კი გაიმეტა: უთუოდ დროებითი ვანცდაა, უნებლიედ გაჩენილი ათვალწუნების გრძნობა, მაგრამ — „თარგმანი დიდი პირობითობაა“ — ამის მტკიცება დაიწყო. იქნებ უცხოური სტატიების თარგმნის მისეულ წესშიც, გარკვეულად, ეს განწყობილებაც გამელავნდა?.. მისი ცნობილი გადამდეები ენთუზიაზმი, სასიკეთო გავლენა მეგობრებზე ლამის ამოწურულად გამოიყურება და ნიპილისტურის მსჯელობანიც გაუმრავლდა.

როგორი სიამაყით ყვებოდა ბაჩანა ბრეგვაძეზე, სიჭაბუკისას ცოტა ნიპილისტურად იყო განწყობილი და ლამის ყველაფერზე ხელი ჩაეჭნია, ამდენი ენის მცოდნე და ამხელა ლიტერატურული გემოვნებისა და ენერჯის პატ-

რონი ლამის არაფრის წამოწყებას არ აპირებდა: ვის სჭირდებოდა. მე ვაგულიანებდი და პლატონის „ნადიმის“ თარგმნას რომ შეუდგა, ისე მიხაროდა, თითქოს მე მეთარგმნოსო...

ემაყება, ამ ჩვენი განმანათლებლის მიერ აგებულ უზარმაზარ შემოქმედებით შენობას რომ შეპყურებს და მის საძირკველში თავისი ამაგიც ეგულება.

არა, უთუოდ გადაუვლის ის განცდა, ანბანის კვლევას მოათავებს და, ვინ იცის, გულში კვლავაც რამდენი ინტერესი უღვივის.

ისევ გადმომდგარა თეატრონზე ქორო...

მღელვარებას მხოლოდ მანქანის საჭესთან ერიდება: და მაშინაც ძალიან ფრთხილობდა, ყელქცეულში რომ მივიწვიე ზურაბ კიკნაძესთან ერთად...

მანამდე პროფილაქტიკაში მოგვიზღა მისვლა. ისე დავაკერეთ, მთელ წელიწადს გეყოფათ, აბა, კეთილი მგზავრობაო, იქიდან ასეთი იმედით გამოგვისტუმრეს, მაგრამ შუა გზაშიც არ ვიყავით, რომ საბურავი ნელ-ნელა დაეშვა. და რადგანაც შემცვლელი არ გავგაჩინდა, რისკის ფასად უნდა გვევლო. დაგბერავდი საბურავს, სწრაფად ჩავხტებოდი მანქანაში და, ვიდრე ქშეილით გამოდიოდა ჰაერი, თამაზი გზის რაღაც მონაკვეთს მოიტოვებდა უკან... მანქანა აკოტავდებოდა და სვლა უნდა შეგვეჩვენებინა. ისევ გადმოვდიოდი, დაგბერავდი და სწრაფად ვხტებოდი მანქანაში... ასეთი ვაიუბედურებით როდის-როდის იგოეთამდე მივალწოთ და ინსპექციის საგუშავგოს მივადექით. მორიგეს შეველა სთხოვა თუ არა თამაზმა, მაშინვე დაფაცურდა, ახლავე, ახლავე, თქვენისთანა საპატივსაცემო კაცისათვის ყველაფერს ვილონებო. ვიღაც მოძებნა და საბურავი სთხოვა: ორი დღით უნდა ათხოვო, ზეგ აქ დამიტოვებენ და ჩემი ზელით დაგბერუნებო. მეტი დამაჯერებლობისათვის ისიც დასძინა: ეს ხომ იცი, ვინ არისო. და დაიყაბულა. დიდი მადლობებით დავემშვიდობეთ, მორიგე კი თამაზს კვლავ უმეორებდა:

თქვენისთანა საპატივსაცემო კაცს თუ არ გამოვადექი, რა მოხელე ვარო.

თამაზი ერთხანს გაამაყებულნი მართავდა მანქანას და მერე ველარ მოითმინა: „გაიგონეთ, რა თქვა? მაგრამ როგორ მოხვდა, ვინ ვიყავი?“

„ეტყობა, მკითხველია და სურათით გიცნოთ, საიუბილეოდ რომ გამოქვეყნდა გაზეთში“ — ამას მე ვამბობ და ზურაბიც მიდასტურებს, „მკითხველია, რად უნდა ლაპარაკი“.

„მკითხველი კი იქნება“, აღარც თამაზს ეეჭვება, „მაგრამ განსაკუთრებით ნეტა რა მოსწონს... არა მგონია „ტრაგიკული ნიღბები“.

„რატომ ვითომ“, გავიკვირე, „ვერ ჩაწვდებოდა თუ რა? ან იქნებ ინდური საგალობლები ვერ გაიტაცებდა?“

„ინდური საგალობლები მაინც ნაკლებ მოსალოდნელია... ბოძიუსაც ფაქიზი ნიუანსობრივი აღქმა სჭირდება“.

„მერე რა, იქნებ აღიქვა“.

„რა ვიცი, იქნებ... მაგრამ არა მგონია... ალბათ, „ოდისეა“ არა, თორემ მაშინ ზურაბზეც მკითხავდა რამეს...“

„ეტყობა „ოდისეა“ არა, მაგრამ უიტმენი?“

„უიტმენი როგორ დაგვაფიწყდა. უიტმენი ვაქცაყურია და ეს მოეწონებოდა. ნამდვილად ის იქნება“.

ასე ვთანხმდებით.

დაბრუნებისას სხვა მორიგე დაგვხვდა და საბურავსაც იმას ვუბრუნებთ, ვიცი, დამიბარაო, გვეუბნება. გზას კი კვლავ მაშინდელი განწყობილებებით ვაგრძელებთ.

„თქვენისთანა საპატივსაცემო კაცსო, არა?! და ალბათ უიტმენის გამო, ხომ?! იქნებ რაიმე სხვაც იყოს“, უკვე ეცოტავება.

„შეიძლება, მაგრამ რომელი?.. იქნებ თაგორი, ანდა...“

და აქ ზურაბი ჩაერევა:

„შენ რომ იმ კაცს ელაპარაკებოდი, საბურავი ვინც დაგვითმო, ინსპექტორმა შენზე გკვიტა, ეგ ძველი სპორტსმენია, არაო? ეტყობა, მიმოხვრამ ეგრე აფიქრებინა. ჩვენც ვუთხარით, უპ, ნუ

იტყვი, დიდად სახელგანთქმულიო. მაშინვე მივხვდი, რომ დასაფასებელი კაცი ჩანდაო“.

„რაო, სპორტსმენიო?“ — თამაზს ვერ დაუჭერებია; და მერე ზურაბს დამანამუხებლად გადახედავს.

„რა ჩემი ბრალია, ამან ამიყოლია“, ზურაბი მის შეცბუნებულ მზერას გელარ უძლებს და ჩემზე ანიშნებს.

მე თქმით არაფერს მეუბნება, მაგრამ სარკეში მის საყვედურიან და სევდიან გამოხედვას ვიკერ...

მათამამებდნენო — ფრენის სკოტ ფიტცჯერალდი იგონებს — ახალგაზრდა ვიყავი და ცნობილ მწერლებში რომ გავერიე, ტოლივით მექცეოდნენ და მეც ვთამამობდი, მეც ჩემი ტოლები მეგონენ, ახლა კი ვხვდები, თურმე რამდენი რამის უფლება არ მქონიაო.

ოდესმე, ალბათ, მეც მივხვდები, რამდენი რამის უფლება არ მქონია — ვინუგეშე თავი — ახლა რა, ახლა თამაზი ჩემი მეგობარია.



რემონ დიუგე

მოსკოვი და ნამეგული საქართველო

ამ წიგნს

მოწიწებითა და თაყვანისცემით

ვუძღვნი

საქართველოს დამცველებს —

იმათ,

ვინც შეიძლება უიმედოდ, მაგრამ უბრძოლველად

მშობლიური მიწის ერთ გოჯსაც არ თმობდნენ,

ტ ა ბ ა ხ მ ე ლ ა ს გმირებს,

თბილისის სამხედრო სკოლის მამაც კურსსანტებს,

ყველა იმას, ვინც თავისი სისხლით

საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უბრწყინვალესი

ფურცელი დაწერა.

რედაქციისაგან

პარიზში ყოფნისას, ფრანგული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტს, თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის დოცენტს, მზია კონსტანტინეს ასულ ბაქრაძეს ერთი წიგნი ჩაუვარდა ხელთ — რემონ დიუგეს „მოსკოვი და წამებული საქართველო“. იგი პარიზშია გამოცემული 1927 წელს. როგორც წიგნიდან ჩანს, ავტორი კარგა ხანს ყოფილა საქართველოში. იგი თვითმხილველია დემოკრატიულ საქართველოში მომხდარი ამბებისა და 1924 წლის აჯანყებისა. ამ მოვლენებს მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია. ზოგჯერ იგი ევროპელი სათვისტოს უცხო პათეთიკოთაც წერს. ეტუობა, საქართველოს ბედმა გულწრფელად შეაძრწუნა დიუგე. ფრანგი ავტორი ქართველი ხალხისადმი დიდ პატივისცემას ავლენს. სამწუხაროდ, ჭერჭერობით ვერ დადგინდა — რატომ, რა მიზნით იმყოფებოდა დიუგე საქართველოში. თანდათანობით გაირკვევა ესეც და რემონ დიუგე შესაფერის ადგილს დაიჭერს ქართველი ხალხის კეთილმსურველთა შორის.

ვიმედოვნებთ, რომ მიუხედავად ცალკეული უზუსტობისა, „მოსკოვი და წამებული საქართველო“ მკითხველს დააინტერესებს.

წიგნი ქართულად თარგმნეს მზია და სპაპი ბაქრაძეებმა.

წინასიტყვაობა

„მოსაოცი და წამიხეული საქართველოს“ ავტორმა მთხოვა ამ საინტერესო და ჰქუის მისწავლებელი ნარკვევის წინასიტყვაობა დამეწერა. დავთანხმდი ორი მიზეზის გამო. უპირველესად იმიტომ, რომ შესაძლებლობა მქონდა საქართველოში თავად მეხილა იმ მოვლენათა უმრავლესა ნაწილი, რომელსაც ეს წიგნი გვიამბობს. მეორედ კი იმიტომ, რომ მუდამ ძალიან მძღელებდა და მინტერესებდა საქართველოს სევედი და უირ-ვარამი.

რუსეთის რევოლუციის წყალბით, საქართველომ დამოუკიდებლობა 1917 წელს აღიდგინა. ქართველობას გამოკვეთილი ახასიათებს ვაკეკობა და ეროვნული გრძნობა. მაგრამ შეიძლება იგი ამ ღირებას მოკლებულ ხალხად მიგვეჩნია, რომ არ ესარგებლა იმ თავისუფლებით, რაც მოვლენათა მსკლელობამ შესთავაზა. რუსეთის არმიის ამიერკავკასიიდან წასვლის შემდეგ საქართველოს თურქეთი დამეჭურა. მოკავშირეთა მიმართ თხოვნამ შედეგი არ გამოიღო. მაშინ საქართველომ დახმარებისათვის გერმანიას მიმართა. მიიღო კიდევ ეს დახმარება. ამის გამო საქართველოს ვერ ვავიციხავთ. გერმანიამ იხსნა იგი თურქთა ოკუპაციისაგან.

მსოფლიო ომის დამთავრებისა და ზავის დადების შემდეგ თურქეთის ჭარმა ამიერკავკასია დატოვა. ამიერკავკასიის სამ რესპუბლიკას — საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს — ამოსუნთქვისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების საუკეთესო ფორმის გამოძენის საშუალება მიეცა.

სამწუხაროდ, მათ უკუავდეს, თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, თავისუფლად დარჩენის ერთადერთ საშუალება და იმედი: შეექმნათ სამი სახელმწიფოს კონფედერაცია. შემგომ ამ კონფედერაციას უთუოდ შეუერთდებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიის მთიელი ხალხები. ამრიგად, მტკიცე ბლოკი ჩამოყალიბდებოდა. საკუროების შემთხვევაში იგი შეძლებდა გამკაცვბოდა როგორც ჩრდილოელ, ისე სამხრეთელ მეზობლებს. არც გამარჯვების იმედი მოაკლდებოდა.

ასეთი კონფედერაციის უპირატესობა იმდენად ნათელია, რომ გაუგებარია, რატომ არ მოხდა ეს გაერთიანება. მაგრამ გაუგებარია იმისათვის, ვინც არ იცის, რომ რუსეთის მიერ კავკასიის ოკუპაციის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ კავკასიის ხალხებს შორის მტრობა-უნდობლობა იყო.

ისიც შეიძლება დავამატოთ: აზერბაიჯანელები უფრო რელიგიური ძმების — თურქებისაკენ აყურებოდნენ. ხოლო სომხეთს მაინც რუსეთი იზიდავდა. სომხეთს რუსეთის ძლიერების იმედი ყოველთვის ჰქონდა. თუ, ერთი მხრივ, რუ-

სეთი მფარველობა სომხეთს თურქეთის წინააღმდეგ, მეორე მხრივ, ჩრდილოელი მეზობლის მხარდაჭერა სომხეთს საშუალებას აძლევდა ამიერკავკასიაში ვაჭრობის საქმის სრული ბატონ-პატრონი ყოფილიყო.

ასე იყო თუ ისე, კონფედერაცია არ შეიქმნა. თითოეული სახელმწიფო ცალ-ცალკე ცდილობდა დახმარება მიეღო ან ანტანტისაგან ან თურქეთისაგან.

ანტანტის სახელმწიფოები კი იმ დროს უფრო მნიშვნელოვანი სუბექტები იყო დაკავებული. ამის გარდა, ეტყობა, მცდარი შთაბეჭდილება აქონდათ. თეოდენენ, რომ ამიერკავკასიის მხარეში ქრისტიანობის მონოპოლია მხოლოდ სომხეთს ეკუთვნოდა. სრულიად სამართლიანად, ისინი სიმპატიით იყვნენ განწყობილნი ამ ქვეყნის მიმართ. განსაკუთრებით ყურადღება სომხებმა მის მერე მიიპყრეს, რაც ხოცვა-ჟლეტა მოუწყვეს თურქებმა. დასავლეთში სულერთთავედ გეგმებს აწყობდნენ, როგორ ეხსნათ სომხეთი უბედურებისაგან. საქართველოსადმი კი ანტანტის სახელმწიფოებს არავითარი სიმპატია არ ჰქონია.

აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ქართველებიც ქრისტიანები არიან. თუმცა მათ ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით ცხოვრობს მუსლიმანი მოსახლეობაც. სომხებისაგან განსხვავებით, ქართველებს კეთილგანწყობილი ურთიერთობა აქვთ მაჰმადიან მეზობლებთან.

ასე და ამრიგად, საქართველოს, ისევე როგორც სომხეთსა და აზერბაიჯანს, ყოველგვარი დახმარების თვინიერ მართო მოუხდა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. ძალიან დიდი იყო სიმწელები, რომელთაც ქართველი ხალხი წააწყდა. ეს სიმწელები არ შემცირებულა იმის გამო, რომ მთავრობა მენშევიკური, ანუ სოციალისტური იყო.

ამ მთავრობის საშინაო პოლიტიკამ არავინ დააკმაყოფილა; მიწებისა და რამდენიმე მომგებიანი ინდუსტრიული საწარმოს ნაციონალიზაციამ მეურნეობა განადგურებამდე მიიყვანა, მენშევიკური ხელისუფლება პარტიულ ინტერესებს უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე ეროვნულს. ამის ერთ ტიპურ მაგალითს მოვიყვან: გენერალი კვინიტაძე რამდენჯერმე მოიშორეს. მაგრამ როგორც კი ვითარება გამწვავდებოდა, ისევე სათავეში აყენებდნენ.

მოსკოვთან ურთიერთობაში ქართული მთავრობა მიაბიტი იმედით იკვებებოდა. სჭეროდა, რომ ბოლშევიკებს განსაკუთრებული დამოკიდებულება ექნებოდათ მენშევიკებთან, თავიანთ სოციალისტ ძმებთან. (მართლაც რომ ბალღური იყო ეს იმედი).

აგტორი საოცარი სიციხადით გვიჩვენებს, სოციალისტთა შორის ამგვარი სოლიდარობისაგან რას უნდა ელოდოს კაცი.

მოკავშირეებთან ურთიერთობისას ქართული მთავრობა მისთვის არახელსაყრელ მდგომარეობაში ვარდებოდა. ქართული მთავრობა არ იცნობდა ანტანტის ხალხების მსოფლმხედველობას. რა ვნება მოჰქონდა ამ უცოდინარობას, სანიმუშოდ ერთ მაგალითს მოვიშველიებ. ეროვნულ გვარდიას წითელი დროშა ჰქონდა. საქართველოში ჩამოსული უცხოელები — სულერთია, იქნებოდა ეს ოფიციალური თუ კერძო პირი — ამ დროშის დენახვისთანავე საქართველოს აღიქვამდნენ ბოლშევიკურ ქვეყანად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ყველა ნამდვილი მეგობარი მთავრობას ურჩევდა, უარი ეთქვა ამ დროშაზე, იგი მაინც რამდენიმე თვის განმავლობაში ინარჩუნებდა მას.

ამგვარი ნაშრომს სრული ობიექტურობა უნდა ახლდეს. ამიტომ ჩემს მოვალეობად ვთვლი ვაღიარო: მთავრობას არცერთი შეცდომაც რომ არ დაეშვა, მაინც არა ვარ დაწმუნებული, რომ იგი შეძლებდა საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას წითელი ძალის პირისპირა.

ამ წიგნის დაწერით აგტორმა დიდი სამსახური გაუწია საქართველოს. მაგრამ დაპყრობის წინ და შემდგომ, საქართველოსადმი ბოლშევიკების დამოკიდებულებისა და მოქმედების დაწერილებითი აღწერით, მიმაჩნია, რომ აგტორმა კიდევ უფრო დიდი სამსახური გაუწია საერთოდ მთელ მსოფლიოს.

ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ შეუძლებელია არ განიმსჯელო იმ აზრით, რომ ბოლშევიზმი არის სიზარტლის ყოველნაირი იღვის, პატიოსანების, ზეოზობრივი ქცევის და ჰუმანურობის უარყოფა.

ბოლოს წინა თავში აგტორი ასკვნის, რომ ბოლშევიკების მხეცობამ მიიყვანა საქართველო 1924 წლის აჯანყებამდე. ეს შესაძლებელია ასეც იყოს: წითელი წამებით გამოწვეულმა სასოწარკვეთამ გამოიწვია ამბოხი. მაგრამ მეორე მხრივ, აჯანყების ნიშანი თუ ემიგრაციიდან მოვიდა (რაც სრულიად შესაძლებელია), მაშინ იმას, ვინც ეს ვააკეთა, საზარელი პასუხისმგებლობა ეკისრება. რაკი გარედან არავითარი დახმარება არ იყო მოსალოდნელი, შეუძლებელია ვისმეს რაიმე იმედი ჰქონოდა, რომ აჯანყებით ბოლშევიკურ უღელს დაამხხვრევდნენ.

აგტორი დიდი სიმპატიით საუბრობს ქართველებზე. მეც მთლიანად ვიზიარებ ამგვარ შეხედულებას.

ქართველი ხალხი მკვეთრად გამოხატული ეროვნული გრძობებით, დიდებული ისტორიით, კუნთმაგარი და სახეაზროვნების გლეხებით (რაც მისი მოსახლეობის უმრავლესობაა) ცხოვრობს საოცრად ღამაზი ბუნების ქვეყანაში. მისი წიაღი ძალიან მდიდარია. ეს ხალხი უდაოდ იმსახურებს იმას, რომ მიეცეს საშუალება გავივითარდეს თავისუფლად, საკუთარ მისწრაფებათა შესაბამისად და მშვიდობიანად.

მაგრამ, ალბათ, ჭერ შორის ვართ ამგვარი შესაძლებლობის განხორციელებისაგან. საქართველოს გეოგრაფიული მდგომარეობა (ისევე, როგორც მისი წიაღისეული სიმდიდრე) წარმოადგენს ყველაზე დიდ ზიფათს და დაბრკოლებას ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის გარეშე. თუ ერთ მშვენიერ დღეს, ერთა ღვთა მართლა გახდება მსაჯული ერთა შორის დაეისა, მაშინ საქართველო კარგად დააფასებს სპარსული ანდაზის ქეშმარიტებას: „მოთმინება მწარგა, მაგრამ ნაყოფი მისი ტკბილი“. ასეთია, ყოველ შემთხვევაში ჩემი ურყევი იმედი. მე ვწერ, როგორც კაცი, ვინც დინახა და დააფსა ქართველების დიდი და მრავალი ღირსება სწორედ იმ პერიოდში, როცა ისინი სამშობლოს დასაცავად ებრძოდნენ ვაჟკაცურად და თავგამეტებით. თუმცა ამაოდ. განსაკვირებელი იყო ქართველ კადეტთა კორპუსის თავგანწირვა და სიმაჰაცე. ისინი თითქმის მთლიანად გაანადგურეს თბილისის მისადგომებთან ბრძოლაში. ეს ნებას არ გვაძლევს დავეარკოთ იმედი იმ ქვეყნისა, რომელმაც ასეთი ამაღლებული გმირები შვა.

და ბოლოს, მინდა მადლობა მოვახსენო აგტორს ასე კარგად დოკუმენტირებული და ნათელი ნაშრომის დაწერისათვის. მივაგო პატივი მის სურვილს, იყოს რამდენადაც შეიძლება მიუდგომელი, ვაღიარო ის დიდი სამსახური, რომელიც ვაგვიწია მან იმით, რომ აღწერა მეთოდები და აზროვნება ბოლშევიზმისა, იმ საზიფთო სნეულებისა, რომელიც აუცილებლად უნდა გაჭრეს, თუკი ცივილიზაციის გადარჩენა გვსურს.

შ. ბ. სტრუკი*
24 სექტემბერი, 1926 წელი.

* პოლკოვნიკი სტოკე მსახურობდა ინგლისის არმიაში. მან განსაკუთრებულ როლი შეასრულა ბათუმის ბედის გადაწყვეტაში. 1920 წლის ივლისში პოლკოვნიკმა სტოკემ, ანტანტის სახელმწიფოების სახელით, ბათუმი საქართველოს გადასცა. მანამდე ბათუმი თავისუფალი ქალაქის სტატუსი ჰქონდა.

საქართველო
თბილისი

შესახალი

ჩვენ, საფრანგეთში, ერთი დიდი ნაკლი გვაქვს. ეს გახლავთ ის, რომ სრულებით არ ვიცნობთ იმ უცხო ხალხებს, ვისაც ჩვენდამი დიდი სიყვარული და თაყვანისცემაც კი აქვთ. არ ვიცნობთ იმათ, ვინც მადლიერების გრძნობით გვეპყრობა. არა აქვს მნიშვნელობა, დიდია ეს მადლიერება თუ მცირე.

ამის გამოა, რომ არ ვიცნობთ ჩვენს ნამდვილ მეგობრებს, რითაც ზმირად საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ ვმოქმედებთ.

გავევტო ამ აზრს და გკითხავთ: რომელმა თქვენგანმა იცის, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთით ცხოვრობს ხალხი, რომელიც საფრანგეთისადმი ვამსვენებელია დიდი სიყვარულით და ღრვა მადლიერებით? რომელმა იცის, რომ ეს საშმილიონიანი ერი იტანება და იმედის თვადლით გვიპურებს? რომელმა იცის, რომ ამ ქვეყანას საქართველო ჰქვია?

შორი მანძილისა და სხვადასხვა გარემოებათა მიწეწით, ჩვენ ცოტა გავაკეთეთ მისთვის. მართალია, ხმა ავიშაღეთ და პროტესტი გამოვთქვი, როცა მას ჩაგრავდნენ. ანტანტის სხვა ქვეყნებთან ერთად, დიდი ომის შემდეგ, ვსაქმიანობდით მის სახარებლოდ. შევიფარეთ მისი მთავრობა, რომელიც ბოლშევიკური ურდოების შემოსევის შემდეგად იძულებული გახდა მიეტოვებინა მშობლიური მიწა-წყალი. მიუხედავად წითელი ოკუპაციისა და საბჭოთა მთავრობის პროტესტისა, მისი ლეგაცია პარიზში მივიჩინეთ დამოუკიდებელი ერის ლეგაციად.

მივხედოთ ამ ქვეყანას. უური მივუხდლოთ მის მძიმე ხედვარს. უკეთ გავიცნოთ იგი, შევიგნოთ, რა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მას მისი ადგილმდებარეობის გამო. იგი ხომ მოქცეულია რუსეთს, სპარსეთს და თურქეთს შორის, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შუა! დაბოლოს გავაცნობიეროთ, რა სარგებლობას მოგვცავენ ჩვენდამი მეგობრულად განწყობილი ერი იქ, ახლო აღმოსავლეთში, ბოლშევიზმის გაქრობის მერე.

„იმ ქვეყანას, ძველ კოლხეთს—წერდა ელიაზე რეკლიუ — ტოლი არ პუავს მსოფლიოში მწვანე საფარის ბრწყინვალეობით, მიწის ბუნებრივი სილხვიით და შრავალფეროვანი სიმდიდრით.“

წიალისეული სიმდიდრე იქნება თუ მიწისზედა, საქართველო მართლაც კურთხეული მხარეა.

საქართველოს ნავთობიც აქვს, ის, რასაც ახვ გაფაციცებით დაიქვს ყველა დღეს. ზოგი მთიგანი შეიძლება მნიშვნელოვანი საბადოც აღმოჩნდეს, მაგალითად კახეთში, ბაქოს რეგიონიდან ნავთობის ექსპორტი ხორციელდება ნავთობსა-

დენით, რომელიც საქართველოზე გადის და 1918 წლიდან მოქმედებს.

საქართველოს ბუნებამ იმდენი სიმდიდრე დაანათლა, რომ იგი უკველთვის იწვევდა მეზობლების შურს. ამასთან ერთად, იგი დიდი ლაშქრობების გზაზე აღმოჩნდა. ამიტომ იპურობდნენ ასე ზმირად. ამიტომ მისი დედაქალაქი ტფილისი არაერთგზის უკოფილა აოსრებული. იგი მშ-ჩერ იყო დაპყობილი.

საქართველოს სიმდიდრის გაძარცვა, მის ხარკზე ხელის მოთობა, მისი შეშევობით შეთვლი ამიერკავკასიის განახლების დაუფლება — აი რა ამოძრავებდა მოსკოვს, როცა საქართველო დაიპურა. ამასთან დაკავშირებით მოვიყვანთ ერთა ლიგაში ქართული მთავრობის მიერ წარდგენილ შემორანდუმის სტრაქონებს: „დღეს ყველასათვის ნათელია, რომ კავკასიის და საქართველოს დაპყრობა მოხდა ამ ქვეყნის სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად“. განა ბერლინი რადღემა თავად არ აღიარა, რომ საქართველო საბჭოთა რუსეთმა ბაქოს ნავთობის შესანარჩუნებლად დაიპურა!

მაგრან ქართველებს სიკვდილი არ უნდათ და არც უწერიათ.

რუსეთის არმიის უმაღლესმა მთავარბარდალმა მსოფლიო ომის დროს, დიდმა მთავარმა ნიკოლოზმა განაცხადა: „თითოეულ ჩემს ბრძოლაში ზუთი ქართველიც რომ ერიოს, ვიცო, როგორ იომებდა ჩემი არმია.“

ქართველები, რომელთა ეთნიკური სათავეები უცნობია, არიან არა მარტო მამაცი რაინდები, ერთგული და ზალიხიანი, არამედ მომთმენი, თავდაპირილი საზოგადოებაში, პირად ცხოვრებაში, მომთხოვნი საკუთარი თავის მიმართ. მათთვის უცხოა აყალმუალისა და თავაშვებულებისადმი მიდრეკილება... არიან დახვეწილი გრძნობების და კულტურის მატარებლები. ქართველთა ეს დახასიათება სრული არ იქნება, თუ არ მოვიშველიებთ ჩვენ ერთი თანამემამულის იან კარმონის მოგონებებსა და შთაბეჭდილებებს.

„შორიდანვე შეამჩნევთ ქართველების მოქნილ მოძრაობას, წვრილ წელსა და ფართო მკერდს. შეუპოვარი ჩერქეზივით ამაუ სიარულს. ახლოდან კი თვალში გეცნობთ შავ გრუზა თმები, ცოცხალი, ხანდახან კი პირქუში დღი

1 ავტორს ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის ამუშავების თარიღი ეშლება. სქოლიოში შენიშვნას: თუ არ ახლავს მინაწერი — „მთარგმნელები“ —, ეკუთვნის თავად დიუგეს.

2 „La géorgie libre“, par E. Kuhne, Genève, 1920.



თვალები, ჩაწიწიებული კბილები, გრძელი წაწელები (ქალების უფრო ნაწი და ამაღლებული). ხელს თუ შეახებთ, იგრძნობთ პატარა, მაგრამ ნაწი ხელების ქაბჭათა თეთრი ფერის კანს.

ხასიათი, მიუხედავად ამ პირობებისა, რომელიც იგი ჩამოყალიბდა, ქართველი ძალიან მხიარული ჩანს. კიდევ უფრო მომღიზიანებელია ღვინის წყალობით, ალბათ, აქედან მომდინარეობს ქართველის სიყვარული სიმღერისა და ცეცვისადმი. ათენელ აღმზრდელებზე ადრე, ეს დალკროზის ინციკატივზე ბევრად ადრე, ქართველებმა თაობიდან თაობაში გამოიმუშავეს რიტმი, მარშონია, შესაძლებელია, ამ ძველი დისციპლინის წყალობით აქვთ მათ ასეთი შესანიშნავი აღნაგობა.

როცა მარგლავენი ხიზინდის ყანებს, როცა ქერს მკიან, ქართველები განსაკუთრებული რიტმით მუშაობენ. ჭვადუნად დაწეობილი ისინი ხალისიანად შრომობენ, რამდენიმე მომკელი სიტყვებს მღერის, რომელიც შესრულებულ სიმუშაოს შეესაბამება. რაც უფრო წინ მიიწევენ, რიტმი ჩქარდება, სამკალის ბოლოს უცბათ ჩერდება. უკან დაბრუნებისას ისევ იწყებენ ახალ რიტმს. ასეთი რიტმით მუშაობა იწვევს კოლექტიურ მხიარულებას.¹

ამ ნაშრომში იან კარმორი ძალიან ზუსტად აღნიშნავს ქართველის ხასიათის განსაკუთრებულ თვისებას: კარგი ხასიათი, უველგან და უველაფერში მხიარულება. ვინც იცნობს საფრანგეთში ქართულ წრეებს, დაადასტურებს ამ ხასიათების სრულ სისწორეს.

მრავალი ტანჯვის გადამტან, კაცუნით მოცულ ქართველ ემიგრანტებს ვერ შეატყობთ იმედის გაცრუებას, თუმცა სამშობლოში დაბრუნებულ ახლობლების ამბავს დრო და დრო თუ გაიგებენ. ზოგჯერ ნათესავისა და მეგობრის დახვერტის ამბავიც მოსდით.

ემიგრანტებს არავითარი სახსრები არა აქვთ, იცხოვრონ და არჩინონ ოჯახი (თუ კი მოახერხებს წამოყვანა). მათ ხშირად უხდებათ არაშესაფერხ მსახურზე დათანხმდნენ. ისინი ღირსეული მორჩილებით ცხოვრობენ, დაუოკებელი ენერჯია აქვთ და კარგი ხასიათი. მიუხედავად უველაფერისა, დრო და დრო, დიდი იმედი უჩნდებათ, რომ თავიანთ სამშობლოს უკეთესი დღეები დაუდგება და თავისუფალს იხილავენ.

ბევრი ქორეაპის და ტანჯვის (მეტადრე მორალურის) სიმწარემ შეიძლება თვითმკვლელობამდე მიგუყვანოს (თვითმკვლელობის ორი ტრაგიკული ამბავი ვიცი, ერთი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწისა და მეორე კეთილშობილი ახალგაზრდა მშვენიერი ქალისა) და მიუხედავად ამისა, ვერ შეხედებთ გამწარებულ ქართველს, ვისაც სიძულვილი ღრღინს სხვის მიმართ. ქართველებს მხოლოდ ერთი სიძულვილი აქ-

ვართ, სიძულვილი იმ ცბიერების მიმართ, რომელიც მეგობრობისა და შვილობის ხელშეკრულების შემდეგ, ლაჩრულად, მოულოდნელად, სიტუციის გატებით გადმოლახეს საქართველოს საზღვრები. შეეხიენ ქვეყანას, მთლიანად დაიპყრეს. გაძარცვეს, დაანგრიეს. ამოხოცეს შამაკები, ჭაბუკები, მოხუციები, ქალები, ბავშვები სიძულვილი იმ მოღალატეთა, რომელთაც წითლები მოიუყანეს.

სიმართლის სრულიად უბრალო გრძნობამ, ამ ქვეყნის ტკივილების სრულმა გაგებამ უნდა დაგვაახლოვოს ჩვენ ამ მცირერიცხოვან ხალხთან, რომელსაც ახე ხშირად ჩაგრავდნენ და მანაც ვერ მოტყუეს. მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული უფრო მკიდროდ შეეკრათ სიუყვარულის კავშირი ორ ქვეყანას შორის საქართველოში იგი უკვე არსებობს. იქ უველგან უყვართ საფრანგეთი, სოფლებშიაც და გლეხის უბრალო კუნშიაც კი. განათლებულ საზოგადოებაში ძლიერ არის დღეისაღებელი ფრანგული კულტურა როცა იმდროინდელმა ამიერკავკასიის მთავრობამ (ოზკომმა) ტფილისში ფრანგს ნება დაართო ფრანგული ლიცეუმი გაეხსნა. ამისათვის წინასწარმომზადებულმა შენობამ მსურველთა რიცხვი ვერ დაიტია. გოგობები და ბიჭები ასობით მოდიოდნენ. ჩქარა ეს ლიცეუმი დედაქალაქის ერთ-ერთი უველაზე დიდი სასწავლებელი გახდა.

მართლაც ეს ფაქტიც მოწმობს, რა პატივის სცემენ იქ ფრანგულ ენას და კულტურას. როცა საქართველო განთავისუფლდება, ხელი უნდა შევუწყოთ ქართველებს, რომ მათ ჩვენი ენა ისწავლონ. ძალიან ჩქარა ფრანგული ენა იქნება უველაზე პოპულარული და გამოყენებული, ქართული ენისა და ადგილობრივი დიალექტების შემდეგ. იგი იქნება დილომატიის ენაც, რომელიც საქართველო სარგებლებს მეზობელ ქვეყნებთან პოლიტიკური ურთიერთობისას.

ცხადია, ბოლშევიკებმა მისვლისთანავე დახურეს ფრანგული ლიცეუმი. მისი დამაარსებელი და დირექტორი ამჟამად პარიზშია.

როგორც უკვე აღვნიშნე, ქართველ ხალხს საფრანგეთისადაც დიდი სიმპათია აქვს. ეს გრძნობა პასუხს მოითხოვს.

მართალია, ამჟამად საქართველო, ისევე როგორც კავკასიის დანარჩენი ნაწილი, „დახურულია“ წითლების მიერ, მაგრამ მაშინ, როცა იგი კვლავ აღიადგენს დამოუკიდებლობას, შეიძლება გახდეს ჩვენი მრეწველობის სანტრეგოს ბაზარი, ჩვენს კაპიტალს კი მომგებიანი დახანდებანი, სწორედ ფრანგულმა საზოგადოებამ დაიწყო

3 ცნობილია ერთი მრავალრიცხოვანი ოჯახი, რომლის ყველა წევრი, უკლებლივ დიდიცა და პატარაც, ერთდროულად ამოწყვიტეს.

საქართველო
დასავლეთი

წითლების მოსვლამდე, ალავერდში სპილენძის საბადოების დამუშავება, ეს საბადოები ძალიან მნიშვნელოვანია. რა საჭიროა გაემიეროს ის, რაც ბზირად ხდებოდა სხვაგან? ჩვენ არ უფიქროს, ბერის შეცდომით თუ უმოქედობით საშუალება მივცეთ სხვებს ესარგებლინ ამ უპირატესობით, რაც ჩვენ უკვე თითქოს ხელთ გვქონდა.

მოვლენები, რომელთაც გაიმბობთ, ჩვენთვის საუბრადღებო ცნობებს შეიცავს. საჭიროა აქედანვე მოვლინოთ ნათელი იმ ფაქტს, რომ სოციალისტურმა გამოცდილებამ საინკეთხო არაფერი მოუტანა საქართველოს.

ნურავენ შემდეგვება: სამშლიონიანი საქართველო უძლეო იყო გამკლავებოდა მტერს. არ შეიძლო დამარცხებინა დიდი რუსეთიდან მოსული ურდო.

ეს არგუმენტი რომ სწორი იყოს, მაშინ ვერც ბალტიისპირეთის ქვეყნები, მაგალითად ლიტვა, ვერ ჩამოუალიბდებოდნენ დამოუკიდებელ ქვეყნებად. ვერც თავისუფლებას შეინარჩუნებდნენ. მტრსაც გატყუით. ამ წიგნის მიზნით თავში ერთი მაგალითი მომყავს. როცა აზერბაიჯანიდან წითელი არმია მოალატურად დაცხსა თავს საქართველოს, ქართველმა მეომრებმა მარტო მოახერხეს უკუგადოთ მტერი, წითელი არმია თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. საქართველოს მთავრობის ბრძანება რომ არა — შეიწყვიტათ მტრის დევნა — უდავოა, ბოლშევიკები აზერბაიჯანიდანაც იქნებოდნენ გაძევებულნი და ვერც სომხეთში მოიკალათებდნენ. მოსკოვის თხოვნის გამო ვასცა საქართველოს მთავრობამ ბრძანება, შეიჩერებინათ მტრის დევნა და ქართული ხატალიონები თავის ტერიტორიაზე დაბრუნებულიყვნენ. ეს რომ არ გაეცთებინათ, საქართველოს წითელი საშიშროება მოსცილდებოდა. ამ სამი ერის ბლოკის მიმართ წითლები მომავალში მორიდებით გაიშვებოდნენ, დისტანციასაც დაიჭერდნენ. ეს რესპუბლიკები კი გააგრძელებდნენ თავისუფალ ეროვნულ ცხოვრებას, როგორც ბალტიისპირეთის ქვეყნები და პოლონეთი.

ახლა ცოტა უკან დავიხიოთ: რუსი ბოლშევიკებისა და სრულიად რუსული მენშევიკების პარტიებს და ქართველ სოციალ-დემოკრატებს ერთი სათავე აქვთ: სრულიად რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტია.

ამ პარტიას 1908 წელს გამოეყვნენ დიხიდენტები: ბოლშევიკები ლენინის მეთაურობით. მენშევიკები კი ერთგული დარჩნენ ძველი სოციალ-დემოკრატიული პარტიისა. მერე მენშევიკებიც ორად გაიყვნენ — ინტერნაციონალისტ-

ბად, მარტოვის ხელმძღვანელობით და მენშევიკების ხელმძღვანელობით. ქართველი მენშევიკები კი იყვნენ სრულიად რუსული მენშევიკური პარტიის წევრები. ისინი ამ პარტიას მხოლოდ 1917 წლის რევოლუციის შემდეგ ჩამოსცილდნენ.

ქართველი სოც-დემოკრატებისა და რუსული ბოლშევიკური პარტიის ეს საერთო სათავე იყო მიზეზი იმ დიდი იმედგაცრუებისა, რაც ქართველ სოც-დემოკრატებსა და ქართულ სოც-დემოკრატიულ მთავრობას მოუვიდა. ამ მოთავრობას დიდი იმედი ჰქონდა, რომ ხანგრძლივ მშვიდობიან ურთიერთობას დაამყარებდა რუსული ბოლშევიკურ პარტიასთან. ამიტომ უყვლა დათმობაზე მიდიოდა. ახე იყო მანამ, სანამ ხელთ არ ჩაუვარდათ მატერიალური საბუთი წითლების ორმაგი, თვალთმაქცური თამაშისა (იხ. ბეკერის მოხსენებითი ბარათი მენშეთე თავში).

ბოლშევიკური ინტრიგების უღაო საბუთების მიუხედავად, ტფლისში მოკალათებული 800 კაციანი საბჭოთა დელეგაციის მიუხედავად, რაც ნამდვილად პროპაგანდისტებისა და ქაშუშების ბუდე იყო, საქართველოს მთავრობა ვერარტებს ხედვდა და ბრმასავით იქცეოდა.

ამ მთავრობას თვლი არ ახდელია არც მეორე შოულოდენი თვალახსნის, წითელი ქარის მიერ საქართველოს დაპყრობის, ხოცვა-ჟლეტისა ამ ქვეყანაში და დატრიალებული უბედურების (მაგალითებს ქვემოთ მოვიყვან) შემდეგაც. როცა 1924 წლის აჯანყების ჩახშობა დაიწყო და ქართველთა სისხლი უხვად დაიდვარა, საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარემ 1924 წლის 8 სექტემბერს დეპუტა გაგზავნა მოსკოვში: „მოსკოვი, კრემლი, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის“, რომელსაც შემდეგ სიტყვებით ამთავრებდა: „ქართველი ხალხის სახელით გთავაზობთ შეაჩეროთ სამხედრო მქედებანი და რუს-ქართველთა კონფლიქტი მშვიდობიანად გადაწყვიტოთ. საფუძვლად გამოვიყენოთ 1920 წლის 7 მაისის ჩვენს შორის დადებული ხელშეკრულება. ამასთან ერთად ვაცხადებ, რომ ჩვენ მზად ვართ დამატებითი ხელშეკრულებები დავდოთ, რაც გარანტია იქნება თქვენი ეკონომიკური და კომერციული ინტერესებისა საქართველოში“.

ვინ იცის, რამდენი იცინეს ბოლშევიკებმა ამ დეპუტის წაკითხვისას!

1925 წლის 29 იანვარს სოციალისტმა დეპუტატმა რენდელმა დეპუტატთა პალატაში მოხსენება გააკეთა. მან აღწერა ეს ქვეყანა, როგორც სოციალისტური (მეორე თავში უარყოფთ ამ მცდარ მტკიცებას) და შემდეგი რამ თქვა:

იმ ექვსი კვირის განმავლობაში, რაც ვათვალისწინებულ იყო გენერალ ბეკერის მოხსენე-



ბით ბარათში (რა ხაზგასმული წრდილობაა ამ წითელი უფროსის მიმართ) — რ. დ.) ქართულ მთავრობას, როგორც უკვე ითქვა, ძალაუფლება აურილი ჰქონდა და იმუღებული გახდა გაქცეულიყო. სჭეროდა რა იმის, რომ ხალხი მას დაუჭერდა მხარს, ჭერ კონსტანტინოპოლში და მერე ევროპაში ჩამოსვლისთანავე, ქართულმა მთავრობამ მზა აიმაღლა და პროტესტი განაცხადა იმ შემოსევის წინაღობა, რომელმაც საქართველო დაიმონა“.

ძარბაველი მთავრობას თავში აზრად არ მისვლიდა, რომ სოციალისტებსა და ბოლშევიკებს უორრის, რომელნიც აბრძოლები პრამინიონის აცხადებენ სოციალისტები ვა. რთო, შეაშუბლებელი იხრ ხელშეპრალეებთან საშუაშეაღზე ურთიერთგანებაზე.

საქართველოს ყოფილმა მთავრობამ რამდენჯერმე სცადა მიეშართა სხვადასხვა საერთაშორისო დაწესებულებებისათვის, განსაკუთრებით ევროპის მუშებისა და მათი ორგანიზაციებისათვის და ნაირნაირი ინტერნაციონალისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნი უორდანია 1921 წლის მისიში ამბობდა:

„ჩვენ მზად ვართ მივიღოთ არბიტრაჟი, ოღონდ წითელი არმია საქართველოდან გავიდეს (ეს ამ დეკლარაციის დასკვნაა). რუსეთის მთავრობამ მისცეს საშუალება და უფლება ქართველ ხალხს თვითონ განაგოს საქუთარი თავი და ეპოვებება. თავისი სახელმწიფო მოაწყოს საქუთარი სურვილით. თავად ქართველ ხალხს დაეკითხოს!“.

„ქართველები ფარ-ხმალს არ ყრიან. 1928 წლის 6 ივლისს იხინი სთავაზობენ — კომუნისტებისა და დასავლეთის სოციალისტების წარმომადგენელთა თანაზიარ რაოდენობით შედგენილი კომისია ჩავიდეს საქართველოში. მან აღვიღე განიხილოს ვითარება და გამოავლინოს ხალხის ნამდვილი ნება-სურვილი.“

— ჩვენ თანახმანი ვართ — ამბობდნენ იხინი, — რომ კომისიამ მთელი ერის აზრი კი არ გაიგოს, არამედ მხოლოდ მუშებისა და გლეხების. ი. ი. იშთო, ვისაც საბჭოთა კონსტიტუციით აქვთ არჩევნების უფლება და, ბოლშევიკების მტრობით, ქვეყნის ბატონ-პატრონი არიან.“

დაბოლოს რენოდელი ასკვნის:
„ზედმეტია იმისი თქმა, რომ ამ ბოლო მოთხოვნაზეც არ ყოფილა დადებითი პასუხი, როგორც 1921 და 1922 წლების მოთხოვნებზე“.

ზღაპარია ეს ყველაფერი!
ასევე ზღაპარი იყო წითელი გვარდიიდან, მერე ხახალხო (ეროვნული) გვარდია რომ უწოდებს, ჩამოყალიბებინათ კორპუსი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის დაცვას შესძლებდა.

ეს გახლავთ ერთგვარი პრეტორიანული გვარდია, რომლის ემბლემა წითელი დროშა იყო. ამ წითელ გვარდიას მილიციის ფუნქცია ჰქონდა. მას წესრიგი უნდა დაეცვა. იმ დროს, როცა რუსი ჯარისკაცების რაზმები ამიერკავკასიის სტრუქტურებდნენ; ამავე დროს, დასავლეთის ფრონტიდან სამშობლოში ქართველი ჯარისკაცები თანდათანობით ბრუნდებოდნენ. მათი ერთი ნაწილი ბოლშევიკური პროპაგანდის გავლენის ქვეშ იყო. ამ ვითარებაში გვარდიამ ქვეყანას რეალური სასახური გაუწია: დაამყარა წესრიგი.

იმასთან დაკავშირებით, რომ კარგად თუ ცუდად (უფრო ცუდად, ვიდრე კარგად) იქმნებოდა რეგულარული არმია, გვარდიის როლი უნდა შემცირებულიყო. არმიის შექმნას მთავრობა სათანადო ყურადღებას არ აქცევდა. ჭერ ერთი იმიტომ, რომ უფრო წითელი გვარდიით იყო დაინტერესებული და, მეორეც იმიტომ რომ, თუ ქვეყანა მართლაც სოციალისტური გახდა, როგორც ზოგიერთები ამტკიცებდნენ, არმია, როგორც ხელისუფლების დასაყრდენი, საჭირო აღარ იყო.

წითელ გვარდიაში რეალურად არავითარი წესრიგი არ ყოფილა. იყო „საკუთარი გუნება-განწყობილების დისციპლინა“. ეს დახვეწებული ხუმრობა ზოგიერთის ტვინზე შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან თავისთავი მუშანისტი მგონია. გვარდია იყო სრულიად არაფექტური ორგანიზმი. მას სათავეში პატარა „სახელო“ ედგა. იგი მაღალფარდოვანი „გვარდიის შტაბად“ იწოდებოდა. თუ აუცილებელი გახდებოდა ამ გვარდიის რამოდენიმე ბატალიონის ერთად მოქმედება, არცერთი ოფიცერი არ იყო წინასწარ გამოყოფილი, რომ მათთვის ეხელმძღვანელებდა. უმეტეს შემთხვევაში, ოფიცერები ჯარისკაცების საერთო კრების მიერ ინიშნებოდნენ და ისიც არაპროფესიონალები. თუ პროფესიონალი ოფიცერი დაინიშნებოდა გვარდიის რომელიმე ერთეულის მეთაურად, გამუდმებით უსამოყვენბანი ხდებოდა ამის გამო. გვარდიის უდისციპლინობა და თავაშვებულება საუკეთესო პროფესიონალ ოფიცრებზეც კი ცუდად მოქმედებდა.

მართალია, უამრავი მაგალითის მოხმობა შემიძლია, მაგრამ აქ ვწყვეტ გვარდიაზე ლაპარაკს. ერთი სიტყვით, ქართულ გვარდიას მქონდა არა მარტო ყველა ეპოქის ეროვნული გვარდიის ხარვეზები, არამედ ნელნელა შეიძინა სოციალისტური დაცვის გვარდიის მანკიერებანიც.

ამის ბრალი იყო ის, რომ თუ გვარდია დღისით კარგად იბრძოდა (მისი ბევრი მაგალიტი ქართველი მხახურობდა), ღამით მის იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა. მომდევნო ფურცლებზე



ამის მაგალითებს ჩამოგთვლით, მათ შორის ერთ სამწესარო ფაქტსაც.

მე განზრახ ვცვლი ვამოთქმას „ეროვნული გვარდია“ „პარტორიანული გვარდიათ“. მართლაც, წლების მანძილზე, როცა მთავრობა ცდილობდა რიცხობრივად გაეზარდა თავისი პარტორიანული გვარდია (ზიადწა კიდეც მშხატალიონს) მხოვლინებეი ხელს უფრო და უფრო ეღებულობდნენ. მათი რაოდენობა ნამდვილად უმცირეხი იყო. ეს კი გასაკვირია ქვეყნისათვის, რომელიც ცნობილია, როგორც „სოციალისტური“.

სანამ თბრობას გავაგრძელებდე, ერთი რამ აუცილებლად უნდა დავაზუსტო: ჩემი კრიტიკა არ ეხება არც ცხენოსან დანაყოფს და არც არტილერიისას. მართალია, ქაღალდზე ისინი გვარდიის ნაწილებად ითვლებოდნენ, მაგრამ სინამდვილეში იყვნენ ჩეულებრივი რაქარისო პოლკები. გვარდიის შტაბში ვერ მოახერხა კავლერისტებისა და არტილერიისტების მოძენა და ამიტომ ისინი მხოლოდ ქაღალდზე არსებობდნენ (სოციალისტურ პარტორიანულ გვარდიას კავლერისტები) და არტილერიისტებიც ზომსკორდებოდათ). შემდგომში ზოგიერთი იტყვის — გვარდია მშენივრად იბრძოდაო, როგორც დღისით, ისე ღამით და მაგალითად მოიშველეთებს ცხენოსნებისა და არტილერიისტების მოქმედებებს. ეს კი, როგორც ვთქვი, არმიის პოლკები იყო, ხელმეფნად რომ შეიყვანეს გვარდიაში. ისინი მართლაც ვაჟაკურად იბრძოდნენ.

სანამ პარტორიანული გვარდიის სავალალო სიუჟეტს დავამთავრებდე, მინდა მკითხველს გავცანო ერთი დოკუმენტი. იგი დაწერა ერთმა ჩემმა თანამემამულემ, კარგმა დამკვირვებელმა, რომელმაც რამდენიმე წელი დამყო საქართველოში.

პარიზი, 17 აბვისტი, 1926.

„ბატონო,

თქვენ გაინტერესებთ ჩემი აზრი ქართულ ეროვნულ გვარდიაზე. მე იგი ვნახე მოქმედებაში. დავასკენი, რომ, როგორც სამხედრო ძალა, გვარდია აარსობაა. თავისი უდიდესი პლიონობითა და მოშლილობით იგი ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდა იმ პროფესიონალ სამხედროებზე, რომელთანაც მას კავშირს ჰქონდა.

მოკლედ, მე იმისი მოწმე ვიყავი, რომ გვარდია უძლური აღმოჩნდა მომხახურებოდა საფრთხეზე ჩავარდნილ საქართველოს.

იმასაც თუ დავამატებთ, რომ ეს „არშია“ დასაწყისში ატარებდა წითელი გვარდიის სახეს, თქვენ მაშინვე მიხვდებით — მას შეეძლო მხოლოდ უყოფილყო საფრთხობელა ქართველი „ბურჟუებისა“ და გლეხებისათვის. სხვა ქვეყნების მსგავს ფენებთან შედარებით, ქართველი

„ბურჟუები“ და გლეხები ბევრად უფრო გამოუსწორებელი კონსერვატორები არიან. მათ მხოლოდ ერთი მიზნაფება აქვთ: რაც შეიძლება მეტი შეიძინონ თავისი დღიური მოშაობით. ამას კი არაფერი აქვს საერთო „ორგანიზებული პროლეტარიატის“ რვა საფთიან სამშეო დღესთან.

ისიც უნდა გითხრათ: ამ გვარდიის უფროხად დანიშნა სამედიცინო ფაკულტეტის ყოფილი სტუდენტი. იგი პოლიტკაში ჩავსა და, ცხადია, არავითარი სამხედრო განათლება არ ჰქონდა.

უბრალო მილიციელი აღჭურვილი იყო უფლებით რამე შემიხვევის გამო დაეჭირა რეგულიარული არმიის ოფიცერი, მაგრამ წითელი გვარდიის რიგითი წევრის ხელის ხლება ცუდ შედეგს გამოიღებდა.

ძალიან ლმობიერი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ გვარდიის რაზმებმა უხალისოდ იბრძოლა სანკოელებს (რომელიც მათე წითელი იყო) წინააღმდეგ.

სანამ ჩემს წერილს დავამთავრებდე, კიდევ ერთ დეტალს მივუთითებ: როცა საქართველოს თავისი ეროვნული დროშა ჰქონდა, იმ დროს ქართული გვარდია ერთ ემბლემას ატარებდა — წითელ გეგნს!

სანამ დემავოგია პირს ღრღინს, ქვეყანას ვაძლებიშ მანის აქვს, მაგრამ როცა დემავოგიის განგრენა არჩიას დასნეულებს, ვითარება ტრაგიკული ხდება.

მიიღეთ, ბატონო, ჩემი ღრმა პატივისცემა. ხელმოწერილია, პარიზი.

ქართველმა თავადმა ავალიშვილმა, რომელიც ბოლშევიკების სახელმწიფო გარდარილებაშიდ სერთაშორისო სამართლის პროფესორი იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში, ამას წინათ უაღრესად საინტერესო წიგნი დაწერა — „საქართველოს დამოუკიდებლობა და სერთაშორისო პოლიტიკა 1918-1921 წწ.“ ამ წიგნის შესავლადან მომყავს შემდეგი ნაწყობები:

„საქართველოს მთავრობა ამ ქვეყნის ხელადებს გააზრებული ჰქონდათ, როგორც დემოკრატიული მთავრობა — საბჭოთა წყობილებისაგან განსხვავებით, სინამდვილეში კი საქართველო ჯერ სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა წარმოადგენლობითი დემოკრატიის მომხვედებს, ამ დემოკრატიის გარეგნული ფორმებით აქ იყარგლებოდა საქართველოს სოც-დემოკრატიული პარტიის დიქტატურა...“

იმასაც გარემოების კვლობაზე, საკმაო მტკიცე სახელმწიფოებრივი ძალაფულების განხორციელებას ახლდა პარტიული დოქტრინისაკენ უზომო გადახრა... ამასთან, საქართველოს მთავრობის ამგვარი ხასიათი თანდათანობით კი არ სუსტდებოდა, არამედ უფრო და

საქართველო
საქართველო

უფრო ღრმად დებოდა. 1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა კონგრესმა თითქოს წარმოსახა სახალხო ერთიანობის სურათი და ქვეყანას შექმირდა ეროვნული პოლიტიკის გატარებას. 1921 წლის დამდეგს კი საქართველოს თავისი მთავრობისა და დამფუძნებელი კრების სახით შეადგა პარტიული ორგანიზაციის კრებულმა, რომელმაც სახელმწიფოებრივ საქმეებში გამოუცდელი დოქტრინარობით დაუდგალა და სიციუტით აღდგინა და ამცირებდნენ მონაცდამიან თავისივე არსებობისა და დროისთვის საფუძველს.

საქართველოს მთავრობა გზის დასასრულს ისეთ ვიწრო ლავგარდანზე აღმოჩნდა, რომ მისი ძირს გადაქაჩება ერთი წიპურტით გახდა შეხამებელი.

ეს შემთხვევით როდი ხდებოდა. რევოლუციიდან გამოსული საქართველოს მთავრობა უფრო მეტად მიანიც სოციალური დემოკრატიის მთავრობა იყო, ვიდრე დემოკრატიული და ეროვნული პოლიტიკის ორგანო. მას მართებდა, და ადვილიც იყო, რომ სწორედ ასეთ ორგანოდ წვედოდა. მაგრამ ეს არ მოხდა.

შემამულეთათვის ანგარიშის გასწორება იყო არსებითად ამ მთავრობის მთავარი მიზნადა.

... მოკლედ, საქართველოს აგრარული პოლიტიკა არც ევროპისა და მისი სამოქალაქო კულტურებისაკენ იყო გადახრილი და არც დამოუკიდებელი საქარაველოს სახელმწიფო ინტერესებს უხამდა მხარს. სულმოკლეობისა და მიუხედავებლობის გამო, ყოველთვის მოხალღნელი შემოჭრის სახასუხოდ, საერთოდ არ მოუწადინებიათ შეიარაღებული ძალების ორგანიზება; ამასაც საქართველოს მთავრობის ძირითადი დოქტრინა განაპირობებდა — კლასობრივი ბრძოლისა და ძალისმიერი სოციალური გადაწინაწილების დოქტრინა, და სწორედ ამან შეუშალა ხელი მას ეროვნულ მთავრობად გადაქცევაში.

აგრარულმა რეფორმამ ერთნი გააღატაკა და დაამცრო, ხოლო სხვებს ისე მიაკუთვნა მიწა, რომ მათთვის რაიმე სერიოზული ფინანსური გადასახადი ან საკულდებულ სამხედრო სახასუხი არ დაუქსრებია. ამის გამო უაღრესად გაჭირდა პატარა არმიის შექმნა კი — იმ ქვეყანაში, სადაც მრავლად შეკვდათ მწყობრის ოფიცრები, და — იმ ხალხში, რომელსაც საუკუნეების მანძილზე მხედრული სიქველეთი მოეხვეჭა სახელი.

... საქართველოში სამხედრო ორგანიზაცია

საფუძველშივე რომ არ არსებობდა, შეიძლება ამ შინაური ვითარების კარგმა ცოდნამ უკარნახა მოსკოვის მთავრობის „ბოლო მოედო საქართველოსათვის“, როგორც კი საამისოდ ხელსაყრელი საგარეო ვითარება შეიქმნა.

მეორე მხრივ, გვიხსნის ავტორი, ქართულ მასას ისე „ზღვიდენ“ და თავს უტენიდენ იმგვარი იდეებით, როგორცია კლასთა ბრძოლა, მიწების კონფისკაცია და ა. შ.

„რალა გავლენა უნდა მქონოდა მაშინ თბილისელი მედვითნების მეთელ ამ სქოლასტურ შენიშვნებს, თავისებურ ახსნა-კომენტარებს, თუკი მათივე დევიზები მკაფიოდ იხატებოდა შემოჭრილი ქარების ბიარაღებზე, ხოლო გულში ჩამჭადარი რუსეთის ძლევაშისილების პრესტიჟი იმ წითელი დროშით იმოსებოდა, რომელსაც ჯერ კიდევ გულში შემბაროდნენ“.

უკანასკნელ მომენტში ქვეყანა — ერის დაპირისპირება შემოჭრილ უცხოელთა წინააღმდეგ, საერთაშორისო სოციალისტური კონგრესების უარგონიდან უეცრად პარტიოტიზმისა და ეროვნული ეგზალტაციის ენაზე გადასვლა — ადაგვიანებული და უიმედო იყო. 1918 წლიდან ამ მხრივ რომ თუნდაც საშუალო სახელმწიფოებრივი მზრუნველობა გამოეჩინათ, სულაც არ იქნებოდა საჭირო ეს ანაზდეული და ესოდენ ფუჭი და უსარგებლო მოწოდებანი...

ჰოდა, მოხდა კიდევ ის, რაც გარდაუვალი და საბედისწერო იყო: ქართული დემოკრატია დაემხო სწორედ იმ მომენტში, როცა იგი, თვითმკაყოფი და თავდაჭერებული, შემოჭდა თავის პარტიული გამორჩეულობის დიდად მოწონებულ ლავგარდანზე, და 1921 წლის იანვარში, საქართველოს დამოუკიდებლობის სრული საერთაშორისო აღიარების შემდეგ, ელოდა უფრო სრულად და არხენად დამტკბარყო თავისი, ბევრ რამეში ფსიკული, შრომის ნაყოფით. აი, სწორედ ამ მომენტში-მეთქი, სულ იოლად გადაუშვეს ძირს.

ღრს განა, დაუმტოთ, თუ როგორ უწყობდა ამას ზელს სრული უუნარობა იმისა, რომ მეზობლებთან სადავო საკითხების მოგვარების, მათთან ჯეროვანი კავშირის განხორციელების ტემპი შეეთანხმებინათ ისტორიის გამაღებელი რიტმისათვის? ანდა ესეც დაუვმატოთ: სამწლიანი, ბევრ რამეში წარმატებული, საგარეო პოლიტიკის შემდეგ საქართველო ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ იგი აღმოჩნდა სრულიად იზოლირებული და მოსკოვისა და ანგორის მუღმივი დარტყმის მუქარის ქვეშ?

(გაგრძელება იქნება)





უ. მისიამა (იაპონია)

ნიმშიას ხელოვნება

იმ წუთას, როცა მილ-კიუდოდან ნას-როლმა ნემსმა გენძო ისიბასი პირდაპირ შუბლში განგმირა, ცხადი გახდა, რომ ტოი ფუმინორის განგსტერული კლანის მაღალ წრეებში დაიწყო სისხლიანი ბრძოლა ძალაუფლებისათვის.

ისიბასის მკვლელობა უკვე მეორე იყო და ზუსტად ისევე მოხდა, როგორც პირველი, რომლის მსხვერპლიც კლანის ყველაზე ახალგაზრდა წევრი ტარო სუვა გახდა. იგი ტოი ფუმინორის მშვენიერ ბაღში იქნა მოკლული. ნემსი ცხადი იყო კიუდოს ხელოვნებაში დახვეწილი ადამიანის მიერ იყო ნატყორცილი, რადგან მსხვერპლი პირდაპირ შუბლში იყო განგმირული, სუვა კლანი ხუთი წევრის თვალწინ იყო მოკლული.

და, აი, ახლა, როცა გენძო ისიბასის ცხედარი მიწაზე იდო, მოხუცი ტოი ფუმინორი გამწარებული მაგრად კუმშავდა მუშტებს და ფიქრობდა „ეს ყველაფერი ჩვენ აღსასრულს გვიქაღის“ ასკვნიდა ის.

— ნინძია! — ცივი ხმით წარმოთქვა ვილაცამ. ისიბასის ჩამქრალი თვალები ცისკენ იყო მიპყრობილი.

საწოლში წამოწოლილი ტოი ფუმინორი დაშვებული წამწამებიდან უთვალ-თვალებდა პატარა, მოხდენილ კუმიკოს, რომელმაც მას ჩაი მიართვა. კუმიკო უკვე რამდენიმე წელია რაც მისი მეგობარია იყო და მაინც დღემდე ხიბლავდა თავის სალაშქროთ. გარდა ამისა კუმიკო ძალზე ჭკვიანი იყო. რამდენჯერ ჰკითხა რჩევა

ტოი ფუმინორიმ, როცა გამოუვალ მდგომარეობაში ვარდებოდა: და, აი, ახლაც სურდა გაეგო მისი აზრი ისიბასის მკვლელობასთან დაკავშირებით.

— ბატონო, ის, ვინც ნინძიას ქირაობს მას გადაწყვეტილი აქვს ბოლომდე იბრძოლოს — დაასკვნა კუმიკომ, როცა ტოი ფუმინორიმ გააცნო საქმის ვითარება.

— თუკი ის ძალაუფლებისაკენ ილტვის, მე რატომ არა მკლავს!

— ეტყობა თქვენი მეგობრებისა და საბჭოს დანარჩენი წევრების კონკურენციის ეშინია.

— ეს პიროვნება ცდილობს მოწინააღმდეგეები ჩამოიშოროს და თქვენც დაგაშინოთ და გაიძულოთ საკუთარი ნებით დათმოდ ძალაუფლება.

— საბჭოში სამინლა დარჩნენ: ტავარა, კოგა და კიტანი. ე. ი. ერთ-ერთი მათგანი... — მოისვენეთ ჩემო ბატონო. — კუმიკომ ნახად მიუალერსა ლოყაზე-და ნუ ფიქრობთ ნინძიას დაემალთ. აზრი არა აქვს.

— შენ მართალი ხარ. შემდეგი საბჭო ჩვეულებრივ ჩატარდება.

ტოი ფუმინორი საუბრობდა თავის სამ თანაშემწესთან და თან გამწარებული ფიქრობდა თუ რომელმა დაიქირავა მკვლელები. მიუხედავად სამეულის წინააღმდეგობისა მან კარი ღია დატოვა, ხოლო კოგა, კიტანი და ტავარა ხის კედელთან დასვა. ეს ბრწყინვალე სამიზნეები იყო.

შემოვიდა კუმიკო და ჩაი შემოიტანა.

უეგრად სიჩუმე რაღაც სტვენის მაგვარმა ზუზუნმა დაარღვია. ტავარამ შეკვივრა, თუმცა ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია, სახეზე ფერი აღარ ჰქონდა. ნემსმა ყურში გაჰკრა და კედელში შეესო.

და პირველი, რაც ტოი ფუმიწორიმ გაიგონა, ეს იყო პატარა კუმიკოს სიტყვები: — ნინძიას ხელოვნება — სრულყოფილებაა.

მეორე დილას კუმიკო მკვდარი ნახეს. ფრთხილად, რამდენადაც შეეძლო მიზუცმა ტოი ფუმიწორიმ ნახად ამოაცალა ნემსი, ის პირდაპირ მკერდში ქონდა მოხვედრილი.

ფუმიწორი იჯდა ბაღში და ფიქრობდა:

და: კოგა თუ კიტანი? ტავარა ადგილიდან სათვალავში მისაღები. ნინძიამ ვროხელ ააციდინა, მაგრამ მეორედ ეს აღარ მოხდება. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ტავარა უკვე მკვდარია.

და უცებ სახე გაუნათდა.

„ნინძიას ხელოვნება — სრულყოფილება“ — თქვა კუმიკომ და მკვლეელი გამოაშკარავა.

ნინძიას არ აუცდენია. ნინძია სწორედ იქ მოხვდა, სადაც უმიზნებდა. ხოლო ტავარას სისხლიან ყურს კლანის მეთაურის ეჭვი უნდა გაეფანტა.

კუმიკო ამას მაშინვე მიხვდა და ამიტომ უნდა მომკვდარიყო.

თარგმნა **სულხან ჯორჯანელია**

ჩვენნი მისამართი: თბილისი, 380028, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 98-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98-84-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-84-38. განყოფილებები: 98-86-48, საკორექტორო — 98-84-38.

გადაეცა ასაწყობად 5.12.91 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.2.92 წ., ქალაქის ზომა 70×108¹/₁₆, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ. საგ. თაბახი 15,85. შეეკეთა 2196. ტირაჟი 16.000.

საქართველოს ეურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“. 380009, თბილისი, 8. კოსტავას, 14.

Типография Грузинского журнально-газетного издательства «Самшобло», 380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14.

ფასი 6 მან.

ხელმოწერათათვის 2 მან.

ბ 34/22

თელავი 78286



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა